

ქველჯიტიული ზილმსოვიუჰი ქმტლები

**ი ო ა ნ ა  
კ ა ტ ნ ი ნ ი**

**ს ე მ ნ ო ე ჯ ე მ ს ე  
ქ ი ჯ ე**

გამოსაცემად მოამზადა, გამოკლუვა,  
შენიშვნება და ლექსიკონი დაურთო  
ი ვ ა ნ ე ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა

გარომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი --- 1968

„სათნობათა კიბე“ (ანუ „კლემასი“) იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიურ-დიდაქტიკური შინაარსის თხზულებაა. გალექსილია ოცდაათ თავად, იამბიკურად და აკროსტიქურად იოანე სინელის „კლემასის“ ეფთვიმე მთაწმიდლისეული პროზაული თარგმანის მიხედვით.

თხზულებას უძღვის ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევი „იოანე პეტრიწი-ქიმიქიმელი“, რომელშიც განხილულია ძველი ქართული მწერლობის აქტუალური პრობლემები; ერთვის შენიშვნები და ლექსიკონი.

## წინასიტყვა

ფილოსოფია ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდი და შინაარსიანი დარგია. იგი საქართველოში ჩაისახა ადრეფეოდალურ ხანაში და თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია XI—XIII საუკუნეებში — იოანე პეტრიწისა და შოთა რუსთაველის ეპოქაში. ამ დროის (ანუ კლასიკური ხანის) მწერლობაში ფართო გასაქანი მიეცა ფილოსოფიურ აზროვნებას, ფილოსოფიურ-თეოლოგიურ პრობლემატიკას: სამონასტრო სკოლებსა და აკადემიებში რიტორიკასა და ლეთისმეტყველებასთან ერთად ისწავლებოდა „გარეშე ფილოსოფია“, განსაკუთრებით: პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრება, იმართებოდა ფილოსოფიური კითხვა-მიგება და პოლემიკური დისკუსიები, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველი მწერლები და მოაზროვნენი, ზოგჯერ მეფეებიც კი. ამ დისკუსიებისა და კითხვა-მიგებათა მონაწილეების მთავარი მიზანი იყო ის, რომ მათ ფილოსოფიურად დაესაბუთებინათ ქრისტიანული დოგმები ღმერთის არსებობის, სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის შესახებ, ე. ი. ანტიკური ფილოსოფია (უპირველესად პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრება) ჩაეყენებინათ ქრისტიანიზმის სამსახურში და ამის შედეგად აეხსნათ თეორიული საკითხები, რომელთაც აყენებდა შუა საუკუნეების სქოლასტიკა.

XI—XII საუკუნეებში ქართულ ენაზე შეიქმნა უმდიდრესი ფილოსოფიური მემკვიდრეობა: ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა ბერძნულიდან ქართულად თარგმნეს ფილოსოფიური წიგნები, შეთხზეს ორიგინალური შრომები — კომენტარები, სტატიები და ტრაქტატები, რომელთაც დიდად განავითარეს ქართული ფილოსოფიური აზროვნება და მყარი თეორიული საფუძველი მოუძაბდეს დიდ რუსთაველსა და ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტებს — ჩახარუხაძეს და შავთელს.

ღალი ხანია, რაც ეს ფილოსოფიური მემკვიდრეობა ქართველ მეცნიერთა შესწავლის ობიექტს წარმოადგენს: გამოიცა ტექსტები, დაიწერა გამოკვლევები, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. დღემდე გამოქვეყნებულია ამ მემკვიდრეობის მცირედი ნაწილი — არეოპაგიტული წიგნების ეფრემისეული თარგმანი, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებიანი“ და იოანე პეტრიწის „კომენტარები“, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ და რამდენიმე ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტრაქტატი. სხვა დანარჩენი შრომები, მათ შორის იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბე“, ამონიოს ერმისის „მოსაჯსენებელი ათთა ჳმათადმი არისტოტელისთა“ და „მოსაჯსენებელი ხუთთა ჳმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“, არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ შრომათა კრებული „დოდმატაკონა“, რომელიც შეიცავს თარგმანებსა და ორიგინალურ ტრაქტატებს, — ჯერ კიდევ არ არის გამოცემული მეცნიერულად. ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად პუბლიკაცია ფილოსოფიურ-დიდაქტიკური თხზულებისა „სათნობათა კიბე“, რომელსაც წინ უძღვის ნარკვევი „იოანე პეტრიწი-ჰიმნიმელი“.

ი. ლოლაჯვილი

იოანე პეტრიწი-ჭიმჭიმედი

ისტორიულ-ფილოლოგიური  
ნარკვევი



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი (დავით აღმაშენებლის ეპოქის მოღვაწე) ძველქართული კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. შუა საუკუნეების ამ გამოჩენილმა მოაზროვნემ დაჭილდობულმა ღრმა მეცნიერული ერუდიციითა და მებრძოლი შემოქმედებითი უნარით, დიდი ამაგი დასდო ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების განვითარებას. მან თავისი სიტყვა თქვა ჩვენი ძველი მწერლობის თითქმის ყველა დარგში.

პეტრიწი ქართული ფილოსოფიის ზევსია. იგი რუსთაველისებური გაქანების მოაზროვნეა. ანტონ ბაგრატიონის თქმით, მან „ფილოსოფთ საქმე მოსაქმისანი მოაქართულნა“, „ქართლი ჰქმნა მეორედ ათინად“, ამით „ქირანი წარგვხადნა უმეცარ-საწყინანი“. პეტრიწმა დაგვიტოვა ნაწერები „ყოველთა გუართა შინა სიტყვიერებისათა და ყოველთა გუართა შინა ჰპოვა ჩინებულება და პატივისცემა არა მხოლოდ თანამედროვეთა თვსთა, არამედ ყოველთა განათლებულთა შთამოებათა თვსისა მამულისათა“ (ს. დოდაშვილი).

პეტრიწის ცხოვრება და ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერონად არ არის შესწავლილი. მკვლევრებს უჭირთ სრულყოფილად გაითვალისწინონ ის დამსახურება, რომელიც მას ქართული ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბების საქმეში მიუძღვის. ამის მიზეზია ის, რომ პეტრიწის ნაწერების ერთი ნაწილი დაკარგულია, ნაწილი კი კრიტიკულად არ არის შესწავლილი. გამოცემულია მისი ორი ფილოსოფიური შრომა: პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ (ტექსტი და კომენტარები) და ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“. სხვა თხზულებები ხელნაწერებადაა დაცული ქართულ სიძველეთსაცავებში და ტექსტოლოგ-გამომცემლებს მოელიან.

ბიოგრაფიული მასალების სიმცირის გამო არაფერი (ან ცოტა რამ) ვიცით, თუ რა გვარს ატარებდა პეტრიწი, ვისი ჩამომავალია, სად დაიბადა და აღიზარდა, სად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ვინ იყვნენ მისი

თანამოღვაწენი და მოწაფეები, როდის, სად და რა დაწერა, რა ურთიერთობა ჰქონდა ეფრემ მცირესთან, არსენ იყალთოელსა და დავით აღმაშენებელთან, რატომ იღვენებოდა ბერძენთა და ქართველთაგან, როდის გარდაიცვალა და სხვა.

კლასიკური ხანის მწერლები ამ საკითხებზე ძუნწ ცნობებს გვაწვდიან, ალორძინების ხანის მწერლები კი ზოგჯერ ლეგენდურ ამბებს მოგვითხრობენ და მათი ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ამის გამო მკვლევარს საგრძნობი სიძნელეები ელობება, როდესაც პეტრიწის ვინაობას არკვევს (ან აზუსტებს). ეს სიძნელეები ნაწილობრივ დაძლეული იქნებოდა, რომ დავით აღმაშენებლის ეპოქის მწერლობა მონოგრაფიულად იყოს შესწავლილი. მაშინ შესაძლებლობა გვექნებოდა გამოგვეჩვიოთ ტრადიციული ცნობების ავთენტურობაც. ამიტომ პეტრიწის ბიოგრაფიისა და შემოქმედების პრობლემების განხილვამდე აუცილებელია დამუშავდეს ორი ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხი:

ა. რა ცნობები მოგვეპოვება პეტრიწის გარშემო და როგორია მათი მეცნიერული ღირებულება?

ბ. ვინ არიან იოანე კიმჭიმელი, იოანე საღმრთო ფილოსოფოსი, იოანე ტარიჭისძე, არსენ ბერი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, იეზეკიელი, პეტრე გელათელი და რა ურთიერთობა აქვთ მათ პეტრიწთან?

მხოლოდ ამ საკითხების განხილვის შემდეგ შეიძლება შევისწავლოთ პეტრიწის ლიტერატურული მემკვიდრეობა და მისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსოფლმხედველობა.



## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

### ზ რ ა დ ი მ ი უ ლ ი ს ნ ო ბ ე ბ ი პ ე ვ კ ი ზ ი ს ბ ი ო მ გ რ ა შ ე ი ს ა თ ე ი ს

XVIII საუკუნეში დიდი ყურადღება მიექცა პეტრიწის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას: დაიწყო მისი ნაწერების გადაწერა, მისი ფილოსოფიური ტრადიციების აღდგენა და ვინაობის გამორკვევა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე ანტონ ბაგრატიონი. მან პეტრიწი თავის მოძღვრად, „ბრძენთა შორის უბრძენსად“ გამოაცხადა და მჭევრმეტყველური ხოტბა უძღვნა იამბიკურად — „თვს მამისა იოანე ფილოსოფოსისა პეტრიწისა-ჭირჭიმელისა“<sup>1</sup>, რომელშიც აღნიშნა, რომ ჩვენ ორა რამ გვმართებს: „ან ფილოსოფოს-ყოფა სიბრძნის-მოყვარელ, ან პატავ-ცემა სხვათა ფილოსოფოსთა“.

ანტონმა შეისწავლა პეტრიწის ლიტერატურული მემკვიდრეობა და დაწერა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვა, რომელშიც თავმოყრილია ცნობები, თუ ვინ იყო პეტრიწი, სად მოღვაწეობდა და რა შრომები ეკუთვნის მას. ეს მიმოხილვა ჩართულია „სპეკალში“ სათაურით: „იოანესთვის პეტრიწისა ფილოსოფოსისა მოკლედ მოგსენებაჲ, თუ ვინ იყო იგი, ანუ ვითარ იყო“. ტექსტი მეცნიერულად შეისწავლა და გამოაქვეყნა 1936 წელს კ. კეკელიძემ<sup>2</sup>. მისი შინაარსი ასეთია:

<sup>1</sup> წუობილისტევაობა, ქმნილი ანტონისაგან პირველისა, პ. იოსელიანი-ის რედაქციით, 1853, გვ. 253—256.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, სპეკალი, ახლად აღმოჩენილი ფილოსოფიური შრომა ანტონ პირველისა (თსუ შრომები, I, 1936, გვ. 127—140; კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, 1956, გვ. 270—282).

„იოანე უკუე, თეთრალი სიბრძნისა, იყო ნათესავით ქართველი და სამეუფოთა სქესთაგან აქუნდა მას შთამოობაჲ. ამან უკუე ყოველი ფილოსოფიაჲ, ესე იგი ღრამმატიკაჲ და როტორიკაჲ და გეომეტრიაჲ და ასტრონომიაჲ და მუსიკაჲ და ფიზიკაჲ და მეთეფისიკაჲ ვითა მზემან ზოდნი, ერთბამად შემოვლო, და ყოველსა ელლინთა ენამზეობითსა სიტყუცოსა ქელოვნებასა ზედმიწევნილ იქმნა; და თავად მან ინდალმასა და უმყოფსა არსისა და სიზმრისა ნაქსოვნებისა კიდევან ჰყო თავი თვისი და ოპიზას, მონასტერსა წმიდისა იოანე წინამორბედლისასა, მიიწია ძმათა თანა, და მალალთა მათ ზესთ ღმრთისმეტყუელელებითთა სხოლიონთა წილ იმყო უნდოჲ კელლინი და სამეუფოთა წილ სამოსთა—ძაძაჲ. და რომელსა მორჩილებდეს მორჩილთა თანა ფიცხელითა მორჩილებითა, თავდგმულებით გკრგვნოსან იქმნა და ესრეთ უფლადმი მივიდა.

ესე იყო უამისა მცირედ პირველ დავით მესამისა, მეფისა ქართველთაჲსა, კეთილ-მორწმუნისა, ძისა გიორგისსა დავითიანისსა, რომელი მოიჯსენების სახელწოდებით აღმაშენებლად.

ამან საღმრთოჲმან იოანე გარდამოილო ქართველთა ჯმასა ზედა საღმრთოჲ წერილი და მრავალნი ღმრთისმეტყუელეებითნი და ფილოსოფოსებითნი წერილნი და, ვჰგონებ ვითარმედ, სამკურნალონიცა წერილნი; და მრავალნი ღმრთის-მეტყუელეებანი უაღრეს ბუნებისა გამოთქუნა მრავალ-დალექსულთა იამბიკოვანთა გალობათა შინა. ხოლო მრავალნი გალობანი სათვეოთა და ტრიოდონისა და პენტეკოსტისა გარდამოილო ბერძენთა ჯმათაგან ჩუენთა ზედა ჯმათა, და მრავალნი შესხმანი წმიდათანი ბერძულისაგან ქართულად გარდამოილო.

ამან განმარტნა წიგნი პროკლე ფილოსოფოსისა, რომელ არს «კავშირნი ღმრთისმეტყუელეებითნი», და ბერძულისაგანცა ქართულად გარდამოილო იგი, და «კატელორია» არისტოტელისა, და «პერიარმენია», და წიგნი ამმონიოს ერმისიისა, რომელ არს «განმარტებაჲ პორფირი ფილოსოფოსისა ხუთთათვის ჯმათა» და «[განმარტებაჲ] არისტოტელის შესმენათა», და წიგნი ნემესიოს ემესელისა «კაცისა არსებისათვის» და მრავალნი სხუანი წე-

რილნი, და წიგნი იოანე სინელისა «კლემას-  
ქსი», მონაზონთათს განმამდიდრი იგი საუნჯე მრავალფასი,  
რომელი ოცდაათა მიერ კიბეთა აღაუვანს სიყუარულისადმი  
და შეაერთებს სიყუარულსა მას, უუთქუსა მზესა. ესე  
წიგნი იოანე სინელისა ორგუარად არს  
გარდამოღებულ ამის დიულისა მიერ: პირვე-  
ლი ვიდრემე განკარგულად, ხოლო მეო-  
რე — იამბიკონად, ვალობასა ზედა გარდამოიღო  
ჩუენთა ზედა ქმათა.

ხოლო მისთათს წერილ-დაღექსულთა რადლა სავმარს არს  
თქმაჲ? რამეთუ თვთ ვვარჩენებენ თავთა თვსთა უტკბილეს  
თაფლისა და უფროჲს ოქროთა ხვავთა განმამდიდრებულად  
და გასაგონთათს მასპინძელ-ყოფად უხრწნელითა მით სანო-  
ვაგითა.

ამის ყოვლად ბრძნისა მოძღურისა იყ-  
ვნეს მრავალნი მოწაფენი შედგომილ, მაგრა  
უფროჲსლა ეფრემ მცირე და არსენ იყალ-  
თოელი, რომელნი შესაფერო იქმნნეს ზედმიწევნილები-  
თა მოწაფედ ესთა დიდისა მოძღურისა<sup>3</sup>.

მეორე მწერალი, რომელმაც საინტერესო ცნობები დაგვიტოვა პეტ-  
რიწის ბიოგრაფიისათვის, არის გერმანე ხუცეს-მონაზონი, მოწაფე ნეკ-  
რესის ეპისკოპოსის დოსითეოზ ჩერქეზიშვილისა. მას 1764 წელს თე-  
ლავეში გადაუწერია პროკლე დიაღობოსის „კავშირნი ღმრთისმეტყვე-  
ლებითნი“ და მისთვის დაურთავს ანდერძი, რომლის პირი შემოგვი-  
ნახა ამბროსი ნეკრესელმა<sup>4</sup>. ტექსტი გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა<sup>4</sup>.  
შინაარსი ასეთია:

„სათანადოა უწყებად შენდა, მკითხველო, რომელ: ნაქვსნი  
ესე, რომელსა სკვრეტ, იოანეს მიერ არის თქმული, ქართვე-  
ლისა ფილოსოფოსისა, რომელსა ნართაულებზედ  
ეწოდა პეტრიწი სიმკაცრით გამოძიე-  
ბისთვის წერილთასა, რომელსა ჰყოფდა; რომე-  
ლი იყო ნათესავით ქართველი, სანახებთავან სამცხესა, და  
ბითქორკიმით, ხოლო სხვა ვინაობა ანუ სადაობა მი-

<sup>3</sup> H 1823, ფ. 155r (H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, III, გვ. 226; შტრ-  
იქვე, გვ. 236).

<sup>4</sup> ე. თაყაიშვილი, საისტორიო მასალანი (ძველი საქართველო, II, 1900,  
განყ. 3, გვ. 40).

სი არა საცნაურ ჩნდა, მხოლოდ ესე გვეუწყების, რომელ: ათინას იყო წუთონილი და ზედ-მიწევნით მეცნე სიბრძნეთა მუნებურთა, ვითარცა წამებენ ნაქვსნი მისნი, რომელნი მრავლითასიბრძნითასაცხედ იხილვებიან და ენა-დღეობითა კეთილ-ქელოვნურად, რომელთაგანი ერთი არს ესე «კ ა ვ შ ი რ ი», მის მიერ გარდმოენებული ელლინთა ენისაგან ქართველთა ენასა თვის მიერ აღქსნითა, ვითარცა აღმოიქვირობს, რომლისა სიკეთე ფრიად არს. და ესე ნაქვსი ბოლოს დაუდვიეს-ყე შემდგომად «კავშირისა», რომელი ესე აწ აღიწერა ცალკერძ კიდე მისგან ქელითა უგლახაკესითა ხ უ ც ე ს-მ ო ნ ა ზ ო ნ ის ა გ ე რ მ ა ნ ე უ დ ა ბ ნ ო უ რ თ ა გ ა ნ ის ა ე ა მ-ს ა მ ა ს, ოდეს სასწავლოთა შინა ვიქცეოდი ქელსა ქვეშე ნეკრესის ეპისკოპოსისა მოძღვრისა და უფლისა ჩემისა უსამღვდელოესისა დ ო ს ი თ ე ო ს ს ა. ქალაქ-სოფელსა თ ე-ლ ა ვ ს, ქრისტეს შემდეგ ჩლად [1764 წ.]».

პეტრიწის ვინაობაზე ერთი საყურადღებო ცნობა შემოგვინახა აგრეთვე ბესიკის მამამ, მწერალმა ზაქარია გაბაშვილმა. პროკლე დიადოხოსის „კავშირთა“ ერთ ნუსხას (H 2235), გადაწერილს 1759 წელს ისაყ მცირის მიერ, ერთვის ზაქარია მოძღვრის მინაწერი (ფ. 190 r), რომელშიც აღნიშნულია, რომ ეფრემ მცირე მოწაფეა იოანე პეტრიწისა. როგორც ნ. მარმა გამოარკვია, ამ მინაწერის წყაროა ბაგრატ მუხრან-ბატონის პოლემიკური თხზულება „მოთხრობა სჯულთა უღმართთა ისმაიტელთა“.

ტექსტი საინტერესოა ეფრემ მცირისა და პეტრიწის ურთიერთობის შესასწავლად; გამოქვეყნებულია რამდენჯერმე<sup>5</sup>.

„ძ ე ე ლ ს ა წ ი გ ნ ს ა შ ი ნ ა მ ი ხ ი ლ ვ ა ნ მ ე, ზ ა ქ ა რ ი ა მ ო ძ ღ ვ ა რ ს ა, და მ უ ნ ი თ გ ა რ დ ა-მ ო მ ი წ ე რ ი ე ს:

მრავლით ეამითგან უწინარეს ეფთვიმი და გიორგი წმიდათა მამათა მთარგმნელთასა და დავით და სტეფანე ქართველთა გვარისანი იერუსალიმს მიიწიენეს და მუნ შეემეცნნეს ელინთა ენამზეობასა. და პირველად მათ გარდამოთარგმნეს რაოდენნიმე საეკლესიონი წიგნნი ბერძულისაგან ქართულად და არაბთა ენისაგანცა საღმრთონი წიგნნი გარდამოიღეს მრავლითა

<sup>5</sup> П. Иосе.Лрანი, Описание древностей города Тифлиса, 1866, гв. 154—155; А. Цагарели, Сведения, I, 1886, гв. 61—62; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 1892, გვ. 224—225; H. Марр, Из книги царевича Баграта (ИИАН, 1899, X, № 2, гв. 233—244); იოანე პეტრიწის შრომები, I, 1940, გვ. LXXVI—LXXVII; H ფონდას „ხელნაწერთა აღწერილობა“, V, გვ. 172—173.

შრომითა. და შემდგომად მრავლისა ეამისა აღეშენა საყდარი პორტიტის ღვთისმშობლისა, და მუნ შეკრბეს მრავალნი ქართველნი მონაზონნი და მათ შორის გამოჩნდეს ეფთვიმი და გიორგი, სანატრელნი მამანი. და რაოდენიცა დავით და სტეფანეს მიერ თარგმნილნი წიგნნი მწერალთა განერყვენეს, ამათ განაწრფელეს და გამართეს და უმრავლესი ახლად გარდამოთარგმნეს. ამათსა შემდგომად გამოჩნდეს სამცხით ღირსნი მონაზონნი საბა თუხარელი და ეფრემ მცირე, მოწაფე იოანე პეტრიწისა. ესე ეფრემ ფრიად აიძულა საბა თუხარელმან თარგმანებად რაოდენთამე წიგნთა, რომელნი არა თარგმნილ იყვენეს ენასა ჩვენსა, და გარდამოთარგმნა წიგნი დიონისი არეოპაგელისა და გრიგოლი ღვთისმეტყველისა «ლავსაიკონი», დავითის თარგმანი ორ წიგნად, სჯულის კანონი დიდი და რომელნიმე ცხოვრებანი და წამებანი წმიდათანი, თეოფილონ ისტორია და თქმულნი კასიანე მონაზონისანი. ხოლო ეფრემ იყო შავსა მთასა და ოდესმე იერუსალიმსაცა».

XVIII საუკუნის მიწურულს პეტრიწის ვინაობით დაინტერესდა ცნობილი მწიგნობარი და კალიგრაფი დავით რექტორი. მან გადაწერა იოანეს რამდენიმე ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულება, დაგვიტოვა საინტერესო ბიოგრაფიული მიმოხილვაც, რომელიც ჩართულია სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ ნუსხაში (Q 401, ფ. 192 ს). ტექსტი 1936 წელს გამოაქვეყნა ვუკ. ბერიძემ<sup>6</sup>. მისი შინაარსი ასეთია:

„პეტრიწი იყო ფილოსოფოსი, ხოლო სახელითა ვიდრემე არსებითითა იოანედ წოდებული, გვარად ვიდრემე ქართველი, კეთილშობილთა გვართაგანი. ხოლო მე, ზალალ-კეთილ-შობილი აღექსის ძე, სრულიად სამეფოჲსა და კასეთისა რექტორი და მოძღვარი ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა დავით. ვგონებ იოანე პეტრიწის ფილოსოფოსისასა ნათესავით ვიდრემე საათაბაგოელსა, რომელი იქმნა შემდგომად ათინით უკმოქცევისა ქართლადვე მონაზონ, გარნამწირ.

ესე წარიგზავნა ქართველთა მეფისა მიერ ბაგრატი პირველისა საბერძნეთად ათინად, რათა მიიღოს ენა ელინური და განისწავლოს ფილოსოფიისა და ღვთისმეტყვე-

<sup>6</sup> ვ. ბ. ბერიძე, დავით რექტორი — ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის ვამპირ-ბელეტი (თბილ. შრომები, I, 1936, გვ. 324—325).

ლებისა სწავლისა მიღებათა შინა. ხოლო ესოდენ განსწავლულ იქმნა და ფრიად ზედმიწევნილ პლატონურითა ღვთასმეტყველებათა და არისტოტელითთა ფილოსოფოსობათა, რომელ მუნცა რჩეულ იქმნა ესოდენ, რომელ ოცდაათთა წელთა შინა ბერძენთა სამეფუფოსა ქალაქსა კოსტანტინუპოლეს შინა (ესე იგი ვიზანტიასა) მოძღვრად დაიდგინა.

შემდგომად კოსტანტინუპოლით ქართლადვე მოქცევისა იოანესსა იქმნაკრება ხალკიდონისა დიოსკორესზე მწვალებელისა ალექსანდრიელთა პატრიარხისა. და მაშინ უკვე განდგენ სომეხნი მართლისა სარწმუნოებისაგან და აღიარეს ერთი ბუნება, და ერთი მოქმედება და ერთი ნება ქრისტეს შორის, ეგრეთვე ხაჩვეცარი, უცომოჲ და უწყლოდ შეწირვაჲ.

ამას უკვე იოანეს ათინას, აკადემიასა შინა უწოდეს პეტრიწი. პეტრ რომელი ითქმირქვად და მარცვალი ქვემოთე მფხეკელად გამოითარგმანების. ჩვეულება იყო ატიკელთა მოძღვართა ფილოსოფოსთაგან არსებითისა სახელისა გარდა სხვისადა ზედშესრულისა სახელისა წოდება აკადემიითგან; და ეინაბთგან ესე იოანე იყო წერილთა ფრიად მჩხრეკელ, ამისთვის უწოდეს პეტრიწად, ესე იგი ქვის მფხეკელად.

ამანვე იოანემ ქართველთა შორის შემოიღო უღლოილება ზმნისა, ამანვე — მავითარებელი ზმნისა, სახელ-ზმნისა და მიმღეობისანი; ესევე არს ქართველთა ენასა ზედა ლექსთა დამკვეციისა შემომღებელი.

ხოლო ჩემისა უკვე ცნობისაებრ, რომელნი მე უკვე მიხილვან და წარმიკითხვან, არიან წერილნი უკვე ოთხნი ქართველთა კმასა ზედა მისგან გარმოდებულნი და ქმნილნი ქვლადელთა ენისაგან:

1. ძველნი კავშირნი პლატონური ღვთისმეტყველებისანი, პროკლე დიადოხოსისაგან ქმნილნი, და ამისაგან შექმნილი განმარტება;

2. იოანე სინელისაგან «კლემაქსი» (რომელ არს ოცდაათნი კბენი) თვისსა შეენიერსა ენასა ზედა ქმნილი, სხოლასტიკოსად ზედწოდებული.

3. ესევე «კლემაქსიევე», და ლექსილი იროიკოდ და აკროსტიხორად კიდურწერილობით;

4. სათვეო სვინაქსარი: ექვსი თვე — შვენიერად დაღუქსილი, რომელსა ეწოდების პ რო ლ ო დ ი ა; სამი თვე — მცხეთის კათოლიკოსის ბ უ ლ მ ა ი ს ი [ მ ი ] ს ძ ი ს ა გ ა ნ ქ მ ნ ი ლ ი, ხოლო სამი თვე — ბაგრატიონის მეფის ი ე ს ე ს ძ ი ს, მცხეთის კათოლიკოსის ა ნ ტ ო ნ - ს ა გ ა ნ ქ მ ნ ი ლ ი, რომელ შესრულდება ათორმეტს თვედ.

მე პეტრიწისა ესე ოთხნი მიხილვან და ეგების, თუ ჰპოვებენ ვინმე, სხვადა იყოს წერილი მისგან ქმნილი.

ათინას შინა იოანეს თანა-მოწაფენი იყვნეს სომეხნი: დავით უძლეველი ფილოსოფოსი, რომელმან შექმნა წიგნი საზღვრისა პირონელთა მიმართ, და მეორე — მოსე ხორანელი, და ამან შექმნა ლექსიკონი.

მეხუთე წიგნიცა არს იმავე იოანესაგან ელინურიდამ გარდ-მოთარგმნილი — ნ ე მ ე ს ი ო ს, ხოლო ვიეთნიმე იტყვიან წ ი გ ნ ს ა ც ა ი ო ს ი პ ო ს ი ს ა ს ა ამის იოანესგან ნათარგმნსა ელინურიდამ“.

დასასრულ, პეტრიწის ბიოგრაფიული ცნობები გვიანდერძა ი. ბაგრატიონმა. მან ეს ცნობები შეიტანა „კალმასობაში“ სათაურით: „თვის მამისა იოანე ფილოსოფოსისა და ზედწოდებით პეტრიწისა-ჰიმჭიმელისა“. ტექსტი გამოაქვეყნა 1909 წელს ე. თაყაიშვილმა, შემდეგ — ჯ. კეკელიძემ და ა. ბარამიძემ<sup>7</sup>. იოანე ბაგრატიონი წერს:

„იოანე ქ ი მ ჰ ი მ ე ლ ი, ფილოსოფოსი და ზედწოდებით პ ე ტ რ ი წ ი, ესე იყო გუღიით, ერთობასა შინა მეფობისასა. და მეფეთაგან გაიგზავნა ათინას და მუნ მიიღო აზნაურობითი და ბუნებითი ხელოვნება; ისწავა მათემატიკა ასტრონომია და ასტროლოგია. და ოდეს დაასრულა სწავლანი, მაშინ მიაყვანეს მოძღუართა მისთა და უჩვენეს ციხისა კედელთა ზედა დაწერილნი ძველთა ფილოსოფოსთაგან თქმულნი ჰაზრები, რომელმანცა უკეთეს განმარტნა თვისთა მოძღუართა ზედა და უკეთეს ნათლად აღმოუჩინნა, და ამის მიზეზისათვის სახელ-სდევს პ ე ტ რ ი წ ა დ ა ( რ ო მ ე ლ ა რ ს ქ ე ი ს მ ფ ხ ე კ ე ლ ი). და მერე დასევს სკამსა ზედა, შეუხსნდენ მხრითა მოძღუარნი თვისნი და ესრეთ გარე მოვლეს ადგილი იგი.

<sup>7</sup> მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის, ძველი საქართველო, I, 1909, გვ. 3, გვ. 14—15; იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, 1948, გვ. 174—175. მისი მეცნიერული ღირებულება განხილული აქვს შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე ს (ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, გვ. 394—395).

— ეს იოანე იყო გონება-მაღალი და დიდი ღვთისმეტყველ-  
ფილოსოფოსი, ზედმიწევნითი ბერძულსა და ქართულსა ენა-  
სა ზედა; რომელმანცა თარგმანა სახარებელსა  
თარგმანნი, ლუკასი და მარკოზისა თავნი,  
კლემექსი, კავშირი ღვთისმეტყველები-  
თი და სხვანი მრავალნი საღმრთონი წე-  
რილნი, დიონისის არიოპაგელის ღვთის-  
მეტყველება. ამან შეაწყო ბერძენთ გვარზედ იამბიკო  
ქართულად და იმეცადინავა შემოკლებად ქართულისა  
ენისა მსგავსად ელინურისა ენისა. და მრავალნი კეთილ-  
ნი სწავლანი დათესა ერთა შორის. და მრავალნი  
წმიდათა ცხოვრებანი გარდამოიღო. და კე-  
თილისა ცხოვრებითა განვლო წელნი თვისნი....

ამან [ეფრემ მცირე მან] აღზარდა სწავ-  
ლასა შინა ქართულისა ენისასა იოანე  
ფილოსოფოსი და ასწავა ცა ბერძული, რო-  
მელიცა წარიგზავნა მეფეთაგან ათინას კვალად სწავლისათვის  
იოანე“...

• • •

როგორც აღვნიშნეთ, პეტრიწის ბიოგრაფიით დაინტერესება გამოიწვია  
იმ გარემოებამ, რომ მისმა ფილოსოფიურმა მოძღვრებამ დიდი გავ-  
ლენა მოახდინა XVIII საუკუნის ქართულ აზროვნებაზე; მწერლობა-  
ში დამკვიდრდა პეტრიწული სტილი და პეტრიწის კულტი; მოდად იქ-  
ცა ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებების წერა, თარგმნა, კი-  
თხვა და შესწავლა. იმდროინდელ საეკლესიო მწერლებს აინტერესებ-  
დათ თითქმის იგივე საკითხები, რომლებსაც იკვლევდნენ XI—XII  
საუკუნეებში ეფრემ მცირე, პეტრიწი და იყალთოელი. ფილოსოფია-  
ში პეტრიწისადმი მიბაძვა ისეთსავე სავალდებულო ნორმად იქცა, რო-  
გორც პოეზიაში — რუსთაველისადმი მიბაძვა. ანტონ ბაგრატიონი პეტ-  
რიწს უწოდებდა „საღმრთო იოანეს“ და „საღმრთო ფილოსოფოსს“. იგი  
„წყობილსიტყვაობაში“ ასე ამკობდა მას (სტრ. 737—738; 741):

შენ ფილოსოფოს სამართლად იზედწოდე,  
ამად ვითარმედ: არა თუ ოდენ ნავთნი  
იცნი განყოფით, არამედ მიზეზნიცა.  
მყოფად და ქმნილთად ზედმიწევნილებ კმაღლა,  
ამბოჯის ზარ შენ ჭეშმარიტ ფილოსოფოს.



ასტრონომოსებ კეთილ-განუგმობელად  
ასტროლოლიათ ქვეშარიტთ გარდმომცემი;  
ღიაღობოსებ პროკლეს განსაკვირვები:  
ვით იგი პლატონს ენაცვალა, იოანე,  
ეგვერ შენ პროკლეს ეღიაღობე ღირსად...

იოანესნი ბრწყინვენ ლექსნი მზიანნი,  
წალკოტ-ყვავიან, მწიფენ ხილნი ხიანნი,  
ფშვიან სულნელთა მისნი შროშან-იანი,  
მისნი ღათხზვანი დიოს-კრონოსიანნი,  
სიმაღლით სხვათა უზეს, ყოვლად ციანნი.

იგივე ანტონი მზითარ სებასტიელის „რიტორიკის“ ქართულ რედაქციაში აღნიშნავდა:

პეტრიწისა გვარი წერილისა განმკვირვებს,  
ენა-მზეობისა მისისა სიმარჭვე განმაცვიფრებს;  
აღნაქესთა მისთა მახარებს შევნიერ-წყობილუბა,  
მაჟურს ქებად მისი მაღალ-ლექსთ-მკობილებაჲ.

XVIII საუკუნის სხვა მწერლები და გადაამწერნი იოანეს უწოდებდნენ „ქართველთა მზეს“, „ყოვლად ბრძენს“, „ენისა ჩვენისა მამზევს“, „დიდ იოანეს“, „პლატონურ ფილოსოფოსს“ ან „პლატონის თანამოსაყდრეს“. წერდნენ: პეტრიწის ნაწერები „შევნიერ ლექს-უბნობითა ათრობს მსმენელთა, მაგრა ფრიად ღრიფოსი“<sup>9</sup>...

პოეტები აღიდებდნენ იოანეს, როგორც შეუღარებელ ფილოსოფოსს. დიმიტრი ორბელიანი ამბობდა: ქეთევან დედოფლის ღვაწლთა აღსაწერად უნდა დასხდნენო მთაწმიდელი, სინელი და პეტრიწი, რათა მათ „მოკლე სიტყვით შეამკვერონ გრძელი ტანჯვა მრავალფერად“<sup>10</sup>, ხოლო რვეულად შეთხზულ ლექსში შენიშნავდა: პოეტი მამუჯა გურამიშვილი „პერიპატელთ მოსიბრძნულად“ და „ლამაზ-თქმულად“ გვაცნობს პეტრიწის ვინაობას<sup>11</sup>.

ამგვარ ვითარებაში, ცხადია, ზემოხსენებულ მწერლებს პეტრიწის გარშემო ბევრი წერილობითი ცნობა უნდა ჰქონდეთ ხელთ. არც ისაა გამორიცხული, რომ მათ ექნებოდათ ზეპირსიტყვიერი მასალებიც,

<sup>9</sup> S ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 327.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 209.

<sup>11</sup> ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის „ხელნაწერთა აღწერილობა“, II, გვ. 273—274.

<sup>12</sup> გიორგი ავალიშვილის კრებული (S 303, გვ. 163; S ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 351—352).

რომელთა კვალა აშკარად შეიმჩნევა XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე შეთხზულ ტრადიციულ გადმოცემებში.

უპირველესად აღსანიშნავია დავით რექტორისა და იოანე ბაგრატიონის მიმოხილვანი, რომლებშიც საყურადღებო ბიოგრაფიულ დეტალებთან ერთად დაცულია ზოგიერთი მცდარი ცნობაც. დავით რექტორი ერთმანეთში ურევს რამდენიმე ისტორიულ ფაქტს: პეტრიწი, XI—XII საუკუნეების მწერალი, მას მიაჩნია ბაგრატ პირველის (IX საუკუნის მეორე ნახევარი) თანამედროვედ, ან V—VI საუკუნეების მოღვაწედ, ხოლო მის მოწაფეებად აცხადებს დავით უძლეველს (VI ს.) და მოსე ხორენელს (VIII ს.); ან კიდევ: ქალკედონის საეკლესიო კრება. რომელიც მოხდა 451 წელს, გადმოაქვს პეტრიწის ეპოქაში. დავით რექტორს პეტრიწის ვინაობა და მისი მოღვაწეობის დრო გარკვეული არ ჰქონია. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია ჯერ კიდევ 1879 წელს ზ. ჭიჭინაძეს. რომელსაც ხელთ უნდა ჰქონოდა პეტრიწის რექტორისეული ბიოგრაფია. გალექსილი „კლემაქსის“ ერთ-ერთ ხელნაწერში ვხვდებით მის მინაწერს: „საქართველოს ისტორიულ წერილებში იოვანე პატერიწს (sic) იხსენიებენ მეექვსე საუკუნეში. ამავე სახელწოდებით და იმავე მოქმედებით ასახელებენ მეთერთმეტე საუკუნის დასასრულსაც]. ასევეა არეულ-დარეული შემდეგი დროის ახალს ისტორიულ წიგნებში, მაგრამ ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ იოვანე პატერიწი (sic) მეთერთმეტე საუკუნეში იყო და არა მეექვსეში“<sup>12</sup>.

საკვირველია, რატომ უნდა მიეჩნიათ დავით აღმაშენებლის თანამედროვე იოანე მეექვსე საუკუნის მოღვაწედ?!.. ალბათ, რექტორს ერთმანეთში აერია ორი იოანე: პეტრე იბერიელის მოძღვარი იოანე ლაზი, რომელიც მართლაც V—VI საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა, და იოანე პეტრიწი. სხვა მხრივ რექტორის ცნობები დიდ ინტერესს იწვევენ მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მათი წყაროები ჩვენთვის უცნობია.

ანალოგიური ვითარება გვაქვს იოანე ბაგრატიონის მიმოხილვაშიც. აქ ლეგენდური იერი გადაჰკრავს თხრობას იოანეს ზედწოდების შერქმევის შესახებ. სხვა ცნობები XVIII საუკუნის ტრადიციული გადმოცემების გამეორებას წარმოადგენს და მათი გამოყენება ძველ წყარო-

<sup>12</sup> S 130. მინაწერი I ყდის v ვერსზე (შდრ.: S ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 137—139). ეს მოსაზრება ზ. ჭიჭინაძემ გაიმეორა 1887 წელსაც (ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 32). შდრ.: პ. იოსელიანის შენიშვნა: „იოანე პეტრიწი მსცხოვრებდა 1120 წელს და არა მეექვსესა საუკუნეს, ვითარცა აკონებენ რომელნიმე“ (ან ტ ო ნ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, წყობილის-ტყუობა, გვ. 253; შენიშვნა 136).

ებთან შეპირისპირებით დასაშვებია. ეს ითქმის განსაკუთრებით იმ ცნობებზე, რომლებიც მომდინარეობენ ანტონის ნაწერებიდან. საერთოდ კი, როგორც ქვევით დავინახავთ, ტრადიციული ცნობების ძირითადი ნაწილი უძვირფასესია პეტრიწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად. ძველ წყაროებთან მისი შეპირისპირება ეჭვმოუტანლად არკვევს დავით აღმაშენებლის ეპოქის ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს. ამიტომ ვინც დაინტერესდება პეტრიწის ნაწერების შესწავლით და შეეცდება დააზუსტოს ან გამოავლინოს მისი ცხოვრების უცნობი თუ ნაკლებად შესწავლილი მხარეები ან დაკარგულად მიჩნეული თხზულებანი, ის გვერდს ვერ აუვლის XVIII საუკუნის ტრადიციულ ცნობებს, განსაკუთრებით კი ანტონ ბაგრატიონის ბიოგრაფიულ მიმოხილვას — „იოანესთვის პეტრიწისა ფილოსოფოსისა“, რომელიც ყველაზე სანდო წყაროს წარმოადგენს პეტრიწის სალიტერატურო მემკვიდრეობის სისრულით გათვალისწინებისათვის.

## თ ა ვ ი მ ე ო რ ა

### ფილოსოფიური ძიებანი XI—XII საუკუნეების ქართული მნეაროვის ისვოკიიღან

ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური მწერლობა განსაკუთრებით განვითარდა XI—XII საუკუნეებში, დავით აღმაშენებლის ეპოქაში. მაშინდელ ქართველებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ბიზანტიურ თუ სპარსულ-არაბულ ფილოსოფიურ სკოლებსა და მიმდინარეობებზე. ნ. მარის შესანიშნავი დახასიათებით, „მათ იგივე საკითხები აინტერესებდათ ფილოსოფიის დარგში, რომლებიც აინტერესებდათ საქრისტიანო მსოფლიოს მოწინავე ადამიანებს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში იმ განსხვავებით სხვებისაგან (მაგალითად, ევროპელებისაგან), რომ ქართველები სხვებზე ადრე გამოეხმაურებოდნენ ხოლმე ფილოსოფიური აზროვნების უახლოეს მიმდინარეობებს; აღჭურვილი იყვნენ თავისი დროისათვის სანიმუშო ტექსტობრივი კრიტიკის უნარით და უშუალოდ ბერძნული დედნების საფუძველზე მუშაობდნენ“. მათ ბერძნულიდან ქართულად გადმოიღეს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ხუთი თხზულება, ორჯერ—იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“ („დიალექტიკა“ და „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებლური სარწმუნოებისა“); არისტოტელეს „ტოპიკა“, „პერიერმენეია“ და „კატეგორიები“; ამონიოს ერმისის „მოსაჯსენებელი ხუთთა ჳმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაჯსენებელი ათთა ჳმათადმი არისტოტელისთა“, პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“, იოანე სინელის „კლემაქსი“, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა“, ანასტასი სინელის „წინამძღუარი“, თეოდორე აბუკურას „განრჩევაჲ და განქვემარტებაჲ ფილოსოფოსთა მიერ მოჯსენებულთა ჳმათაჲ“ და ათი სიტყვა „საღმრთოჲსა და გარეშისა ფილოსოფოსობისა“, მიქაელ ფსელოსის „პირმშოჲსათჳს,“ ბერძენ ფილოსოფოსთა და საეკლესიო მოღვაწეთაგან გამოკრებილი

ფრაგმენტები — „განქიქებაჲ ელლინებრისა სულთა პირველ-ყოფისაჲ“, „სიტყუანი და სწავლანი სამეცნიერონი“ და მრავალი სხვა.

ჩამოთვლილი თხზულებების თარგმანსა თუ დაწერას ძველი მწიგნობარნი უკავშირებენ სამ ქართველ მოაზროვნეს — ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელს. მათ გვერდით იხსენიებენ აგრეთვე რამდენიმე ქართველ მთარგმნელსა და ფილოსოფოსს: იოანე კიმპიმელს, იოანე საღმრთო ფილოსოფოსს, იოანე ტარიკისძეს, არსენ ბერსა და თეოფილეს, რომელთაც დიდი ამაგი დაუდევიათ ქართული მწერლობისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. დღეს ამ მწერალთაგან იოანე კიმპიმელი მიჩნეულია თამარისდროინდელ მოღვაწედ, რომელსაც 1213 წელს თამარის დაკრძალვაზე თითქოს სიტყუაც კი წარმოუთქვამს; არსენ ბერი — დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად და მას მოძღვრად, იოანე საღმრთო ფილოსოფოსი — იოანე პატრიკ-ყოფალად, რომელიც ათონის მთაზე მოღვაწეობდა XI საუკუნის მეორე ნახევარში; ხოლო იოანე ტარიკისძე — არსენ იყალთოელის მოწაფედ და მისი ფილოსოფიური ტრადიციების გამგრძელმდებლად. მათი ლიტერატურული საქმიანობა სხვადასხვამხრივ უკავშირდება პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობას. ამიტომ იძულებული ვართ საფუძვლიანად შევამოწმოთ დასახელებულ მწერალთა ლიტერატურული წყაროები, მათი სახელით ცნობილი თხზულებანი და გავარკვიოთ. თუ ვინ ვინ არის. (გამოწველივითი ფილოლოგიური ძიების შედეგად ცხადი ხდება, რომ ჩვენ არასწორი წარმოდგენა გვქონია იოანე კიმპიმელის, იოანე საღმრთო ფილოსოფოსისა და არსენ ბერის ვინაობაზე, იოანე ტარიკისძის სამწერლო საქმიანობასა და თვით პეტრიწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზეც, ირკვევა ისიც, რომ პეტრიწის ზოგიერთ თხზულებას შეცდომით ვაჩუთნებთ სხვა მწერლებს, ხოლო მის ნაწერებს დაკარგულად ვთვლით. ყოველივე ამან გვიკარნახა, პეტრიწის სალიტერატურო მემკვიდრეობის მიმოხილვას წაუვმძღვაროთ ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის ნარკვევი, რომელშიც განხილული იქნება საკითხები დავით აღმაშენებლის ეპოქის მწერლობის ისტორიიდან: ვინ ვინ არის და ვინ რა დაწერა?)

## 1. იოანე ფილოსოფოსი კიმპიმელი

„ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში<sup>1</sup> თამარის პირველი ისტორიკოსი იხსენიებს იოანე ფილოსოფოს კიმპიმელს. მას დაუწერია სახოტბოსა ისტორიო შინაარსის თხზულება „შესხმა-მითხრობა“, რომელშიც

<sup>1</sup> ესარგებლობ ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემით (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 1—114).

მოთხრობილი ყოფილა დავით აღმაშენებლისა და მისი ძის დიმიტრის „ლიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხოვრება“ (გვ. 3); შეუთხზავს თექვსმეტმარცვლოვანი ლექსიც „თუ თალი მილისეველმან“ (გვ. 113—114). სხვა ცნობების მიხედვით, მასვე „ელადელთა ჯმისაგან (ბერძნული ენიდან, — ი. ლ.) სპანთ მოსახელედ კმად (ქართულ ენაზე, — ი. ლ.) გარდამოულია“ შუა საუკუნეების ცნობილი თეოლოგის თეოფილაქტე ბულგარელის (გარდაიცვ. 1107 წ.) „თარგმანება სახარებათა“, რომლისგან უამთა სიავეს გადაპრჩენია მხოლოდ მარკოზის, ლუკასა და იოანეს თავთა განმარტებანი (მათეს სახარების თარგმანება დაკარგულია)<sup>2</sup>. კ. კეკელიძის მოსაზრებით, ჭიმჭიმელს უთარგმნია მიტროფანე სმირნელის „თარგმანება ეკლესიასტისა“ და ოლიმპიოდორეს ამავე ხასიათის ნაშრომიც<sup>3</sup>.

დასახელებული თხზულებებით ჭიმჭიმელს დიდი წვლილი დაუდგია ქართული ფილოსოფიური, საისტორიო და ბიბლიურ-ეგზეგეტიკური მწერლობის განვითარებაში. მას ძველად კარგი სახელიც ჰქონია მოხვეჭილი; გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან ერთად დაუხატავთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე: ქართველ წმიდათა და მოწამეთა შორის ჰხატია გვირგვინითა და შარავანდელით მოსილი „ღირსი მამა იოანე ჭიმჭიმელი, ქართველი და ფილოსოფოსი“, — ამბობს ტიმოთე გაბაშვილი<sup>4</sup>.

მკვლევრები ამ ფილოსოფოსის ვინაობაზე სხვადასხვა მოსაზრებას გამოსთქვამენ. ნ. მარი<sup>5</sup>, მ. ჯანაშვილი<sup>6</sup>, ს. გორგაძე<sup>7</sup> და კ. კეკელიძე<sup>8</sup> ფიქრობდნენ, რომ ჭიმჭიმელი არის იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი; 1916 წელს ი. ჯავახიშვილმა შენიშნა: ჭიმჭიმელი თამარისდროინდელი მოღვაწეა, რაც ირკვევა იქიდან, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტს „ღართული აქეს არსენის, იოანე ჭიმჭიმელისა და დავითის მიერ თამარ მეფის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვების ნიმუშე-

<sup>2</sup> A 52, 102, 113.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისაჲ, 1920, გვ. LV—LXV; კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 1960, გვ. 317.

<sup>4</sup> ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ელ. მეტრეველის რედაქციით, 1956, გვ. 85—86.

<sup>5</sup> Н. Марр, Иоанн Петрицкий..., 1909, გვ. 3.

<sup>6</sup> მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, 1909, გვ. V—XVI;

<sup>7</sup> ნეშტისიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ს. გორგაძის რედაქციით, 1914, გვ. VII—XV.

<sup>8</sup> კ. კეკელიძე, იოანე პეტრიწის სალიტერატურო მოღვაწეობიდან, პრობლემა, 1918, № 1, გვ. 62—70.

ბი<sup>9</sup>. 1920 წელს ეს მოსაზრება განავითარა კ. კეკელიძემ: რაკი ჰიმ-  
ჰიმელს თამარის დაკრძალვაზე (1213 წ.) სიტყვა წარმოუთქვამს, ცხა-  
დია, ის გიორგი III-ისა (1156—1184) და თამარ მეფის (1184—1213)  
თანამედროვეა. ამიტომ არ შეიძლება ის ეცნოთ იოანე პეტრიწად. ჰიმ-  
ჰიმელი და პეტრიწი სხვადასხვა პირი და სხვადასხვა ეპოქის მოღვაწე-  
ები არიან<sup>10</sup>.

ჰიმჰიმელსა და პეტრიწს სხვადასხვა პირად აღიარებენ აგრეთვე  
თ. ჟორდანიას და პ. ინგოროყვა, ოღონდ შენიშნავენ, რომ ჰიმჰიმე-  
ლი დიმიტრი მეფის თანამედროვეაო<sup>11</sup>.

1950 წელს ეს საკითხი ჩვენ შევისწავლეთ და გამოვარკვიეთ, რომ  
„ისტორიათა და აზმათა“ ბოლოს დართული ტექსტი („არსენი იტყვს  
იყავ ნელი.... იოანე იტყვს ჰირჰიმელი“), რომელიც ი. ჯავახიშვილსა  
და კ. კეკელიძეს მიაჩნდათ თამარ მეფის დაკრძალვაზე წარმოქმნილი  
სიტყვების ნაწყვეტებად, შეიცავს იყალთოელის იამბიკოს „მეფე მთა-  
ვარი“ და ჰიმჰიმელის ლექსს „თუ თალი მილისეველმან“<sup>12</sup>. ამან ეკ-  
ვის ქვეშ დააყენა კ. კეკელიძის მტკიცება — ჰიმჰიმელი თამარისდრო-  
ინდელი მოღვაწეაო, მაგრამ მკვლევარმა მაინც ძალაში დატოვა იგი,  
ჩვენი მისამართით კი აღნიშნა: „პიპოთეზური მოსაზრებით ძეგლის პირ-  
დაპირი ჩვენების უარყოფა მართებული არააო“<sup>13</sup>, მაგრამ „აზმათა“  
ტექსტში არსად არაა მითითებაც კი, რომ ჰიმჰიმელმა თამარ მეფის  
დაკრძალვაზე სიტყვა წარმოსთქვა. ეს ი. ჯავახიშვილისა და კ. კეკელი-  
ძის ვარაუდია და, რა თქმა უნდა, „ძეგლის პირდაპირ ჩვენებაზე“ ლა-  
პარაკი უმართებულა. კატეგორიულად უნდა ითქვას: „ისტორიანი  
და აზმანი“, როგორც წყარო, არ გამოდგება ჰიმჰიმელის ცხოვრება-  
მოღვაწეობის ქრონოლოგიის დასადგენად. საამისოდ საჭიროა სხვა  
წყაროებისა და წინამძღვრების მოშველიება. აი ესენიც:

1. XVIII—XIX საუკუნეების მწერლები ანტონ ბაგრატიონი, გერ-  
მანე მონაზონი, დავით რექტორი და იოანე ბაგრატიონი ერთხმად იუწყ-  
ებიან, რომ იოანე ფილოსოფოსი ჰიმჰიმელი და იოანე ფილოსოფოსი  
პეტრიწი ერთი და იგივე პირია. წერენ: „თვს მამისა იოანე ფილოსოფო-

<sup>9</sup> ი. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, 1945, გვ. 234.

<sup>10</sup> თარგმანება ეკლესიასტისა, გვ. LXI; კ. კეკელიძე, ქლი, I, 1923, გვ.  
323—324; 1941, გვ. 292—293.

<sup>11</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 302; პ. ინგოროყვა, თხზულება-  
ნი, I, გვ. 820.

<sup>12</sup> გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, № 35.

<sup>13</sup> კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. მწერ. ისტორია, I, 1951, გვ. 296—297; მისივე,  
ქართ. ლიტ. ისტ., I, 1960, გვ. 317.

სისა პეტრიწისა-ჭირქიმელსა“ (ანტონი), „იოანე“ კიმქიმელი, ფილოსოფოსი და ზედწოდებით პეტრიწი“ (იოანე ბაგრატიონი). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ტრადიციას საფუძვლად დაედო რაღაც ძველი ლიტერატურული წყარო. რომელიც XVIII საუკუნეში არსებობდა, დღეს კი დაკარგულია.

2. „კიმქიმელი“, საბა ორბელიანის განმარტებით, „ესე არს არიას ცა მესხეთე“. იგი ეწოდება პატიოსან თვალსაც: „ვითხოვ შენგან თვალსა პატიოსანსა, მეორედ — კ ი მ ქ ი მ ე ლ ს ა, მესამედ — კიმქიმელსა“ (A 153, გვ. 293; შდრ.: საბა — „მომეც თვალი კიმქიმელი და კიმქიმელი“). ნ. მარის მოსაზრებით, „კიმქიმელი ნიშნავს ზ ე ც ი ე რ ს“ (გვ. 4). ამასვე აღნიშნავს ს. გორგაძეც (გვ. VIII). გამოდის, რომ იოანეს ჰრქმევია „ზეციერი“ (შდრ.: ზღაპრის პერსონაჟი—ივანე ცისკარი). თვით სიტყვა ნაწარმოებია გაორკეცებული ფუძიდან — „კიმ-კიმ“ (შდრ.: კიმ-კიმ, ციმ-ციმ) და შეიძლება მნიშვნელობით დაკავშირებული იყოს ზმნასთან „კიმეა“. საბა წერს: „კ ი მ ქ ი მ ი — წურილად ჰრელი“. ეს მნიშვნელობა ძველ ქართულ ტექსტებში ვერ ვნახეთ. სიტყვის ეტიმოლოგიაც ჩვენთვის აუხსნელია. სამაგიეროდ გარკვეულია, რომ „კიმქიმელი“ სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა, რომელიც დაკავშირებულია გეოგრაფიულ სახელთან „კიმქიმი“ (იგივე „ჭირქიმი“).

გერმანე მონაზონის ცნობით, იოანე ფილოსოფოსი იყო „სანახებთაგან სამცხისა, დაბით კ ი რ ქ ი მ ი თ“. ძველი ტრადიცია რომ კიმქიმელს სამცხიდან წარმოშობილად მიიჩნევს, შემთხვევითი არ არის. კიმქიმელები ცხოვრობდნენ სამცხეში. 1949 წელს ე. თაყაიშვილმა პირად საუბარში მითხრა და ერთ-ერთ საჯარო ლექციაშიც გაიმეორა, რომ: „დაბა-სოფელი კიმქიმი მდებარეობს ტაოში, იშხნის სამუხთაროში (სამამასახლისოში). იქ ორას კომლამდე მაცხოვრებელია. ყველა ქართულად ლაპარაკობს, თავიანთ თავს ისინი კიმქიმელებს უწოდებენ. უწინ კიმქიმი საერისთავო სოფელი იყო“. ამ მნიშვნელოვან ცნობას ამტკიცებს ზედა თმოგვის ეკლესიის ერთი წარწერა, რომელიც დაახლოებით XI საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. აქ ვკითხულობთ: „ქრისტე, შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთ-ერისთავისა — იოვანეს ძისა კიმქიმელისა“<sup>14</sup>. თ. ყორღანისა და რ. გვერდწითელის მოსაზრებით, აქ მოხსენებული ფარსმან იოანეს ძე კიმქიმელი უნდა იყოს XI საუკუნის ცნობილი ფეოდალი ფარსმან თმოგველი, რომელიც ბაგრატ

<sup>14</sup> თ. ყორღანისა, ქრონიკები, I, გვ. 206—207; რ. გვერდწითელი, ზედა-თმოგვის ეკლესიის წარწერება (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV — B, 1947, გვ. 241—242).



მეოთხეს (1027—1072) განუდგა ლიპარიტ ორბელიანის წინააღმდეგ ბრძოლებში 1044—1045 წლებში<sup>15</sup>. ეს თმოგველი მოხსენიებულია ათონის ივერიის მონასტრის აღაპებშიც: „თუესა ივლისსა, 8. წმიდისა პროკოპისი აღაპად განგვიწესებია ფარსმან თმოგუელისადა. ყოვლითა მოსწრაფებითა აღესრულებოდენ, რამეთუ მრავალნი წყალობანი ქმნნა ჩუენ ზედა წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა“<sup>16</sup>. აქედან ირკვევა, რომ ბაგრატის წინააღმდეგ მებრძოლი ფარსმანი შემდეგში მეფეს შეპირებია. იგი უნდა გარდაცვლილიყო 1073 წლის ახლო ხანში<sup>17</sup>, რადგანაც ამ დროს თმოგვის მფლობელობა გადაეცა ნიანია ქვაბულის ძეს<sup>18</sup>.

ამრიგად, ტრადიციული და ისტორიული ცნობების შეპირისპირებით ირკვევა შემდეგი: „ჰიმჰიმელი“ ნიშნავს სოფ. ჰიმჰიმის მკვიდრს; ზედა-თმოგვის მფლობელნი — იოანე და მისი ძე ფარსმანი (ან მათი წინაპრები) თმოგვეში მოსულან ჰიმჰიმიდან. უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ შეიძლება იოანე ფილოსოფოს ჰიმჰიმელს თმოგველ ჰიმჰიმელებთან რაიმე ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა. ვინ იცის, იქნებ იოანე თმოგველი იყო პაპა ჩვენი ფილოსოფოსისა?

3. იოანე ჰიმჰიმელი რომ XI—XII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა, ეს ირკვევა დოკუმენტურადაც: ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში აღმოჩნდა თეოფილაქტე ბულგარელის თხზულების („იოანეს სახარების განმარტების“) ფრაგმენტი (№ 1090 დ), რომელიც თარიღდება XI საუკუნის მიწურულით (თუ XII საუკუნის დასაწყისით).

თეოფილაქტე 1071—1078 წლებში მოღვაწეობდა ბიზანტიის სამეფო კარზე და ზრდიდა მეგვიდრეს. აქ მან დიდად გაითქვა სახელი ორატორული მოძღვრებითა და ეგზეგეტიკური შრომებით. 1078 წელს ის გაამწესეს ახრიდის მთავარეპისკოპოსად ბულგარეთში, სადაც სიკვდილამდე (1107 წლამდე) ერთგულად იღწვოდა მისდამი რწმუნებულნი სამწყოს საკეთილდღეოდ. ეგზეგეტიკური შრომა „სახარებათა თარგმანება“ თეოფილაქტეს დაუწერია ბიზანტიის დედოფლის მარიამის დავალებით სწორედ იმ დროს. როდესაც იგი სამეფო კარზე მოღვაწეობდა<sup>19</sup>. ამის შესახებ შემონახულია ცნობა „იოანეს სახარების განმარტე-

<sup>15</sup> ქართლის ცხოვრება. I, 1955, გვ. 298; ი. ჯ ა ე ა ხ ი შ ე ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 426.

<sup>16</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით. 1901, გვ. 238—239.

<sup>17</sup> ვ. უ ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი. ციხე-ქალაქი თმოგვი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შობაშუ. XIX—B, 1956, გვ. 100.

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316.

<sup>19</sup> K. K r u m b a c h e r, Geschichte der byzantinischen Literatur, I, გვ. 133.

ზღრ.: Г. Г. Л и т а в р и н, Болгария и Византия в XI—XII вв., М., 1960, გვ. 351—375.

ბის“ ქართულ თარგმანშიც: „თეოფილაქტე წმიდისა მთავარ-ეპისკოპოსისა ვულგარისა განმარტება იოანნის თავისა წმიდისა ქრისტეს სახარებისა, ნამუშავევი მისი ბრძანებისამებრ მარადის საქსენებელისა დედოფლისა უფალა მარიამისა“<sup>20</sup>.

„სახარებათა განმარტება“ ქართულად, ალბათ, ითარგმნა XI საუკუნის მიწურულს, 1078 წლის შემდეგ XII საუკუნის დასაწყისამდე, რადგანაც თარგმანში თეოფილაქტე ბულგარეთის მთავარ ეპისკოპოსად იხსენიება, ხოლო თხზულების ზემოხსენებული ფრაგმენტი თარიღდება არა უგვიანეს XII საუკუნის დასაწყისით. მაშასადამე, თეოფილაქტეს შრომის მთარგმნელი ყოფილა XI—XII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე მწერალი. კითხვა ისმის: ვინ არის ეს მწერალი? — კ. კეკელიძე 1918 წელს ფიქრობდა, რომ იგი არის იოანე პეტრიწი-ქიმქიმელი<sup>21</sup>, მაგრამ ორი წლის შემდეგ ეს მოსაზრება უარყო: ქიმქიმელისთვის „შიძილება მიგვეკუთნებია თეოფილაქტე ბულგარელის «თარგმანებაჲ იოანეს სახარებისაჲ»-ც, რომელიც ერთადერთი ხელნაწერით შენახულა, რომ ერთი გარემოება არ იყოს: გადმომთარგმნელი ამ უკანასკნელი თხზულებისა ზმნათა მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირში ხშირად ხმარობს ნაწილაკს ყე, რაც ქიმქიმელის უცილობელს შრომებში არ გვხვდება“<sup>22</sup>. ქრ. შარაშიძემ ფრაგმენტის აღწერისას დასძინა: „იოანეს სახარების თარგმანება არ უნდა იყოს გადმოდებული იოანე ქიმქიმელის მიერ“, რადგანაც მისი ფრაგმენტი XI საუკუნით თარიღდება<sup>23</sup>. ეს მოსაზრება სწორი იქნებოდა, თუ ქიმქიმელს თამარისდროინდელ მოღვაწედ ჩაეთვლიდით, მაგრამ რაკი ფრაგმენტი XI საუკუნისაა, ხოლო „სახარებათა განმარტების“ მთარგმნელია ქიმქიმელი, ცხადია, ეს უკანასკნელი ყოფილა XI—XII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე მწერალი და „იოანეს სახარების განმარტება“ მასვე უთარგმნია.

4. თეოფილაქტე ბულგარელის „სახარებათა თარგმანება“ ტექნიკურად აგებულია ამგვარად: მოყვანილია ოთხთავის რომელიმე მუხლი ან ეპიზოდი და თითოეულ მათგანს მისდევს განმარტება. ქიმქიმელს განსამარტავ ტექსტად უნდა აეღო სახარების კანონიკური ქართული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელს, და ბერძნულიდან ქართულად ეთარგმნა მხოლოდ თეოფილაქტეს კომენტარები, მაგრამ

<sup>20</sup> A 52, ფ. 1.

<sup>21</sup> პრომეთე, 1918, № 1, გვ. 62—70.

<sup>22</sup> კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ, 1920, გვ. XXIV; მისივე, ქართ. ლტ. ისტ., I, 1960, გვ. 317.

<sup>23</sup> A ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, IV, გვ. 55—56.

მას უარუყვია ასეთი გზა. იოანეს გიორგის თარგმანი შეუღარებია ბერძნული დედნისათვის და მასთან დაახლოების მიზნით ტექსტი არსებითად შეუწორობია. თუ ჩვენ „სახარებათა თარგმანებიდან“ თანმიმდევრობით ამოვკრებთ ოთხთავის მუხლებს და მათ შევეაერთებთ, აღვადგენთ მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებათა ახალ (ორიგინალურ) რედაქციას, რომელიც წინა თარგმანებისაგან არსებითად განსხვავდება. ეს ფაქტი ფრიად საყურადღებოა კიმპციმელის მთარგმნელობითი მეთოდის შესასწავლად და საერთოდ ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანების ისტორიისათვის. კიმპციმელს ოთხთავის შესწორების (თუ თარგმნის) უფლება არა ჰქონდა, რადგანაც გიორგის თარგმანი კანონიკურად იყო აღიარებული. გიორგი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის დიდი ავტორიტეტი იყო და მისი თარგმანის დაწუნება შეიძლება ეკლესიის მესვეურთ მწვალებლობად მიეჩნიათ. მოწუნარი კი სამწერლო ასპარეზიდან გაედევნათ. მაგრამ კიმპციმელი ამ მოსალოდნელ უსიამოვნებას არ მოჰპირდება და მკითხველისათვის ოთხთავის ახალი რეცენზია შეუთავაზებია.

XI—XII საუკუნეებში ერთადერთი მწერალი, რომელიც საღმრთო წერილთა მთარგმნელებს (საგანგებოდ კი გიორგი მთაწმიდელს) შეერკინა, იყო იოანე პეტრიწი. მან მართლაც დაიწუნა ოთხთავის მთაწმიდლისეული თარგმანი და მთარგმნელი მკაცრი პოლემიკური ტონით გააკრიტიკა სახელის მოუხსენებლად.

პეტრიწი წერს: უკანასკნელ ხანს ჩვენში გამრავლდნენ „გარდმომლებელინი“ (მთარგმნელები), რომელთაგან ზოგნი „უმეცარ იყვნეს“ და ზოგთაც „გარემოხვევითა დიდებითისა თნებისაჲთა წარეცონა სამხილი უსწავლელობისაჲ“. მაგრამ ქართველთა შორის არავინ გამოჩნდა მათი „მემხილე“ (მამხილებელი), რომელიც აგრძნობინებდა მათ სიტყვის მოქმედებასა და ძალას. ეს ყველაზე კარგად „სახარებათა შინა განიცხადების და სამოციქულოთა“. იოანეს თავის დასაწყისი უნდა ითარგმნოს ასე: „დასაბამსა შორის იყო სიტყვა“, ძველ მთარგმნელებს კი სწორად მიუჩნევიათ: „პირველით გან იყო სიტყვა“. მათ არ იციან, რომ „პირველი შემდგომთა არს პირველი“, არა თუ „უცხო ბუნებათა, არამედ ერთ და იგივე ბუნებათა“, როგორც მაგალითად: „ითქმის «კაცი კაცისა პირველად და ცხენი ცხენისა», არამს თუ წინა-უკუმო, თუმცა «კაცი ცხენსა და ცხენი კაცი»“<sup>24</sup>.

<sup>24</sup> იოანე პეტრიწის შრომები, შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, II, 1937, გვ. 219 (ამ ციტატისა და საერთოდ მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ვრცლად ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

აქ პეტრიწი ეკამათება გიორგი მთაწმიდელს. ეს უკანასკნელი მას მოქცეული ჰყავს მთარგმნელთა იმ კატეგორიაში, რომელთაც განდიდების კმაყოფილებით დაეზარათ თავიანთი უსწავლელობის მხილების (ე. ი. დაეკარგათ სწავლის შეძენის) სურვილი. ეს იქიდან ჩანს, რომ გიორგის მიერ თარგმნილი „იოანეს სახარება“ იწყება სწორედ იმ ფრაზით („პირველით განიყო სიტყვა“), რომელსაც აკრიტიკებს პეტრიწი. ვადაშლით ჭიმჭიმელის „იოანეს სახარების განმარტებას“ (A 52) და პირველ ფურცელზევე ამოიკითხავთ წითურად დაწერილ განსამარტავ ტექსტს: „შორის დასაბამსა იყო სიტყვა“.

პეტრიწს რომ მართლაც უარუყვია გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, ეს ირკვევა სხვა ფაქტებიდანაც. როგორც უკანასკნელ ხანს გაირკვა, პეტრიწის მიერ პროზად თარგმნილ „კლემაქსში“, რომელიც შემოუნახავს A 39 ხელნაწერს<sup>25</sup>, მარკოზისა და ლუკას სახარებათა ციტატები მოცემულია გიორგი მთაწმიდლის თარგმანისაგან განსხვავებული რედაქციით და ეს ციტატები სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ჭიმჭიმელის რეცენზიას. აი რამდენიმე ნიმუში:

გიორგი მთაწმიდელი: „ა ც ა დ ე ნ მკუდარნი დაფლვად თკსთა მკუდართა“ (ლუკა 9, 60), „არავის მონასა ქელ-ეწიფები ის. ორთა უფალთა მონებად“ (ლუკა 16, 13), „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“ (მარკ. 4, 9; ლუკა 14, 35), „ყოველმან რომელმან აღიმადლოს თავითკსი, იგი დამდაბლდეს“ (ლუკა 14, 11; 18, 14).

იოანე პეტრიწი (A 39): „უტევენ მკუდარნი“... (ფ. 16), „ვერვის ძალ-უც“... (ფ. 21), „მქონებელსა ყურთასა სმენით ესმოდენ“ (ფ. 145), „ამაღლებული თავისათკსისა დამდაბლდეს“ (ფ. 120).

იოანე ჭიმჭიმელი (A 102, 113): „უტევენ მკუდარნი“..., „არავის ძალ-უც“..., „მქონებელსა ყურთასა სმენად ესმოდენ“, „ყოველი ამაღლებული თავისა დამდაბლდეს“.

როგორც იტყვიან, ასეთ ტექსტობრივ შეხვედრებს კომენტარები არ სჭირდება. ისედაც ნათელია, რომ პეტრიწს წინ სდებია ოთხთავის საკუთარი თარგმანი და ციტატები თავის შრომებში მის მიხედვით დაუმოწმებია. ეს თარგმანი ჩვენამდე მოღწეულია იოანე ჭიმჭიმელის სახელით.

<sup>25</sup> ამ ხელნაწერის შესახებ ვრცლად იხ. აქვე, გვ. 64—68.

ამრიგად, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ: იოანე ფილოსოფოსი ჰიმ-  
ჰიმელი და იოანე პეტრიწი ერთი და იგივე პირია. „ჰიმჰიმელი“ იოანე  
ფილოსოფოსის გვარია, „პეტრიწი“ — ზედწოდება.

ამიერიდან ჰიმჰიმელის სახელით ცნობილ შრომებს განვიხილავთ  
პეტრიწის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად.

## 2. იოანე ტარიჭისძე

დავით აღმაშენებლის ეპოქის მწერალთა შორის მკვლევარნი იხსე-  
ნიებენ აგრეთვე ფილოსოფოს იოანე ტარიჭის (თუ ტაიჭის) ძეს, ქარ-  
თული ნეოპლატონური ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთ წარმო-  
მადგენელს. კლასიკური ხანის მწერლობაში ცნობა მის ვინაობასა და  
სამწერლო მოღვაწეობაზე არ მოიპოვება. სახელი „იოანე ტაიჭის ძე“  
პირველად გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის მინაწერში, რომელიც  
დაცულია „ქართლის ცხოვრების“ რუმიანცევისეული ხელნაწერის  
კიდეზე. აქ ნათქვამია:

„ამის ეამთა შევიდენ მთარგმანებელნი წიგნთანი ეფრემ მცირე,  
და თეოფილე, და არსენ იყალთოელი და იოვანე ტაიჭის ძე. ქრისტეს  
აქათ ქრონიკონს ჩროდ (1174 წ.)“<sup>26</sup>.

ეს ცნობა „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთმა გადამწერმა „დავით  
აღმაშენებლის ცხოვრების“ ტექსტში შეიტანა და, ამრიგად, მისი სი-  
ახლის კვალი მოსაო<sup>27</sup>.

ანტონ ბაგრატიონმა დასახელებული მწერლები მოათავსა ძველ-  
ქართულ მთარგმნელთა სიაში<sup>28</sup>. მანვე ტარიჭისძეს მიუძღვნა ორ-  
სტროფიანი იამბიკო:

იოანეჲმან, სობრძნეთა შ-ნა დღმან.  
ხელუა განწმედლ აბუნა მალალ-საქმე  
გეთარგმნა წიგნნი. შეგეჲყო ექლესია.  
ცხოვრება თვს- მოგუეა ნატად ცხოვრებ-ს,  
სწაელათა თვსთა ეწ-წდა სასმელები.

<sup>26</sup> H 2080, ფ. 229r. შინაწერი რომ სულხან-საბას ეკუთვნის, დაადგინა ა. ბარამი-  
ძემ (ნარკვევები, III, გვ. 336). მისი ტექსტი ჩართულია 1115—1116 წლებში მომხდარ  
ამბებს შორის. ამიტომ გაუგებარია, საიდან გაჩნდა მასში წარიღი 1174 წელი. ამ დროს  
დასახელებულ პირთაგან არც ერთი აღარ იყო ცოცხალი. თ. ყორღანია (ქრკ., I, გვ.  
225, 241) და კ. კვეციანი (ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 243) ამ თარიღს ასწორებენ  
ასე: „1114 წ.“, მაგრამ ეს გასწორება საცილობელია: 1114 წლისთვის ეფრემ მცირე  
უკვე გარდაცვლილი იყო, არსენ იყალთოელი კი 1103 წლიდან საქართველოში იმყო-  
ვებოდა.

<sup>27</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 334 (იხ. ტექსტი და სქოლიო).

<sup>28</sup> თ. ყორღანია, ქრონიკები, I, გვ. 237.

ტაიკის ძემან იოანე-ნეტარმან  
სიბრძნის მოყუარედ იღმრთისმეტყუელსახელა,  
რიტორ იუბნა, შუენიერ იმპვერმეთქვა,  
აპიტიყნა ლექსნი შუენიერ-თხზულნი,  
სწავლა განჰფინა, ქართველნი აღაყვანა<sup>29</sup>.

ამ იამბიკოს შინაარსი გაიმეორა იოანე ბაგრატიონმა, თან ტარი-  
ქისძის ბიოგრაფიას თავის მხრივ მიუმატა რამდენიმე ახალი დეტალი:  
„იოანე ტარიქისძე იყო ქართველთა აზნაურთაგანი. ამან სიყრმესავე  
შინა ისწავა ფილოსოფია და ღმრთისმეტყველება და ენა ბერძენთა, რო-  
მელმანც მრავალნი საღმრთო წერილნი გარდამოიღო ქართულსა ენა-  
სა ზედა“<sup>30</sup>.

ეს ცნობები შეავსო და გააფართოვა პ. იოსელიანმა. ამანვე განსაზღ-  
ვრა იოანეს ცხოვრების დრო და აღწესა მის მიერ თარგმნილი თხზუ-  
ლებანიც: „იოანე ტარიქის-ძე ანუ ტარიქის-ძე სცხოვრებდა დავით აღ-  
მაშენებლისა დროსა (1089—1130). ათონიდან მოვიდა საქართველოს  
და აქვნდა აქა სასწავლებელი ყრმათათვის. ამან თარგმნა ბერძნული-  
დამ: 1. დიალექტიკა, 2. პორფირის შეყვანილება, 3. კატილორია  
დამსკელისა; 4. თორმეტთა ქვათათვის ეპიფანე კვიპრელისა, 5. საგა-  
ლობელნი წმიდათანი“<sup>31</sup>.

XIX—XX საუკუნეების მკვლევართაგან ტარიქისძის ვინაობას და  
მის სამწერლო მოღვაწეობას შეეხნენ ზ. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი,  
მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე და გ. თავზიშვილი<sup>32</sup>. პირველმა სამმა მკვლე-  
ვარმა (ზ. ჭიჭინაძემ, ა. ხახანაშვილმა და მ. ჯანაშვილმა) გაიმეორა  
პ. იოსელიანის ცნობები. გ. თავზიშვილმა ტარიქისძე სცნო იყალთოელის  
მოწაფედ, გრემის აკადემიის დამაარსებლად და მის რექტორად, ხო-  
ლო კ. კეკელიძემ მასალების კრიტიკულად შესწავლის საფუძველზე  
აღნიშნა: „არ ვიცი, საიდანაა ამოღებული ტარიქისძის ბიოგრაფიუ-  
ლი ცნობები; არც ის ვიცი, თუ საიდან წარმომდინარეობს პ. იოსე-  
ლიანის ცნობა,.... ვითომც იოანე ტარიქისძე საქართველოში ათონი-

<sup>29</sup> ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, 1853, გვ. 264.

<sup>30</sup> იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, II, 1948, გვ. 177.

<sup>31</sup> წყობილსიტყვაობა, გვ. 264.

<sup>32</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეორემეტე საუკუნეში, 1887, გვ. 27; A. X a x a n o v, Очерки по истории грузинской словесности, II, 1897, გვ. 376; მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, 1909, გვ. XX. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 307—308; მისივე, Geschichte der kirchlichen georgischen Literatur, I, რომი, 1955, გვ. 226, გ. თავზიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, 1938, გვ. 37.

დან მოვიდა, აქ დააარსა სასწაულებელი ყრმათათვის და მიმართულე-  
ბით იყო ნეოპლატონიკი“ (გვ. 307—308). კ. კეკელიძემ განიხილა ტა-  
რიქისძის სამწერლო მემკვიდრეობაც, გამოაქვინა პ. იოსელიანის შეც-  
დომები; აღნიშნა: ზემოთ დასახელებულ თხზულებათაგან არც ერთი  
არ ეკუთვნის ტარიქისძესო. მან გადმოიღო ბერძნულიდან მხოლოდ ამო-  
ნოს ერმისის ორი თხზულება: „მოსაქსენებელი ხუთთა კმათადმი  
პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაქსენებელი ათთა კატილორია-  
თადმი არისტოტელისთა“ (გვ. 308). უკანასკნელ ხანს ტარიქისძის ფი-  
ლოსოფიური საქმიანობა გაკვრით განიხილა შ. ნუცუბიძემ. მან იოანე  
დასახა დოგმატიკურ-რეაქციონული ბანაკის წარმომადგენლად, რო-  
მელიც თითქოს არსენთან ერთად იბრძოდა პეტრიწის ფილოსოფიური  
სკოლის წინააღმდეგ<sup>33</sup>.

ამ პატარა ისტორიული ექსკურსიდან ირკვევა, რომ ტარიქისძის  
ვინაობასა და სამწერლო მოღვაწეობაზე დღეს თითქმის არაფერა ვი-  
ციოთ. მასზე არაფერი სკოლინათ XVIII საუკუნის მწერლებსაც. ან-  
ტონ ბაგრატიონს მოეპოვება ზოგადი სახოტბო გამოხატუებები. კონ-  
კრეტულად ის არაფერს ამბობს მის ცხოვრებასა და ნაწერებზე. ამ  
ხარვეზს თითქოს აცხებს პ. იოსელიანი. მაგრამ მისი ბიოგრაფიული  
ცნობები ძლიერ საეჭვოა. მის მიერ დასახელებული ხუთი ნაწარმოები-  
დან არც ერთი არ ეკუთვნის ტარიქისძეს. /

1. „საგალობელნი წმიდათანი“ ტარიქისძეს არ დაუწერია. რო-  
გორც შენიშნავს კ. კეკელიძე, პ. იოსელიანს მისთვის შეცდომით მიუ-  
კუთვნებია პეტრიწისა და მისი ძმის მიერ შედგენილი „გალობანი ყო-  
ველთა წმიდათანი“ (A 290, ფ. 243—244; H 1452, ფ. 342—349).

2. ეპიფანე კვიპრელის „თორმეტთა ქვათათვის“ შემონახულია  
ერთადერთი რედაქციით; თარგმნილია სომხურიდან IX საუკუნეში  
სათაურით: „ათორმეტთა თჳალთათჳს“. მისი უძველესი ნუსხა მოთა-  
ვებულია შატბერდის კრებულში (გვ. 212—214). ტარიქისძეს ამ თხზუ-  
ლებასთან საერთო არა აქვს რა.

„ღიალექტიკის“ ავტორია იოანე დამასკელი. თხზულება ქარ-  
თულად ორჯერ ითარგმნა ეფრემ მცირისა და იყალთოელის მიერ.  
თ. ჟორდანიას დასახელებს მესამე თარგმანსაც: „ღიალექტიკა იოანე ტარი-  
ქის ძისა, (თარგმნილი) ეამსა დავით აღმაშენებლისასა“. ამისი ტექსტი  
შემოუნახავსო 1760 წლის თარიღით გადაწერილ ნუსხას (S 131)<sup>34</sup>.  
მის 34-ე გვერდზე თ. ჟორდანიას ხელით მიწერილია: „ღიალექტიკა ესე

<sup>33</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958, გვ. 159.  
შდრ. მისივე, История грузинской философии, 1960, გვ. 387.

<sup>34</sup> ქრონიკები, I, გვ. 237.

ნათარგმნია იოანე ტარიჭისძის მიერ ყაზსა დაეით აღმაშენებლისასა, 1089—1130 წ. <sup>35</sup>. დაშვებულია ფაქტიური შეცდომა: ეს „დიალექტიკა“ ეკუთვნის სომეხ ავტორს — სვიმონ ჯულფელს და სომხურიდან ქართულად უთარგმნიათ XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონსა და ფილაბე ყაითმაზაშვილს <sup>36</sup>.

4. პორფირის „შეყვანილება“ თარგმნილია სომხურიდან XVIII საუკუნეში ზურაბ შანშოვანის მიერ (იქვე, გვ. 145). იოანე დამასკელის სახელით მოღწეულ „კატელორიებს“ ჩვენი ძველი მწერლობა არ იცნობს. კ. კეკელიძის მოსაზრებით, პ. იოსელიანს ტარიჭისძის ფილოსოფიურ თხზულებათა სახელები სისწორით ვერ აღუნიშნავს: იონემ „გადმოთარგმნა არა პორფირის შეყვანილება. არამედ ამმონიოს ერმისის (V—VI სს. ნეოპლატონიკი) «მოსაჯსენებელი სუთთა ჳმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა»; აგრეთვე არა დამასკელის კატელორია, არამედ იმავე ამმონიოსის «მოსაჯსენებელი ათთა კატელორიათადმი არისტოტელისთა» (გვ. 308). ს. გორგაძემ არ გაიზიარა კ. კეკელიძის ეს მოსაზრება. იგი ვარაუდობდა, რომ პირველი „მოსაჯსენებელი“ „გადმოღებულია ბერძნულიდან. ქართველი მთარგმნელის ვინაობა ჯერჯერობით გამორკვეული არაა, მაგრამ შესაძლოა იგი იოანე პეტრიწი აღმოჩნდეს“. ამასვე ამბობდა მეორე „მოსაჯსენებელზეც“ (იქვე, 143). კ. კეკელიძემ ს. გორგაძის ვარაუდი უარყო: „ამის ნებას არ გვაძლევს ხელნაწერთა ტრადიციები“ (გვ. 308, სქოლიო 7).

დღეს დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამონიოს ერმისის ორივე „მოსაჯსენებლის“ მთარგმნელია პეტრიწი. ხელნაწერთა ტრადიციები არაფერ შუაშია. ამონიოსის თხზულებები ძირითადად XVII—XVIII საუკუნეების ხელნაწერებითაა ცნობილი. შემონახულია მათი ძველი ნუსხაც — S 2562, რომელიც გადაწერილი უნდა იყოს XIII საუკუნეში (არა უგვიანეს XIV საუკუნის პირველი ნახევრისა). ეს ნუსხა საფუძვლად დასდებია (შუალობით თუ უშუალოდ) ყველა გვიანდელ ნუსხას. პირველ „მოსაჯსენებელს“ აკლია რამდენიმე ფურცელი, მეორეს თითქმის ორი მესამედი ნაწილი. დაკარგულია მთარგმნელის ანდერძ-ნამავიცი. ამიტომ ხელნაწერებში მისი ვინაობა არსად არაა მოხსენიებული. სამაგიეროდ, მოგვეპოვება ანტონ ბაგრატიონის ცნობა, რომ პეტრიწმა ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო „წიგნი ამმო-

<sup>35</sup> ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი სასოფადოების (S ფონდის) „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 149.

<sup>36</sup> ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში (ჩვენი მეცნიერება, 1923, № 2—3, გვ. 146).



ნოს ერმისიისა, რომელ არს განმარტება პორფირი ფილოსოფოსისა ხუთთათვის ჳმათა და არისტოტელის შესჳმენათა“ (სპეკალი). ჩვენს მეცნიერებაში ამ ცნობას ნაკლები ყურადღება ექცევა, მაგრამ, ექვი არაა, იგი ძველ: სანდო წყაროდან მომდინარეობს. ეს ირკვევა შემდეგიდან: პეტრიწის „სათნობათა კიბეში“ შემონახულია იამბიკო, რომლის უშუალო წყაროა ამონიოს ერმისის „მოსაჯსენებელი ხუთთა ჳმათაღმი პორფირი ფილოსოფოსისათა“-ს ქართული თარგმანა. დავიმოწმოთ ორივე ძველიდან პარალელური ტექსტები:

„მოსაჯსენებელი ხუთთა ჳმათაღმი“

✓ „ფილოსოფოსობაა არს წურთა იკუდილისა“... სიკუდილი სულისა და სხეულის განშორებაა, ე. ი. ის არის საყრველთა ორგანო განსნა: „ერთი ვიდრემ სხეულისა სულისაგან, ხოლო მეორე სულისა სხეულისაგან. და სიკუდილია — მრჩობლი: რომელიმე ბუნებითი, რომლისაებრ ყოველნი კაცნი მოკუდებით, ესე იგი არს, რომლისაებრ განშორების სხეული სულისა, ხოლო რომელიმე წინააღრჩევითი, რომლისაებრ ფილოსოფოსნი იწურთიან განშორებასა სულისასა სხეულისაგან და ამისებრ ითქვიან მწურთელად სიკუდილისა, ესე იგი არს, განყოფად სულისა სხეულისაგან... არს უკუე ფილოსოფოსობაა წურთაა სიკუდილისაა, ესე იგი არს წურთა სულისა სხეულისაგან განშორებისა“<sup>37</sup>.

პეტრიწის „სათნობათა კიბე“

სიკუდილი ორად განყოფის, იხედვ: ერთად — ბუნებით ყოველთა კაცთად ესე, ხოლო მეორედ — საქმეთაგან სიკუდილად ქორციელებრთა სულისა განშორებით. ფილოსოფობა არს წურთა ამისი მარად<sup>38</sup>.

ეს ლიტერატურული პარალელი ადასტურებს ანტონის მოწმობის სისწორეს: ამონიოს ერმისის „მოსაჯსენებელთა“ მთარგმნელი ყოფილა იოანე პეტრიწი; რაც შეეხება ტარიკისძის ვინაობას, ის ჩვენთვის გამორკვეველია. სავარაუდებელია ორი რამ: ტარიკისძე ან დაეით აღმაშენებლის დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა (თარგმნიდა ფილოსოფიურ თხზულებებს და ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას), მაგრამ მისი ბიოგრაფიული ცნობები და ნაწერები დაკარგულია, ანდა სახელი „იოანე ტარიკისძე“ გვიანდელი ხანის მწერლებს ერევათ იოანე პეტრიწის სახელში. არ არის გამორიცხული, რომ შეიძლება აღორძი-

<sup>37</sup> S 2562, ფ. 75v, 77r—78r.

<sup>38</sup> A 342, მეშვიდე თავის მესამე სტროფი.

ნების ხანაში ორ პირად მიჩნეული იოანე ისტორიულად ერთსა და იმავე პირს წარმოადგენდა.

### 3. ეფრემ მცირისა და „იოანე საღმრთო ფილოსოფოსის“ ურთიერთობისათვის

XI—XII საუკუნეების ლიტერატურის რაობისა და მნიშვნელობის სწორად შეფასებისათვის საჭიროა გარკვეულ იქნეს ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობის საკითხი. რომელიც მჭიდროდ უკავშირდება არეოპაგიტული წიგნების თარგმნის ისტორიას. XI საუკუნის მიწურულს (1090—1100 წლებში) ეფრემ მცირემ ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო ე. წ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ხუთი თხზულება. ამ თარგმანმა დიდი როლი შეასრულა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. ქართველებისათვის იმთავითვე ცნობილი გახდა, რომ „დიონისის პლატონური ფილოსოფოსი იყო“ და არეოპაგიტული წიგნები ნეოპლატონური ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შედეგად იყო შექმნილი. ამან ხელი შეუწყო ქართულ მწერლობაში ნეოპლატონიზმის გავრცელებას. არეოპაგიტულმა წიგნებმა რამდენადმე განაპირობა პროკლე დიადოხოსის „კავშირთა“ გადმოთარგმნა და პეტრიწის „განმარტებათა“ დაწერაც.

XI—XII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ვცნოთ ისიც, რომ არეოპაგიტული წიგნების გადმოღებაში ეფრემს დახმარებია „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი“. ამის შესახებ თვით ეფრემი წერს (A 110, გვ. 195):

სრულ იქმნა ერთი ესე ხუთთაგან წიგნთა წმიდისა დიონისისთა პირველი წიგნი — «თარგმანებაჲ საღმრთოთა სახელთაჲ» მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა და წმიდისა სკმეონ საკვრველთ-მოქმედისაჲთა და ლოცვითა ბერთა ჩუენთა საბაჲს და ანტონისითა და მათ თანავე მოღვაწებითა და ზრუნვითა კვრიკე ალექსანდრიელისაჲთა, რომელთა გსენება და ნეტარება საუკუნო იყავნ.

ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, იოანეს თვის საღმრთოდ ფილოსოფოსისა და ქორციელად დრამატიკოსისა, რამეთუ ლოცვასავე თანა ზემოგსენებულთა მამათასა იგი იქმნა პირ და გონება და სიტყუთა პირუტყუთა უუგუნურესისა ეფრემ მცირისა, რომელი აღვიარებ, ვითარმედ: არათუმცა იგი ყოფილ იყო მოძღუარ და ძალ-მწე ჩემდა,

მიხედვად მცავერ ვიკადრებდი მზის თუალსა  
ამის წიგნისასა, რომელსა შინა ჩემი ცთომილება ოდენ არს“<sup>39</sup>.

ამ ანდერძში ნათქვამია, რომ „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი“  
ყოფილა ეფრემ მცირის მოძღვარი, რომელსაც დიდად უზრუნვია არე-  
ოპატიული წიგნების თარგმნისათვის. ამას თვით ეფრემი კმაყოფილე-  
ბით ამბობს: „იოანე რომ არ ყოფილიყო ჩემი მოძღვარი და მშველელი,  
ვერც კი გავბედავთ ამ წიგნის („საღმრთო სახელთა განმარტების“)  
მზის თვალზე მიხედვას (არამც თუ მის თარგმნას)“. რაკი იოანე მოძ-  
ღვრადაა დასახელებული, მკვლევრები ვარაუდობდნენ, რომ იგი წლოვა-  
ნებით ეფრემზე ხნიერი უნდა იყოსო. ამიტომაც მას ყოველთვის უფ-  
როს იოანეთა შორის ეძებდნენ. ს. გორგაძემ და კ. კეკელიძემ „იოანე  
საღმრთო ფილოსოფოსად“ სცნეს იოანე პატრიკ-ყოფილი<sup>40</sup>, ს. ენუ-  
ქაშვილმა — იოანე დამასკელი<sup>41</sup>. ორივე მოსაზრება სამართლიანად  
უარყო ლ. მენაბდემ<sup>42</sup>.

ეფრემის მასწავლებლები იყვნენ შავი მთის მოღვაწე საბა თუხარე-  
ლი, რომელსაც ეფრემი აღსაზრდელად უტვირთავს „უმსა სიუცბისა  
და სიკბაუქისასა“ („მოსაწესენებელი სუმეონისთვის ლოლოთეტიისა“)<sup>43</sup>,  
და დიდი გიორგი მთაწმიდელი. რომლის კვლასაც შესდგომია თვით  
ეფრემი („ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალი)<sup>44</sup>. რაც შეეხება იოანე  
პატრიკ-ყოფილს, იგი ეფრემის მოძღვართა შორის არსად არ იხსენი-  
ება. ეს იოანე არის ათონელი მოღვაწე; გადაუწერია მას გ. მთაწმიდლის  
შრომები, მათთვის შეუღდგენია „ზანდუკი და ანდერძი“, „ფრიაღითა  
შრომითა და გულსმოღვაწეითა“ აღურიცხავს ყოველი გალობა და

<sup>39</sup> ეს ანდერძი გამოქვეყნებულია რამდენჯერმე: ს. გორგაძე, ნეოპლატონ-  
ური ფილოსოფიის ერთი უძველესი კვლათაგანი ქართულ მწერლობაში (ჩვენი მეც-  
ნიერება, 1923, № 1, გვ. 65—74); S ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1959,  
გვ. 177; პეტრე იბერიელი, შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით,  
1961, გვ. 019; ე. ნიკოლაძე, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის  
„ხელნაწერთა აღწერილობა“, II, 1964, გვ. 102—103. ზოგან კვრივე აღექსანდრიელი  
შეცდომით იწოდება კირილე აღექსანდრიელად (გახსნილია არასწორად ქარაგმაკ-ე).

<sup>40</sup> ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ს. გორგაძის რედაქ-  
ციით, 1914, გვ. XII—XIII; ჩვენი შეცნობება, 1923, № 1, გვ. 70; კ. კეკელი-  
ძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 253; მისივე ეტიუ-  
დები, I, გვ. 280—281.

<sup>41</sup> პეტრე იბერიელი, შრომები, 1961, გვ. 020.

<sup>42</sup> სიტყვიერად განაცხადა შავი მთის ლიტერატურული სკოლის გარშემო წაკით-  
ხულ მოხსენებაში.

<sup>43</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 225.

<sup>44</sup> ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი  
საქართველო, III, 1913 — 1914, გვ. 248.

დასდებელია<sup>45</sup>. ეს პატარკ-ყოფილი იოანე არც ჭყონდიდელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსია და არც ის იოანე ფარაქელი, რომელმაც ეფრემს სასუენ ნიშანთა შემოღება უკარნახა. სეხნიაობის გამო მათი გაიგივება შეცდომა იქნებოდა. ბიოგრაფიული მონაცემებით ისინი სამ სხვადასხვა იოანედ უნდა ვცნოთ. ამასთან ვერც ერთ მათგანს ვერ მივიჩნევთ „საღმრთო ფილოსოფოსად“. ასევე ზედმეტია ლაპარაკი იოანე დამასკელზეც. ეფრემის თანამედროვისა და უახლოესი თანამშრომლის გამოცხადება დამასკელად (VIII ს.) ანაქრონიზმია და მეტი არაფერი.

მაშ, ვინ არის „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი“?

— იგი არის იოანე პეტრიწი!

ანტონ ბაგრატიონი „წყობილსიტყვაობაში“ (სტრ. 748) წერს: „იტყვს თვთ ეფრემ მოძღუარ-ყოფასა თვსად იოანესა საღმრთო ფილოსოფოსსა“, ხოლო „სპეკალი“ დასძენს: „ყოვლად ბრძნისა მოძღურისა (იოანე პეტრიწისა, — ი. ლ.) იყვნეს მრავალნი მოწაფენი შედგომულ, მაგრა უფროსდა ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი“.

ანტონმა იცოდა, რომ ძველი ქართული ტრადიცია პეტრიწს ასახელებდა იოანე ფილოსოფოსად (საღმრთო ფილოსოფოსად ანდა პლატონურ ფილოსოფოსად). ამიტომ ეფრემის ანდერძში მოხსენიებულ „იოანე საღმრთო ფილოსოფოსს“ ის პეტრიწად სთვლის. მართლაც, სიტყვა „ფილოსოფოსი“ პეტრიწის სამეცნიერო წოდებაა. შ. ნუცუბიძემ გამოარკვია, რომ ეს წოდება იოანეს მანგანის აკადემიაში მიუღია<sup>46</sup>. როდესაც ძველი ქართველი იტყოდა „იოანე ფილოსოფოსს“, ამ სახელში ის გულისხმობდა მხოლოდ იოანე პეტრიწს. ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისას“ მინაწერებში (გვ. 24, 103) იოანე იხსენიება „პლატონურ ფილოსოფოსად“, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში — „ფილოსოფოს ქირკიმელად“ (გვ. 3), XVIII საუკუნის ფილოსოფიურ ლიტერატურაში — „საღმრთო ფილოსოფოსად“ ან „საღმრთო იოანედ“. ანტონ ბაგრატიონი მას იხსენიებს როგორც „იოანე საღმრთო ფილოსოფოსს, რომელსა ჩვეულ ვართ ზედწოდებასა პეტრიწად“<sup>47</sup>, ან წერს: ქმნა სქიმაჲ საღმრთომან ჩემ გონება-მზემან — იოანე საღმრთომან ფილოსოფოსმან აღცხნასა შინა ღვთისმეტყუელებითთა კავშირთასა“ („სპეკალი“). საგულისხმოა ესეც: მკითხველს რომ არ აერიოს, ანტონი საღმრთო იოანედ ვის გულისხმობს, „სპეკალის“ გადამწერი ზოგან შენიშნავს: „პეტრიწს იტყვს იოანეს, პლატონურსა

<sup>45</sup> გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ჩვენი საუწყე, I, გვ. 371.

<sup>46</sup> შ. ნუცუბიძე, სამეცნიერო ხარისხის საკითხისათვის ძველ საქართველოში, პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, III, 1947, გვ. 27—35; მისივე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, გვ. 26; მისივე, История грузинской философии, გვ. 290.

<sup>47</sup> თ. ყორღანიძე, ქრონიკები, I, გვ. 237.

ფილოსოფოსსა“, ან „პეტრიწსა ფილოსოფოსსა იოანეს იტყვის, ქართველთა მზესა“ და სხვა<sup>48</sup>.

ანტონის მოსაზრებას აერთარებდა ზაქარია გაბაშვილი: „ძველსა წიგნსა შინა მიხილვან მე, ზაქარია მოძღვარსა, და მუნით გარდამოძიწერიეს“, რომ „გამოჩნდეს სამცხით ღირსნი მონაზონნი საბა თუხარელი და ეფრემ მცირე, მოწაფე იოანე პეტრიწისა“. ზაქარიას წაკითხული ჰქონდა „საღმრთოთა სახელთა თარგმანება“. ამ თხზულებების ერთ-ერთი ხელნაწერი (A 110) მას საგულდაგულოდაც შეუსწავლია. ამიტომ, ცხადია, ფრაზა — „ეფრემ მცირე მოწაფე იოანე პეტრიწისა“ — უნდა მომდინარეობდეს უშუალოდ ეფრემის ანდერძიდან.

„იოანე საღმრთო ფილოსოფოსს“ სთელის ეფრემისა და არსენ იყალთოელის „გამწაფეველად“ დავით დადიანიც (S 339). ერთ-ერთ მინაწერში ეს მწიგნობარი წერს: მაპატიევე, დიდო იოანე, რომ შენს მიერ თარგმნილი „კლემქისა“ ეფრემს მივაკუთნე. ამ ცთომილების მიზეზი თვითონ შენეე ხარ, რადგანაც „ესრეთ ენა-მზეუ აღზარდე ეფრემ მცირეო“ (S 344).

ჩვენმა მკვლევრებმა (ს. გორგაძემ, ი. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, შ. ნუცუბიძემ)<sup>49</sup> ტრადიციულ ცნობებს უნდობლობა გამოუცხადეს: ანტონი „ხშირად არასწორ და შეუუმოწმებელ ცნობებს“ გვაწოდის, „ეფრემი იოანე პეტრიწის შეგირდი არასოდეს არ ყოფილა, ის უფროსი თანამედროვე იყო მისი და, მეტი თუ არა, 20—25 წლით ადრე გარდაიცვალა, ვიდრე პეტრიწი“; საღმრთო ფილოსოფოსი იყო მხოლოდ იოანე პატრიკ-ყოფილი და ა. შ. ნ. მარმა შენიშნა, რომ ანტონი ეფრემის სიტყვებს იმეორებს და ამაში დაეკვება არ შეიძლებაო; ის განცვიფრებული იყო მხოლოდ იმის გამო, რატომ ეფრემი არსად არ ასახელებს პეტრიწს თავის მოძღვრად<sup>50</sup>. მაშინ ეფრემის ზემოთ მოყვანილი ანდერძი ცნობილი არ იყო. ახლა, როდესაც გარკვეულია, რომ ანტონის ცნობა („იტყვის თვთ ეფრემ მოძღვარ-ყოფასა თჳსად იოანესა საღმრთო ფილოსოფოსსა“) მომდინარეობს თვით ეფრემის ანდერძიდან, ცხადია, მის ნამდვილობაში დაეკვებას ყოველგვარი საფუძველი ეცლება.

ეფრემ მცირე იოანე საღმრთო ფილოსოფოსს უწოდებს აგრეთვე „ქორციელად ღრამატიკოსს“. ესეც პეტრიწისადმი შერქმეული სახე-

<sup>48</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ. 276.

<sup>49</sup> ნეშეისიოს ნეშეელი, ბუნებისათვის კაცისა, გვ. IX—XV; ი. ჯავახიშვილი, ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, 1945, გვ. 152; კ. ნუცუბიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 250—253; იოანე პეტრიწის შრომები, II, 1937, გვ. CV—CVI.

<sup>50</sup> Н. Марр, Иоанн Петрицкий, гв. 36—37.

ლია. იოანე იტალს (ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსს, მანგანის აკადემიის ლექტორს) პეტრიწისთვის გამოუგზავნია წერილი სათაურით: „აფხაზ გრამატიკოსს, შეკითხვები გრამატიკის ზოგიერთ საკითხზე“ და სთხოვს მას, როგორც „ულრესად სწავლულ კაცს“, ზოგიერთი ლოგიკური ცნების განმარტებას<sup>51</sup>. პეტრიწის დიდ განსწავლულობას გრამატიკასა და ლოლიკაში ადასტურებს ის, რომ მას ქართულად უთარგმნია არისტოტელეს „კატეგორიები“ და „პერი ერმენეია“, ამონიოს ერმისის „მოსაქსენებელი ხუთთა ვმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაქსენებელი ათთა ვმათადმი არისტოტელისათა“, რომელთაც ქართული ლოგიკური აზროვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

ამრიგად, ჩვენი პირველი დასკვნა ასეთია: „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი და ქორციელად ღრამატიკოსი“ არის იოანე პეტრიწი-კიმპელი, დავით აღმაშენებლის ეპოქის ფილოსოფოსი და მეცნიერი, რომელსაც ფსევდო-დიონისეს „საღმრთოთა სახელთა თარგმანების“ გადმოქართულებაში ეფრემისთვის დახმარება გაუწევია. იგი ყოფილა მოხუცებული ეფრემის მოძღვარი და მშველელი.

\* \*

პირდაპირი გაგებით „მოძღვარი“ ნიშნავს გზის მაჩვენებელს, წინამძღოლს და წინამძღვარს, გადატანით — აღმზრდელსა და მასწავლებელს; მეცნიერ ბერს. მოძღვრობა სამონასტრო ცხოვრებაში საპატიო თანამდებობა იყო. ი. ჯავახიშვილის თქმით, მოძღვარს გასაწვრთნელად ჰყავდა აყვანილი მოწაფეები. იგი „თავის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობას, მეცნიერებასა და რომელსამე ხელოვნებას ასწავლიდა. მოწაფე თავის მოძღვართან ცხოვრობდა და სწავლობდა. ზოგჯერ მოწაფე უკვე ყმაწვილი და უსწავლელი აღარ იყო, მაგრამ განთქმულ მოძღვართან სწავლას მაშინ მოწითულნი და შუახნისანიც არ უკადრისობდნენ“<sup>52</sup>. მოძღვარს სულის გამკითხველობაც ევალებოდა; ითვლებოდა ის, როგორც სულის მოურვე და ცხოვრების გზად მიმუყანებელი. ამიტომ ხშირი იყო შემთხვევა, რომ ბერი-მოძღვარი მოხუცებულობის ყამს თავის სულიერ მოძღვრად აიყვანდა თავისსავე მოწაფეს, ახალგაზრდა ბერს, რომლის მოვალეობას შეადგენდა სულის მოურვეობა. მაგალითად, გარეჯელმა სერაპიონ წინამ-

<sup>51</sup> Н. М а р р, Исани Петрицкий, гл. 56—57; ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1963, გვ. 263—264; იმლორმაიან ნ. ე ე ქ ა ლ მ ა ძ ი ს მოხსენებებს გამო „აღრესატი 900 წლის შემდეგ იპოვეს“, გაზ. „თბილისი“, 1964, № 114.

<sup>52</sup> ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 55.

ძღვარმა ოთხი წლის ასაკიდან აღზარდა დანიელ ანდრონიკაშვილი, ხოლო შემდეგ ეს დანიელი გახდა თავისი მოძღვრის მოძღვარი. ანტონ იკორთელი იყო მოწაფე გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრისა — ეფთვიმე არქიმანდრიტისა. ის წელიწადში ორ-სამჯერ მიდიოდა თავის მოძღვართან. ერთხელ ეფთვიმეს უთხრა: „მამაო წმიდაო, მე ესრე მოხუცებულ ვიქმენ, რომ არღარა ძალ-მიძს აქა მოსლვად და თაყვანისცემად ღირსებისა შენისა“. ამიტომ „არქეი სულიერსა ამას შვილსა შენსა გაბრეილს, რათა ესე იყოს მოძღვარ ჩემდა“, ხოლო ეფთვიმემ გაბრეილს უთხრა: „შვილო ჩემო, ამას მამას ანტონის ექმენ მოძღვარ და მოურვე სულისა“<sup>33</sup>.

მოძღვარ-მოწაფის ამგვარი ურთიერთობა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ეფრემისა და პეტრიწის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ჩანს, XI საუკუნის მიწურულს პეტრიწი იმდენად სახელგანთქმული მოღვაწე ყოფილა, რომ ეფრემს. ამ ღრმად განსწავლულ და ღვაწლმოსილ მეცნიერს, იგი თავის მოძღვრადაც კი აუყვანია. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში. რაკი ეფრემ-პეტრიწის ურთიერთობა განმტკიცებულა ფსევდო-დიონისეს თხზულებათა თარგმნისას, უნდა ვიფიქროთ, რომ იღუა პროკლე ღიადოხო-სის „კავშირთა“ გადმოქართულებისა და განმარტებისა შესაძლებელია წარმოიშვა ამ ორი ღიდი ადამიანის ლიტერატურული თანამშრომლობის პროცესში.

ეფრემსა და პეტრიწს უფრო მკიდრო ურთიერთობაც ჰქონიათ. მათ ერთად უმოღვაწიათ მაშინაც, როდესაც პეტრიწი ჯერ კიდევ ყრმა ყოფილა. ჩავიხედოთ ანდერძის ტექსტში უფრო ღრმად.

ეფრემი „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალში იძლევა ზოგიერთი, ჩვენთვის საყურადღებო თეოლოგიური ცნების განმარტებას: „პ ი რ ღ მ რ თ ი ს ა ღ ძ ე სა ხ ე ლ - ი ღ ე ბ ი ს“ (ე. ი. ძე-ღმერთს ეწოდება პირი ღვთისაო). ხოლო „ს ი ტ ყ უ ა ღ მ რ თ ი ს ა მ ა მ ი ს ა უ წ ო დ ი ა ნ ძ ე ს ა მ ს ო ლ ო დ - შ ო ბ ი ლ ს ა“<sup>34</sup>. ამიტომაც ჰიმნოგრაფები ქრისტეს მიმართავენ ეპითეტებით: „ღმრთისა სიტყუაო“, „სიტყუაო მამისაო“, „ღმრთისა სიბრძნეო“, „მამისა სიბრძნეო“. ანდა — „სიტყუაო და სიბრძნეო“. ქრისტიანულ სიმბოლიკაში „გუამოვანი სიტყუა, მამისგან შობილი“ („გარდამოცემა“, I. 6) ნიშნავს ძე-ღმერთს, უზენაესი განგებისაგან მოვლენილ ქრისტეს, როგორც ღვთის პირს, გონებას, სიბრძნესა და სიტყვას.

<sup>33</sup> გა ბ რ ი ე ლ მ ც ი რ ე, მეშუარული თხრობანი, XVIII საუკუნის ქართული მწერლობის საკითხები, I, 1965, გვ. 132, 137—138; ი. ლ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., გაბრეილ მცირის მეშუარული თხრობანი, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, I, 1962, გვ. 17—18.

<sup>34</sup> ძველი საქართველო, III, გვ. 258, 259.

ეფრემ მცირე ამ თეოლოგიური ცნებებით იუწყება, თუ მისთვის ვინ არის იოანე საღმრთო ფილოსოფოსი: „იგი იქმნა პირ და გონება და სიტყუა... ეფრემ მცირისაო“. ეს ნიშნავს: (ზემოსხენებული მამების — საბას, ანტონისა და კვირიკეს ლოცვით) იოანე იქმნა... ეფრემ მცირის სულიერი შვილი (მხოლოდ-შობილი ძე) ანუ მოწაფე; განხილული ფრანზის ქვეტექსტი კი ასე უნდა გავშიფროთ: ყრმა იოანე „ყამსა სიუცებისა და სიჭაბუქისასა“ გასაწვრთნელად აუყვანია ეფრემ მცირეს. იოანეს მისგან ისეთი კარგი განათლება მიუღია, რომ სხენებულ მამათა ლოცვით იგი ქცეულა თავისი მოძღვრის მეცნიერულ სიტყვად, გონებად და პირად. ამ ფაქტის ანარეკლი შემონახულია გვიანდელ ბიბლიოგრაფიულ ცნობებშიც. იოანე ბაგრატიონის თქმით, ეფრემ მცირემ „აღზარდა სწავლასა შინა ქართულისა ენისასა იოანე ფილოსოფოსი და ასწავა ბერძნული“. ამით მართლდება ს. გორგაძისა და მ. გოგიბერიძის მოსაზრება, რომ შეიძლება პეტრიწი იყო ეფრემის მოწაფე. მაშასადამე, იოანე პეტრიწი აღზარდია ეფრემს. როდესაც მას ცნობილი ფილოსოფოსის სახელი მოუხვეჭავს, ის გამხდარა მოხუცებული მოძღვრის მოძღვარი.

ეფრემ მცირე მოღვაწეობდა შავ-მთაზე, სვიმეონ საკვირველ-მოქმედის მონასტერში. ჩანს, პეტრიწსაც იქ გაუტარებია თავისი მოწაფეობისა და მოძღვრობის პერიოდი. ეს ფაქტი ფრიალ მნიშვნელოვანია. აქამდე არ იყო ცნობილი, რომ იოანე ეფრემთან იმყოფებოდა ბერად. ს. ყაუხჩიშვილი და შ. ნუცუბიძე წერდნენ: „ეფრემ მცირეს პეტრიწთან არავითარი საქმე არა აქვს, ის სულ სხვა და შეიძლება დაპირისპირებულ ბანაკს ეკუთვნოდეს“<sup>55</sup>. მაგრამ ფაქტობრივი მონაცემები ამის საწინააღმდეგოს მეტყველებენ. ირკვევა, პეტრიწი, როგორც მოაზროვნე, აღზრდილია და დავაუკაცებულა ეფრემის ლიტერატურულ ბანაკში. მისი ბიოგრაფია დაახლოებით ასე უნდა დაზუსტდეს:

ყრმა იოანე, გვარად ჭიბჭიშვილი, აღსაზრდელად მიუყვანიათ შავ-მთაზე ეფრემ მცირესთან, რომელსაც მისთვის უსწავლებია ქართული წერა-კითხვა და ბერძნული ენა. მერმე ჭაბუკი სასწავლებლად წასულა კონსტანტინეპოლში, მანგანის აკადემიაში; იოანე იტალის ხელმძღვანელობით იქ დაუფლებია ფილოსოფიას. განსაკუთრებით პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებას. იტალის ერთგული მეგობარიც გამხდარა. აკადემიაში დარჩენილა 1083 წლამდე; შემდეგ საქართველოში დაბრუ-

<sup>55</sup> იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. XI.



ნებულა და. როგორც ანტონ ბაგრატიონი იუწყებდა, ოპიზის მონასტერში შემდგარა ბერად („სპეკალი“).

ოპიზაში ძველიდანვე დიდი ლიტერატურული ტრადიციები არსებობდა, მაგრამ XI საუკუნის 80-იან წლებში იქ სამწერლო-საგანმანათლებლო საქმიანობა შეწყვეტილი იყო თურქ-სელჯუკთა გამუდმებული რბევა-თარეშის გამო. ამიტომ იოანე მალე შავ-მთაზე წასულა სამოღვაწეოდ, სადაც ის ეფრემს დაამოძღვრებია და მასთან დაუწყოა ლიტერატურული თანამშრომლობა. იმ ხანად ეფრემი მოხუცებული იყო და შეიძლება ფიზიკურადაც დაუძლურებული, რაკი თავის გარშემო მას შემოკრებილი ჰყოლია „განმაძლიერებელი“, „თანამდგომნი“, „მზრდელი და მსახურნი“. ამ „მზრდელთა და მსახურთა“ შორის „გარდამოცემის“ ანდერძში (A 24, ფ. 137) ეფრემი იხსენიებს არსენ იყალთოელსა და ორ იოანეს. ესენი თავიანთ დიდ მოძღვარს ლიტერატურულ თანამშრომლობას უწყევნ. ამათგან არსენი ცნობილი პირია, ერთ-ერთი იოანე გვარად მთავარაისძეა, რომელსაც 1080 და 1091 წლებში „ფსალმუნთა თარგმანება“ გადაუწერა<sup>54</sup>. ეფრემი მას მადლობით იხსენიებს: „ლოცვა ყავთ იოანესთვის ხუცისა მთავარაისძისა, რომელმან არა დაიშურა თვისი ქალაქი სასურველად და პური საზრდელად თანადგომითურთ თვისით“<sup>55</sup>; მეორე იოანედ კი უნდა ვივარაუდოთ პეტრიწი, რადგანაც XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეფრემის უახლოეს თანამშრომელთა შორის იოანე მთავარაისძისა და იოანე საღმრთო ფილოსოფოსის გარდა სხვა იოანე არა ჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვინმე „იოანე მღვდელს“. რომელსაც ეფრემი თავის „მზრძანებლად“ იხსენიებს<sup>56</sup>. ამრიგად, პეტრიწმა თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი, „ქარისშხლისა და ღელვის“ წლები გაატარა მანგანის აკადემიაში იოანე იტალთან და შავ-მთაზე ეფრემ მცირესთან.

ეფრემი უნდა გარდაცვლილიყო XI საუკუნის ბოლო წლებში. ამის შემდეგ შავი მთის ლიტერატურული კერა მოშლილა, ეფრემის მოწაფეები საქართველოში დაბრუნებულან: იოანე მთავარაისძე დამკვიდრებულია მოძღვრად ბერთის მონასტერში, სადაც ინახებოდა ბემქენ ოპიზარის მიერ მოკვდილი სახარება<sup>57</sup>, ხოლო იყალთოელმა და პეტ-

<sup>54</sup> თ. უოტსონი, ქრონიკები, I, გვ. 214—215.

<sup>55</sup> მიომხილველი, I, გვ. 171.

<sup>56</sup> ქ. კეკელიძე, ეტიუდები, VII, გვ. 175—176; ელ. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, გვ. 122.

<sup>57</sup> Q ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, II, 319. იოანე მთავარაისძისა და მისი აღზრდილის (იოანე ოპიზელის) სახელებთანა დაკავშირებული წარმოშობა ბერთის სახარებისა (Q 906), რომელიც ოქროთი მოქცა ბემქენ ოპიზარმა. მკვლევრები ბემქენის მოღვაწეობის დროს სდებენ XII საუკუნის მეორე ნახევარში. ეფიქრობთ, ბემქენი მოღვაწეობდა დიმიტრი მეფის (1125—1154 წწ.) დროს.

რიწმა სამოღვაწეოდ დაივანეს შიო-მღვიმისა და გელათის მონასტრებში. დავით აღმაშენებლის „წყალობითა და თანადგომობით“ მათ ეს მონასტრები გადააქციეს უძლიერეს ლიტერატურულ ცენტრებად. კერძოდ, გელათი — „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულეებისად და სხუად ათინად“<sup>60</sup>.

#### 4. ქართველთა მონასტერი კატრიწონში და იოანე კატრიწი

ამ მოკლე ბიოგრაფიული ექსკურსის შემდეგ საჭიროა გაირკვეს: მოღვაწეობდა თუ არა პეტრიწი პეტრიწონის მონასტერში? ეს კითხვა საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. ამიტომ მასზე ვრცლად შევიერთდებით.

ზოგი მეცნიერი „პეტრიწის“ პარალელურად ხმარობს ფორმას „პეტრიწონელი“ (წერენ: „პეტრიწი ანუ პეტრიწონელი“).

ძველ ქართულში „პეტრიწონელი“ ეწოდებოდა პეტრიწონის მონასტრის მკვიდრს ან იქ ნამოღვაწარ ბერს. ეს მონასტერი ააშენა გრიგოლ ბაკურიანის ძემ ბულგარეთში, „თემსა შინა ფილიპუპოლისასა, მიღმართ სამჯრით კერძო, ჭევსა შინა ერთსა ფრიად მაგარსა, საზღვართა შინა სოფლისა მის, რომელსა პეტრიწონი ეწოდებოდა“<sup>61</sup>. 1023 წლიდან იქ მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები. მათგან ჩვენთვის ცნობილია ვინმე დავით პეტრიწონელი (XI—XII სს.), „რომლის იძულებითა (არსენ იყალთოელს) ბერძულისაგან გადმოუქართულებიან“ ხუთნი „სიტყუანი სომეხთა განმაქიქებელნი“<sup>62</sup>. მეორე პეტრიწონელი მოხსენებულა ათონის ივერიის მონასტრის აღაპებში: „თუესა დეკემბერსა 6, დღესასწაულსა წმიდისა ნიკოლაოსისსა განუწესეთ საქსენებელი ნიკოლას, პეტრიწონელსა მამასა, ... მე, მამამან იოანე, და ყოველთა ძმათა“<sup>63</sup>. სამაგიეროდ, ძველი ავტორები პეტრიწს არსად არ იხსენიებენ პეტრიწონელად. არც ერთი მწერალი, ვინც კი მასზე ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის. არ წერს, რომ იოანე მოღვაწეობდა პეტრიწონის მონასტერში. ჩანს, ისინი „პეტრიწსა“ და „პეტრიწონელს“ ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ.

სიტყვა „პეტრიწის“ ეტიმოლოგიისათვის ცნობებს გვაწვდიან კერძო მონაზონი, დავით რექტორი და იოანე ბაგრატიონი:

<sup>60</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330—331:

<sup>61</sup> პეტრიწონის მონასტრის ტიბიკონი გამოსცა მ. თ ა რ ხ ნ ი შ ე ი ლ მ ა .

<sup>62</sup> თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 310.

<sup>63</sup> ათონი: ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებთ, გვ. 253.

— „იოანე ფილოსოფოსს, — წერს გერმანე მონაზონი, — ნართაულები ზედ ეწოდა პეტრიწი სიმკაცრით (ე.ი. სიფრთხილით, — ი. ლ.) გამოძიებისათვის წერილთა, რომელსა ჰყოფდა“.

— „ამას უკუე იოანეს, — წერს დავით რეპტორი, — ათინას, აკადემიასა შინა უწოდეს პეტრიწი. პეტრიწი რომელი ითქუმის ქვადა და მარცვალი ქვემოთ მფხეველად გამოითარგმანების... და ვინაითგან ესე იოანე იყო წერილთა ფრად მჩხრეველი, ამისთვის უწოდეს პეტრიწად, ესე იგი ქვის მფხეველად“.

— იოანე ფილოსოფოსმა, — იუწყება იოანე ბაგრატიონი, — ათინაში სწავლის ღამთავრების შემდეგ გაშიფრა ეპიგრაფიული ძეგლები და „ამის მიზეზისათვის სახელსღვეს პეტრიწადა (რომელ არს ქვის მფხეველი)“.

„პეტრიწის“ ეს ეტიმოლოგია, რომელიც არ ვიცით საიდან მომდინარეობს, XIX საუკუნის მეკლევართათვის უცნობი იყო. მხოლოდ 1894 წელს მისი მნიშვნელობით დაინტერესდა ა. ცაგარელი. მან აღნიშნა: პეტრიწი ნიშნავს „პეტრიწონელს“. პეტრიწონი (ბერძ. „პეტრიცოს“, სლავ. „პეტროჩი“) შუა საუკუნეების სავაჭრო-სამრეწველო ქალაქი იყო ბულგარეთში. ქ. სტანიშაკის მახლობლად. ძველად ამ სახელწოდებას ატარებდა ახლანდელი ბაჩკოვოს მონასტერი. ამის მიხედვით იოანე ფილოსოფოსის ამოუცნობელი ზედწოდება „პეტრიწი“ სრულიად გარკვეულ შინაარსს იძენს: ალბათ. იოანე იყო პეტრიწონის მონასტრის ძმათა საკრებულოს წევრი<sup>61</sup>.

ა. ცაგარლის მოსაზრება გაიზიარეს 1909 წელს ნ. მარმა<sup>62</sup> და მ. ჯანაშიელმა<sup>63</sup>. 1914 წელს — ა. გორგაძემ<sup>64</sup>.

კ. კეკელიძემ განსაზღვრა დრო. თუ რამდენ ხანს მოღვაწეობდა იოანე პეტრიწონის მონასტერში: 1083—1084 წლებში მან მიატოვა მანგანის აკადემია, წავიდა და „დამკვიდრდა ბულგარეთში, ქართველთა მონასტერში“, სადაც სასულიერო სემინარიას ჩაუდგა სათავეში. იოანემ დაყო (იქ) ოცი წელიწადი, ამიტომ საკვირველი არაა, რომ მან პეტრიწონის მონასტრისაგან მიიღო პეტრიწის სახელწოდება<sup>65</sup>.

ეს მოსაზრება სხვადასხვა ვარიანტით განავითარეს ს. ყაუხჩიშვილმა<sup>66</sup> და შ. ნუცუბიძემ<sup>67</sup>, მ. გოგიბერაძემ<sup>68</sup>, შ. ხიდაშელმა<sup>69</sup> და საერთოდ ყველა იმათ, ვინც კი პეტრიწის შესახებ რაიმე წერილი გამოაქვეყნა.

<sup>61</sup> А. Цагарели, Сведения, III, 1894, гл. XII.

<sup>62</sup> Н. Марр, Иоани Петрицкии, гл. 3.

<sup>63</sup> მ. ჯანაშიელი, ქართული მწერლობა, II, გვ. VIII—X.

<sup>64</sup> ნ. კეკელიძე, ბუნებისათვის კაცისა, გვ. XIII—XIV.

<sup>65</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 285—286.

<sup>66</sup> იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. XII; ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1963, გვ. 262.

უკანასკნელ ხანს პეტრიწის მოღვაწეობის განხილვა სცადა მედიცინის ისტორიის მკვლევარმა მ. შენგელიამ ნარკვევებში: „საავადმყოფო პეტრიწონის ქართველთა მონასტერში“<sup>73</sup> და „იოანე პეტრიწონელი და «პრაქტიკის» ავტორობის პრობლემა“<sup>74</sup>. მან იოანეს მოღვაწეობა ასე დაასაზიოთა: პეტრიწი ოცი წელი მოღვაწეობდა პეტრიწონის მონასტერში. იგი იყო მონასტრის წინამძღვარი და სემინარიის რექტორი. დააარსა საავადმყოფო, რომელიც ბულგარეთში, მეტად აქტიურ სამკურნალო საქმიანობას ეწეოდა, და აქვე დაწერა „ადრეული რენესანსის უდიდესი ნაწარმოები“, რომელიც „პრაქტიკის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

მ. შენგელიას ნაშრომთა ღებულებები მკითხველებს გააცნო საქდესის კორესპონდენტმა:

„შუა საუკუნეების ევროპაში გავრცელებული თერაპიის სახელმძღვანელოს «პრაქტიკის» ავტორია XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. ასეთი დასკვნა გამოიტანა... პროფესორმა მ. შენგელიამ“. იგი „საინტერესო ფაქტებს წააწყდა ფილოსოფოს იოანე პეტრიწის ცხოვრებაში. აღმოჩნდა, რომ პეტრიწი კონსტანტინეპოლში მანგანის აკადემიაში სხვა მეცნიერებებთან ერთად მედიცინასაც სწავლობდა. რეაქციული სამღვდლოების მხრივ ღვენის შედეგად იძულებული იყო ბულგარეთს წასულიყო, სადაც შექმნა პეტრიწონის ქართული სემინარია. თანაც, როგორც შემდგომმა კვლევამ დაადასტურა, სემინარიაში შეიქმნა საავადმყოფო, სადაც ქართველი ფილოსოფოსი პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა“<sup>75</sup>.

მ. შენგელიას მთავარი ღებულება — „პეტრიწი არის «პრაქტი-

<sup>70</sup> შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, გვ. 26; მ ი ს ი ვ ე, История грузинской философии, გვ. 290.

<sup>71</sup> იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. XXVIII; მ. გოგობერიძე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდები, 1961, გვ. 147—148; მ ი ს ი ვ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, 1941, გვ. 259.

<sup>72</sup> შ. ხ ი ღ ა შ ე ლ ი, იოანე პეტრიწი, 1956, გვ. 4; მ ი ს ი ვ ე, Основные мировоззренческие направления в феодальной Грузии, 1962, გვ. 293—294.

<sup>73</sup> მ. შენგელია, მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში, 1961, გვ. 93—98. შდრ.: მისივე, История медицины Грузии, М., 1967, გვ. 56—58.

<sup>74</sup> მ. შენგელია, ეტიუდები ქართული მედიცინის ისტორიიდან, 1963, გვ. 41—61.

<sup>75</sup> იოანე პეტრიწი—პრაქტიკის ავტორი, გაზ. „თბილისი“, 1964, № 193.

კის» ავტორი“ — ერთმა კორესპონდენტმა გამოაცხადა „ეროვნულ პრობლემად“ (!), რომელიც „მხოლოდ დიონისე არეოპაგელის პრობლემას შეიძლება შევედაროთ“<sup>76</sup>.

დასასრულ, პეტრიწონის ლიტერატურული ცენტრის საქმიანობა და მისი მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიაში მეტად გაზვიადებულად და პარადოქსულად წარმოგვისახა ე. ალანიამ წერილში „ქართული აკადემია ბულგარეთში“:

„(იოანე ფილოსოფოსი) პეტრიწონის ქართულ აკადემიას 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა... პეტრიწონის აკადემიის დამსახურება ქართული კულტურის ისტორიაში განუზომელია. ამ აკადემიამ შექმნა სრულიად დამოუკიდებელი ეროვნული მიმართულება აღნიშნულ მეცნიერებათა დარგებში (იგულისხმება ფსიქოლოგია, ისტორია, გრამატიკა, ასტრონომია, ბიბლიოლოგია, აგიოგრაფია და სხვა. — ი. ლ.). მთელ თავის სამეცნიერო მუშაობაში იგი (პეტრიწი თუ აკადემია? — ი. ლ.) ცდილობდა განთავისუფლებულიყო საღვთისმეტყველო სქოლასტიკისაგან. მან გამოიყვანა ქართული მეცნიერული აზრის განვითარება ბერძნულ-ბიზანტიური მეურვეობიდან და მტკიცედ დააყენა ეროვნული განვითარების გზაზე“<sup>77</sup>.

ამასვე წერს ბ. კანდელაკი წიგნში „პეტრიწონის ანუ ბაჩკოვის სავანე“ (გვ. 15 და 28).

ამრიგად, 1894 წლიდან დღევანდლამდე თითქმის ყველა მკვლევარი ერთხმად აღნიშნავს: იოანე ფილოსოფოსი 20 წელს მოღვაწეობდა პეტრიწონის მონასტერში და ზედწოდება მან ამ მონასტრიდან მიიღო.

და აი ასე საყოველთაოდ გაზიარებულ მოსაზრებას არ მოეპოვება მტკიცე მეცნიერული საფუძველი! ერთადერთი საბუთი (თუკი ის მართლაც საბუთად შეიძლება ჩაითვალოს) არის სიტყვა „პეტრიწის“ ცაგარლისეული განმარტება, რომელიც ეყრდნობა სავარაუდო მოსაზრებას — ალბათ, იოანე მოღვაწეობდა პეტრიწონის მონასტერში. ეს განმარტება ჯერ კიდევ 1897 წელს სადავოდ გახადეს თ. ყორდანიამ<sup>78</sup> და ა. ხახანაშვილმა<sup>79</sup>. ისინი აღნიშნავენ: „პეტრიწი“ ნიშნავს „პატრიკს“ (ლათ. patricius) — წოდებრიობის აღმნიშვნელ ტერმინს, რომელსაც

<sup>76</sup> ნ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე. მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართული მედიცინის ისტორიიდან, ახალგაზრდა კომუნისტი, 1965, № 33.

<sup>77</sup> ვაზ. „თბილისი“, 1963, № 243. ავტორი იმეორებს წყაროს დაუსახელებლად გ. თავიშვილის მოსაზრებას (უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, I, 1939, გვ. 29).

<sup>78</sup> ქრონიკები, II, გვ. 154—155.

<sup>79</sup> А. Х а х а н о в, Очерки, II, გვ. 316; ქართ. სიტყვ. ისტორია, I, 1904, გვ. 397.

ქართველები ხმარობდნენ სხვა ბიზანტიურ ტიტულებთან ერთად, „პეტრიწონელი“ კი სხვა ცნებაა. „პეტრიწის“ ტრადიციულ განმარტებას, რომელსაც იძლევიან გერმანე მონაზონი, დავით რექტორი და იოანე ბაგრატიონი, საფუძვლად უნდა ედოს რაიმე ძველი სქოლიო ან ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი, ან კიდევ აღორძინების დროინდელი ხალხური გადმოცემა. ამიტომ საჭიროა მისი მნიშვნელობის საფუძვლიანი შემოწმება. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: „პეტრიწი“ არ არის დაკავშირებული იმ გეოგრაფიულ პუნქტთან, რომელსაც „პეტრიწონი“ ეწოდება. ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ სანამ არ გაირკვევა ხსენებული სიტყვის ეტიმოლოგია, მანამდე „პეტრიწის“ რაიმე დებულების გადასაწყვეტად ვერ მიეცემა არგუმენტის ძალა. ცნობილია, რომ უცნობიდან უცნობის დასაბუთება შეუძლებელია.

რაც შეეხება სხვა დებულებებს, რომელნიც გვიშუქებენ პეტრიწონში იოანეს მოღვაწეობის ცალკეულ მხარეებს. მათაც სპეციალური დასაბუთება სჭირდებათ. რადგანაც ისინი აღ. ცაგარლის სავარაუდო მოსაზრების განვითარებას წარმოადგენენ.

1. ფიქრობენ, რომ პეტრიწონის მონასტერში არსებობდა სასულიერო სემინარია და ამ სემინარიის რექტორი იყო ვითომდა მისი დამაარსებელი იოანე ფილოსოფოსი, რომელიც თურმე იქ ლექციებსაც კი კითხულობდა ფილოსოფიაში.

პეტრიწონული ტიბიკონის თანახმად, გრიგოლ ბაკურიანის ძეს მონასტერთან დაუარსებია ინტერნატისმაგვარი სკოლა, რომლის კონტინგენტი განუსაზღვრავს ექვსი მოწაფითა და ერთი მოძღვრით. მოწაფეები უნდა ყოფილიყვნენ მცირეწლოვანი ყრმები, მოძღვარი კი მოხუცებული ხუცესი. მოძღვარს ვეალებოდა ყრმების გაწვრთნა მღვდელთმსახურების წესებში და ჟამისწირვის ჩატარება. ყრმებს ინვენტარით. ტანისამოსითა და პროდუქტით ამარაგებდა პეტრიწონის მონასტერი. ისინი ბერობის ასაკამდე სწავლობდნენ; მათგან ღირსეულთ მონასტერში ღებულობდნენ, უღირსთ კი სკოლიდან აძევებდნენ<sup>80</sup>.

ასეთი სამონასტრო სკოლა, რომელიც უეჭველია იმ დროის ყველა დიდ მონასტერს ექნებოდა. შეუძლებელია ვცნოთ ისეთ სასულიერო სემინარიად „ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით“ (ლუი პტი), რომელსაც ეყოლებოდა რექტორი, ექნებოდა საავადმყოფო (მ. შენგელია) და რომლის „სასწავლო-საპროგრამო საჭიროებას დააკმაყოფილებდნენ მანგანის აკადემიიდან გამოსული ქართველი მოღვაწენი“ (კ. კეკელიძე). ჩვენ თავს დიდ უფლებას მივცემდით, თუ პეტრიწონის სკოლის დამაარსებლად და რექტორად გამოვაცხადებდით იოანე

<sup>80</sup> გეორგია, V, გვ. 235.

ფილოსოფოსს (ე. ი. იმ მოღვაწეს), რომელიც არც კი ვიცით, იყო თუ არა პეტრიწონის მონასტერში. ძლიერ საეჭვოა აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება, თითქოს „პეტრიწონის აკადემიის სხვა ქართველმა მოღვაწეებმა, დოგმატური მიმართულების მომხრეებმა, დევნა დაუწყეს იოანე პეტრიწს და იძულებული იყო გასცლოდა პეტრიწონს“<sup>81</sup>. მისი სისწორის ცხადსაყოფად მეცნიერებას არავითარი საბუთი არ მოეპოვება.

2. იოანე ფილოსოფოსი არც პეტრიწონის მონასტრის წინამძღვრად ყოფილა, როგორც ამას მ. შენგელია ფიქრობს. 1084 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძემ ამ თანამდებობაზე დანიშნა ვინმე გრიგოლ ბანელი, რომელიც ადრე პეტრიწონის სამონასტრო მშენებლობას ხელმძღვანელობდა<sup>82</sup>. ამ გრიგოლმა მონასტერს რამდენ ხანს უწინამძღვრა ან მის ნაცვლად იქ ვინ დანიშნეს, ჩვენთვის უცნობია. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: მაშინდელი სამონასტრო ტიპიკონების თანახმად, მონასტრის წინამძღვრად უნდა აერჩიათ ხანდაზმული ბერი, რომელსაც მონაზონური ცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდა. XI საუკუნის 80—90-იან წლებში პეტრიწი ახალგაზრდა იყო და, ცხადია, მას მონასტრის წინამძღვრად არავინ აირჩევდა (ან დანიშნავდა).

3. პეტრიწონის მონასტერთან არსებობდა ჩვეულებრივი სამონასტრო სასნეულო, სადაც მუშაობდა ორი მესნეული. მათ ვეალებოდათ უძლურ მოხუცებულთა და დავრდომილ სნეულთა ზედამხედველობა, მოვლა და მკურნალობა. ამიტომ მიუღებელია მ. შენგელიას ის მოსაზრებაც, თითქოს პეტრიწონის სასნეულოში იოანე ეწეოდა „აქტიურ სამკურნალო საქმიანობას“, ან თითქოს მან პეტრიწონის მონასტერი აქცია „სამედიცინო კულტურისა და საექიმო საქმიანობის მნიშვნელოვან კერად“.

იოანე ფილოსოფოსი არ იყო მკურნალი, თუმცა მას კარგი წარმოდგენა ჰქონდა იმდროინდელ სამედიცინო დისციპლინებზე; იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მედიცინას, საერთოდ მეცნიერებას ადამიანის აღნაგობისა და მკურნალობის შესახებ. და აქი მან თარგმნა კიდევ ქართულად ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“; რომელიც ძველად ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ „ადამიანის ბუნებისა და, მაშასადამე, მედიცინის საფუძვლების დაუფლებისათვის“<sup>83</sup>. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ პეტრიწი ექიმი იყო და სამედიცინო პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა.

<sup>81</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, გვ. 262.

<sup>82</sup> გეორგიკა, V, გვ. 233. ა. შანიძემ მიმაქცივინა ყურადღება, რომ ტიპიკონში მოხსენიებული გრიგოლ ვანელი უნდა იყოს გრიგოლ ბანელი (ბიზანტიური ხანის ბერძნულში ბანი იკითხებოდა ვინად).

<sup>83</sup> ი. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, 1957, გვ. 136.

რაც შეეხება იმ იამბიკოებს, რომელთაც მ. შენგელია პეტრიწის სამედიცინო განათლების დონის განსასაზღვრავად იმოწმებს<sup>81</sup>, ისინი შეეძლო დაეწერა არა მარტო ექიმს, არამედ ისეთ პირსაც, რომელსაც ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა მედიცინაზე. მაგალითად, პეტრიწის პიროვნებას რა „პროფესიულ ექიმურ იერს აძლევს“ ასეთი მხატვრული შედარებანი:

სჯობს სიგლახავე ცუდსა გამდიდრებასა  
და სნეულობა—ბოროტსა მრთელობასა?...<sup>82</sup>

ან კიდევ:

წყლული ახალი ადვილ საკურნებელ არს,  
ხოლო ძველ-ქმნილი, უღებებად მოსრული,  
წამალთა დიდთა ჯელოვანთა მკურნალთა  
მოქენე არს; და ესრეთ ხედვა ხანგრძელი  
მოკლავს სულისა სიწმიდესა კეთილსა.

ამათგან მეორე იამბიკო ამოღებულია „სათნობათა კიბიდან“<sup>83</sup> რომლის წყაროა იოანე სინელის „კლემაქსის“ ათონელისეული პროზაული თარგმანი. აი, სათანადო ტექსტიც: „წყლულება ვიდრეა ახალი იყოს, ადვილ არს საკურნებელად, ხოლო დაძველებულნი და უღებ-ყოფილნი ძნიად საკურნებელ არიან, და ფრიადი შრომა და მახვლი წამალი და დაწვაჲ უჯმს მათ ამას საწუთოსავე“<sup>84</sup>. თუ „მხატვრული შედარებებისათვის (ასეთი) სამედიცინო აზრების გამოყენება“ ვისმე „პროფესიულ ექიმურ იერს აძლევს“, მაშინ ეს პატივი უნდა დავულოცოთ უპირველესად იოანე სინელს, რადგანაც პეტრიწმა გალექსა „კლემაქსიდან“ დამოწმებული ციტატი. ასე რომ, იოანე ფილოსოფოსის საექიმო-პრაქტიკული და სამედიცინო-ლიტერატურული საქმიანობა არ არის დოკუმენტურად დადასტურებული.

ჯერჯერობით არ გვაქვს საფუძველი, იოანე ვცნოთ აგრეთვე ავტორად იმ პრაქტიკული საექიმო წიგნისა, რომელიც მსოფლიო მედიცინის ისტორიაში „Practica Petroncelli“-ს სახელწოდებითაა ცნობილი. მ. შენგელიას მიერ ამ მოსაზრების სასარგებლოდ წამოყენებული წანამძღვრებიდან, ზოგი ზოგადი ხასიათისაა (მაგ., პეტრიწის სამედიცინო განსწავლულობა, ბერძნული ენის ცოდნა, „პრაქტიკის“ დაწერის დროისა და პეტრიწის მოღვაწეობის ქრონოლოგიური დამთხვევა, „განმარტებისა“ და „პრაქტიკის“ სტილისტურ-კომპოზიციური

<sup>81</sup> მ. შენგელია, ეტიუდები, გვ. 45—46.

<sup>82</sup> იხ. სტროფი 59.

<sup>83</sup> იოანე სინელი, კლემაქსი, რომელ არს კიბე (ექვთიმე მთაწმიდელის თარგმანი), 1902, ფოთი, გვ. 121.



ერთგვარობა), ზოგიც მიუღებელია (მაგ., სიტყვა Petroncelli-ს შენგე-ლიასებური ეტიმოლოგია, რომელსაც საერთო არა აქვს რა ზედწოდე-ბა „პეტრიწთან“. შეცდომაა ისიც, თითქოს იოანე ფილოსოფოსი ქარ-თულ ისტორიაში ცნობილი იყოს „გვარ-ფსევდონიმის სხვადასხვანაირი გამოთქმით: იოანე პეტრიწი, პეტრიწონელი, პეტრიწონი, პეტრიწელი“. ძველი ქართველი მწერლები იოანეს იცნობენ მხოლოდ პეტრიწად).

4. პეტრიწონის სამონასტრო კერას ქართულ მწერლობაში ისეთი მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია, როგორსაც მიაწერენ ჩვენი მეცნიერები. ძლიერ დამაფიქრებელია, რომ პეტრიწონში პეტრიწის ხელნაწერები არ მოგვეპოვება (ცნობილა მხოლოდ XV საუკუნის „საკითხავნი დღესასწაულთანი“ — H 1760)<sup>87</sup>. ა. შანიძე და ნ. ბერძენიშვილი პეტრიწონში ყოფნისას გულმოდგინედ ეძებდნენ ქართულ ხელნაწერებს, მაგრამ საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ახლა „ქართულის კვალი პეტრიწონის ხელნაწერებში არ შენახულა“<sup>88</sup>. ამასთან იმ დიდი ფილოსოფიურ-თეოლოგიური შემკვიდრეობიდან, რომელიც პეტრიწის სახელითაა ცნობილი, არც ერთი შრომა არ დაწერილა (ან თარგმნილა) პეტრიწონის მონასტერში (ყოველ შემთხვევაში ასეთი რამ ჩვენთვის უცნობია). იბადება კითხვა: თუ პეტრიწი ამ მონასტერში ოცი წელი მოღვაწეობდა, ასე პირწმიდად როგორ გაქრა მისი ნაკვალევი?

5. XI—XII საუკუნეების მიჯნაზე ბულგარეთში წარმოებდა სახალ-ხო-განმათავისუფლებელი ბრძოლები ბიზანტიელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომელებშიც მონაწილეობას იღებდნენ ბულგარელი ბოგო-მილები, პავლიკიანელები და სხვადასხვა ჯურის მორწმუნენი (ანა კომ-ნენი მათ „მანიქეველებს“ უწოდებს). ეს ბრძოლები დაიწყო 1082 წ. ფილიპოპოლის თემში მცხოვრები ბულგარელების აჯანყებით. ბი-ზანტიის იმპერატორმა ალექსი I კომნენმა აჯანყების მეთაური მოიტყუა მოსინოპოლში და ყველა დაატუსაღა, მათი ოჯახები კი ააწიოკა. ამის გამო 1084 წელს ალექსის ერთ-ერთი მსახური, ვინმე ტრავლი (ტომით ბულგარელი), ფილიპოპოლში გაიპარა. მან თავის გარშემო შე-მოიკრიბა მოაჯანყენი, კავშირი დაამყარა პარისტრონის თემში მცხოვ-რებ სკვითებთან (დუნაიზე ჩამოსულ პაჭანიკებთან) და იმპერიის ტერი-ტორიის დარბევა დაიწყო. ალექსიმ მოინდომა ტრავლის ხელში ჩაგ-დება მოტყუების გზით, მაგრამ ეს მან ვერ შეძლო. ამიტომ 1086 წელს მოაჯანყეთა წინააღმდეგ გაგზავნა ლაშქარი გრივოლ ბაკურიანის ძისა და ნიკოლოზ ვრანას მეთაურობით. მოწინააღმდეგეთა შეტაკება მოხდა ბელიატოვოსთან. იმპერიის ლაშქარი დამარცხდა, დაილუპნენ გრივო-

<sup>87</sup> H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, ტ. IV, გვ. 189—195.

<sup>88</sup> ნ. ბერძენიშვილი, ძლევა, 1949, გვ. 51.

ლი და ვრანა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ქ. ფილიპოპოლი, რომელიც მალე კვლავ ბიზანტიელებმა დაიბრუნეს. ამის შემდეგ ბრძოლები ფილიპოპოლის თემში ხან მიწვდებოდა, ხან ძლიერდებოდა. 1114—1115 წლებში ალექსი დიდი ჯარით შეიჭრა სერდიკში, პეტრიწონსა და ფილიპოპოლში და მკაცრად გაილაშქრა ერეტიკოსთა წინააღმდეგ, რომლებიც ამ რაიონებში მცხოვრებ ქრისტიანებს არბევდნენ<sup>89</sup>.

აღნიშნული პოლიტიკური ვითარების გამო 1082—1115 წლებში პეტრიწონის მონასტერში არ უნდა ყოფილიყო სამწერლო-სამეცნიერო მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები. ძალიან საეჭვოა, რომ მაშინ იქ არსებულიყო რაიმე სამონასტრო ლიტერატურული სკოლა, რომელიც მიიზიდავდა მანგანის აკადემიაში გაწვრთნილ ქართველ მოღვაწეებს, კერძოდ კი — იოანე პეტრიწს. ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ იოანე ფილოსოფოსს საერთოდ არ უნდა ემოღვაწა პეტრიწონის მონასტერში. ეს არის დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს არსებული მასალების კრიტიკული ანალიზიდან.

აღნიშნულის შედეგად უნდა დაზუსტდეს ცნებებიც: „პეტრიწონული სალიტერატურო სკოლა“ და „პეტრიწონული სტილი“. დღეს ამ ცნებებში გულისხმობენ იმ დიდ სალიტერატურო სკოლასა და სამწერლო სტილს, რომელიც დაკავშირებულია იოანე ფილოსოფოსის სახელთან. პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მემკვიდრეობა შეიქმნა ნაწილობრივ მანგანის აკადემიაში და შავ-მთაზე, ხოლო ძირითადად — გელათის აკადემიაში. ამიტომ ზემოაღნიშნულ ცნებებს უნდა შევარქვათ მათი აღქვადი სახელები — „პეტრიწის სალიტერატურო სკოლა“ და „პეტრიწული სტილი“ (XVIII საუკუნეში ქართველმა მოღვაწეებმა პეტრიწის ენას უწოდეს „ღრიფოჲ პეტრიწული“), ხოლო ცნებაში „პეტრიწონული“ უნდა ვიგულისხმოთ ყოველივე ის, რაც პეტრიწონის მონასტერთანაა დაკავშირებული. პეტრიწონის მონასტერი ქართული კულტურული კერა იყო და გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენი მწერლობის ისტორიაში, მაგრამ არ იქნებოდა სწორი, თუ რაც გელათში შეიქმნა, მას პეტრიწონის მონასტერს მივაწერდით.

## 5. არსენ ბერი

არსენ ბერი დაეთა აღმაშენებლის უფროსი თანამედროვეა. ის ცნობილია როგორც დიდი საეკლესიო მოღვაწე, განათლებული მწერალი; ღვთისმეტყველების, ძველ-ბერძნული წარმართული ფილოსო-

<sup>89</sup> Анна Комнина, Алексиада, М., 1955, გვ. 180—181, 201—302; Г. Г. Литаврин, Волгария и Византия в XI—XII вв., 1950, გვ. 417—424. გეორგიკა, VI, 1956, გვ. 79—88, 106—107.

ფიური მწერლობის, საეკლესიო სჯულის კანონებისა და სამონასტრო წესების საუცხოო მცოდნე. არსენი 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების აქტიური მონაწილეცაა: დაუწერია მას ამ კრების განჩინება<sup>90</sup> და დავით აღმაშენებლის ხოტბა „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“<sup>91</sup>. მასვე მეფის „ბრძანებითა და ჭერ-ჩინებით“ უთარგმნია ბერძნულიდან ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“<sup>92</sup>; 1123 წელს დავითს არსენის თხოვნით დაუწერია ანდერძი, მიცემული შიო-მღვიმისადმი<sup>93</sup>, ხოლო ორი წლის შემდეგ თვით არსენს მისგან ჩაუწერია სიკვდილის წინეთი ანდერძი<sup>94</sup>.

ეს არსენი ყოფილა დავით აღმაშენებელთან ძლიერ დაახლოებული პირი. მეფე მას უწოდებს თავის „სასოსა და განმანათლებელს“, ან „მოდღვარს“; აძლევს რწმუნებას, რომ ააშენოს შიო-მღვიმეში „ეკლესია საშუალ მონასტრისა, სახელსა ზედა ყოველად წმიდისა ომრთისმშობლისასა“ (დავითმა ეს ეკლესია „მომადღებითა არსენისითა“ დამთავრებულად იხილა). არსენი განაგებს მეფის მიერ მონასტრებისთვის გადაღებულ საღმშენებლო თანხებს, საეკლესიო ინვენტარსა და სამონასტრო მამულებს. დავითი ყოველნაირად ენდობა მას. იგი შიო მღვიმისადმი მიცემულ ანდერძში წერს: „ბროლისა, ბაზიჯისა და მინისა კანდლები, რომელი მე მომიგსენებია და რომელი არსენის დაუდგამს, ნუშეცავის უკადრებია გამოღება! სასანთლეები, სიწმიდის სამსახური და რაჟცა უნდა მისთვის, ოცდაათი ლიტრა ვეცხლი წმიდისა არსენის კელსა არს“ და ა. შ. <sup>95</sup>.

კითხვა ისმის: ვინ არის ჩამომავლობით არსენ ბერი? მკვლევრებს (თ. ჟორდანიას, ზ. ჭიქინაძეს და ა. ხახანაშვილს) ერთ ხანს იგი მიაჩნდათ არსენ იყალთოელად<sup>96</sup>. კ. კეკელიძემ უარყო ეს მოსაზრება, აღნიშნა: არსენ ბერი არის გვარად საღირისძე. ტბეთის სახარების (1162 წ.) ანდერძში, — წერს კ. კეკელიძე, — მოხსენებულია „არსენი, დი-

<sup>90</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 54—68.

<sup>91</sup> იქვე, გვ. 68—70.

<sup>92</sup> სინ. ხელნაწერი № 70.

<sup>93</sup> თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, 1896, გვ. 14—19; მისივე, Завещание царя Давида Воиницишители, 1895, 34 გვ.; ანდერძი დავით აღმაშენებლისა, ს. კაკაბაძის გამოც., 1912; ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედაქ., 1965, გვ. 12—18.

<sup>94</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 51—52; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 18—20.

<sup>95</sup> თ. ჟორდანიას, ისტ. საბ., გვ. 16; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 14.

<sup>96</sup> ზ. ჭიქინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, 1887, გვ. 30—31; А. Х а х а н о в, Очерки, II, გვ. 316; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, 1892, გვ. 243.

მიტრი მეფისა მწირველი, რომელიც, ეჭვს გარეშეა, ჩვენი არსენ ბერი უნდა იყოს. ამ ანდერძიდან ირკვევა, რომ არსენი ყოფილა დისწული ტბეთის ეპისკოპოსის პავლესი.... მას ჰყოლია ძმები: ნ ი კ ო ლ ო ზ ი, ქუთათელ მთავარეპისკოპოსი, ი ო ა ნ ე, ანჩელი მთავარეპისკოპოსი... და ან ტ ო ნ ი ოპიზის მონასტრის წინამძღვარი. თუ მართალია პ. ცხვილოელის მოსაზრება, რომ ოპიზის წინამძღვარი ანტონი არის ანტონ საღირისძე, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, რომელმაც თამარ მეფის კორნაციისას მას გვირგვინი დაადგა თავზე, უნდა ვიფიქროთ, არსენ ბერიც საღირისძე ყოფილა გვარად<sup>97</sup>. ეს მოსაზრება, რომელიც გაიზიარეს სხვა მკვლევრებმაც<sup>98</sup>, ტბეთის სახარების ანდერძით არ მართლდება. პავლე ტბელი წერს: „საყდარსა ტბეთისასა ისწინეს ძუელნი წიგნნი მრავალნი და ახალნი ყოლა არა. მრგულოანისა კითხვა საჭირო იყო და დიდად იჭირვოდეს. და დეაწერიე ესე ოთხთავი სრული და უნაკლულო კარგითა მართლითა ზანდუკითა და კანონითა სალოცველად ღმრთიე-გვრგვინსანთა მეფეთა: დიმიტრი—გამზრდელისა ჩემისა, გიორგი ძისა მათისა, და საესრად საწყალობელისა სულისა ჩემისა და მოსაესენებლად შშობელთა ჩემთათჳს, მიქელ და მარიამის, და ძმათა ჩემთა: გიორგი, თეოდორე და კონსტანტინე; დათა ჩემთა: ცხოვრება, გუარანდუხტ და ნონამს; დისწულთა ჩემთა: ნ ი კ ო ლ ო ზ — ქუთათელ მთავარეპისკოპოზისა და ა რ ს ე ნ ი — ქუთათელ მთავარეპისკოპოზისა, ი ო ა ნ ე — ანჩელი მთავარეპისკოპოზისა, ან ტ ო ნ — ოპიზისა წინამძღუარისა, ა რ ს ე ნ ი — დიმიტრის მეფისა მწირველისა და ყოველთა თჳსთა და ნათესავთა ჩემთათჳს“<sup>99</sup>.

აქ მოხსენებულ პირთა შესახებ პ. კარბელაშვილი წერს, რომ იოანე ანჩელი შემამკობელია „ანჩის პირის ღვთის ხატისა, რომელიც ღღეს თბილისში ასვენია“, ხოლო ანტონ ოპიზარი გვარად საღირისძეა, „დიდებული გვარისშვილი, შემდეგ ქუთათელი, რომელმაც 1184 წელს მეფედ ცხებულ თამარ მეფეს მიართვა გვირგვინი.... ნიკოლოზ და არსენ ქუთათელნიც საღირის ძენი არიან“. ამავე მოსაზრებისაა ე. თაყაიშვილი, ოღონდ ნიკოლოზის, არსენ ქუთათელისა და არსენ მწირველის შესახებ შენიშნავს: მათი ვინაობა სხვა წყაროებიდან ჩვენთვის უცნობიაო; ხოლო კ. კეკელიძე ფიქრობს: ნიკოლოზ, იოანე, ანტონი და არსენ მწირველი არიან ძმები საღირისძეებით (არსენ ქუთათელის ვინაობაზე ის არაფერს ამბობს). განსვენებულ მეცნიერს ამ ვარაუ-

<sup>97</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 307.

<sup>98</sup> ლ. მეჩაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, გვ. 137—138, 193, 381.

<sup>99</sup> „ივერია“, 1900, № 229; MAK, XII, 1909, გვ. 156—157; Q ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, II, გვ. 353—358.

დის საფუძველი არ ჰქონდა. პავლე ტბელს ჰყოლია სამი და — ცხოვრება, გურანდუხტი და ნონა. მათი შვილები არიან: ნიკოლოზ და არსენ ქუთათელები, იოანე ანჩელი, „არსენ დიმიტრი მეფისა მწირველი“ და ანტონ ოპიზარი. მათგან ვინ ვისი შვილია, არ ვიცით. ისინი ძმებადაც შეიძლება აღვიაროთ და დეიდაშვილებადაც. თუ არსენ მწირველი საღირსძეა გვარად, ვიღაა მეორე არსენი, რომელიც ქუთათელ მთავარეპისკოპოსადაა მოხსენებული? მათი მამისა (თუ მამების) ვინაობა ჩვენთვის უცნობია და, ცხადია, ვერც ერთ არსენს საღარისძედ ვერ მივიჩნევთ. ამ გვარის არსენს, როგორც მწერალს, ჩვენი ისტორია არ იცნობს. ასევე შეუძლებელია არსენ ბერი, დავით აღმაშენებლის უფროსი თანამედროვე, ვცნოთ იმ არსენ მწირველად, რომელიც დოკუმენტში მოხსენებულია დიმიტრი მეფისაგან ნახევარი საუკუნე მანც აცილებთ. არსენ ბერი XII საუკუნის 30-იან წლებში უნდა გარდაცვლილიყო, არსენ მწირველი კი გიორგი III-ის (1156—1184 წწ.) თანატოლი ჩანს და თამარის მეფობასაც მოესწრებოდა. ასე რომ, ეს ორი არსენი სხვადასხვა დროის ორი სხვადასხვა მოღვაწეა.

მაშ, ვინ არის არსენ ბერი?

მივმართოთ ტრადიციულ ცნობებს.

1. „აღორძინების ხანის“ ბიბლიოგრაფიულ წყაროებში არსენ ბერი, როგორც დამოუკიდებელი მწერალი და მოღვაწე, არ იხსენიება. იგი ყველგან დაკავშირებულია არსენ იყალთოელის სახელთან. მაგალითად, „წყობილსიტყვაობაში“ არ მოიპოვება არსენ ბერისადმი მიძღვნილი იამბიკო; ანტონ ბაგრატიონმა იცის, რომ ეს არსენი არის იყალთოელი, რომელიც საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა შიო-მღვიმეში (სტრ. 758):

შიო მმარბეელის სამხლოო საუნე

მოისიბრძნე შენ საცხოვრებლად, ა რ ს ე ნ ი.

2. დავით რექტორის ცნობით იყალთოელი „იყო მოძღვარი მეცნიერებისა მეფისა დავით აღმაშენებლისა. თუ განვიხილავთ ქართულისა «დიდისა სჯულის კანონისა» ბოლოს ამისგან (იყალთოელისაგან, — ი. ლ.) მიწერილსა დავით აღმაშენებლისა მიმართ ეპისტოლესა, თავს ასე იწყება: «ამისდა მომართ რასა სიბრძნის-მოყვარება» და შემდგომი...<sup>100</sup> მართლაც, დავით აღმაშენებლის ხოტბა „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“, რომელიც არსენ ბერს მიეწერება, იწყება ამგვარად: „ამათდა მომართ რასა იტყვი, რომელსა, ჰსიბრძნის-მოყვარება“....<sup>101</sup>

<sup>100</sup> Q 401, ფ. 25 (იხ. სიტყვა „არსენი“). ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს გეოგრაფია, 1941, გვ. 341.

<sup>101</sup> თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 68.

ამ ტრადიციული ცნობების სისწორეს ადასტურებს იყალთოელისა და არსენ ბერის შრომების ანალიზიც, აგრეთვე ბიოგრაფიული დეტალების დამთხვევა, საიდანაც ირკვევა, რომ არსენ ბერი და არსენ იყალთოელი ერთი და იგივე პირი ყოფილა. აი, ამისი სხვა წანამძღვრებიც:

3. დავით აღმაშენებლის მიერ 1123 წელს შიო-მღვიმისადმი მიცემული ანდერძით, არსენ ბერი მოღვაწეობს შიო-მღვიმეში: იქ ეკლესიის მშენებლობასა და სამონასტრო საქმეებს ხელმძღვანელობს. იყალთოელიც ცხოვრობს შიო-მღვიმის სავანეში. ამას ადასტურებს „დოღმატიკონის“ ცნობილი მინაწერი: „არსენისსა მისრული მღვიმეს (იგულისხმება შიო-მღვიმე, — ი. ლ.) იტყვს დავით მეფე: მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს არსენი დაროჯიდი ჭამა, მარჯუნასა გუერდსა ზედა წვა, ნოსელსა იკითხვიდა და დოღმატიკონსა აწამებდა და ცკლისა სოფია-წმიდასა იგივე მარტოჲ იქმოდა“<sup>102</sup>.

4. იმავე ანდერძში დავითი წერს: „მიბრძანეს სასომან ჩემმან ბერმან არსენი და თვთ სულიერმან ბერმან, მოძღუარმან ჩემმან იოანე, რათამცა წესსა ზედა სვიმეონ-წმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღვიმისა წესნი, რომელი მათ მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად შუენიერად“<sup>103</sup>. არსენის თხოვნით დავითს იმავე სვიმეონ საკვირველ-მოქმედის მონასტრისათვის შეუწირავს ხოდაბუნი: „სოხასტერი, ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის, გაუწესებია და მე ხოდაბუნი შემოწირავს მუხრანს წმიდისა სვიმეონ საკვირველ-მოქმედისადა... იგი, ვითარცა თვთ არსენი განაწესის, ეგრე იქმნას“<sup>104</sup>.

იბადება კითხვა: არსენ ბერი რატომ ასე გულმოდგინედ ზრუნავს სვიმეონ საკვირველ-მოქმედის მონასტრისთვის ან რატომ შემოიღო მან შიო-მღვიმეში შავი მთის სამონასტრო ტიბიკონი? ეს გასაგები გახდება მაშინ, თუ გავიხსენებთ, რომ იყალთოელი ორი ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობდა შავ-მთაზე, სვიმეონ საკვირველ-მოქმედის მონასტერში ეფრემ მცირესთან და კარგად იცოდა იქაური სამონასტრო წესები. ამიტომაცაა, რომ შიო-მღვიმეში არსენი ამყარებს ისეთსავე ლიტურგიკულ-დისციპლინარულ წესს, რომელიც არსებობდა თავისი მოძღვრის — ეფრემ მცირის სავანეში, და ზრუნავს თავისი ნაბინავარი სავანისთვის მატერიალური ბაზა შექმნას საქართველოში.

5. 1103 წლის საეკლესიო კრების განჩინებაში (ე. წ. „ძეგლის წერაში“), რომელიც დაწერილია არსენ ბერის მიერ, შემონახულა იყალთოელის შრომების ნაკვალევი.

102 S 1463, ფ. 181. თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ ეს არსენი უნდა იყოს არსენ II კათალიკოსი, მაგრამ ეს ვარაუდი შეუცდომაა (ქრონიკები, I, გვ. 246).

103 თ. ჟორდანიი, ისტ. საბ., გვ. 16; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 14.

104 ისტ. საბ., გვ. 17; ქართ. სამ. ძეგლები, II, გვ. 16.

ა. არსენ ბერი ქრისტეს შესახებ წერს: „იგი იყო პირმშო ყოვლისა აგებულისა, თავს იღვა პირმშო მრავალთა ძმათა შორის ყოფა“, ან: „არა-არსისაგან არსებად მომეყვანებელმან ღმერთმან უხილავთა მათ და ზესთა სოფლისათ ძალთა ბუნებაჲ უკუდავებითა და უხრწნელებითა შეამკო“<sup>106</sup>. ეს ფრაზები გამოძახილია მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიურ-ეგზეგეტიკური თხზულებისა „პირმშოჲსთჳს“, რომელიც უთარგმნია არსენ იყალთოელს და შეუტანია თავის ცნობილ „დოღმატიკონში“. ამ ძეგლში განმარტებულია, რატომ ეწოდება ქრისტეს „პირმშოჲ ყოვლისა აგებულისა“ (კოლასელთა I, 15) და „პირმშოჲ მრავალთა ძმათა შორის“ (რომაელთა VIII, 29). აქვე ვკითხულობთ ფილოსოფიურ-თეოლოგიულ მსჯელობას, თუ როგორ იქმნა „არა არსისაგან არსად მოყვანება“<sup>106</sup>.

ბ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა ე. გიუნაშვილმა გამოარკვია, რომ „ძეგლის წერის“ ერთ-ერთი წყარო ყოფილა „სჯულის კანონის“ იყალთოელისმიერი თარგმანი და კანონთა სია ორივე ძეგლში ერთნაირი თანმიმდევრობითაა დაცული<sup>107</sup>.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ: არსენ ბერი და არსენ იყალთოელი ერთი და იგივე პირია. არსენ იყალთოელი არის დავით აღმაშენებლის მოძღვარი და სახელმწიფო რეგენტი. მეფე და ფილოსოფოსი ერთნაირ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თვალსაზრისს ავითარებენ და შეთანხმებულად ეწევიან სახელმწიფოებრივ და სამწერლო მოღვაწეობას.

## 6. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

„ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ თხზულებათა შორის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, რომელსაც ჩვეულებრივ დავით აღმაშენებლის ისტორიას ვუწოდებთ, ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლია. მისი ავტორი დიდად განათლებული სასულიერო მწერალია; საუცხოოდ ჰფლობს ქართულ და ბერძნულ ენებს, იცნობს თავისი ეპოქის საქართველოს ცხოვრებასა და მწერლობას, იცის ქრისტიანული თეოლოგია, ბერძნულ-ბიზანტიუ-

<sup>106</sup> თ. უოტანია, ქრონიკები, II, გვ. 60.

<sup>106</sup> ი. ლოლაშვილი, მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიურ-ეგზეგეტიკური ტრაქტატი „პირმშოჲსთჳს“ (ძველი ქართ. მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 80—84).

<sup>107</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესიის თეზისები, 1964, გვ. 11—12.

რი ისტორიოგრაფია, მითოლოგია და პოეზია; აზროვნებს ფართოდ, ღრმად და ბრძნულად; მსჯელობს ნათლად და ენამზეობს ბრწყინვალედ.

ეს ისტორიკოსი დავით მეფის თანამედროვეა, თანადამხვედური თითქმის ყველა იმ ამბისა, რომელიც აღუწერია მას პირველი დიდი თურქობიდან (1080 წ.) დავითის გარდაცვალებამდე (1125 წ.); მეფესთან დაახლოებული პირიცაა: იცნობს მის ინტიმურ ცხოვრებას, სარგებლობს სამეფო ბიბლიოთეკით, სჩხრეკავს მეფის მიერ წაითხულ წიგნებს; იცის დავითის ცხოვრებიდან ზოგიერთი ისეთი რამ, რომლის მოწმეც შეიძლება მხოლოდ თვითონ ყოფილიყო.

„ცხოვრება“ დაწერილია დავითის გარდაცვალების უმალ, 1130 წლამდე, ე. ი. გელათის მშენებლობის დამთავრებამდე (ი. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის ვარაუდით 1123—1126 წლებში). ტექსტს აკლია შესავალი და ანდერძი, რომლებშიც დაცული იქნებოდა ბიბლიოგრაფიული (თუ სხვა ხასიათის) ცნობები თხზულების ავტორის, მისი მიზან-დასახულებისა და დაწერის თარიღის შესახებ. რაკი ამგვარი ცნობები არ მოგვეპოვება, მკვლევრები აღნიშნულ საკითხებზე ტექსტის შინაარსობრივი შესწავლის შედეგად გამოსთქვამენ მოსაზრებებს.

თ. ჟორდანია ვარაუდობს, რომ „ცხოვრება“ დაწერილი უნდა იყოს იოანე კათალიკოსის ან სვიმეონ ჭყონდიდლის მიერ. ის არსენ იყალთოელის ავტორობის შესაძლებლობას გამორიცხავს<sup>108</sup>.

ი. ჯავახიშვილი წერს: „ვინ იყო ის ისტორიკოსი, რომელმაც დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა აგვიწერა, ჯერჯერობით არ ვიცით. არც თვით ისტორიაში, არც სხვა რომელიმე წყაროში ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება“<sup>109</sup>.

ს. კაკაბაძე<sup>110</sup>, კ. კეკელიძე<sup>111</sup>, ლ. მენაბდე<sup>112</sup> და ჯ. ოდიშელი<sup>113</sup> ფიქრობენ, რომ „ცხოვრების“ ავტორია დავით აღმაშენებლის ანდერძებში მოხსენებული არსენ ბერი.

დღეს ჩვენს მეცნიერებაში ფეხს იდგამს უკანასკნელი მოსაზრება. მისი დასაბუთების ცდა ამ ორიოდე წლის წინათ მოგვცა ჯ. ოდიშელმა, მაგრამ იგი შემოიფარგლა მხოლოდ ლიტერატურული პარალელებით.

<sup>108</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. XLVI.

<sup>109</sup> ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტ. მწერლობა, 1945, გვ. 208.

<sup>110</sup> ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემატინეს ვინაობა, 1913.

<sup>111</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 309—314; II, გვ. 262—265.

<sup>112</sup> ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, გვ. 137—138, 193, 381.

<sup>113</sup> ჯ. ოდიშელი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, 1963, გვ. 211—220.



არსებითად მას არსენ ბერის ავტორობის სასარგებლოდ მტკიცე საბუ-  
თი არ მოუშველებია. ზევით გამოვარკვიეთ, რომ არსენ ბერი არის  
არსენ იყალთოელი. იყალთოელი კი, როგორც სამართლიანად შენიშ-  
ნავენ მკვლევრები, არ შეიძლება ვცნოთ დავით აღმაშენებლის ისტო-  
რიკოსად, რადგანაც ტექსტში ის მოხსენიებულია ქება-დიდებათ რო-  
გორც „თარგმანი და მეცნიერი ბერძენთა და ქართველთა ენათა და  
განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა“ (გვ. 356), წინააღმდეგ შემ-  
თხვევაში ის თავის თავის შექებას არ იკადრებდა.

მაშ, ვინ არის ის პირი, ვინც „დავითის ცხოვრება“ დაწერა? ნუთუ  
მისი სახელი ისტორიამ დაივიწყა? — ვფიქრობთ, არა! ცნობა დავითის  
ისტორიკოსის ვინაობაზე შემოუნახავს „ისტორიათა და აზმათა“ ავ-  
ტორს. მისი თხზულების დასაწყისში თამარ მეფის წინაპრებზე ნათქვა-  
მა (გვ. 3):

„ამად მისდა (იგულისხმება თამარი,—ი. ლ.) იქმნა გიორგი, მეფე  
მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა დავითცა ესეა ძედი, ძესა დავი-  
თიანისასა<sup>114</sup>, და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნ-  
ისა და ზღუართა დამდებელისა და ზღუათა[გან] ზღუამდის მპყრო-  
ბელისა, რომლისა დიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხოვრებასა აღ-  
მოაჩინეს იოვანე ფილოსოფოსისა ჰიმქიმელისა შესხმა-მითხრობა. დი-  
მიტრისა, მკნესა ჯდომათა შინა და მძლესა ბრძოლასა შინა, ორი ძე  
ებადა“....

ეს ტექსტი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში (განსაკუთრებით მა-  
რიამ დედოფლისეულ ვარიანტში) ძლიერ დამახინჯებულია. ამიტომ  
ერთხანს ნ. მარისთვის გაუგებარი იყო, ვის ეხებოდა ჰიმქიმელის „შეს-  
ხმა-მითხრობა“. იგი წერდა: „ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფ-  
ლისეულ ნუსხაში (გვ. 363—364) იხსენიება დავითისა თუ დიმიტრის  
შესხმა, რომელიც მიეწერება ფილოსოფოს იოვანე ჰიმქიმელს“<sup>115</sup>.  
რამდენიმე წლის შემდეგ მან ეს მოსაზრება შეასწორა ამგვარად:  
„По одному списку Грузинских летописей, «философу Иоанну  
Чимчимели» должно принадлежать недошедшее до нас «похваль-  
ное слово (შესხმა-მითხრობა) царю Димитрию (1125 — 1154),  
доблестному в нападениях и победоносному в боях»“<sup>116</sup>.

<sup>114</sup> კ. ე. ე. ე. ლ. ი. ძე წაკითხვას „ძესა დავითიანისასა“ ასწორებს როგორც „ძე-  
სა დავითიანსა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 54). ასეთი გასწო-  
რება მიუღებელია. მაშინ მომდევნო ამხსნელი სიტყვები („მეციხოვნისა“, „დამდებე-  
ლისა“ და „მპყრობელისა“), რომლებიც ნათესაობითის ბრუნვითაა მოცემული, უნდა  
შესწორდეს მიცემითის ბრუნვით („მეციხოვნისა“, „დამდებელსა“ და „მპყრობელსა“).  
ამის უფლებას კი არ გვაძლევს ხელნაწერთა ვარიანტები.

<sup>115</sup> ТР, IV, გვ. 26.

<sup>116</sup> Н. Марр, Иоанн Петрицкий, გვ. 5.

ეს განმარტება გაიზიარეს ი. ჯავახიშვილმა, ს. გორგაძემ, კ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვამ და ყველა იმათ, ვინც პეტრიწ-ჭიმჭიმელის შესახებ საერთოდ ნარკვევები გამოაქვეყნეს. კ. კეკელიძემ უცვლელად გაიმეორა ნ. მარის დებულება: „იოანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა აღმოაჩენს დიმიტრისა, მკნესა ჯდომათა შინა და მძლესა ბრძოლასა შინა“<sup>117</sup>.

„ისტორიათა და აზმათა“ ცნობის შინაარსი დასახელებულ მკვლევართა მიერ რამდენადმე შეცვლილია. ისინი აერთებენ ორი სხვადასხვა წინადადების წევრებს. სიტყვები „აღმოაჩენს იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა“ არის „რომელიც“—კავშირიანი ამხსნელი წინადადების დასასრული, ხოლო სიტყვები „დიმიტრისა, მკნესა ჯდომათა შინა და მძლესა ბრძოლასა შინა“ — მომდევნო წინადადების დასაწყისი. მათი ერთ წინადადებად გაერთიანება უმართებულო იქნებოდა. ეს შეცდომა „აზმათა“ კრიტიკულ გამოცემებში გასწორდა იმგვარად, როგორც ზევით დამოწმებულ ციტატშია. ამ გასწორებამ წინადადების აზრი შეცვალა, რის გამოც საჭირო გახდა ჭიმჭიმელის თხზულების რაობის ხელახალი განხილვა. ჩემს წინაშე აღიძრა ორი კითხვა: ვინ არის „შესხმა-მითხრობის“ ობიექტი და მოაღწია თუ არა ამ ძეგლმა ჩვენამდე?

ხსენებულ „შესხმა-მითხრობას“ ი. ჯავახიშვილმა უწოდა ჯერ „დიდი ისტორიული პოემა“<sup>118</sup>, მერმე—„დემეტრე I-ისა და მისი ძეების თავგადასავლისა და მოღვაწეობის აღწერილობა“<sup>119</sup>, პ. ინგოროყვამ — ვასილოღრაფი<sup>120</sup>. ცნობის მიხედვით, ეს საისტორიო ძეგლი „ისტორიათა და აზმათა“ მსგავსად ხოტბისა და ამბავთა შემცველი თხზულებაა. იგი უპირველესად „ცხოვრებაა“, რომელშიც მოთხრობილია მეფის დიდება, მხნეობა და გვაროვნული ჩამომავლობა. ის ამავე დროს წარმოადგენს ხოტბას. რაკი ამგვარი თხზულება დიმიტრი მეფეზე არ მოგვეპოვება, მკვლევრები „შესხმა-მითხრობას“ ჩვენამდე არმოღწეულ ძეგლად სთვლიან. ვფიქრობთ, ჭიმჭიმელს (ანუ პეტრიწს) დიმიტრი მეფის ცხოვრების ამსახველი თხრობა („თავგადასავლისა და მოღვაწეობის აღწერილობა“) საერთოდ არ დაუწერია. იოანე პეტრიწი, დავით აღმაშენებლის უფროსი თანამედროვე, შეუძლებელია დიმიტრი მეფის მთელი ცხოვრების მომსწრე და მემატრიანე ყოფილიყო.

„ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანილი სვინაქსარული საკითხავი „ცხოვრება დიმიტრი მეფისა“ (I, გვ. 365—367) დაწერილია

<sup>117</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 316.

<sup>118</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 657.

<sup>119</sup> მისივე, ძვ. ქართ. საისტ. მწერლობა, 1945, გვ. 245.

<sup>120</sup> პ. ინგოროყვა, თხზულებანი, I, გვ. 188.

„დავითის ცხოვრების“ მიხედვით. მის ავტორს ამ თხზულებიდან ამოუღია დიმიტრის გამეფებისა და ქალაქორის ციხესთან ბრძოლების ამბები. სხვა დანარჩენი ცნობები მას შეიძლება სცოდნოდა სამეფო ოჯახში დაცული ტრადიციული გადმოცემებიდან, ხოლო დიმიტრი მეფის დახასიათება თვით საკითხავის ავტორს უნდა შეეთხზა. ასე რომ, „დიმიტრი მეფის ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია არ არსებულა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში დაცული იქნებოდა, ან მისი კვალი სადმე აისახებოდა. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ცნობა ჭიმჭიმელის „შესხმა-მითხრობის“ შესახებ ეხება მხოლოდ „დავით აღმაშენებლის ცხოვრებას“. განვიხილოთ ეს ცნობა შინაარსობრივად:

„აზმათა“ ავტორი ზემოთ დამოწმებულ ციტატაში იხსენიებს ხუთ მეფეს: დავით აღმაშენებელს, დიმიტრის, დავითს, გიორგისა და თამარს. მათგან დავით აღმაშენებელი ცნობაში სახელდებით არ არის დასახელებული. ისტორიკოსი მას ეპითეტებით ამკობს. შინაარსიდან ჩანს, რომ „დავითიანი და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნე და ზღუართა დამდებელი და ზღუათაგან ზღუამდის მპყრობელი“ არის დავით აღმაშენებელი. თუ ამ ეპითეტების ნაცვლად ჩავსვამთ იმ პირის სახელს, რომელიც ციტატაში იგულისხმება, ჩვენი მსჯელობა დამაჯერებელი გახდება და „შესხმა-მითხრობის“ ობიექტიც გამოჩნდება. მწერალი ამბობს:

თამარის მამად იქმნა მეფეთ-მეფე გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსაც დავითცა ესეა ძედ, ძესა დავით აღმაშენებლისასა, რომლისა (ე. ი. დავითის) დიდებითა, სიმჭნითა და გვართა ცხოვრებას მოგვეთხრობს იოანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა „შესხმა-მითხრობა“.

სანამ ამის საფუძველზე სათანადო დასკვნას გამოვიტანდეთ, საჭიროა გავიხსენოთ „აზმათა“ ავტორის ერთი სტილისტური თავისებურება: მწერალი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადების რომელიმე წევრს ჰხსნის რამდენიმე „რომელიც“-კავშირიანი წინადადებით. მაგალითად, „(გიორგი მეფემ) დადვა თვთ მისით მონაგეპი და მისთა ტყუეთაგან მონაგეპი ციხესა შინა უჯარმოხსასა, რომელი აგებულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან, რომელსა შინა თვთ აღესრულა ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა“ (გვ. 17). აქ კავშირი „რომელსა“ ეხება არა „ვახტანგ გორგასალს“, არამედ „უჯარმის ციხეს“. ამის ანალოგიით შეიძლება გვეფიქრა, რომ ჭიმჭიმელის „შესხმა-მითხრობა“ ეხება დიმიტრი მეფეს და არა სხვა რომელიმე პირს, მაგრამ ეს შესაძლებლობა ამ შემთხვევაში გამორიცხულია, რადგანაც ჭიმჭიმელი დიმიტრის ცხოვრებას ვერ აღწერდა იმის გამო, რომ იგი მოესწრო მხოლოდ მისი მეფობის დასაწყისს. მაშასადამე, „შესხმა-მითხრობა“

აღმოაჩინეს დავით აღმაშენებლის „დიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხოვრებას“. ეს საისტორიო თხზულება არის ჩვენამდე მოღწეული „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, რომელიც თავისი შინაარსით, მართლაც, ამბავსა და ხოტბას შეიცავს. ასეთი ვარაუდი სრულიად ბუნებრივია და სინამდვილესთანაც ახლოსაა.

პეტრიწი დავითთან ძლიერ დაახლოებული პირი იყო. მას ექსპრომტად დაუწერია ლექსი, რომელშიც დავითი შედარებულია ფილოსოფოს თალესთან:

თუ თალი მილისეველმან სფერო შესახა შამსისი,  
მან ისტრულაბსა დასცა და მიდგა დაეიყა ჯაშშისი,  
დავით—ვთქვა—ზესთა განდიდნეს, მით ვრმალი ვორცსა სკამს მისი,  
აქლვეისებრ ძალითა მპყრობელად ელადს ჯამს ისი<sup>121</sup>.

დავითი დიდ პატივსაც სცემდა პეტრიწს: უგონებდა, სწყალობდა და მფარველობდა. ღვთის წყალობის სწორად „დავითის გამგონეობისა და წყალობათა და თანადგომისა მინდობილი“ იოანე ფილოსოფოსი მოღვაწეობდა გელათის აკადემიაში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შეიძლება ეს იოანე იყოს დავითის მოძღვარი, რომელიც მოხსენიებულია არსენ იყალთოელის გვერდით დავითისაგან შიო-მღვიმისადმი მიცემულ ანდერძში<sup>122</sup>, მაშინ ჩვენი მოსაზრება უფრო დამაჯერებელი გახდება.

ამას მხარს უჭერს ერთი სტილისტური თავისებურებაც, რომელიც დამახასიათებელია პეტრიწის ენისთვის. როდესაც იოანე ფილოსოფოსი რაიმე ვრცელ მსჯელობას ამთავრებს, ზოგჯერ იქვე ჩართავს ფრაზას ან გამოთქმას, რომლითაც ის მკითხველს ახალ მსჯელობაზე გადასვლას მიანიშნებს. მაგალითად: „ესე პროკლესთვს თანა წარვლის სახედ მივეციოთ საუწყოსა“ (შრომები, II, გვ. 5). „და ეს ამისთვს“ (გვ. 6), „აწ ესე ფრიად საჭირო ფრიად ცხადად დაიდუა“ (გვ. 9). „და ესე მყოფობითისა აობისათვს“ (გვ. 92). „ესე ესრეთ“ (გვ. 100) და სხვა. ამგვარსავე თქმებს ვხვდებით „დავითის ცხოვრებაშიც“. მაგალითად, „და ესენი ესრეთ და ფრიადცა უძვირეს“ (გვ. 321), „და ესე ესეოდენ“ (გვ. 342), „და ესეცა მცირელი მრავლისაგან თქმად შეუძლებელ“ (გვ. 353). სხვა სტილისტური მსგავსების მიგნება მომავლის საქმეა. ამჯერად კი ეს არ ჰქმნის დაბრკოლებას დავითის ისტორიკოსის ვი-

<sup>121</sup> ი. ლოლაშვილი, რუსთაველის ეპოქის ჩვენამდე არმოღწეული სალიტერატურო მემკვიდრეობის გარშემო, 1965, გვ. 6—7; ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1966, გვ. 227—228.

<sup>122</sup> თ. ქორდანიია, ისტ. საბ., გვ. 16—17; ქართ. სამ. ძეგლები, II, გვ. 14—16.

ნაობის დადგენისათვის, რადგანაც პეტრიწი რთული ფილოსოფიური ცნებებით მსჯელობს ფილოსოფიურ ნაშრომში, დედნის ენაზეა დამოკიდებული თარგმანში, ხოლო სადა და მარტივი თხრობით აღწერს ის ისტორიულ ამბებს.

ამრიგად, ჭიმჭიმელის „შესხმა-მათხრობა“, რომელშიც მოთხრობილი ყოფილა დავით აღმაშენებლის „დიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხოვრება“, არის ჩვენამდე მოღწეული ანონიმური „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. ეს ძეგლიც პეტრიწის კალმის ნაყოფია და მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში უნდა წაწვიხილოთ.

## 7. იეზუიტური და პეტრე ბელატიელი

XVIII—XIX საუკუნეების მწერლები დავით აღმაშენებლის თანამედროვეთა შორის ასახელებენ ვინმე „მამა იეზუიელს“, რომელსაც სახელი გაუთქვამს აკროსტიქული იამბიკოებით. ძველი ბიოგრაფიული ცნობები მასზე არ შენახულა. მხოლოდ ანტონ ბაგრატიონი წერს:

იეზუიელს ეიცნობთ თესით სიტყუებით —  
სხუასა პეტრიწსა, სხუას დიდსა იოანეს,  
სხუასა არსენის, ორთავე თანასწორსა,  
უცხოდ გამოშთქმელს, საკურველ პიიტოკოსს,  
ღმრთის-მეტყუელ-რიტორს, ჭეშმარიტს ფილოსოფოსს<sup>123</sup>.

პ. იოსელიანი დასძენს: „იეზუიელი ჰსცხოვრებდა 1140 წელსა. ამან გარდამოიღო ბერძნულიდამ დაუჯდომელი. ესე ვჰსცან ათონისა მთისა ძველი დაუჯდომელიდამ“ (იქვე). ზ. ჭიჭინაძე უმატებს: „მამა იეზუიელი სცხოვრობდა 1105—1149 წლებში.... ათონის მონასტერში აღიზარდა“, მცირე ხნით იერუსალემში მოღვაწეობდა, მერმე საქართველოში დაბრუნდა. მას საბა სვინგელოსის მეგობრად მიიჩნევენ<sup>124</sup>.

ამ ცნობათა სისწორეზე ვერაფერს ვიტყვი. თუ იეზუიელი საბა სვინგელოსის თანამედროვე იყო, მაშინ მას XIII საუკუნეში უნდა ემოღვაწა, რადგანაც საბა არსენ ბულმანისიმის ძისა და ვარდან აბუსერიძის თანამედროვეა<sup>125</sup>, მაგრამ ამჯვარ ვარაუდს ვერ დავუშვებთ, ვინაიდან არ ვიცით, ზ. ჭიჭინაძის ცნობა იეზუიელისა და საბას მეგობრობაზე რამდენად სწორია. ერთი რამ მაინც საგარაუდლოა: ალბათ, იეზუიელი მოღვაწეობდა XII საუკუნეში, დიმიტრი მეფის (1125—1154) დროს, რაკი XIII საუკუნეში ის უკვე ცნობილი მწერალი ყოფილა. თუ ტრადიციულ ცნობებს დავუჯერებთ, მას იმდენად დიდი სახელი ჰქონია მოხ-

<sup>123</sup> წყობილსიტყვაობა, სტრ. 766 და გვ. 266 (ზღრ.: კალმასობა, II, გვ. 178)

<sup>124</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართ. მწერ. XII საუკუნეში, 1887, გვ. 25.

<sup>125</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 329; ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, I, გვ. 391—393.

ვეჭილი, რომ მეორე პეტრიწსა და მეორე არსენს უწოდებდნენ. შ. ნუცუბიძე მას პეტრიწის ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლად აცხადებს.

იეზუიტების მემკვიდრეობიდან ცნობილია სამი იამბიკო<sup>126</sup>. ერთ-ერთ მათგანში შექმნილია პეტრიწი, როგორც „ნათელმყოფელი ალთა გულისათაჲ“.

✠ „კლემაქსის“ ლექსითს რედაქციას (ე. ი. „სათნოებათა კიბეს“) ერთ-ვის აკროსტიქული იამბიკო, რომელშიც პეტრიწი სთხოვს იოანე სინელს ღვთის წინაშე შუამდგომლობას: „მეოხმექმენ, მამაო იოვანე, მე — იოვანეს, მოსავესა შენსა“ (სტრ. 302). ამაზე იეზუიტი უპასუხებს: „შენნი იოხენ, მამაო იოანე“. ეს აკროსტიქი ხუთი ტაეპისგან შედგება. ყოველი მათგანი გაყოფილია ორ მუხლედად (5+7), რომელთა აკროსტიქული დასაწყის-დასასრული გვაძლევს ბოლო ტაეპს. ტექსტი შინაარსობრივად ბუნდოვანია. აი ესეც:

|        |          |         |            |             |
|--------|----------|---------|------------|-------------|
| იძღვენ | საცემნი, | ორფევის | კმათ       | დამქსნელნი, |
| ნათელ- | მყოფლო   | ალთა    |            | გულისათაო.  |
| ნივთთა | კერძ     | ხ       | მუსიკთ     | კმათასა     |
| ესე    | მიიღე    |         | აღმონაშენი | მშობელმან.  |
| შენნი  | იოხენ,   | მამაო   |            | იოანე!      |

ამ იამბიკოში იეზუიტი გვაწვდის ერთ-ერთ ძველსა და სანდო ცნობას პეტრიწის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე. ირკვევა, „კლემაქსი“, მართლაც, იოანე პეტრიწს გაულექსავს. მას ხელთ ჰქონია „საცემნი, ორფევის კმათ დამქსნელნი“ (ე. ი. საკრავი მუსიკალური ინსტრუმენტი) და ისე შეუთხზავს „ზესთა მუსიკთ კმათა“ უკეთესი იამბიკოები. ✠



დავით აღმაშენებლის უმცროს თანამედროვედ უნდა ვცნოთ გელათელი მოღვაწეც „მამა პეტრე“, რომელიც ჩვენს მეცნიერებაში ცნობილია პეტრე გელათელად. ანტონ ბაგრატიონი „წყობილისტიკაობაში“ მას აღწევებულ ქებას უძღვნის (სტრ. 768—769):

სტახნი პეტრესნი იეზუიელისთა,  
ან იოანესთ. ჰგუანან ფილოსოფოსის,  
ანუ არსენის იყალთოელის დიდის,  
ანუ ეფრემის ქართველთა მნათობთაჲსა.  
ესე კმა ქებად, მირწმუნე ესე, მსმენო!

<sup>126</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 306—307; ძველი ქართული ლიტ. ქრესტომათა, I, გვ. 379—380.

ვნახენ წერილი პეტრე ფილოსოფოსის,  
რიტორ-ყოფა ესკან, ღმრთის-მეტყუელ-აღძრევილ-ყოფა;  
მეშუენიერნეს, მელამაზ-მეკეთილნეს  
პიტიყანი პეტრე საკრველისნი.  
ამად მეც ქება ვსთქვი მისი მოკლეთ შინა 127.

პ. იოსელიანი ამბობს, რომ ეს „მამა პეტრე ასცხოვრებდა 1250 წელსა, დასაფლავდა გელათის მონასტერსა“. თუ რას ემყარება იგი, არ ვიცით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: პეტრეს მართლაც გელათში უმოღვაწეია, მხოლოდ არა 1250 წლის მახლობლად, არამედ გაცილებით ადრე, შეიძლება იეზუიტების დროსვე ან მასზე უწინ, რადგანაც XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე იგიც უკვე ცნობილი ავტორი ყოფილა.

პეტრე გელათელს მიაწერენ რამდენიმე თხზულებას<sup>128</sup> (მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ), ამიტომ პეტრეს ლიტერატურულ საქმიანობაზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი.

კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ერთადერთი შრომა პეტრესი, რომელსაც მისი სახელი აწერია, არის თარგმანი იოანე სინელის კლემაქსისა პატრიარქი ფოტის სქოლიოებითურთ (A 39)... ამ თარგმანიდან ნათლად ჩანს, რომ პეტრე მიმდევარი ყოფილა პეტრიწონული სკოლისა, რომლის ნორმებს ჩვენ ვხედავთ ამ თარგმანის ყოველ სტრიქონში“<sup>129</sup>. ახლა უკვე გარკვეულია, რომ არც ეს თხზულება ეკუთვნის პეტრე გელათელს<sup>130</sup>. მხოლოდ მას დაუწერია ორი იამბიკო ერთხუთეული. მათში შექმნილია იოანე სინელი და მისი თხზულების მთარგმნელი იოანე პეტრიწი. ეს ირკვევა თვით ხსენებული ორი იამბიკოს შინაარსობრივი ანალიზიდან და სხვა წყაროებთან მათი ცნობების შეპირისპირების საფუძველზე.

\* \* \*

როსებობს ანტონ ბაგრატიონის ცნობა (დაცულია „სპეკალში“), რომ იოანე პეტრიწმა ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო იოანე სინელის „კლემაქსი“ ორგვარად: „პირველი ვიდრემე განკარგულად, ხოლო მეორე — იამბიკოვანად“. ამ ცნობას იმეორებს დავით რექტორი: „მე უკვე მიხილავნ და წამიკითხავნ“ იოანე სინელის „კლემაქსა“,

<sup>127</sup> შდრ.: იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, II, გვ. 178.

<sup>128</sup> წყობი-სიტყვაობა, 1853, გვ. 267; ზ. ქიქინაძე, ქართული მწერლობა XIII—XVI საუკუნეებში, გვ. 2.

<sup>129</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 332—334. შდრ. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I, გვ. 538—539.

<sup>130</sup> ი. ლოლაშვილი, იოანე პეტრიწის ერთი „დაკარგული“ თარგმანისათვის (ლიტერატურული საქართველო, 1965, № 1.).

„სხოლასტიკოსად ზედწოდებული“, და ესევე „კლემაქსი“, „დალექსილი იროიკოდ და აკროსტინხორად კიდურ-წერილობით“. **ქ**

ისტორიკოს-მკვლევართაგან პ. იოსელიანი, მ. ჯანაშვილი და ს. გორგაძე აღნიშნავენ, რომ პეტრიწს უთარგმნია „კლემაქსი“ პროზად და გაულექსავს იამბიკოდ, მაგრამ პროზაული თარგმანი არა ჩანსოქჩვენ საგანგებოდ დაინტერესდით ამ დაკარგული თარგმანით. **ქ** აღმოჩნდა, რომ პეტრიწი ავტორია „კლემაქსის“ იმ პროზაული რედაქციისა, რომელიც აქამდე პეტრე გელათელს მიეწერებოდა. **ქ** ამ რედაქციის ტექსტი დიდხანს ცნობილი იყო მხოლოდ ერთი ნუსხით (A 39), რომელიც გადაწერილია პერგამენტზე ხუტურად დაახლოებით XII — XIII საუკუნეთა მიჯნაზე, მაგრამ „კლემაქსის“ ხელნაწერთა შესწავლისას გამოვლინდა ამავე რედაქციის სამი სხვა ნუსხაც. მათგან ორი (S 344 და H 2346) გადაწერილია ნუსხურად XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, მესამე (H 2188) — მხედრულად XIX საუკუნის დასაწყისში<sup>121</sup>.

ცნობა მთარგმნელის ვინაობაზე შემოუნახავს ორ ხელნაწერს — გვიანდელს (S 344) და უძველესს (A 39).

S 344-ე ნუსხის ფორზაცზე იკითხება დავით დადიანის მინაწერები: „ეფრემ მცირისა თარგმანისა ნათარგმანებად ვგონებ“ და „ემოქენობ მოტევენას, ჰოი, სამღვთოვ ფილოსოფოსო იოვანე (იგულისხმება პეტრიწი, — ი.ლ.), ამაღ რომე ნაშრომი შენი სხვათა ნათარგმანებად ვგონე“<sup>122</sup>.... დავით დადიანს „კლემაქსის“ მთარგმნელად ჯერ ეფრემ მცირე მიუჩნევია, მაგრამ მალე ეს შეცდომა გაუსწორებია და თხზულების მთარგმნელად პეტრიწი უცვნია. თუ რა წყაროს ემყარებოდა დ. დადიანი, არ ვიცით, მაგრამ ის უცნობი წყარო სანდო უნდა ყოფილიყო, რაკი მის ნამდვილობას სხვა ძველი ცნობები ადასტურებენ.

A 39 ხელნაწერის 219-ე ფურცელზე მოთავსებულია ორი იამბიკო, რომლებიც შეუთხზავს პეტრე გელათელს იოანე პეტრიწისა და „კლემაქსის“ ავტორის საქებრად. ის იამბიკოები ჩასმულია წითურად შესრულებულ მრგვლივ-წარწერებში<sup>123</sup>. პირველის გარშემო იკითხება: „კიბე განსთალე გდევ ველ გელათს ნაგები“, მეორის გარშემო — „პეტრე წერდ(ა). ვე ცად დაცევად-რე წერტე!“. მათ ქვეშ წითურად დართულია შენიშვნა: „წითელთა მრგულივთა მრჩობლ-მკითხველი არა სცთე“.

<sup>121</sup> S ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 398—399; H ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, V, გვ. 134 და 238.

<sup>122</sup> S ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 399.

<sup>123</sup> ტექსტები გამოაკვეყნა ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა (ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, I, გვ. 394).



მრგვლივ-წარწერები ისეა შედგენილი, რომ ორივე მრჩობლად იკითხება — მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც. წარწერებში ჩართულია ქართული ასოებით ციფრები, რომლებიც მიანიშნებენ საეკლესიო სიმბოლურ ცნებებს. ამიტომ მწერალი მკითხველს აფრთხილებს: დაკვირვებით წაიკითხეთ, არ შესცდეთო.

პირველი მრგვლივ-წარწერა ეხება „კლემაქსის“ მთარგმნელს. მასში ჩართულია ერთი შეხედვით გაუგებარი „გღევ ვედ“. ეს ნიშნავს „3456 654“-ს. მათი ჯამი უდრის 33-ს. წარწერის აზრი ასეთია: „კიბე განსთაღე ჳმ გელათს ნაგები“. „ოცდაცამეტი“ ქრისტეს წლოვანების აღმნიშვნელი ციფრია. მწერალს ქრისტეს ცხოვრების თვითეული წელი სიმბოლურად ესახება სასუფეველში ასამაღლებელი კიბის საფეხურად.

მეორე მრგვლივ-წარწერა ეხება საკუთრივ პეტრეს, იამბიკოების ავტორს. იგი პირველთან შედარებით რთული გასაშიფრია. კ. კეკელიძე და ს. ყუბანეიშვილი მის პირველ ნაწილს კითხულობენ ასე: „პეტრე წერ(ა)დ ვეცადე“.... ხელნაწერშია: „წერდ“. ვილაცას რ-სა და ღ-ს შორის ზევიდან შავი მელნით მიუწერია ე. უნდა იყოს — „წერდა“ (თუ ა-ს ჩაეაგდებთ, წარწერაში დაირღვევა მრჩობლად დაწერილობის პრინციპი). „ვე“ და „ცად“ შეიძლება გაგვეშიფრა ორგვარად: „ვეცად“ (ე. ი. ვეცადე) ან „ვიდრე ცად“, მაგრამ არც ერთი მათგანი კონტექსტის შინაარსს არ ეფარდება. „ვე“ იგივეა, რაც 6+5, ე. ი. 11 (თერთმეტი). თეოლოგთა წარმოდგენით, დედამიწიდან სასუფეველამდე არსებობდა თერთმეტი ცა: შვიდი — მნათობისა, მერვე — ვარსკვლავთა ცა, მეცხრე — მეორე მძვრელი ცა, მეათე — პირველი მძვრელი ცა, სულ ზევით მეთერთმეტე — გარეგანი ცა-სამყარო, რომელსაც გარს ერტყმის სასუფეველი<sup>124</sup>. პეტრე გელათელი ამ თერთმეტ ცა-სარტყელს გულისხმობს გამოთქმაში „ვე ცად“. წარწერის შინაარსი მიახლოებით ასე უნდა გავიგოთ: „პეტრე წერდა. 11 ცად დაცევად-რე წერტე (კალმით ქალაღი)“. ამგვარ წაკითხვას ამართლებს პირველი იამბიკოს აკროსტიქულად თქმული თხოვნა: „კიბედ, ვინაჲ ცად მიაღლენ, წარმიმართე“.

პეტრე გელათელის ცნობით, ის მოღვაწე, რომელმაც მთარგმნა „კლემაქსი“ (ანუ „კიბე განსთაღა 33 გელათს ნაგები“), არის იოანე პეტრიწი, ამას ის მეორე მრგვლივ-წარწერაში ზმურად მიგვანიშნებს (შდრ.: „პეტრე წ...“ და „პეტრიწი“). უფრო მკაფიოდ პეტრიწის მთარგმნელობას ამჟღავნებს წარწერაში მოთავსებული იამბიკო:

<sup>124</sup> იხ. საბასთან ცის განმარტება.

აპა, შენთაცა, დიღო, იქართლეს კუალად  
კიბე ხარისხთა, ცად მყვანთა, იოანნი,  
თნებისა ლექსთა, ქრისტეს ქუე-სწორ ჟამ-რიცხუთა,  
შენ სულ-სახელმან, შენ ღუშუმან, ინებე რა  
სძლის ყვანა მათი, პეტრესგან ნერგულიხა.

კ. კეკელიძე შენიშნავს, რომ ეს იამბიკო „უფრო მკაფიოდ პეტრეს მთარგმნელობას ამჟღავნებსო“. ჩანს, განსვენებულ მეცნიერს გამოთქმა „პეტრესგან ნერგულიხა“ გაუგია როგორც „პეტრესგან თარგმნილისა“. მაგრამ ეს გაგება არაა სწორი. აქ მოხსენებული პეტრე არ არის გელათელი; იგი პეტრე მოციქულია. გამოთქმა დაკავშირებულია სიტყვასთან „სძლის“, ხოლო „პეტრესგან ნერგული სძალი“, თეოლოგთა ენით, ნიშნავს მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომელიც ქრისტემ დააფუძნა პეტრე მოციქულზე, როგორც „კლდესა ზედა სიმტკიცისასა“. გაიხსენეთ პეტრესადმი მიმართული სიტყვები: „შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი“ (მათე 16, 18).

იამბიკოს შინაარსი ასეთია: „დიღო იოანე (იგულისხმება პეტრიწი, — ი. ლ.), შენს მიერაც კვლავ გაღმობთარგმნა ქართულად („იქართლეს“) ცად ამყვან სათნობათა (მიმნიჭებელი) თხზულება — ქრისტეს წლოვანების რიცხვთა სწორი საფეხურების (შემკველი) კიბე, როდესაც შენ, სრულიად სახელოვანმა და ღვაწლმისილმა, ინებე პეტრე მოციქულის მიერ ნერგული ეკლესიის (ცად) ამადლება (აღორძინება)“.

ამრიგად, „კლემაქსის“ ის ქართული პროზაული თარგმანი, რომელიც შემოუნახავს A 39 ხელნაწერს, ეკუთვნის იოანე პეტრიწს, პეტრე გელათელს კი — მხოლოდ ის იამბიკოები, რომლებიც დართული აქვს დასახელებულ თარგმანს.

\* \* \*

ყველა ზემოთქმულის შემდეგ ჩვენი დასკვნები ასეთია:

1. იოანე ფილოსოფოსი ჭიმჭიმელი და იოანე ფილოსოფოსი პეტრიწი ერთი და იგივე პირია. „ჭიმჭიმელი“ იოანეს გვარია, „პეტრიწი“ — ზედწოდება.

2. „იოანე საღმრთოდ ფილოსოფოსი და ჯორციელად ღრამატიკოსი“, რომელიც დაჰხმარებია ეფრემ მცირეს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომების ქართულად თარგმნაში, არის იოანე პეტრიწი. XI საუკუნის 90-იან წლებში ეფრემ მცირესა და პეტრიწს ერთად უმოღვაწენიათ შავ-მთაზე.

3. იოანე ფილოსოფოსს არ უმოღვაწენია პეტრიწონის ქართველთა მონასტერში. ზედწოდება „პეტრიწი“ არ ნიშნავს „პეტრიწონელს“.

4. ამონიოს ერმისის თხზულებანი „მოსაქსენებელი ზუთთა ჳმა-  
თადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაქსენებელი ათთა კა-  
ტილორიათადმი არისტოტელისთა“ თარგმნილია იოანე პეტრიწის მიერ.  
მათი თარგმნა შეცდომით მიეწერება იოანე ტარიქისძეს — მოღვაწეს,  
რომლის ვინაობა და შემოქმედება ჩვენთვის უცნობია.

5. არსენ ბერი და არსენ იყალთოელი ერთი და იგივე პირია.  
არსენ ბერი არ არის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. „აზმათა“  
ავტორის ცნობით, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ დაუწე-  
რია იოანე ფილოსოფოს ჳიმჭიმელს (ანუ პეტრიწს).

6. „კლემაქსის“ მეორე ჳართული პროზაული რედაქცია, რომე-  
ლიც მიეწერებოდა პეტრე გელათელს (A 39), ეკუთვნის იოანე პეტ-  
რიწს.

7. პეტრიწის სალიტერატურო მემკვიდრეობის შესწავლისა და  
სწორი შეფასებისათვის აუცილებელია აღნიშნული ისტორიულ-ფი-  
ლოლოგიური რასკენების გათვალისწინება.

იოანე პეტრიწის სალიტერატურო მოღვაწეობა

იოანე პეტრიწის სალიტერატურო მოღვაწეობა მრავალმხრივია: მისი კალამი შეეხო ძველი ქართული მწერლობის ყველა დარგს, განსაკუთრებით — ფილოსოფიას, ისტორიოგრაფიას, ბიბლიოლოგიას, აგიოგრაფიას, ეგზეგეტიკასა და ასკეტიკა-მისტიკას. მწერალმა დაგვიტოვა ორიგინალური და თარგმნილი თხზულებანი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქართული ენისა და აზროვნების, მეცნიერებისა და მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში; პეტრიწმა შექმნა ლიტერატურული მიმდინარეობა, ე. წ. პეტრიწული სალიტერატურო სკოლა; მანვე შეიმუშავა ორიგინალური ფილოსოფიური სტილი და მეცნიერული ტერმინოლოგია.

პეტრიწის სალიტერატურო მემკვიდრეობის აღრიცხვა, გადაწერა და შესწავლა დაიწყო XVIII საუკუნეში. ანტონ ბაგრატიონმა შეადგინა მისი ძირითადი ნაწერების ნუსხა, რომელიც საფუძვლად დაედო სხვა მწერალ-ისტორიკოსთა (იოანე ბაგრატიონისა და პ. იოსელიანის) მიმოხილვებს.

1909 წელს პეტრიწის შრომების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა დაბეჭდეს ნ. მარმა<sup>1</sup> და მ. ჯანაშვილმა<sup>2</sup>, 1923 წელს — კ. კეკელიძემ<sup>3</sup>. მკვლევრებმა განიხილეს პეტრიწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი საკითხები; მისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოძღვრება ფართოდ გააშუქეს შ. ნუცუბიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, მ. გოგიბერი-

<sup>1</sup> Н. Марр, Иоанн Петрищский, გვ. 4—5.

<sup>2</sup> მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, გვ. XI—XVII.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 1923, გვ. 301—310; 1960, გვ.

ქემ, გ. კალანდარიშვილმა, შ. ხიდაშელმა და სხვა მკვლევარებმა<sup>4</sup>. მათ ბევრი საინტერესო საკითხი აღძრეს, ზოგი მათგანი შესანიშნავადაც გაარკვიეს. მიუხედავად ამისა, მაინც არ შეგვიძლია პეტრიწის სალიტერატურო მემკვიდრეობის მთლიანად გათვალისწინება, რადგანაც თხზულებების ერთი ნაწილი დაკარგულია, ერთი ნაწილიც (მაგ., აგიოგრაფიული და ბიბლიოლოგიური ნაშრომები) ძველ ქართულ ანონიმურ ხელნაწერებშია მისაკვლევია. მათ აღმოსაჩენად საჭიროა არა მარტო პეტრიწის მოღწეული ნაშრომების შესწავლა, არამედ XI—XII საუკუნეების მეტაფრასულ-აგიოგრაფიული, პიმნოგრაფიული და ბიბლიოლოგიური ლიტერატურის ხასიათისა და რაობის გამოკვლევაც. ეს კი ამჟამად ჩვენს შესაძლებლობას აჭარბებს. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: დღეს უფრო მეტის თქმა შეგვიძლია პეტრიწის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, ვიდრე აქამდე შეიძლება თქმულიყო. ჩვენი ფილოლოგიური ძიების შედეგად მის ცნობილ მემკვიდრეობას შეემატა რამდენიმე ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაშრომი. (ამონიოს ერემისის „მოსაგსენებელი ხუთთა ჭმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“, მისივე „მოსაგსენებელი ათთა ჭმათადმი არისტოტელისათა“, იოანე სინელის „კლემენტის“ მეორე პროზაული რედაქცია, თეოფილაქტე ბულგარელის „თარგმანებაჲ სახარებათაჲ“<sup>5</sup>) და ერთი საისტორიო თხზულება („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“), რომლებიც უწინ შეცდომით სხვა ავტორებს მიუწერებოდა და ისწავლებოდა პეტრიწის ლიტერატურული მემკვიდრეობისაგან დამოუკიდებლად. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ პეტრიწის ყველა შრომას (თარგმნილსა და ორიგინალურს) დარგობრივად და თან შევეცდებით დავახასიათოთ მისი სალიტერატურო მოღვაწეობის ძირითადი პერიოდები.

<sup>4</sup> შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, იოანე პეტრიწი და მისი «განმარტება» (იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. IX—CXII; შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 102—211); მისივე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, გვ. 23—158; Ш. Нуцубидзе, История грузинской философии, გვ. 272 — 373; ს. ყ ა თ ხ ი შ ვ ი ლ ი, შესავალი წერილი (იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. XCIV—LXXXVII); მისივე, ბიზანტური ლიტერატურის ისტორია, გვ. 261—264; მ. გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე, იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა (იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. XI—XCIV; ოღნაე შემოკლებით იხ. წიგნში: მ. გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, გვ. 129—216); И. Д. Пашхавя, Иоанн Петрици и его мировоззрение (წიგნში: Иоанн Петрици, Рассмотрение платоновской философии, 1942, გვ. 3—87); შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, იოანე პეტრიწი, 1956; Ш. Хидашели, Основные мировоззренческие направления в феодальной Грузии, გვ. 293—350; Г. М. Каландаришвили, Очерки по истории логики в Грузии, Тб., 1952; А. О. Маковельский, История логики, М., 1967, გვ. 225—228.

## 1. იოანე პეტრიწის ფილოსოფიური შრომები

1 იოანე პეტრიწს ყველაზე დიდი ამაგი ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში მიუძღვის. მან ეს დარგი აამალა ბერძნულ-ბიზანტიური ფილოსოფიის განვითარების დონემდე და ქართველ და მეზობელ ხალხთა შესწავლის ობიექტად აქცია. ამდენად, ბუნებრივია, რომ პეტრიწის სალიტერატურო მოღვაწეობის განხილვას უპირველესად მისი ფილოსოფიური შრომებიდან ეიწყებთ.

პეტრიწმა ბერძნული ანტიკური ფილოსოფია მანგანის აკადემიაში შეისწავლა. ეს აკადემია 1042—1045 წლებში დააარსა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომაქმა (1042—1054 წწ.); ტერიტორიულად მოთავსებული იყო კონსტანტინეპოლში, წმიდა გიორგის სახელობის მონასტერში. იმპერატორი დიდად ზრუნავდა ბიზანტიაში მეცნიერული ცოდნის განვითარებისათვის და ცდილობდა, რომ აკადემიაში მაღალკვალიფიციური კადრები მიეზიდნა. ლექციებს კითხოვლობდნენ ფილოსოფიის იპატი მიქაელ ფსელოსი (1018—1079 წწ.), იურისტი იოანე ქსიფლინოსი, მკვებრმეტყველი ნიკიტა გრამატიკოსი და მოძღვარი შავროპოლი. ესენი მსმენელებს ასწავლიდნენ ფილოსოფიას, იურისპრუდენციას, რიტორიკას, გრამატიკასა და ბუნებისმეტყველების დარგებს. მანგანის აკადემიას მათ სახელი გაუთქვეს არა მარტო ბიზანტიაში, არამედ უცხო ქვეყნებშიც; იგი გადააქციეს ბიზანტიური რენესანსის მძლავრ კერად, სადაც სასწავლებლად მიდიოდნენ ახალგაზრდები დასავლეთ ევროპიდან. სლავიანური ქვეყნებიდან, ბალდადისა და ეგვიპტის სახალიფოებიდან და საქართველოდანაც.

XI საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც მანგანაში სწავლობდნენ პეტრიწი და იყალიოელი, ფილოსოფიის იპატად მოღვაწეობდა იოანე იტალი, ცნობილი ფილოსოფოსი და გრამატიკოსი (დაიბადა 1025 წ.). იგი წარმოშობით იყო იტალიელი; ერთხანს სიცილიაში ცხოვრობდა; სამხედრო ხელოვნებას სწავლობდა; შემდეგ კონსტანტინეპოლში წაიიდა და მიქაელ ფსელოსს დაემოწაფა; იქ თავისი ნიჭითა და მკვებრმეტყველებით გზა გაიკაფა სამეფო კარისაკენ; აკადემიაში მან ღირსეული ადგილი დაიჭირა. როცა მიქაელი ბერად შედგა, ი. იტალი ფილოსოფიის იპატოსად დანიშნეს. იგი მსმენელებს ასწავლიდა პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონიკოსთა და პერიპატოელთა ფილოსოფიას; განმარტავდა არისტოტელეს, პლატონის, პროკლეს, პორფირისა და იამბლიხოსის ნაწერების ძნელოვან ადგილებს; განსაკუთრებით დიდ ღროს ანდომებდა ლოგიკური შრომების (კერძოდ, „ორგანონის“) კომენტარებს. მისი მიზანი იყო, არისტოტელეს ფილოსოფიურ-ლოგიკური მოძღვრებით დაესაბუთებინა ქრისტიანული დოგმები და საერთოდ ანტიკური იდეალისტური ფილოსოფია ჩაეყენებინა ქრისტიანული თეოლო-

გის სამსახურში. ი. იტალი უშვებდა მატერიის მუდმივობასა და უსასრულობას, მაგრამ უარყოფდა სამყაროს მუდმივობას; ამტკიცებდა, რომ ქვეყანა შექმნილია მატერიიდან იდეების შესაბამისად; უარყოფდა მართალთა და ცოდვილთა გასამართლებას და ცოდვილთათვის სამაგიეროს მიზღვას. ასეთი აზრების გამო 1083 წლის მახლობლად მას ბრალი დასდეს მწველებლობაში, გაასამართლეს და მონასტერში გამოამწყვდის; მის მიმდევრებს კი ღვეწა დაუწყეს<sup>5</sup>.

პეტრიწი მანგანის აკადემიაში ი. იტალის მიმდევარი გამხდარა. ის თავისი მოძღვრისაგან დიდად დაფასებული მსმენელი ყოფილა. სწავლების პროცესში მოძღვარი და მოწაფე ერთმანეთს ისე დააბლოვებინან, რომ მათი ურთიერთობა მეგობრობაში გადაზრდილა. ტრადიციული ცნობა, რომ პეტრიწი „ოცდაათთა წელთა შინა ბერძენთა სამეუფოსა ქალაქსა კოსტანტინუპოლეს შინა (ესე იგი ვიზანტიასა) მოძღვრად დაიღვინა“, არ უნდა იყოს სინამდვილეს მოკლებული. რაკი მას მანგანაში მიუღია ფილოსოფოსის წოდება, მაშასადამე, ის ფილოსოფიის მოძღვრადაც ყოფილა. შ. ნუტუბიძე ფიქრობს, რომ იტალსა და პეტრიწს ერთად მოღვაწეობის დროს დაუწერიათ ფილოსოფიის სახელმძღვანელო „სხვადასხვა ძიებანი“. ეს წიგნი პეტრიწის პირველ სამეცნიერო შრომად შეიძლება ჩაევალოთ, თუკი შ. ნუტუბიძის მოსაზრება სწორია (ამას შემოწმება უნდა)<sup>6</sup>.

ჟ პეტრიწს ი. იტალისგან კარგი ფილოსოფიური ცოდნა მიუღია. ის საუტყბოდ გაწაფულა ლოგიკის მეცნიერებაში, დიდი ინტერესი აღძვრია არისტოტელესა და მის კომენტატორთა თხზულებების შესწავლისადმი. სავარაუდოა, რომ მას იტალის ხელმძღვანელობით (თუ შთაგონებით) უნდა დაეწყო არისტოტელეს თხზულებათა თარგმნაც. აქვე ის უნდა დაინტერესებულიყო თეოფილაქტე ბულგარელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შრომით, რომელსაც „სახარებათა თარგმანება“ ეწოდება პროგორც აღვნიშნეთ, ეს შრომა თეოფილაქტემ მარიამ დედოფლის დავალებით დაწერა. მარიამი იყო ქართველთა მეფის — ბაგრატის

<sup>5</sup> Анна Комнина, Алексиада, М., 1965, გვ. 171—176; გეორგიკა, VI, გვ. 93—106; Н. Скабаланович, Византийская наука и школы в XI веке, Христианское чтение, 1884, № 3—4, გვ. 344—369; № 5—6, გვ. 730—770; Ф. Успенский, Очерки по истории византийской образованности, СПб., 1892; К. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, I, გვ. 433—445; F. Fuchs, Die höheren Schulen von Konstantinopel im Mittelalter, Leipzig—Berlin, 1926; აგრეთვე ქართველ მეცნიერთა ზევით დასახელებული ნაშრომები.

<sup>6</sup> შ. ნუტუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 306—310.

ასული; თავის გარშემო იკრებდა ბიზანტიაში მყოფ განათლებულ ქართველებს, რომელთა შორის, ეკვი არაა, იქნებოდა ახალგაზრდა პეტრიწი. ალბათ, პეტრიწი თეოფილაქტეს პირადადაც იცნობდა, როგორც ამას ვარაუდობდა 1918 წელს კ. კეკელიძე<sup>7</sup>. ბიზანტიაში ყოფნის დროს იოანეს ისეთი ფილოსოფიური ცოდნა გამოუვლენია, რომ იგი ბერძენთა და ქართველთაგან საყოველთაოდ აღიარებულ მოაზროვნედ უცვნიათ. იტალი პეტრიწს უწოდებს „აფხაზ გრამატიკოსსა“ და „უაღრესაჲ სწავლულ კაცს“, ხოლო ეფრემ მცირე—„საღმრთო ფილოსოფოსსა და ჯორციელად ღრამატიკოსს“. პეტრიწის განსწავლულობას ისიც მეტყველებს, რომ ეფრემ მცირეს, ხანდაზმულ მეცნიერსა და მთარგმნელს, ეს ახალგაზრდა ფილოსოფოსი მოძღვრად აუყვანია. იოანეს ადრინდელი ნაწერებიდან ჩვენამდე მოაღწია თეოფილაქტე ბულგარელის თხზულების ქართულმა თარგმანმა. სხვა შრომები დაცარგულია.

\* \* \*

პეტრიწის მოღვაწეობის მეორე პერიოდი განისაზღვრება შავ-მთაზე ეფრემ მცირესთან თანამშრომლობით.

შავი მთის სვიმეონ საკვირველ-მოქმედის მონასტერი — ქართული მწერლობის ეს ძლიერი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა ბევრ მოღვაწეს იზიდავდა. თითქმის XI საუკუნის მთელ მანძილზე (განსაკუთრებით კი მის მეორე ნახევარში) აქ გაჩაღებული იყო დიდი ლიტერატურული საქმიანობა: ითარგმნებოდა და ითხზებოდა იმდროის საქრისტიანო მსოფლიოში ცნობილი თხზულებები და თანდათანობით ეყრებოდა საფუძველი ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მწერლობას. ამ საქმიანობას სათავეში ედგნენ გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირე. მათი ხელმძღვანელობით იქმნებოდა ყოველგვარი პირობა სამონასტრო და სამწერლო მოღვაწეობისათვის. XI საუკუნის 80—90-იან წლებში შავი მთის ქართველთა მონასტერი იმდენად გაძლიერდა, რომ იგი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სამწერლო ცენტრებს შორის იქცა ყველაზე მნიშვნელოვან კერად. მის გაძლიერებას ხელი შეუწყო ნაწილობრივ იმ გარემოებამ, რომ დიდი თურქობის გამო ტაო-კლარჯეთიდან აიყარნენ ქართველი მოღვაწენი და თავი შეაფარეს შავ-მთას, სადაც მათ დახვედათ შესანიშნავი პირობები სამწერლო საქმიანობისათვის. ამ ქართველთა შორის უნდა ყოფილიყო ოპიზაში ბერად შემდგარი, მაშინ უკვე სახელმოხვეწილი ფილოსოფოსი პეტრიწიც. შავ-მთაზე იოანეს ეფრემ მცირესა და არსენ

<sup>7</sup> კ. კეკელიძის ღვაწი, წერილი (პრობლემა, 1918, № 1, გვ. 62—70).



იყალბოელთან ერთად დაუწყია ლიტერატურული თანამშრომლობა. მონაწილეობა მიუღია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებათა ქართულად თარგმნაში (როგორც ეს ზევით გავარკვეით), უთარგმნია ამონიოს ერმიის ორი თხზულება — „მოსაქსენებელი ათთა წმთა-დმი არისტოტელისთა“ და „მოსაქსენებელი ხუთთა წმთადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“, რომელთაც დიდი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული შუა საუკუნეების „გარეშე“ (ანუ საერო) და ქრიატიანულ-თეოლოგიურ ფილოსოფიაში.

არისტოტელეს „კატეგორიები“, რომელიც „ორგანონის“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, ისწავლებოდა პერიპატეტიკულ და ნეოპლატონიკურ სკოლებში. იმ მიზნით, რომ თხზულება ადვილი შესასწავლი ყოფილიყო, მის ძნელოვან ადგილებს განმარტავდნენ. „კატეგორიების“ ერთ-ერთი ადრინდელი კომენტატორი არის პორფირი ფილოსოფოსი (232—301 წწ.) ნეოპლატონიკური ფილოსოფიის მამამთავრის — პლოტინის (204—270 წწ.) მოწაფე. მოღვაწეობდა რომში; წერდა პლატონისა და არისტოტელეს თხზულებათა განმარტებებს და განსაკუთრებული მონღომებით სწავლობდა ლოგიკას. „კატეგორიების შესავალი“ დაუწერია მას ვილაც ხურისაორიეს თხოვნით, როგორც პასუხი კითხვისა, თუ როგორ უნდა გავიგოთ არისტოტელეს მოძღვრება კატეგორიებზე. ამ შრომამ დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი ღროის ლოგიკოს-კომენტატორებზე, უფრო კი იმ ფილოსოფოსებზე, რომლებიც „ორგანონის“ შესწავლითა და თარგმანებით იყვნენ დაინტერესებულნი. V საუკუნის მეორე ნახევარში ალექსანდრიის ნეოპლატონიკურ სკოლაშიც ფართოდ ისწავლებოდა არისტოტელეს „კატეგორიები“ და პორფირის „შესავალი“. ცნობილმა ნეოპლატონიკოსმა ამონიოს ერმიას ძემ (პროკლე დიადოხოსის მოწაფემ) დაწერა ამ ორივე შრომის „კომენტარები“, რომელიც, ალბათ, ალექსანდრიულ სკოლაში სახმარ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. ეს კომენტარები გამოქვეყნდა ორ წიგნად და ფართოდ გავრცელდა ფილოსოფოსთა და თეერლოგოსთა წრეებში<sup>8</sup>. ითარგმნა სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულზეც.

<sup>8</sup> ამონიოსის შრომები გამოცემულია სერიაში: *Commentaria in Aristotelem graeca*, IV, ნაკვ. 3—6, G. Verbeke. Ammonius, *Commentaire sur le Peri Hermeneias d'Aristote*, Traduction de G. Moerbeke, Louvain, 1961. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე იხილეთ: K. Krumbacher, *Gechichte der byzantinischen Literatur*, I, გვ. 430; Prantl, *Geschichte der Logik*, I, Leipzig, გვ. 642; Ed. Zeller, *Die Philosophie der Griechen*, III, Leipzig, 1886, გვ. 829; მისივე, *Очерки по истории греческой философии*, 1912, გვ. 247; В. И. Дельбанд, *История греческой философии*, СПб., 1898, გვ. 325; В. К. Чалоян, *Философия Давида Непобедимого*, Ереван, 1946, გვ. 67—71; В. П. Зубов, *Аристотель*, М., 1933, გვ. 71—73, 213; А. О. Маковельский, *История логики*, М., 1967, გვ. 216—217; Г. М. Каландаришвили, *Очерки по истории логики в Грузии*, Тб., 1952.

არისტოტელეს „კატეგორიების“ კომენტარებს ქართულ თარგმანში ეწოდება „მოსაჯსენებელი ათთა კმათადმი არისტოტელისთა“<sup>9</sup>. ტექსტი იწყება ვრცელი შესავლით, რომელშიც საუბარია არისტოტელეს შრომის მნიშვნელობაზე და მასში აღძრულ ფილოსოფიურ-ლოგიკურ პრობლემებზე. მას მისდევს ტექსტის კომენტარები: ჯერ მოყვანილია ფრაზა (ან აბზაცი) „კატეგორიებიდან“, შემდეგ — ამონიოსის განმარტება. თხზულებას ჩვენამდე მოუღწევია ნაკლებად. მეოთხე თავის შემდეგ ადგილ-ადგილ წითურად ჩართულია სათაურები: „არსებისათვის“, „რაოდენობისათვის“, „რამაა მიმართისათვის“ და „ვითარისათვის და ვითარებისა“. წყდება სიტყვებზე: „არამედ ვნებითა ვითარებათა მძღუანველთა სიმრთელისათა, რამეთუ ჯურვებიანი აგრძნობენ ბუნების გარეშისა მკუ“... (ფ. 351 v). თხზულების მეორე ნახევარი დაკარგულია. გადარჩენილი ნაწილიდან „კატეგორიების“ ფრაზებს თუ ამოკრებთ და შევაერთებთ, ხელთ გვექნება ამ თხზულების ქართული თარგმანის ფრაგმენტი. ამით დასტურდება, რომ ჩვენი მწერლობის კლასიკურ ხანაში არსებულა არისტოტელეს „კატეგორიების“ პეტრიწული რედაქცია. აი, მისი ფრაგმენტი, დაცული ამონიოსის „მოსაჯსენებელში“<sup>10</sup>.

„I. თან-მოსახელედ ითქუმიან, რომელთა მხოლოდ სახელი ზიარ, ხოლო სახელის-თანად სიტყუაჲ არსებისაჲ — სხუა, ვითარ ცხოველი კაციცა და დაწერილი... რამეთუ: უკუეთუ ვინმე გარდასცეს, რაჲ არს მათი თითოდაც ცხოველ-ყოფისაჲ, თკსად თითოეულსა გარდმოსცემს სიტყუაჲ.

ხოლო თან-სახელად ითქუმიან, რომელთა სახელიცა ზიარ და სახელის-თანად სიტყუაჲ არსებისაჲ იგივე... .

ხოლო სახელ-მოდგამ ითქუმიან რავდენთა ვისგანმე განყოფილისა პ ტ ო ს ი თ ა სახელისაებრი წოდებაჲ აქუს...

II. ითქუმელთაგანნი რომელნიმე უკუე თან-შეთხზვისაებრი ითქუმიან, ხოლო რომელნიმე თვნიერ თან-შეთხზვისა. თან-შეთხზვისაებრნი ვიდრემე უკუე, ვითარ-იგი: კაცი რბის, კაცი სძლევს.

მყოფთაგანნი რომელნიმე უკუე ქუემდებარისა ვისებრადმე ითქუმიან, ხოლო ქუემდებარისა შორის არაჲ არს...

<sup>9</sup> S 2562, ფ. 230r—251v.

<sup>10</sup> ფრაგმენტის ტექსტი შევეუდარეთ „კატეგორიების“ რუსულ თარგმანს: А р и с т о т е л ь, Категории, перевод А.В. Кундцкого, редакция Г. Ф. Александрова, М., 1936, გვ. 3—5v. ნაკლები ადგილები მინიშნებულია მრავალი წერტილით (...).

რომელნი საქუემდებარეოდ ითქუმიან, და ქუემდებარისა-  
ცა შორის არიან, ხოლო რომელნი არცა შორის ქუემდებარისა  
არიან, არცა საქუემდებარეოდ ითქუმიან. ხოლო მარტივად  
განუკუეთელნი და რიცხვს-შორისნი არ-რომლის საქუემდე-  
ბარისოდ ითქუმიან.

III. ოდეს სხუა სასხვსოდ შეისმინებოდის ვითარცა სა-  
ქუემდებარისოდ, რაოდენნი სამისშესმენილისოდ ითქუმიან,  
ეგოდენნი საქუემდებარისოდცა ითქუნენ...

სხუა — ნათესავთა და ურთიერთას-დაწესებულთა, სხუა — სახე  
და განყოფილებანი, რამეთუ: ცხოველისა ვიდრემე განყოფი-  
ლებანი ვითარ იგი და — ორფერკობაჲ, და მფრინვლობაჲ და  
წყლის-შორისობაჲ. ხოლო ურთიერთ-არსთა ნათესავთა არაჲ  
აყენებს მათვე განყოფილებათა ყოფასა....

IV. არც ერთი თან-შეთხზვისაებრ თქუმულთაგანი თითოეუ-  
ლი, ესე იგი არს, არსებასა ცხად ჰყოფს, ანუ რაოდენობასა,  
ანუ რომელობასა.... ხოლო თითოეული თქუმულთა იგი ვიდ-  
რემე თავით თვსით არც ერთითა დათქუმითა ითქუმის, რა-  
მეთუ: საგონის არს ყოველი დათქუმაჲ, ესე იგი არს ჭეშმა-  
რიტ ანუ მტყუარ-ყოფად.

V. [არსებინათვს]: ხოლო არსებაჲ არს უყოვლადსაკუთრე-  
სი და პირველად და უფრომსად სათქუმელი, შორის რომელ-  
თა სახენი პირველ სათქუმელებ არსება არიან ესენიცა და  
სახეთა ამათ ნათესავთანი მეორედ უკუე არსებად ითქუმიან  
ესენი. საჭირო არს სახელითაცა და სიტყვთა ქუემდებარისაჲთა  
შესმენილობაჲ... ხოლო სახენი ყოველნი, ესე იგი არს, საქუ-  
ემდებარეოდ ითქუმიან, პირველთა არსებად ანუ ქუემდებარ-  
ეთა შორის არიან ესენი.

ხოლო მეორეთა არსებათაჲ უფრომს არსება — სახე ნათე-  
სავისა ზედა. რამეთუ უკუეთუ გარდასცემდეს ვინმე: პირვე-  
ლი არსებაჲ რაჲ არს?... რამეთუ თვისი ვიდრემე კაცისაჲ  
ვისმე იგი სოკრატისცა თვისი არს. უფრომს კაც-ყოფაჲ, ვიდ-  
რე ცხოველ, რამეთუ ესე უსაზოგადოესი არს და სხუათა  
მრავალთა სახეთაჲ, მერმეცა პირველნი არსებანი სხუათა ყო-  
ველთა ქუემდებარეობისათვს და სხუანიცა ყოველნი სამა-  
თოდ შეისმინნენ, ანუ ამათ შორის ყოფად, რამეთუ ნათესავნი  
ვიდრემე სახელად შეისმინებინ. ხოლო თვთ სახეთანი რაოდენ-  
ნი არა არიან ნათესავ, არა უფრომს სხუა სხვსასა არსება არს.  
ხოლო სამართლად შემდგომად პირველთა არსებათასა მხო-  
ლონი სხუათაგან სახენი და ნათესავნი მეორე არსება ითქუ-

მიან. მერმეცა პირველნი არსებანი სხუათა ყოველთა ქუემ-  
დებარეობისათჳს ყოვლად საკუთრად არსებად ითქუმიან,  
ხოლო საზოგადო ყოვლისა არსებისად — არ-ქუემდებარისა.  
შორის ყოფაჲ. არა თჳს არსებისა ესე, არამედ განყოფილება-  
ცა არ-ქუემდებარისა შორისთაგანი არს. ხოლო ნუ აღმაშფო-  
თებენ ჩუენ კერძონი არსებათანი ვითარცა ქუემდებარის-  
შორისად მყოფნი ყოველთათჳს, რამეთუ არა ესრეთ ქუემ-  
დებარისა შორისად ითქუმოდეს, ვითარცა კერძოდ მყოფნი  
რახსმე შორის.

ხოლო არს არსებათა და განყოფილებათა ყოველთა თან-  
სახელად თქუმაჲ მათგან, ესე იგი არს, საგანუკუეთელოდ შეის-  
მინებიან, ანუ სასახელოდ, რამეთუ ყოველი არსებაჲ საგო-  
ნებელ არს ამის რახსმე დამნიშნველად. ხოლო არსებათად  
არა რახს წინააღმდეგომ მათდა ყოფაჲცა. ხოლო შეეტყუების  
არსებასა არ მითუალგაჲ უფროჲს-უმცროჲსობისაჲ. ხოლო  
უფროჲსლა თჳს არსებისა საგონებელ არს ყოფად მისვე და  
რიცხვთა ერთად მყოფისაგან წინააღმდეგომთა შემწყნარებელ-  
ყოფაჲ, ხოლო სხუათაგანსა არც ერთსა ზედა შეეხების ესევი-  
თარი, არა თუ ვინმე მიუჭადოს სიტყუასა და თნებასა მეტყუ-  
ელმან წინააღმდეგომთა შემწყნარებელ-ყოფისამან.

ხოლო სიტყუაჲ და თნებაჲ თვთ ვიდრემე უძრავად ჰგიან  
ნანდკლ ყოვლითურთ. ვინაჲ გუარიცა თჳსი სადმე იყოს არ-  
სებისა.

VI. [რაოდენისათჳს]: ხოლო რაოდენისაჲ რომელიმე არს  
განსაზღურებული, ხოლო რომელიმე შერწყუმული და რომელ-  
თამე უკუე დადებისა მქონებელთანი ურთიერთას მიმართ  
მათ შორის შედგეს ნაწილნი.... ხოლო უწყებულ იყავნ, ვი-  
თარმედ: რავდენი ნაცვალ განიწვალების დიდისაცა და ფრია-  
დისა. რაოდენი უკუე არს სიტყუაჲ, ცხად არს.... რამეთუ  
კერძონი ველის-ზედაჲსანი ზიარისა რახსმე საზღერისა მიერ  
შეიყოფვიან.... რამეთუ აწი ეჲმსა შეაყოფს გარდასრულისა  
მიმართ და ყოფადისა.

მერმეცა დადებისა უკუე მქონებელთაგანი ურთიერთას  
მიმართ მათ შორისებითა ნაწილებითა შედგომილ არიან. რო-  
მელი უკუე არა მიმდგომობს, ვითარ აქუს დებისა რახსმე მი-  
ლებაჲ, არამედ მხოლოჲსა წესისა რახსმე სთქუა მქონებე-  
ლად... ხოლო მერმეცა რაოდენისა არარაჲ არს წინააღმდეგომ,  
არცა ვიტყვთ წინააღმდეგომობისა შემწყნარებელად რაოდენსა.  
არა თუ ვინმე ფრიადსა კინისა იტყოდის წინააღმდეგომად...

რამეთუ არა რა ითქუმის თავით თვსით დიდად ანუ თუ მცირედ, არამედ სხვსა მიმართ აღიყვანების, ვითარ: მთაჲ ვიდრემე მცირე ითქუმის, ხოლო ფეტკ — დიდი... მერმეცა ორწყრთეული უკუე და სამწყრთეული და თითოეული ესევეთართაგანი ოდენსა დაჰნიშნავს... მერმე გინათუ და ვინ სხნენ იგინი რაოდენ-ყოფად, გინათუ არა... მერმეცა უკუეთუ იყვნენ დიდი და მცირე წინა-აღმდგომებ, შეემთხვოს ყოველივე ეგრეთვეობით მყის თანად მითუალვად წინა-აღმდგომთაჲ... ხოლო უფროასლა წინა-აღმდგომობაჲ რაოდენისაჲ ადგილისათჳს საგონებელ არს ყოფად, რამეთუ მრავლად განკიდევდებიან ურთიერთას... ხოლო არა სთნავს რაოდენსა მითუალვად უფროასობა-უდარესობისაჲ, ხოლო რაოდენისა უფროასლა სწორისა და უსწოროასა თქუმაჲ.

VII. [რაჲსა-მიმართთათჳს]: ხოლო რაჲსამე-მიმართად ესევეთარნი ითქუმიან: რაოდენნი ვითარ თვთ იყვენ, სხუათათჳს ყოფად ითქუმოდინ, ანუ ვითარ რაჲმე სხუებრი სხვსა მიმართ... ხოლო არიან ესევეთარნიცა რაჲსამე-მიმართთანი, ვითარ ანაგები, მოწლეობაჲ, გრძნობაჲ, ზედმიწევნულობაჲ, დებაჲ... ხოლო არს წინააღმდგომობაჲცა რაჲსამე-მიმართთა შორის, ვითარ სათნოებაჲ [და] უკეთურებაჲ წინააღმდგომ არიან... ხოლო ჰგავს უფროასლა და უკნინესობისა მიმთუალველად რაჲსა-მიმართნი... ხოლო ყოველნი რაჲსა-მიმართნი გარმოქცევეთთა მიმართ ითქუმიან, ვითარ იგი მონაჲ მეუფისა ითქუმის მონაჲ... ანუ ესე ხოლო პირველად არს, ოდეს არ საგონის არს გარმოქცევად, არათუ საკუთრად გარდასცემს, რომლისა მიმართ ითქუმოდის, არამედ შესცთეს გარდამცემელი. კუალად, უკუეთუ გარდაეცეს ქათამსა ფრთისობაჲ, რათა იყოს ფრთისაჲ ქათამი, არა საკუთრად გარდაეცემის, რამეთუ არა ვიტყვით „ქათამი ფრთისა ქათამი“, ვითარ ყოველი ფრთაჲ ქათამისაჲ არს ფრთაჲ, რამეთუ არიან ფრთოანნი, რომელნი არა არიან ქათამნი... ანუ ვითარ უკუე სხუებრ, რამეთუ: სახელი არა ძეს, რამეთუ არა არს ჩუეულებასა შინა სახელი „პიდალიტონისაჲ“, გინა სხუასა რასმე საკუთრად ვიტყვთ, არაჲთ განეყოფვის, რამეთუ ცხოველად მყოფსა თავი აქვს... გინა უკუე რაჲსამე-მიმართთა უსაკუთრად გარდაეცემის, არ მოქცევისა მიმართად ითქუმიან უეჭველად... ხოლო საგონებელ არს რაჲსამე-მიმართთა ბუნებით ერთბამად-ყოფაჲ, რამეთუ ზედმიწევნული უპირველესად საგონებელ არს სადმე ზედმიწევნულობისასა ყოფად, ვითარ ზედმიწევნილისა

უკუე მოსპობაჲ მოსპობს ზედმიწევნულობასა, ვითარ-იგი მგრგულისაჲ ოთხკედელობაჲ უფროჲს არს ზედმისაწევნელ [...]. ვიდრემე არაღა მერმე, რამეთუ თავით თვისით არიან, გარნა არა ვითარ ზედმისაწევნელნი; არამედ ვითარცა საქმენი მსგავსად ამათსა და გრძნობისაჲ, ზედათა აქუს [...] ვინაჲ უპირველესად საღმე გრძნობისასა გრძნობადი ყოფად ითნებვის....

ხოლო აქუს უღონოებაჲ, ვინაჲ არცა [...] არსებაჲ [...] რაჲსა-მიმართა] განად ითქუმის.... უკუეთუ კმად ვიდრემე უკუე რაჲსა-მიმართთა საზღვარი გარდაცემულ არს, შეუძლებელ არს აღესნაჲ უღონოებისაჲ ანუ ყოვლად შეუმართებელ და არიან რაჲსა-მიმართებრ, რომელთა ყოფაჲ იგივე არს, რაჲსა-მიმართთა მიერ ქონებით.... თვისი განსაზღვრებაჲ რაჲსა-მიმართ განიწესების. ხოლო მათგან ცხად არს, ვითარმედ: უკუეთუ იხილოს ვინმე რაჲსა-მიმართთაგანი რაჲვე განსაზღვრებულ, იგიცა, რომლის მიმართ ითქუმის, განსაზღვრებულ იყოს, ხოლო ნუ უკუე უ~უსა ესევეითართა ძლით ფ~ლობით აღმოჩენაჲ. ხოლო რამეთუ გზაჲ კეთილ-მომპოვნელობით მოსწავლეობისაჲ უღონოებაჲ არს“....

ამონიოს ერმისის მეორე შრომა „მოსაქსენებელი ხუთთა კმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ ჩვენამდე მოღწეულია პირველთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში (ტექსტს აკლია მხოლოდ რამდენიმე ფურცელი)<sup>11</sup>. კომენტარებს უძღვის ვრცელი შესავალი, რომელშიც განხილულია საკითხები: რა არის ფილოსოფია და მისი საგანი, რა დარგებად იყოფა იგი, ვინ არის „კატეგორიათა შესავლის“ ავტორი, მისი მოწაფე ხურისაორიე და ა. შ. პორფირი თავის თხზულებას იწყებს ამგვარად:

„ნანდკლ საჭიროჲსა ხურისაორიე. და არისტოტელის მიერ-თაჲ შინა «კატეგორიათა» მნებაჲი მასწავლელობათა ცნობად: რაჲ ნათესავი, რაჲ განყოფილებაჲ, რაჲ სახე, რაჲ თვისი და რაჲ შემთხვევითი განსაზღვრებათა გარდაცემისადმი და ყოვლითურთისათჲს განმწვალელობისა და გამომაჩინებლობისა სავმართად მყოფისა ამათსა ხედვასა შინა შემოკლებულისა მოცემისა მოქმედი შენდად ვმეცადინობდე მცირედთა მიერ, ვითარცა შემყვანებლობითისა გუარისა შორის წარმოთქუმასა მოხუცებულთა მიერთასა უღრმესთაგან უკუე განყენებულნი

<sup>11</sup> S 2562, ფ. 71r—229v.

საძიებელთა, ხოლო უმარტივესთა თან-შეზომით მომწონებელი ერთბამად ნათესავთათჳს და სახეთა თანად უკუე, გინათუ გუამოვნებენ, გინა ლიტონთა გულის-ზარახვათა შორის სხენან, ან გუამოვნებანი სხეულეებ არიან ანუ უსხეულეებ. და თუ ვინაჲ განკიდებულეებ ანუ მათ ძლით შეგუამებულთა გრძობადთ შორისებ ვიქმნა თქუმად ღრმად-მყოფობისათჳს ესევეითარისა მოფარდულობისაჲსა და სხუასა უფროჲსსა გამოკულებუასა მოქენობისა. ხოლო თუ ვითარ ამათჳს და წინამდებარეთა უსიტყვერესობით წარმოთქუეს ძუელთა და ამათ უფროჲსლა პერიპატოჲს-გამოთა, შენსა აწ ვმეცადინობ ჩუენებასა“ (ფ. 114 რ-ვ).

ამ ტექსტს ამონიოსი კომენტარებშიც (106რ—133ვ) იმოწმებს, ოღონდ განსხვავებული რედაქციით:

„ნანდკლ საჭიროჲსა ხურისაორიე.... თუ რაჲ არს ნათესავი. განსაზღვრებათა განჩენისათჳს და შემდგომად განწვალებისათჳს და გამოჩინებისა, საჭმარად მყოფისა ამათისა ხედვისა.... ვითარცა წეყვანებითსა შინა გუარსა მოხუცებულთა მიერთასა წარმოთქუმასა უღრმესათჳს უკუე განყენებული საძიებელთა. ხოლო უმარტივესთა ზომიერად მომწონებელი მყის ნათესავთათჳს და სახეთა.... ხოლო ვითარ ამათჳს, წინა-მდებარეთა უსიტყვერესად წარმოთქუეს ძუელთა და ამათ უფროჲს პერიპატოჲს-გამოთა“.

ამონიოსი „კატეგორიათა შესავლის“ შედგენილობაზე ამბობს: ეს წიგნი ეხებაო ხუთ კატეგორიას. „რომელნი ყოველთა მყოფთა შორის იხილებიან, რომელ არიან ესე: ნათესავი, სახე, განყოფილება, თვისი, შემთხუევეითი“ (103რ). შედგება სამი ნაწილისაგან: პირველში: განხილულია საკუთრივ ხუთი კატეგორია. მეორეში — საკითხი. „თუ რაჲ ზიარ მათდა და რაჲ განთქსებულ. ესე იგი არს, თუ რაჲ არს ზიარი ნათესავისა და სახისაჲ და რაჲ განთქსებულ ნათესავისაჲცა“, ხოლო მესამეში — საკითხი, „თუ რანი არიან ზიარნი თანად ყოველთანი“. ყოველივე ამას უძღვის პატარა შესავალი, რომელშიც საუბარია წიგნის დაწერის მიზეზზე (105რ).

ამონიოსი საყურადღებო ცნობას გვაწვდის ხურისაორიეს ვინაობაზეც:

პორფირი „მასწავლელი იყო ხურისაორისი და განმმარტებელი მისი სასწავლელთაჲ. ხოლო ვედრებულ იქმნა მატანობად ცეცხლსა ეტნისასა და განიმგზავრა. ამას უამსა ჰპოვებს ხურისაორიოს არისტოტელის «კატელორიათა» და ვერცა ყოველად შეუთქს შთამქუერეტელი. აუწყებს უკუე პორფირიის მუნ

მყოფსა მიმწერელი შემთხუეულისაჲ, და უკუეთუ ამატიანა ვიდრემე ცეცხლი მოსლვად, ხოლო უკუეთუ არა, შერამყვანებელი რაჲმე მოწერად მისსა, რომლისაცა მიერ ეგულებოდის მას შედგომილ-ყოფაჲ წიგნისაჲ. ვინაჲთჲან უკუე პორფირის ვერ ეძლო ჟამად უკმოქცევაჲ, აღუწერა მას წიგნი ესე თქუმულთა მიერ პლატონისთა შემლექსეველმან ამისმან, კინლა და სიტყუათაცა მათეე მიერ მოსრულმან. და ამისგან სადმე ცხად არს, ვითარმედ: საკუთარი არს ძუელისაჲ წიგნისაჲ ესე“ (103v—104r).

ამის შემდეგ ფილოსოფოსი იწყებს პორფირის თხზულების კომენტარებს (105v—229v). იგი განმარტავს ცნებებს, გამოთქმებს და ფრაზებს. ტექსტი წყდება სიტყვებზე: „შეუტრევენელ სადმე წინააღმდეგომნი და წინა-უკუმონი განყოფილებანი“.

კომენტარების აღნაგობა ასეთია: ავტორს ჯერ მოჰყავს პორფირის თხზულებიდან ფრაზა, შემდეგ—მისი განმარტება. თუ ამ საკომენტარო ფრაზებს ამოვკრებთ და შევადრებთ, მივიღებთ „კატეგორიათა შესავლის“ ოღნავ შემოკლებულ ტექსტს. სანიმუშოდ დავიმოწმოთ მეორე თავი „ნათესავისათჲს“ (133v—160r):

„ხოლო ჰგავს არცა ნათესავისა, არცა სახისა მარტივად თქუმაჲ, რამეთუ ნათესავად ითქუმის მქონებელთა ვიეთთაგანიმე ერთისა რაჲსმე მიმართ ვითამე, ვითარ-იგი დანიშნული ირაკლიდთაჲ ითქუმის ნათესავი. ერთისაგან სქესისა ვიტყუ უკუე ირაკლისსა გამოკუეთისაებრ სხუათა ნათესავთაგან.... ხოლო ამისი ჰგავს ჳელთა შინა ყოფაჲ დანიშნულისაჲ.

ხოლო კუალად სხუებრ: ნათესავად ითქუმის, რომელსა შეუდგების სახე მსგავსებისაებრ ნუუკუე ამათ თქუმულთაჲსა. სამგუარად — უკუე თქუმულობასა ნათესავისასა. მესამისათჲს არს ფილოსოფოსთა-მიერი სიტყუაჲ, რომლისაცა წარმწერელთა გარდმოსცეს: ნათესავი არს მრავალთადა სახითა განყოფილთად რაჲ-არსობისა შორის შესმენილი... დანიშნულობითთა ჳმათაგანნი რომელნიმე ერთისად ითქუმიან და რომელნიმე მრავალთად; რამეთუ შესმენილთაგანნი რომელნიმე უკუე ერთისა მხოლოჲსად ითქუმიან, ვითარცა განუკუეთელნი, და შემთხუევითნი — ზოგადად და არა განთჲსებით ვისნიმე, ვითარ სითეთრე ანუ სიშაეე.... ხოლო არს ნათესავი ვიდრემე ვითარ ცხოველი, ხოლო სახე ვითარ კაცი. ერთისა ვიდრემე უკუე მხოლოჲსად შესმენილთა განყოფვიან ნათესავნი მრავალთად სათქუმელობითა მათითა.... ხოლო ცხოველნი ნათესავად მყოფნი კაცისა და ცხენისა და ჳარისა შეის-



მინებიან, რომელნი განიყოფიან სახითაცა და არა რიცხვთა მხოლოდთა.... ხოლო კუალად, განყოფილებასა და ზოგადთა შემთხვევითთა განყოფვის ნათესავი მათისა უკუე ვითარი რაჲ-არსობის შორის, ანუ ვითარ-არსობისა შესმენისათს, ხოლო ნათესავისა — რაჲ-არსობისა შორის... ხოლო რასა შინაობით შესმენილობაჲ განაშორებს მას განყოფილებათაგან და საზოგადოთა შემთხვევითთა, რომელნი არა რაჲ-არსობის შორის, არამედ ვითარი რაჲ-არსობის შორის ანუ ვითარ მქონებელ-არსობის შორის შეისმინებიან. არა საღმე ნამეტნავად, არცა ნაკლულად გარე შეუცავს თქუმულსა ამას წარწერასა გაგონებაჲ ნათესავისაჲ“.

ამონიოსის ეს ორივე „მოსაქსენებელი“ მკვლევართაგან არ არის ფილოსოფიურად დამუშავებული და გამოცემული. მხოლოდ მათ შინაარსობრივ მხარეს გაკვრით ეხება შ. ნუცუბიძე, როდესაც ის ტარიქისძის ლიტერატურულ საქმიანობას აფასებს. იგი წერს: „არსენ იყალთოელის ხაზს მიყვებოდნენ იოანე ტარიქისძე და სხვანი, რომლებიც ლოგიკის სქოლასტიკურ-ფორმალისტური დამუშავების მიღწევებს ქადაგებდნენ საქართველოში XII საუკუნეში. მას დიდი ღირებულება და მნიშვნელობა არ ჰქონდა. არსებითად ტარიქისძე მხოლოდ «თარგმანი» იყო და ისიც ალექსანდრიის სკოლიდან გამოსულ ეპიგონებს თარგმნიდა, ისეთებს, როგორც იყო ამონი ერმიას-ძე. ქართულ აზროვნებას ტარიქისძის მუშაობამ ვერაფერი შესძინა და იგი თავისი სქოლასტიკურ-ფორმალისტური ლოგიკით ყველაზე დამახასიათებელი წარმომადგენელი იყო დოგმატიკურ-რეაქციონური ბანაკისათვის იდეოლოგიურ კიბილში XII—XIII საუკუნეთა მიჯნამდე“<sup>12</sup>. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას და აი რატომ: ამონიოსი იყო თავისი დროის გამოჩენილი ნეოპლატონიკოსი, მოწაფე დიდი პროკლესი, მასწავლებელი სიმპლიციუსისა (გარდაიცვ. 549 წ.) და იოანე გრამატიკოსისა (VI ს.), რომელთაც დიდად ისახელეს თავი არისტოტელეს თხზულებათა კომენტირებაში. თავისი მოღვაწეობით ამონიოსმა საგრძნობი კვალი დაატყო ალექსანდრიის ფილოსოფიურ სკოლას. მოსწავლე ახალგაზრდობა მის თხზულებებში ეცნობოდა ფილოსოფიისა და ლოგიკის პრინციპებს, არისტოტელესა და პორფირის ნაწერებს და საერთოდ ძველბერძნულ ფილოსოფიურ სისტემებს. ბუნებრივია, ამონიოსის შრომები ქართველ მოსწავლეებსაც შეუწყობდა ხელს ფილოსოფიის შესწავლაში და ქართულ აზროვნებასაც გაუკაფადა გზას. ამდენად, მათი თარგმნა გაპირობებული უნდა ყოფილიყო ეპოქის კულტურული მოთხოვნილებით და,

<sup>12</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958, გვ. 158.

ცხადია, მას ღირებულება და მნიშვნელობაც ექნებოდა. საქმე ისაა, რომ ამონიოსის „მოსაქსენებლები“ სავსეა ფილოსოფიური ტერმინებითა და წმინდა ლოგიკური ცნებებით, როგორცაა მაგ.: „ქუედ-მდებარე“ (= მოქმედების საგანი), „დასასრული“ (= მოქმედების შედეგი), „თკს-მზრახვობა“ (= კატეგორია), „შეგულისსიტყუა“ (= სილოგიზმი), „ულონოება“ (= კითხვა), „საგულის-ზრახვო“ (= საგულისხმეო), „აღმგულის-სიტყუავი“ (= გულისმესიტყვე, გულთამხილველი), „მოფარდულობა“ (= მოძღვრება, წიგნი), „ანაგები“ (= რაიმეს მტკიცედ პყრობა, *отстаивание*), „რაა-არსობისა შორის შესმენა“ და სხვა. ზოგი მათგანი ძველქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში მტკიცედ დამკვიდრდა (იხმარება თანამედროვე მეცნიერულ ენაშიც ისტორიული გაგებით, ან ახლებური მნიშვნელობით). ამდენად, „მოსაქსენებელთა“ ტექსტების ფილოლოგიური დამუშავება და ბეჭდურად გამოცემა ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. მაშინ უფრო გაირკვევა მათი მეცნიერული ღირებულება<sup>12</sup>.

\* \*

იოანე პეტრიწის მოღვაწეობის მესამე პერიოდი ემთხვევა XII საუკუნის პირველ მეოთხედს, როდესაც ის საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და გელათში დაიწყო მოღვაწეობა. იმ ხანად საქართველოში მეფობდა დავით აღმაშენებელი, მტკიცე ნებისყოფისა და დიდად განსწავლული კაცი, რომელიც თავისი ბრძნული განმგებლობით ერთმართველურ ფეოდალურ სახელმწიფოს აქანდაკებდა. იგი ქვეყნის გავრთიანებასა და სამხედრო და ეკონომიურ გაძლიერებასთან ერთად დიდად ზრუნავდა მის კულტურულ აღმავლობაზეც. მან გააჩაღა სამონასტრო მშენებლობა, საეკლესიო მმართველობაში მოახდინა დიდი რეფორმა, თავის გარშემო შემოიკრიბა სწავლული ხალხი და მასთან ერთად დაიწყო საქართველოში სწავლა-განათლების გავრცელება. კერძოდ, მან ააშენა გელათში მონასტერი ყველა-წმიდისა და ღვთისმშობლის სახელზე და იქ თავი მოუყარა გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, მწერლებს და საეკლესიო მოღვაწეებს, რომელნიც მანამდე საქართველოში თუ საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ. ისტორიკოსის ცნობით, დავითმა გელათში „შემოკრიბნა კაცნი პატრიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თკსთა ოდენ სამეფოთა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა

<sup>12</sup> ამონიოსის თხზულებათა პეტრიწულ თარგმანს გამოსაცემად ამზადებდა ნ. კეკელიძე (იხ. ნეკროლოგი „ნათელა კეკელიძე“, ლიტერატურული საქართველო, 1967, № 46, 17. XI.).

კიდეთათ, სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიყეთე, სისრულე, სულიერი-  
თა და ჯორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამო-  
იძინა (ე. ი. იძია და კარგად გამოიძია,— ი. ლ.), მოაყვანა და დაამკლ-  
რა მას შინა<sup>11</sup>. ს

დავითის მიერ საზღვარგარეთიდან მოწვეულ ქართველ მოღვაწეთა შორის უნდა ვივარაუდოთ უპირველსად არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი, რომელნიც მამინ შავ-მთაზე, სვიმეონ საკვირველ-მოქმელის მონასტერში მოღვაწეობდნენ. საქართველოში მოსვლისთანავე ისინი გვერდში ამოუდგნენ მეფეს და სათავეში მოეჭყნენ სამწერლო და საგანმანათლებლო საქმიანობას: გელათი და შიო-მღვიმე. ცოტა მოგვიანებით კი იყალთო აქციეს მათ მეცნიერებისა და სწავლა-განათლების უძლიერეს კერებად. იოანემ „დავითის გამგონებისა და წყალობითა და თანადგომისა მინდობილმან“, გელათში დააარსა სამონასტრო აკადემია, თავის გარშემო შემოიკრება სწავლული მწერლები და მთარგმნელები და დღე ლიტერატურულ და პედაგოგიურ მუშაობას შეუდგა. გელათის აკადემიაში მან თარგმნა ორი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური თხზულება: ნემესიოს ემენელის „ბუნებისათვის კაცისა“<sup>12</sup> და პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ (ანუ „თეოლოგიის ელემენტები“).)

1. ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ იოანეს უთარგმნია XII საუკუნის დასაწყისში, ალბათ, მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოდ. მისი ტექსტი (გამოსცა 1914 წელს ს. ვორგაძემ)<sup>13</sup> ჩვენამდე მოღწეულია გვიანდელი ხელნაწერებით. ისიც ნაკლებად. ერთ ბელნაწერს (S 129) ერთვის გლოსა: „ელაღელთა ჳმათაგან გადმოიცა ესე ქართულად საკვირველისა ფილოსოფოსისა ჩუენისა პეტრიწისა მიერ. იოანედ სახელდებულისა, კ ე ლ ლ ი ნ ს ა შ ი ნ ა გ ა ე ნ ა თ ი ს ა ს ა“ (230r). ეს მინაწერი. გვიანდელი წარმოშობისაა. მაგრამ სინამდვილესთან ახლოს დგას; თვით პეტრიწი ამბობს „კავშირთა“ კომენტარების ბოლოსიტყვაში (გვ. 223), რომ: „ამათსა წინაჲთ ნემესიოჲს წიგნისა შეწყობასა შინა მებარკა“, ე. ი. ამაზე უწინ ნემესიოს წიგნის (რეულისხმება „ბუნებისათვის კაცისა“) შეწყობაზე ვიშრომეო.

ნემესიოს ემესელი IV—V საუკუნეების ნეოპლატონიკოსია. 400 წელს ის აკურობხეს ემესის ეპისკოპოსად. „ბუნებისათვის კაცისა“ მან

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

<sup>12</sup> ნ ე მ ე ს ი ო ს ე მ ე ს ე ლ ი. ბუნებისათვის კაცისა, ჰეოსნელითგან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-სამიხედლები დაურთო ს. ვორგაძემ, ტფილისი, 1914. 7.—LVI+240 გვ. თხზულება განხილულ აქვთ ნ. მარს. ბ. გრგობერიძეს, შ. ნუცუბიძეს. ს. ყაუხჩიშვილს ზემოთ დასახელებულ შრომებში.

დაწერა V საუკუნის დასაწყისში. თხზულება წარმოდგენს ერთგვარ ენციკლოპედიურ ნაშრომს ადამიანის ბუნების შესახებ. ავტორისათვის ამოსავალი მოძღვრებაა ნეოპლატონიზმი, მაგრამ ის „ბუნებისმეტყველებისა და ფსიქოლოგიის საკითხებს მთლიანად არისტოტელეზე აშენებს, ძალიან ფართოდ იყენებს სტოელების მოძღვრებასაც აფექტების შესახებ, აშენებს არისტოტელეზე ნებისყოფის თავისუფლების საკითხს და ასე ასრულებს თავის კომპენდიუმს“ (მ. გოგიბერიძე). წიგნი შედგება შესავლისა და ორი ძირითადი ნაწილისაგან. შესავალში საუბარია მსოფლიოს შექმნასა და ადამიანის ბუნებაზე. პირველი ნაწილი ეთმობა სულისა და სხეულის რაობას, მათს შეზავებასა და გაყრას, მოძღვრებას ოთხ ელემენტზე (ანუ ასოებზე), მეორე ნაწილი—საკუთრივ ადამიანის სულიერ და ფიზიოლოგიურ მხარეებს, მის სასიცოცხლო ძალებს, ორგანოებსა და მათ ფუნქციებს.

ამ წიგნმა დიდი პოპულარობა მოიპოვა შუა საუკუნეების დასავლეთსა და აღმოსავლეთში (დიდი ხნის განმავლობაში მის ავტორად ითვლებოდა გრიგოლ ნოსელი). მისით დავალებულია იოანე დამასკელი (ავტორი ფილოსოფიურ-დოგმატიკური თხზულებისა „წყარო ცოდნისა“). 1159 წელს იგი ითარგმნა ლათინურად. პეტრიწის ქართული თარგმანი ლათინურს ნახევარი საუკუნით უსწრებს წინ.

2. პეტრიწს გელათშივე უთარგმნია პროკლე დიადოხოსის (V საუკ.) შრომა „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, რომლისთვისაც დაურთავს მას ვრცელი კომენტარები, წინასიტყვა და ბოლოსიტყვა.

თხზულების ძირითადი ნაწილი შეიცავს პროკლეს შრომის თარგმანსა და მის კომენტარებს: ჯერ წარმოდგენილია „კავშირის“ რომელიმე თავის ქართული თარგმანი და მერმე მისდევს მას იოანეს კომენტარი (სულ დაკულია 211 თავის თარგმანი და კომენტარი). თარგმანს აშიაზებ მიწერილი აქვს გვერდით პ (= პროკლე), კომენტარს კი — ი (= იოანე). ეს ნიშნავს: ერთი ნაწილი ეკუთვნის პროკლეს, მეორე — იოანე ფალოსოფოსს.

„წინასიტყვაში“ იოანე გვაცნობს წიგნის თარგმნის მიზანს, იძლევა ცნობებს პროკლეს ცხოვრებასა და ფილოსოფიურ საქმიანობაზე და განმარტავს ზოგიერთ ლოგიკურ ცნებას.

„ბოლოსიტყვაში“ ის ჩერდება მთარგმნელობითი მეთოდის ძირითად პრინციპებზე, იუწყება ბიბლიური წიგნების „კუალად გარდმოღების“ მიზეზებს (ვრცლად ამის შესახებ იხ. ქვემოთ), გვიყვება თავის გასაქირს — როგორ სდევნიდნენ მას ბერძნები და ქართველები და როგორი მფარველობა გაუწია მას დავით აღმაშენებელმა და მსჯელობას ამთავრებს იმ შვიდი სამეცნიერო დისციპლინის ჩამოთვლით, რომელთაც

ასწავლიდნენ XI—XII საუკუნეების ბიზანტიისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (სამონასტრო და სამოქალაქო აკადემიებში).

პეტრიწის ეს თხზულება ძველ საქართველოში გავრცელებული იყო. ზოგი აქებდა მას, კითხულობდა და სწავლობდა, ზოგიც მის ხელნაწერებს საბასრობელ მინაწერებს ურთავდა. ერთ-ერთ გადამწერს ასეთი პოლემიკური მინაწერი ჩაუერთავს „წინასიტყვის“ დასასრულს: „რასა ვწერ, ანუ რასა გლახ-ვმოქმედებ? გარნა გვსწავიეს გუელთაგან თერიაჲ და წარმოვსტყუენავ ყოველსა ძალსა ქრისტეს მიერ. ამის წიგნისაგან წარწყმდა სამგზის წყეული არიოზ და ამისგანვე განათლებულთა სამგზის მოიგეს ღმრთისმეტყუელებისა სახელი — დიდთა ბრძენთა დიონოსი და ღრილორი და ეასილი და სხუათაცა ვიეთმე. შენ გონება განწმედილი მოიგე ღმრთისა მიმართ, და საზღვართა მამათა წმიდათასა ნუ გარდაჰვლინდები და არა საცთურ გექმნეს“ (II, გვ. 9). მიუხედავად ამისა პეტრიწის წიგნს დიდი პოპულარობა მოუპოვებია ქრისტიან თეოლოგთა წრეებში. იგი 1248 წელს სომხურად უთარგმნია სვიმეონ ხუცეს-მონაზონს<sup>16</sup>, ხოლო XVIII საუკუნეში სომხური თარგმანი ქართულად გადმოუღია ფილიპე ყაითმაზაშვილს<sup>17</sup>.

პროკლეს ტექსტის პეტრიწული თარგმანი და კომენტარები მეცნიერულად შეისწავლა პირველად ნ. მარმა<sup>18</sup>, ხოლო მათი კრიტიკული გამოცემა განახორციელეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა<sup>19</sup>. 1942 წელს გამოქვეყნდა „კომენტარების“ რუსული თარგმანიც<sup>20</sup>.

▷ პეტრიწის მოღვაწეობა გელათში მარტო ამ ორი ფილოსოფიური თხზულების თარგმანით არ ამოიწურება. მან აქ გაშალა მრავალმხრივი სამწერლო და სამონასტრო საქმიანობა: დაწერა ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ტრაქტატი „სათნობათა კიბე“<sup>21</sup> თარგმნა იოანე სინელის „კლემაქსი“, ბიბლიური, აგიოგრაფიული და საისტორიო თხზულებანი, შეთხზა იამბიკოვნად „გალობანი ყოველთა წმიდათანი“ და აღწერა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაეითისი“.

<sup>16</sup> ი. ლ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართული ფილოსოფიური მწერლობის კიდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძველ სომხურზე; მისივე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, ენიშის მოაპბე, III, 1938, გვ. 111—112, 123—134.

<sup>17</sup> А 237, გადაწერილია 1763 წელს. Н. Марр, Иоанн Петрицкий, გვ. 9—11; მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, II, 1909, გვ. XXIII—XXXI.

<sup>18</sup> ნ. მარის დასახ. შრომა.

<sup>19</sup> იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, 1940, LXXVII+320 გვ.; ტ. II, 1937, CXII+228 გვ. (პირველი ტომი შეიცავს პროკლეს „კავშირთა“ თარგმანს, მეორე—კომენტარებს).

<sup>20</sup> Иоанн Петрицкий, Рассмотрение платоновской философии и Прокла Диадоха, Тб., 1942, 252 გვ.

ჩამოთვლილი შრომები იმდენად მნიშვნელოვანია ქართული კულტურის ისტორიისათვის, რომ საჭიროა მათი ცალ-ცალკე განხილვა. მაშინ უფრო სისრულით გავითვალისწინებთ პეტრიწის სალიტერატურო მოღვაწეობას და მის ამაგს ქართული მწერლობის წინაშე.

## 2. იოანე პატრიწის „სათნოებათა კიბე“ და „კლემაქსის“ ქართული რედაქციები

იოანე სინელის „კლემაქსი“ ქრისტიანული ასკეტუკურ-მისტიკური ზნეთ-სწავლულების სახელმძღვანელოა; შედგება ოცდაათი თავისაგან, შეიცავს მორალურ შეგონებებს სათნოებათა შესახებ. იგი შუა საუკუნეებში მეტად პოპულარულ თხზულებას წარმოადგენდა: უმთავრესად ვრცელდებოდა ქრისტიან ბერ-მონაზონთა შორის. ✕

„კლემაქსი“ ქართველებს სამეგრეთსაგან უთარგმნიათ პროზაულად: პირველად IX თუ X საუკუნეში გამოკრებილად გადმოუღია ჩვენთვის უცნობ მთარგმნელს—საფიქრებელია სინის მთის ქართველთა მონასტრის მოღვაწეს (ეს თარგმანი დაკარგულია). „ვინაფთვან უკუე პირველსა მას თარგმანსა (= მთარგმნელს, —ი.ლ.) მრავალი მრუდად დაეწერა და მრავალი დაეგლო“, ამისთვის „თხზულება ხელახლა უთარგმნია იოანეს ბრძანებით მის შვილს — ეფთვიმე მთაწმიდელს: „აჲ, გლახაკმან, ეფთვმე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოანესითა ვთარგმნე ესე, ვითარცა თვთ მას წმიდასა ეთქუა ბერძულად, რამეთუ ბერძენი იყო იგი (= იოანე სინელი, —ი.ლ.) ნათესავით. აჲ უკუე რომელნიცა ამას წმიდასა წიგნსა იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ წმიდათა მამათა ჩუენთათჳს— იოანესთჳს და იოანე სკნგელისათჳს და ჩემთჳსცა ცოდვილისა ეფთვმისა, და რომელნი სწერდეთ, ვითარცა აჲა კპოოთ, ეგრეთ დაწერეთ. და თავნი ვითარცა აჲა იყვენ, ეგრეთ დასხენით, რამეთუ მეცა ვითარცა მიპოვნინან, ეგრეთ დამისნმან ყოველნი წითლითა. და ამათცა სიტყუათა ნუ ვინ დაივდებთ, არამედ დასწერდით ღმრთისათჳს და ჩემსაცა ცოდვილისასა სახელსა“.

ეს რედაქცია ძველ ქართულ მწერლობაში ვრცელდებოდა უამრავი ხელნაწერით. ცალკე წიგნად გამოიცა ფოთში 1902 წელს სათაურით: „ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე სინა-მთის მამასახლისისა კ ლ ე მ აქ ს ი, რომელ არს კ ი ბ ე, გამოცემული ათონის წმიდის მთის ახალ-ქართველთ წმიდის იოანე ღვთის-მეტყველის საგანისა“<sup>21</sup>. აღსანიშნავია

<sup>21</sup> ქვემოთ ვსარკებლობთ ამ გამოცემით (ცაბატებში აღდგენილია ძველი ორთგრაფია).

ისიც, რომ იოანე სინელის მახვილგონივრული თქმანი აპოფთეგმურ კრებულში „სიტყუანი და სწავლანი სამეცნიერონი“ არსენ იყალთოელს შეუტანია ეფთვიმისეული თარგმანიდან (I, 1—70).

ქ XII საუკუნის დამდეგს „კლემაქსი“ ხელახლა უთარგმნია პეტრიწს გელათში მოღვაწეობის დროს. პ როგორც აღვნიშნეთ, მისი ტექსტი დატულია A 39 ხელნაწერში<sup>22</sup>. ამის „კულად გარდმოღობის“ მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: ეფთვიმე საერთოდ არ იცავდა მთარგმნელისთვის საჭირო სიზუსტეს: დედანს თავისუფლად ეპყრობოდა, იყენებდა „შემატებისა და კლებისა“ მეთოდს; ტექსტის ენა რომ მკითხველისთვის გასაგები ყოფილიყო, ხანდახან დედნიდან უხევედა და ხელოვნური დამძიმებული სტილის ნაცვლად უპირატესობას აძლევდა ქართულისათვის დამახასიათებელ მარტივ თხრობას. პეტრიწი კი, პირიქით, დიდ ყურადღებას აქცევს დედნისეულ აზრთა წყობას და ცდილობს ესა თუ ის ფრაზა ზუსტად თარგმნოს. ამით პეტრიწი იძლევა ადეკვატურ თარგმანს, რის გამოც მისი რედაქცია სიტყვა-სიტყვით მისდევს ბერძნულ დედანს და მის ლექსიკასა და სინტაქსში საგრძნობლად ვლინდება ბერძნიზმების კვალი. პეტრიწული თარგმანი ეფთვიმისეულისაგან განსხვავდება ლექსიკითა და დასათაურების სისტემითაც. იგი შემკულია ფოტი პატრიარქის კომენტარებით.

მკითხველმა რომ გარკვეული წარმოდგენა იქონიოს ორივე თარგმანის რედაქციულ თავისებურებაზე, მათგან დავიმოწმებთ რამდენიმე პარალელურ ტექსტს (წიმუშებად მოვიყვანთ აპოფთეგმურის შინაარსის ფრაგმენტებს):

#### ეფთვიმეს თარგმანი

არარაჲ არს სწორი წყალობათა და სახიერებათა ღმრთისათა. ამისთვის უკუჲე რომ ელმან სასოება წარიკუჲეთა, მან ნებისთ მოიკლა თავი თვისი (გვ. 123).

არა ვიქცეთ კულად მასვე გზასა, რომელსა შინა ვსცეთით. არამედ მოვედით და სხუა წარველოთ მოკლე და ახლოჲ (იქვე).

რომელი სიზმართა ირწმუნებდეს, მსგავს არს

#### იოანეს თარგმანი

არარაჲ მოწყალებათა ღმრთისათაჲ სწორ, გინა უდიდეს არს, ვინაჲ სასოებისა წარმწირველმან თავი თვისი დაკლა (63r).

იხილე. რამეთუ არა ყოვლისა გზისა, რომლისაგან შევსცეთით, მოვიქცეთ. არამედ სხვსაგან უმსწრაფლესისა (63v).

აწ უკუჲე სიზმართა მრწმუნებელი მსგავს არს

<sup>22</sup> ციტატებს იოანეს თარგმანიდან დავიმოწმებთ ამ ხელნაწერის მიხედვით.

იგი კაცსა მას, რომელი აჩრდილსა თვისსა სდევდეს და ენებოს შეპყრობამისი (გვ. 52).

ვიხილენ სამნი მონაზონნი, რომელი ერთბამად იგინენეს ვიეთგანმე: და ერთი იგი შეწუხდა, რამეთუ იგინა, გარნა დადუმნა; ხოლო მეორე მხიარულ იქმნა თავისა თვისსა გინებისათეს, ხოლო შეწუხნა მაგინებლისა მისთვის, რამეთუ ევნოს მას; ხოლო მესამემან გულსა თვისსა გამოსახავნება მოყუისისა მის და ცრემლოოდა მჭურვალედ. და იყო მათ სამთა შორის ხილვა მუშაკთა შიშისა, სასყიდლისა და სიყუარულისათა (გვ. 158—159).

ულმოზელობამან გულისამან განაფიცის გონება, ხოლო სიმრავლემან ჭამადთამან განაწმნის ცრემლთა წყარონი (გვ. 128).

რომელსა ენებოს ნაყოფიანებითა და სიმაძღრითა ძლევადეშმაკისა სიძვისა და მსგავს არს იგი კაცსა, რომელი ავსებნ ზეთითა ცეცხლსა (გვ. 204).

რომელი მარხვითა ოდენის წრაფდეს დაცხრომად ბრძოლისა ჯორცთასა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი ერთითა ჭელითა ცურავნ და ენების ზღვსა დიდისა წიადსლვად (გვ. 205).

აჩრდილისა თვისსა მდევარსა და ამისსა შეპყრობად მეცადინსა (23 r—v).

სამნი მე ერთბამად ვიხილენ მონაზონნი გინებულნი. და რომელი მე იწერტებოდა ვიდრემე, გარნა დუმნა; ხოლო რომელსამე უხაროდა ვიდრემე თავისა თვისსა ძლით, ხოლო მჭმუნვარე იყო მაგინებელისათეს. ხოლო მესამე ენებისა მოყუისისასა აღმოსახველი ცრემლოოდა მჭურვალედ. და იყო ხილვა შიშისა, და სასყიდლისა და სიყუარულისა მუშაკთა (79 v).

უწყლველობამან გულისამან აბორიელა გონება, ხოლო საზრდელთა სიმრავლემან განაწმნა წყარონი (65 r).

ნაყოფიანებითა და სიმაძღრითა სიძვის ეშმაკსა მნებებელი ძლევად მსგავს არს ზეთისა მიერ დამშრეტელსა წუვეისასა (98v).

მარხვისაგან მხოლოდსა ბრძოლის დაცხრომად მეცადინი მსგავს არს ერთისა მიერ ჭელისა მცურვალსა დაჯსნად პელადონით ძლევვის-მოყუარესა (98v).



რომელი ერთგვის იგ-  
ლოვდეს და ერთგვის  
იციოდეს და განსცხ-  
რებოდეს, მსგავს არს იგი  
კაცსა მას, რომელი პურთა  
ესრვინ ძალსა მას გემოთ-  
მოყუარებისასა, რომელი-იგი სა-  
ხითა განაძებს მას, ხოლო  
საქმითა აწვევს მისა მოსლ-  
ვად (გვ. 137).

არსარწმუნო არს  
ღვნო, რაჟამს ოდენ  
საწნახელისაგან დიო-  
დის, არამედ—რაჟამს  
დაძუელდეს და განურ-  
ყუნელად ეგოს (გვ. 141).

ამპარტავეანი ბროწე-  
ული არს: გარეგან შუე-  
ნიერი და შინაგან დამპალი (გვ.  
264).

მპარავსა სძულს მზე და ამ-  
პარტავეანსა — სიმშვი-  
დე და სიმდაბლე (იქვე).

ვითარცა იშიშვის ქა-  
თამი არწივისაგან, ეგ-  
რეთვე მდგუგლი—სი-  
ტყვის-გებისაგან (გვ. 290).

ცხენი ვიდრემდის მა-  
რტოჲ არს, ჰგონებნ,  
ვითარმედ მალი არს,  
ხოლო რაჟამსა შევი-  
დის ასპარეზსა, მაშინ  
სცნის უძლურება, თვისი  
(გვ. 284).

ვითარცა არა იპოოს  
ცეცხლი თოვლსა ში-  
ნა, ეგრეთვე არცა მწვა-

ოდესმე ვიდრემე  
მგლოვარე, ხოლო ოდეს-  
მე მშუებელი და მო-  
ცინარი მსგავს არს პური-  
სა მიერ ძალისა გემოთ-მო-  
ყუარებისასა მქოლველსა,  
რომელი სახითა ვიდრემე  
სდევნის ამას, ხოლო საქმით  
მახლობელად თვისსა აწუ-  
ევს (68v).

არა აქუს რწმუნებაჲ  
ღვნოსა მეყსა შინა  
საწნახელთაგან შთა-  
წყუდეულსა (71r).

ზესთ-მჩენი არს ბროწე-  
ული: შინაგან დამპალი, ხოლო  
გარეშითა ხილვითა  
ელვარე (123v).

სძულს მპარავსა მზე, ხოლო  
ზესთ-მჩენ მან შეურაცხ-  
ყენეს მშკდნი (124r).

მოშიშებენ მფრინ-  
ველნი ქორის სახისა-  
გან, ხოლო მუშაკნი  
ამისნი—ჯმისაგან ნა-  
ცვალ-მეტყუელებისაჲ-  
სა (139r).

განმხოლოებულნი  
ცხენი მრავალგზის  
სირბილად ჰგონებნ,  
ხოლო თანა გუნდ-ქმნი-  
ლმან სხუათა მაშინ  
თვისისა იცნა უმტკი-  
ცობაჲ (134v)

შეუძლებელ თოვლი-  
საგან გამოსლვაჲ აღი-  
საჲ, ხოლო უშეუძლე-

ლეველთა თანა იპოოს  
სიმდაბლე (გვ. 287).

მყუდროება მან ზღვსა-  
მან და სიცხე მან მზისამან  
გამოსცადის მოთმინება მენა-  
ვისა და ნაკლულ ევა-  
ნება მან საჯმართამან  
მოთმინება და ყუდე-  
ბულისა და გამთაჩინოს.  
მენავესა მოეწყინის რაჲ,  
ცურავენ წყალთა შინა და, დაყუ-  
დებული სულ-მოკლე იქმ-  
ნის რაჲ, აღერის სიმრავლესა  
(გვ. 355—356).

პეტრიწის თარგმანი შინაარსობრივად ძნელი ანათვისებელია, რამ-  
დენადაც იგი დამძიმებულია მიმღობური კონსტრუქციებით. ამის  
გამო მან ეფთვიმის თარგმანთან შედარებით უპირატესობა ვერც მოი-  
პოვა (ის მხოლოდ თითოთროლა ხელნაწერმა შემოგვინახა). მისი გადა-  
წერა და გავრცელება დაიწყო XVIII საუკუნეში ანტონ კათალიკოსის  
ლიტერატურული სკოლის მიმდევრებმა.

„კლემაქსის“ პეტრიწული რედაქცია XIII საუკუნის შუა წლებში  
სომხურად გადაუთარგმნია სვიმეონ ზუცეს-მონაზონს. სომეხ მთარგ-  
ნელს. როგორც ეს ილ. აბულაძემ გააკრვია, უთარგმნია ძირითადი ტექ-  
სტი უკომენტარებოდ. მას გამოუყენებია „კლემაქსის“ ეფთვიმისეული  
რედაქცია, რომლიდანაც სომხურ თარგმანში შეუტანია ორი სტატია:  
„ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა იოანე სინელი მამასახლისისა“  
და „განმარტება ძნელანათა სიტყუათაჲ“<sup>23</sup>.

პროზაული თარგმანების გვერდით ძველ ქართულ მწერლობაში შე-  
იქმნა „კლემაქსის“ ორი გალექსილი რედაქცია: ერთი ეკუთვნის  
პეტრიწს, მეორე — ანტონ I კათალიკოსს. ორივე თხზულება ორიგინ-  
ალურია, წარმოშობილია ქართული მასალის საფუძველზე. პირველის  
წყაროა „კლემაქსის“ ეფთვიმისეული თარგმანი, მეორის — პეტრიწული.

როგორც ითქვა, ანტონმა XVIII საუკუნის მწერლობაში პეტრიწუ-  
ლი ტრადიციების აღდგენა სცადა: შეადგინა პეტრიწის ბიოგრაფია.  
დაამკვიდრა მისი ფილოსოფიური სტილი, პოპულარობა მოუპოვა მის  
ლიტერატურულ მემკვიდრეობას და სხვა. ამავე დროს მან პეტრიწუ-

ბელეს სხუა-მადიდებ-  
ლისა შორის მდაბალ-  
მზრახველობისა ყო-  
ფაჲ (135v).

სიწყენარე მან ვიდრე-  
მე ზღვსამან და შუადლე-  
მან მზისამან ნაეტიკსა ამ-  
ხილეს მოთმინებასა, ხოლო საჯ-  
მართა უპოვარე ბამან  
მომჭირნეობაჲ მე-  
ყუდროებაჲ მხილე-  
ბულყო. რამეთუ: იგი ვიდრე-  
მე დამძიმებული ცურ-  
ავს წყალთა შინა, ხოლო ესე მო-  
წყინებული აღერვის სიმ-  
რავლეთა (174r).

<sup>23</sup> ილ. აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომ-  
ხური მწერლობის ძეგლები, ვნიშვის შოამბე, III, 1938, გვ. 128—130.

ლი რედაქციის საფუძველზე დაამუშავა და „იროიკოდ და აკროსტი-  
ხორად კიდურ-წერილობით“ გალექსა „კლემექსი“<sup>24</sup>. ანტონი ამბობს:

სხოლასტიოსმან იოანე სინელმან  
კიბე ცად მყუანნი ჰქმნა სამათ აღსავალი.  
ამათნი თავნი ათსტიხთა შინათვითო  
აკროსტიხორით გარდა შესამის თავის  
ანტონი კლემქსენ უქმობის დასჯსნელად (108r).

ტექსტში მას ადგილ-ადგილ ჩაურთავს აკროსტიქული იამბიკო-  
ები: „კიბე ხარ. ცათა შენ მიერთა აღმიყუანე, მამაო იოანე“, „ანტონი  
დავითიანი, დასაბამ ზედ მხელი“. „დაგვცუენ შენნი, მამაო იოანე“  
(ფ. 124 v) და „ანტონი მეფის ძე დავითიანი“ (ფ. 125 r), ხოლო მე-  
ცამეტე თავისთვის წაუძღვარებია იამბიკო კიდურ-წერილობით „ან-  
ტონი“ (ფ. 115 r):

ანტონი, სახელ აქა კიდურ-წერაღი.  
ტალს გულს მელექსის მოწინებესა მიერ  
ოდეს იხილო, დაგინიშნაეს მის შორის  
ნებსით კუეთებო სვნოდისი კჳენისთ.  
იქილამ გლოვის არ-განყრას ნაბერწალთას.

ანტონი გასალექს ტექსტად იღებს პეტრიწის თარგმანიდან (A 39)  
ცალკეულ ფრაზებს და მათ ლექსავს იამბიკოვნად. აი, ამის ერთი ნიმუში:

პეტრიწის თარგმანი: „შვდნი ვიდრემე აწისა საუკუ-  
ნოხსა არიან მოქმედებანი: რომელნიმე შეწყნარებულნი, ხოლო რო-  
მელიმე შეუწყნარებელნი. ხოლო მერვე ცხად-არს, ვითარმედ გულვე-  
ბადისა საუკუნოხსა დამნიშნებელად მყოფ არს. ზედა დასკურეტდ,  
ჰოჲ მონაზონო გამხოლოვებულო, ჟამთა მკვეცთასა, ხოლო უკუეთუ  
არა, ვერ შეუძლო მომზავებელთა საფრკეთა დარწყუმაღ“ (ფ. 176r)<sup>25</sup>.

ანტონის გალექსილი რედაქცია (ფ. 122r):

შვდნი საქმენი აწთა საუკუნეთა:  
ზოგ შეწყნარებულ, შეუწყნარებულ ზოგი;  
და მერვე ცხად-არს, რამეთუ: გულვებადსა  
საუკუნოხს დამნიშნველად არს მყოფ.  
ამას დასკურეტე, ბრძენო, გულს-ჳმის ყოფით!

<sup>24</sup> A 226, 711, 799; S 146; Q 826. „ხელნაწერთა აღწერილობებში“ (S ფონ-  
დის I ტ., გვ. 155—156; Q ფონდის II ტ., გვ. 241) დაშვებულია შეცდომა: ანტონის  
„კლემექსი“ მიჩნეულია პეტრიწის თხზულებად. ქვემოთ ვსარგებლობ A 711 ხელნა-  
წერით.

<sup>25</sup> შდრ. ეფთვიძე მთაწმიდელის თარგმანი: „შვდნი იგი  
კიბენი საქმენი არიან შვდელისა ამის საწუთოხსანი: რომელნიმე კეთილ და რო-  
მელნიმე ხენუშ. ხოლო მერვე მერმისა მის საუკუნოხსა მომასწავებელ არს. უმზირდი,  
ჰოჲ მონაზონო მარტოდ მყოფო, ჟამსა მკვეცთა მოსლვისასა, თუ არა ვერ უძლო მახისა  
კეთილად დაღებად“ (გვ. 359).

ამ შედარებიდან ირკვევა, რომ გამლექსავი ტექსტს ოდნავ ამოკლებს, იყენებს საკუთარ სიტყვებსაც, მაგრამ ძირითადად იმეორებს თავის წყაროს. ანალოგიური ვითარებაა სხვა შემთხვევებშიც. ასე რომ, ანტონის რედაქცია თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა პეტრიწული ტექსტის ექსცერპტებს. მისი (ანტონის) ორიგინალობა მხოლოდ იამბიკურ ლექსად გაწყობაში გამოიხატება.

პეტრიწული გალექსილი რედაქცია, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „სათნობათა კიბეს“ (მისი კრიტიკული ტექსტი იხ. ქვემოთ), შედგება 302 სტროფისგან. დასაწყის სტროფშივე აღნიშნულია გამლექსავის ვინაობა:

იოანესგან სინელისა სამ-ათნი  
გუარნი, კიბისა აღსავლთაებრ თქმულნი —  
ვინცა აღსრულ ხარ, სისრულედ მიწვენილ ხარ! —  
ესენი თეთო თავისაგან ათ-მუჯლად  
მე, იოანე, დავლექსენ პირის-პირად.

სახელი იოვანე აღნიშნულია 302-ე სტროფის კიდურწერილობაშიც: „მეოხ მექმენ, მამაო იოვანე, მე — იოვანეს, მოსავსა შენსა“. ეს იოანე არის პეტრიწი. ამას ადასტურებს ლიტერატურული ტრადიცია (ხელნაწერებზე დართული ჯანდერძები და XVIII საუკუნის მწერალთა ცნობები). ანტონ ბაგრატიონი წერს „მზამეტყუელების“ წინასიტყვაობაში, რომ: „ჩუენ ქართველთა შორის დიდმან ღმრთის-მეტყუელმან და სიბრძნის-მოყუარემან იოანემან თქუა პეტრიწმან: «მეძიებელთა ეპოების მათ ღმერთი მისგან შექმნულთა რომელთაცა დასისა»“ (გვ. 3). იმოწმებს რა ამ ციტატს კ. კეკელიძე, იქვე შენიშნავს: „ჩვენ არ ვიცით, ესა (იგულისხმება „პროლოღია“, — ე. ლ.) თუ სხვა «ხუთმუხლელი დასდებელი» აქვს მხედველობაში ანტონ კათალიკოსს“<sup>26</sup>, მაგრამ ახლა ცხადია, რომ ციტატი „მეძიებელთა ეპოების მათ ღმერთი“ ანტონს ამოუღია „სათნობათა კიბიდან“ (სტრ. 3), რომელსაც ის პეტრიწის თხზულებად თვლის. ამ თხზულებას პეტრიწს აკუთვნებს აგრეთვე დავით რექტორი: „აღვსწერე მცირე ესე კლემექსი, იოანე ფილოსოფოსისაგან იამბიკოდ გალექსული ოცდაათნი კიბენი, თითონი ათთა სტიხთა შინა, რომელსა წოდებულ ჰყოფენ იოანე პეტრიწად“ (A 342, ფ. 64 v).

„სათნობათა კიბე“ შედგება 30 თავისგან (თითოეული თავი — ათათი სტროფისგან). ყოველი თავის პირველი სტროფი აკროსტიქულია (ასეთია 30 სტროფი: 2, 12, 22, 32, 42, 52, 62, 72, 82, 92, 102, 112, 122, 132, 142, 152, 162, 172, 182, 192, 202, 212, 222, 232,

<sup>26</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტ., I, გვ. 290, სქოლ. 1.

242, 252, 262, 272, 282, 292) და მათს კიდურ-წერილობაში იკითხება ამა თუ იმ თავის სათაური. პროზაული „კლემაქსის“ პირველი თავია „გამოსლვისათვის სოფლით“ (გვ. 20). პეტრიწი ამ სათაურს მეორე სტროფში პრთავს აკროსტიქურად:

|                    |                     |
|--------------------|---------------------|
| გნებავს გამოხუალ,  | თუ ოღესა ამას ჰყოფ. |
| არსსა ვით ჰხედავ,  | ოკმეცარი არ-მართალ, |
| მარადის მხელი,     | საუკუნოვასა მეტრფი; |
| ოკწყით, მუნ აღვალხ | ხელთა მამისა მიმართ |
| საგზოდ, ვინ აქა    | ოკფროსს მოიგო ესე.  |

პროზაულ რედაქციაში თხრობა „სიზმრისათვის“ მესამე თავის შემადგენელი ნაწილია (გვ. 51—53). „სათნობათა კიბეში“ პეტრიწს იგი მეოთხე თავად გამოუყვია. სამაგიეროდ მეცხრე თავს „ძვრის-გსენებისათვის“ (გვ. 162—165) იოანე ფილოსოფოსი იწყებს აკროსტიქული სტროფით „ძვრის-ზრახვისათვისვე“ (92), მაგრამ ტექსტი ეხება ძვირის-ხსენებას (სტრ. 93—101), ხოლო მეათე თავი „ძვრის-ზრახვისა და განკითხვისათვის“ (გვ. 167—170) მწერალს არ გაუღექსავს. აკროსტიქულად არ გაუღექსავს მას მეშვიდე თავის სათაურიც „გლოვისათვის“ (გვ. 153). მის ნაცვლად პეტრიწთან იკითხება ასეთი სტროფი (72):

იგოვდ საწუთოს შკდთა ათასეულთა  
 ოკფროსლა, რათა მერკვეს განისუენო შენ,  
 ვინაი ამით საუკუნოს მოიგებ,  
 არსთა ზესთასა ხედვა-საუკუდაოსა  
 ნებსით მწმედელი სულისა თუალთა მარად.

ამრიგად, „კლემაქსის“ პროზაულ და გაღექსილ რედაქციათა სათაურების შეფარდება ასეთია:

**ეფთვიშე მთაწმიდელი**

**იოანე პეტრიწი**

- |   |                               |
|---|-------------------------------|
| 1. გამოსლვისათვის სოფლით                          | გამოსლვისათვის სოფლით ესე     |
| 2. სიძღვლილისათვის სოფლისა და მონაგებთა მისთა     | 2. არ-სიყუარულისათვის სოფლისა |
| 3. უცხოებისათვის                                  | 3. უცხოებისათვის              |
| — — — — —   | 4. სიზმართათვის               |
| 4. მორჩილებისათვის უოვლად ქებული-სა და შუენიერისა | 5. მორჩილებისათვის ეს         |
| 5. სინანულისათვის....                             | 6. სინანულისათვის ესე არისვე  |
| 6. ვსენებისათვის სიკუდილისა                       | 7. ვსენებისათვის სიკუდილისა.  |
| 7. გლოვისათვის                                    | 8. იოვანე                     |
| 8. ურისხველობისათვის და გულისწყრომისა             | 9. ურისხველობისათვის          |
| 9. ძვრის-გსენებისათვის                            | 10. ძვრის-ზრახვისათვისვე      |

- |  |  |
|--|--|
| 10. ძვრის-ზრახვისა და განკითხვისათვის  | 11. დუმილისათვის                                       |
| 11. დუმილისა და მრავალ-მეტყუელე-ბისათვის   | 12. ტყუელისათვის არის ეს სახედ                         |
| 12. ტყუელისათვის   | 13. მოწყინებისა  |
| 13. მოწყინებისათვის  | 14. ნაყოფანებისათვის                                   |
| 14. ნაყოფანებისათვის   | 15. სიწმიდისათვის                                      |
| 15. სიწმიდისა და ქალწულებისათვის   | 16. ვეცხლის-მოყუარებისათვის                            |
| 16. ვეცხლის-მოყუარებისათვის  | 17. უპოვარებისათვის                                    |
| 17. უპოვარებისათვის  | 18. გულ-ფიცხელობისათვის                                |
| 18. გულ-ფიცხელობისათვის და უღმობელობისა  | 19. ძილისა   |
| 19. ძილისათვის და მრავალთა თანა ლოცვისა  | 20. მღვდარებაი   |
| 20. მღვდარებისათვის ჯორცთასა, რომლისაგან იშუების მღვდარება სულისა  | 21. მოშიშებისათვის არს                                 |
| 21. მოშიშებისათვის   | 22. ცუდად-მზუაობრობისათვის                             |
| 22. ცუდად-მზუაობრობისათვის   | 23. გმობისათვის არს                                    |
| 23. აპარტანებისათვის. რომლისა თანა იტყუეს გმობისათვისცა  | 24. სიმშვიდისათვის, სიწრფოებისა და უმანკოებისათვის.... |
| 24. სიმშვიდისა, სიწრფოებისა და უმანკოებისათვის....   | 25. სიმდაბლისათვის                                     |
| 25. ვნებათა მომკლელისა მის და წარწყმედილისა სანატრელისა სიმდაბლისათვის   | 26. განკითხვა თავისა                                   |
| 26. დიკრისისათვის, რომელ არს გულისა-ვმის ყოფა და განკითხვა გულის სიტყუათა და ვნებათა და სათნოებათა             | 27. დაყუდებისა ჯორცთა და სულისა                        |
| 27. დაყუდებისათვის ჯორცთა და სულისა  | 28. ლოცვისათვის და საგონებისა კეთილს დგომისათვის.      |
| 28. ყოველად წმიდისა მის და სათნოებათა დედისა ლოცვისათვის და მას შინა გუამითაცა და გონებითა კეთილად დგომისათვის | 29. უვნებლობისათვის ესე                                |
| 29. უვნებლობისათვის...   | 30. სარწმუნოებისათვის.                                 |
| 30. სამობისა მისთვის სამთა სათნოებათასა -- სარწმუნოებისა, სასოებისა და სიყუარულისა.                            |  |

როგორც ვხედავთ, პროზაული და გალექსილი რედაქციების სათაურები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან. პეტრიწი იყენებს ეფთვიმისეული თარგმანის სათაურებს: ზოგ მათგანს უცვლელად იმეორებს, ზოგსაც ამოკლებს იმის მიხედვით, თუ ავტორს რა სათნოებაზე სურს ყურადღების გამახვილება.

სულ სხვაგვარი ვითარებაა რედაქციათა შინაარსობრივი ურთიერთობის თვალსაზრისით. პეტრიწი არ იზღუდება გასალექსი ტექსტით. იგი მის ბაზაზე სთხზავს ორიგინალურ შრომას, რომელიც პირველი

წყაროსგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. 302 სტროფიდან პროზაულ დედანს ემთხვევა მთლიანად ან ნაწილობრივ 186 სტროფი, სხვა დანარჩენი ორიგინალურია. გალექსილ ნაწილშიც პეტრიწი მეტ თავისუფლებას იჩენს, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. დავიმოწმოთ რამდენიმე ნიმუში ორივე ტექსტიდან:

1. პროზაული რედაქციიდან პეტრიწი იღებს ნაწყვეტს და მას მცირეოდენი ცვლილებით ლექსავს:

ე ფ თ ვ ი მ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი : „წმიდათა მამათა მარხვა თქუეს საქურველად, და ლოცვა—ზღუდედ და უბიწონი ივი ცრემლნი — საბანელად, ხოლო მორჩილება წამებად ქადაგეს“ (გვ. 59). ან: „ანგელოსთა არს ყოვლადვე არა დაცემა, ხოლო კაცთა არს დაცემა და მეყსეულად აღდგომა, რავედენ გზისცა მოიწიოს; ხოლო ეშმაკთა არს შემდგომად დაცემისა ყოვლადვე არა-აღდგომა“ (გვ. 73).

პ ე ტ რ ი წ ი ს გ ა ლ ე ქ ს ი ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა (სტრ. 46—47):

საქურველად თქუეს მარხვა წმიდათა მამათა  
და ლოცვა — ზღუდედ, ხოლო წმიდანი ივი  
ცრემლნი — გულისა საბანელად, მწმედელად  
და მორჩილება წამებად გვქადაგეს,  
ვინაჲთგან ივი ქრისტესა წარადგინებს.

ანგელოსთა არს ყოვლად მიედრეკლობა,  
ხოლო კაცთა არს აღდგომა დაცემულთა,  
რაოდენ გზისცა მოიწიოს, ამისთვის  
რამეთუ რჩეულ ნიკ — კაცთა სინანული;  
ხოლო დაცემა ეშმაკთა — არ-აღდგომა.

2. პეტრიწი პროზაული რედაქციის ამა თუ იმ ადგილს მთლიანად ლექსავს, მაგრამ მას შინაარსობრივად აფართოებს:

ე ფ თ ვ ი მ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი : „არა თუ ყოველი უცხოება კეთილ არს“ (გვ. 44), ან: „კეთილ არს შეურაცხება მონაგებთა, ხოლო მისი დედა უცხოება არს“ (გვ. 45), ან კიდევ: „სინანული განმნახლებელი არს ნათლის-ღებისა, სინანული აღთქემა არს ღმრთისა მიმართ ახლისა ცხოვრებისა“ (გვ. 106).

პ ე ტ რ ი წ ი ს გ ა ლ ე ქ ს ი ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა (სტრ. 26, 29, 53):

უცხო ღმრთისათვის საყუარელ და კეთილ არს,  
ხოლო ყოველი უცხოება — არ-კეთილ,  
ვინაჲთგან ესე ლექსები არღ იქცევის  
ფილოსოფოსთა სქესებრითა წესითა.  
ამად ეკრძაღე უცხოებასა, კაცო!

შეურაცხება მონაგებთა კეთილ არს  
და უცხოება—რომლისაგან იშვებია:  
რომლისათვისცა ნათელი რა ბრწყინვიდეს,  
მაშინლა ჰარბიოდე მოლუაწებისა გზასა  
და არ შეგებრკუჟმას სოფლისა სიბნელემან.

ნათლის-ღებასა სინანული ახალ-ჰყოფს,  
ღმრთისათვის აღსთქუჟამს ახალსა ცხოვრებასა,  
მოიყიდის იგ მცირითა სავაჭროჟაჟა  
დაუღვევარსა მართალთა საშუებელსა.  
განემზადე შენ, მონანულო, კეთილად.

8. პეტრიწი პროზაულ ტექსტს ავრცობს საკუთარი კომენტარებით ან ავითარებს ამა თუ იმ ეთიკურ-მორალური შეგონების მთავარ იდეას.

ე ფ თ ვ ი მ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი: „კეთილი საფუძველი არს სამთა მათ სათნოებისა სუეტთა: უმანყოება, მარხვა და სიწმიდე“ (გვ. 26), ან: „სიჰაბუეკსა შინა შეკრებილნი შრომანი სიბერეთა შინა მოუძღუ-რებულთა ჰზრდიან და ნუგეშინის-სცემენ“ (გვ. 32), ანდა: „მორჩილება საფლავი არს ნებისა“.... (გვ. 57).

პ ე ტ რ ი წ ი ს გ ა ლ ე ქ ს ი ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა (10—11, 44):

სამნი შეიტკებენ, მონაზონო, და სცხოვნდე:  
უმანყოება, სიწმიდე და მარხვა.  
ერთი მოყუსისა სიყუარულსა მოგართმევს,  
ხოლო მეორე უსხეულოთა მიგრთავს  
და მარხვა წმიდა ქუეყანით აღგამაღლებს.

სოფლით გამოსლვა სიჰაბუეკისა ჟამსა  
გიკმს, მონაზონო, რამეთუ შეკრებულნი  
მაშინ შრომანი სიბერესა გზრდიან შენ  
და სიყუდილისა წინათვე წარჰგზავნიან  
მოსაგებელსა ღირსთასა საუყუნოდ.

მორჩილება არს მოყუდინება ნებათა  
და უარ-ყოფა წადილისა სრულიად,  
ვინაჟთგან იგი თვის შორის ცხოვრობს არ ოდეს,  
არამედ მუნ არს ქრისტესდად გონებითა  
და ერთსა ჰხედავს, დაუვსოსა ნათელსა.

პეტრიწი თხზავს ორიგინალურ სტროფებსაც, რომელთა შესატყვისი ადგილები პროზაულ რედაქციას არ მოეპოვება. ასეთია 116 სტროფი (ისინი გამოცემაში აღნიშნულია ვარსკვლავით), რომელთაგან ზოგან თითოთორღა სტროფია ჩართული, ზოგანაც — მთელი ციკლი: ავტორი მსჯელობს ქრისტიანულ მორალსა და ზნეთსწავლულებაზე, მარჯვედ იყენებს ფილოსოფიურ ცნებებსა და დებულებებს და ისე



აყალიბებს ბერ-მონაზონთათვის სავალდებულო ზნეობრავ ნორმებს. ასე რომ, „სათნობათა კიბე“, რომელიც იოანე სინელის „კლემაქსის“ თავისუფალ გადამუშავებას წარმოადგენს, ორიგინალური ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ნაშრომია. იგი უაღრესად მნიშვნელოვანია ავტორის მსოფლმხედველობისა და ქართული აზროვნების ისტორიისათვის. ამით პეტრაჟი გვევლინება შუა საუკუნეების თვალსაჩინო მორალისტად.

### 3. ოქანე პეტრიწი და ბიბლიური წიგნების მთარგმნელობა

პეტრიწს დიდი წვლილი უდევს ბიბლიური წიგნების თარგმნაშიც. არსებობს ანტონ ბაგრატიონის ცნობა, რომ მას ბერძნულიდან გადმოუღია „საღმრთო წერილი“ („სპეკალი“). ამ ცნობას იმეორებს იოანე ბაგრატიონი: პეტრიწმა „თარგმნა სახარების თარგმანნი, ლუკასი და მარკოზისა თაენი,.... და სხეანი მრავალნი საღმრთოინი წერილნი“ („კალმასობა“).

XX საუკუნის მკვლევარნი ამ თარგმანებიდან ზოგს არ აკუთვნებენ პეტრიწს, ზოგიც მიუგნებელი რჩებათ. კ. კეკელიძე ჯერ წერდა: პეტრიწის „საღმრთო წერილი“ ჩვენთვის უცნობია, ის ხელნაწერებში არ გვხვდებაო (ეტიუდები, I, გვ. 282). მერე იმასაც ამბობდა: „შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მას ეკუთვნის ბიბლიური ტექსტი იმ კატენებისა, რომელიც მოთავსებულია A 1108-ში. ყოველ შემთხვევაში თავის კომენტარების ბოლოსიტყვაობაში (პროკლე დიადოხოსისა) ის ხაზგასმით ლაპარაკობს მოსეს წიგნების შესახებ (გვ. 218—219). ამ კომენტარებიდანვე ჩანს, რომ მას უნდა დაეწერა სოლომონის «იგავთა» განმარტება“<sup>27</sup>.

დღეს მეტის თქმა შეგვიძლია. პეტრიწს უნდა მივაკუთვნოთ სახარების ის ახალი რეცენზია, რომელიც დაცულია თეოფილაქტე ბულგარელის „სახარებათა თარგმანების“ ქართულ რედაქციაში<sup>28</sup>, და „ეკლესიასტე“, რომელიც შემოუნახავს მიტროფანე ზმვირნელის „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“-ს ქართულ თარგმანს<sup>29</sup>. იოანეს უნდა გადმოეღო ქართულად სხვა ბიბლიური წიგნებიც. ყოველ შემთხვევაში, როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, პეტრიწს მართლაც უთარგმნია მოსეს წიგნები, რომელთა შესახებ ცნობა დაცულია პროკლე დიადოხო-

<sup>27</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., I, გვ. 290.

<sup>28</sup> A 52, 102, 113. მათეს სახარების თარგმანი მიუკვლეველია.

<sup>29</sup> გამოსცა კ. კეკელიძემ 1920 წელს.

სის „კავშირთა“ კომენტარების ბოლოსიტყვაში. 218 — 219-ე გვერდებზე იოანე მსჯელობს თავის სამთარგმნელო საქმიანობაზე და აღნიშნავს გარკვევით, რომ მას „კუალად გარდამოულია“ მოსეს წიგნები: „არამედ მიზეზი აწ კუალად გარდმოლებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს“ და ა. შ. უდავოა, რომ აქ ლაპარაკია რაღაც წიგნზე, რომელიც პეტრიწს ბერძნულიდან უთარგმნია; მკვლევარნი ფიქრობენ, რომ ეს წიგნი არის პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, რომელიც თითქოს ქართულად გადმოუღიათ ჯერ კიდევ აღრეფეოდალიზმის ხანაში. ეს ძველი თარგმანი XI—XII საუკუნეების ქართველებს აღარ აკმაყოფილებდათ და ამიტომაც პეტრიწს იგი „კუალად გარდამოულია“, ე. ი. ხელახლა უთარგმნიაო. მოვუსმინოთ ამ მოსაზრების ავტორებს პ. ინგოროყვასა და ს. ყაუხჩიშვილს:

„განთქმულმა ქართველმა ფილოსოფოსმა და მე-11—12 საუკუნის ქართული ჰუმანისტური მოძრაობის მეთაურმა იოანე ფილოსოფოსმა, როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე სთარგმნა ნეოპლატონიკოსის პროკლე დიადოხოსის „კავშირნი“, რომელსაც კომენტარების სახით დაუთმო თავისი ორიგინალური ფილოსოფიური ნაშრომი. იოანე ფილოსოფოსის კომენტარებში აღნიშნულია, რომ პროკლეს ტექსტის ეს თარგმანი ხ ე ლ მ ე ო რ ე დ არის შესრულებული. ძველი თარგმანი, ჩანს, უკვე აღარ აკმაყოფილებდა ახალს ფილოსოფიურ მიმართულებას, რომელიც მე-11—12 საუკუნეებში აღორძინდა საქართველოში, და ამით ყოფილა გამოწვეული იოანე ფილოსოფოსის მიერ პროკლეს თხზულების ხელმეორედ თარგმნა. სამწუხაროდ, ეს ძველი პირველი თარგმანი პროკლეს თხზულებისა... ჩვენ დრომდე არ გადაჩენილა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმისი გარკვევა, თუ სახელდობრ როდის ან ვის მიერ იყო შესრულებული ეს ძველი თარგმანი“<sup>20</sup>.

„როგორც ჩანს, — წერს ს. ყაუხჩიშვილი, — ეს თხზულება („კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, — ი. ლ.) ქართულად წინათაც ყოფილა გადმოთარგმნილი. ამას ადასტურებს იოანე პეტრიწის სიტყვები: «მიზეზი ამ წიგნის ხელ-მეორედ გადმოლებისა ჩემ მიერ შემდეგიაო»<sup>21</sup>.

შ. ნუცუბიძემ პეტრიწის ცნობა მოიშველია ფსევდო-დონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იგივეობის დასასაბუთებლად. „ამ ციტატში, — წერს იგი, — გასათვალისწინებელია რამდენიმე მო-

<sup>20</sup> პ. ინგოროყვა, ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, წერილი მეორე, მნათობი, 1939, № 4, გვ. 112—113.

<sup>21</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1963, გვ. 87, სქოლ. 1.

მენტი: 1. პროკლეს «თეოლოგიის ელემენტები» პეტრიწამდე ვილაცამ თარგმნა ქართულად და მას კომენტარები დაურთო; 2. მთარგმნელმა, რომელიც დიდებით ყოფილა გარემოცული, არ ისურვა დახმარებოდა იმათ, რომელთაც არ შეეძლოთ გარკვეულაყვნენ პროკლეს «ელემენტების» სხვადასხვა განმარტების სიუხვეში (в обилии разных толкований), რის გამოც პეტრიწმა თვითონ სცადა თავისი წინამორბედის ამ ხარვეზის შევსება. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: ქართულ ენაზე პროკლეს «ელემენტების» პირველი მთარგმნელი და ის კაცი, რომელმაც ამ წიგნით მოიპოვა დიდება, ერთი და იგივე პირია. აქედან, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ჩანს, თუ სახელდობრ ვინ შეასრულა და როდის პროკლეს პირველი ქართული თარგმანი“, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორს დაუწერია რალაც შრომა პროკლეს „ელემენტების“ შესახებ, რომლითაც მას დიდების პატივი მოუპოვებია, ცხადია, ის შრომა უნდა იყოს სწორედ „კავშირთა“ „პირველი გადმოღება“, რომელსაც გულისხმობს პეტრიწი. ეს კი მოულოდნელად არკვევს, რომ ფსევდო-დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ერთი და იგივე პირია<sup>32</sup>.

აღნიშნული მოსაზრება კატეგორიულად უარყო კ. კეკელიძემ: „პეტრიწი არ ამბობს, რომ პროკლეს „კავშირთა მან ხელმეორედ თარგმნა. სიტყვა „ყუალად“, მართალია, აღნიშნავს განმეორებულ მოქმედებას, რუსულ вторично-ს, მაგრამ მას ამასთან ერთად მეორე მნიშვნელობაც აქვს, სახელდობრ: „კიდევ“, ბერძნულად παράλιν, ἔτι. რუსულად — еще, также“. ამის მიხედვით ტექსტი ასე უნდა გავიგოთ: „მიზნუი იმისა, რომ მე გადმოვიღე ა გ რ ე თ ვ ე ე ს წიგნიც, (მდგომარეობს შემდეგში)“<sup>33</sup>.

ამავე ციტატს შეეხო ს. დანელია: შ. ნუცუბიძის „მოსაზრება დაფუძნებულია მცდარ წანამძღვრებზე. როგორც ეს დამტკიცებულია ძველი ქართული ენის სპეციალისტთა მიერ, პეტრიწი სრულიადაც არ ამბობს, რომ მან «მეორედ» თარგმნა პროკლეს «თეოლოგიის ელემენტები». თუმცა, მისი სიტყვები რომ გავიგოთ ისე, როგორც ეს ავტორს (შ. ნუცუბიძეს, — ი. ლ.)ესმის, მისგან მაინც არ გამომდინარეობს, რომ ის პირი, რომელმაც პეტრიწზე ადრე თარგმნა პროკლეს «თეოლოგიის ელემენტები», იყო უძველესად პეტრე იბერი და ეს პეტრე იბერი კი — ფსევდო-დიონისე“<sup>34</sup>.

<sup>32</sup> Ш. Н у ц у б и д з е, Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита, 1942, გვ. 46—47.

<sup>33</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, ეტიუდები, IV, 1957, გვ. 48.

<sup>34</sup> С. Н. Д а н е л и я, К вопросу о личности Псевдо-Дионисия Ареопагита, Экзевтнийский врсенник, VIII, 1956, გვ. 382.

შ. ნუცუბიძემ კ. კეკელიძისა და ს. დანელიას მოსაზრებათა წინააღმდეგ მკაცრი პოლემიკა გააჩაღა: კ. კეკელიძე „ამჩნევსო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იოანე პეტრიწის ერთი მოწმობისა და ცდილობს მას როგორმე ძირი გამოუთხაროს“<sup>35</sup>. ან: „ყოვლად დაუშვებელია, სიტყვა «კუალად»-ს სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, გარდა «ხელმეორედ»-ისა... საგანთა ლოგია მოითხოვს, რომ თუ ერთმა საქმე ვერ შეასრულა, მეორე ამას «ხელმეორედ» («კუალად») აკეთებს და არა «აგრეთვე». ეს გარემოება დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, თუ მეცნიერული და არა სხვა მოსაზრებით ვხელმძღვანელობთ“ (იქვე, გვ. 72—73). ან კიდევ: კ. კეკელიძე „ცდილობდა ჩემი «გარდამწყვეტი საბუთის» გაუფასურებას პეტრიწის იმ ადგილის არასწორი წაკითხვით, სადაც მითითებულია პროკლეს «ელემენტების» «კუალად გარდმოღებაზე»... ხოლო „ბიზანტიისკი ვრემენიკის“ რეცენზენტი (იგულისხმება ს. დანელია) ფიქრობს, „თითქოს საქართველოში სპეციალისტი ტექსტოლოგები პეტრიწის მითითებული ადგილის ჩვენს წაკითხვას სადავოდ ხდიან, მაგრამ საქართველოს დიდი ტექსტოლოგები პ. ინგოროყვა და ს. ყაუხჩიშვილი პეტრიწის მითითებულ ადგილს ზუსტად ისევე კითხულობენ, როგორც ჩვენ.... მაშასადამე, თეზისი პროკლეს «ელემენტების» პირველ გადმოღებაზე ძალაში რჩება და ამასთან ერთად შეურყეველია ის არგუმენტი, რომ ფსევდო-დიონისე (V ს.) ქართულ ენაზე წერდა“<sup>36</sup>.

შ. ნუცუბიძე არ დაკმაყოფილდა მარტო ამ პოლემიკით; მან წამოყენებული ჰიპოთეზის ირგვლივ კვლევა უფრო გააღრმავა, რის შედეგადაც ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა ნარკვევები: „«მიზეზთა წიგნის» ავტორია პეტრე იბერი“<sup>37</sup>, „იოანე პეტრიწის დამოკიდებულება წინამორბედი ქართული ფილოსოფიისადმი“<sup>38</sup>, და მონოგრაფია — „პეტრე იბერიელი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა“ (1963 წ.)<sup>39</sup>, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმი მიძღვნილია ხუთი თავი: „არეოპაგიტული წიგნები და «მიზეზთა წიგნი»“ (გვ. 279—323), „«მიზეზთა წიგნის» ფრაგმენტთა კრიტიკა არეოპაგიტული კორპუსიდან“ (გვ. 324—371), „«მიზეზთა წიგნი» და არეოპაგიტია“ (გვ. 371—403), „«მიზეზთა წიგნის» წარმოშობისათვის“ (გვ. 404—417)

<sup>35</sup> შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 51.

<sup>36</sup> Ш. Нуцубидзе, Петр Ивер и античное философское наследие, 1963, гв. 276—277.

<sup>37</sup> მნათობი, 1959, № 7; შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, გვ. 53—73.

<sup>38</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958, გვ. 54—147; Ш. Нуцубидзе, История грузинской философии, 1960, гв. 308—373.

<sup>39</sup> Петр Ивер и античное философское наследие (Проблемы аренагитики), Тбилиси, 490 გვ.

და „ფსევდო-დიონისეს შრომის შესახებ «თეოლოგიის შესავალი»“ (გვ. 418—435). ამავე საკითხს ის შეეხო რუსთველოლოგიურ წერილშიც — „რუსთაველი და ქართველი მოაზროვნეა“<sup>10</sup> და საბჭოთა კავშირის ბიზანტინისტთა სამეცნიერო სესიაზე 1965 წლის 18 დეკემბერს წაკითხულ მოხსენებაში — „არეოპაგიტიკის წყაროები“<sup>11</sup>. დასახელებულ ნარკვევებში მან ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის მრავალი საკითხი განიხილა და პროკლეს „კავშირთა“ პირველ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით წამოყენებული ჰიპოთეზი საბოლოოდ ასე ჩამოაყალიბა:

პეტრე იბერიელმა (ფსევდო-დიონისემ) იოანე ლაზთან ერთად ქართულად „განმარტებითი ამოკრეფის მეთოდით“ გადმოიღო პროკლეს „კავშირნი ღმრთის-მეტყუელებთნი“, შეიმუშავა მისი ბერძნული რედაქცია, რომელმაც ავტორს ღიღების სახელი მოუპოვა. ეს რედაქცია პეტრეს მოწაფემ სერგი რეშიინელმა არეოპაგიტულ წიგნებთან ერთად სირიულზე გადათარგმნა, მოგვიანებით კი გადათარგმნეს არაბულ-ლათინურ ენებზე და მსოფლიოში გავრცელდა „მიზეზთა წიგნის“ სახელით. შრომა, რომელიც პეტრე იბერიელმა გამოიყენა თავის წიგნში „საღმრთოთა სახელთათვის“ (2, 9 — 10), „არც ქართულად და არც ბერძნულად დაცული არაა“. ბერძნული დედანი ადრევე დაიკარგა, ქართული კი საქართველოში ჩამოიტანა ცამეტმა ასურელმა მოღვაწემ. XI—XII საუკუნეებში ქართული დედანი ხელთ ჩაუვარდა პეტრიწს, რომელმაც პროკლეს თხზულების ხელახალ თარგმანში მისი ავტორი გააკრიტიკა; „კავშირთა“ პირველ გამომღებელს, „ღიდების შარავანდედით მოსილს“, „დაეზარა ქართველებისათვის დაწერილებით გაეცნო მოძღვრება პირველი მიზეზის შესახებ“. ამიტომ იოანემ პროკლეს შრომა ქართულად გადმოთარგმნა და მისი კომენტარები არეოპაგიტული წიგნების საფუძველზე დაწერა. პირველი თარგმანი მეორემ განდევნა. იგი დაიკარგა მონგოლების შემოსევის შემდეგ, „საქართველოში გაძლიერებული ფეოდალური რეაქციის შემდეგ“.

ამ ჰიპოთეზის დასასაბუთებლად შ. ნუცუბიძემ მოიშველია ოთხი წინამძღვარი:

1. ფსევდო-დიონისეს მოწმობა: „ამის პირისათვის (= ქრისტესთვის, — ი. ლ.) ჩუენ მიერცა კმა-საყოფელად თქმულ არს სხუათა ადგილთა შინა. და კულად ღიდებულისა მისცა წინამძღვრისა ჩუენისაგანცა ზეშთა-ბუნებისა საგალობელ ქმნულ არს ღმრთის-მეტყუელებითა მათ შინა მისთა თხრობის-შენიეთებათა“ (2,9).

<sup>10</sup> მნათობი, 1965, № 10, გვ. 103—115.

<sup>11</sup> Тезисы докладов, 1965, гв. 110 — 112. ქართული ვარიანტი იხ. მნათობი, 1966, № 6, გვ. 151—163.

2. „მიზეზთა წიგნის“ ექსცერპტები, რომლებიც ჩართულია ფსევდო-დიონისეს საღმრთო სახელთა განმარტებაში (9,10).

3. ის ფაქტი, რომ პეტრეს მოწაფემ — სერგი რეშაინელმა სირიულად თარგმნა არეოპაგიტულ წიგნებთან ერთად „მიზეზთა წიგნიც“ (იგივე „მიზეზთა შესახებ ტრაქტატი“) და

4. იოანე პეტრიწის ციტატი „არამედ მიზეზი აწ კუალად გარდმოლებად... ულუმი:ნთა ძლევენი“ (გვ. 219), რომელმაც ესოდენ გაცხოველებული პოლემიკა გამოიწვია ჩვენს მეცნიერებაში<sup>42</sup>.

ამ წანამძღვართა შორის მკვლევარმა ყველაზე მეტი ღირებულება მიანიჭა მეოთხე „მოწმობას“, რომელიც მისი კონცეფციის ერთადერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს. იგი წერს: „იოანე პეტრიწის «განმარტებაჲს» გარეშე, რომელიც «მიზეზთა წიგნის» განმეორებაა უფრო ვრცელ მასალაზე, შეუძლებელია დაისვას და გადაწყდეს «მიზეზთა წიგნის» (ე. ი. პროკლეს „კეჰშირთა“ პირველი გადმოღების, — ი. ლ.) ავტორისა და, საზოგადოდ: იდეურ-შინაარსეული გენეზისის საკითხი“<sup>43</sup>. ეს გასაგებიცაა: თუ პეტრიწი ამბობს, რომ „მიზეზთა წიგნი“ (არეოპაგიტული წიგნების წყარო) არის პროკლეს თხზულების პირველი ქართული გადმოღება, რომელიც თითქოს შეუსრულებია „დიდების შარავანდედით მოსილ“ პეტრე იბერს, მაშინ საკითხი ვარკვეულია: ფსევდო-დიონისე ყოფილა ორენოვანი მწერალი, ტომით ქართველი, იგივე პეტრე იბერიელი. ამიტომაც შ. ნუცუბიძე ზემოთ დასახელებულ ნარკვევებში არაერთგზის განიხილავს ვრცლად პეტრიწის ციტატს, „როგორც პეტრე იბერიელის ავტორობის დამადასტურებელ (მოწმობას) «მიზეზთა წიგნის» მიმართ“ (იქვე, გვ. 127).

მაშ, განვიხილოთ ეს ციტატი და ცხადვეყოთ მისი შინაარსი.

უპირველესად საჭიროა გაირკვეს — რას ნიშნავს „კუალად გარდმოლება“?

ზმნისზედა „კუალად“-ს ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: კვლავ, ისევ, მეორედ, ხელახლა, ხელმეორედ; კიდევ, აგრეთვე, ასევე. მისი მნიშვნელობა იმდენად ვარკვეულია, რომ საილუსტრაციო მასალის დამოწმება ზედმეტადაც კი მიგვაჩნია. პეტრიწთან „კ უ ა ლ ა დ გარდმოლება“ ნიშნავს მხოლოდ „კ ვ ლ ა ვ (ხ ე ლ ა ხ ლ ა) გადმოღებას“. ამ მხრივ „კუალად“-სიტყვის შინაარსი სწორად აქვთ გაგებული პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილსა და შ. ნუცუბიძეს.

რაც შეეხება სიტყვას „გარდმოლება“ (resp. გარდამოღება), მის მნიშვნელობას რამდენადმე სხვაგვარად განმარტავს შ. ნუცუბიძე.

<sup>42</sup> შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, კრიტიკული ნარკვევები, გვ. 64—65; Ш. Н у ц у б и д з е, Петр Ивер и аптичное философское наследие, გვ. 279—324.

<sup>43</sup> შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, გვ. 126.

„პეტრიწი, — ამბობს იგი, — სიტყვა «გარდმოღებას», ჩანს, ძალიან ვრცლად ხმარობს. ყოველ შემთხვევაში, ის უფრო განმარტებით, ინტერპრეტირებულ, ანუ ამოკრეფით გარდმოღებაზე უნდა ლაპარაკობდეს“ (იქვე, გვ. 57). ან კიდევ: „გადმოღება“, როგორც ითქვა, მთელი წიგნის შინაარსის შემოკლებულ გადმოცემას კი არ ნიშნავდა, არამედ მისი ძირითადი იდეის გამოყოფასა და მისი შემხვედრი ადგილების ამოკრეფას სათანადო კომენტარით“ (იქვე, გვ. 68). შ. ნუტუბიძეს „გარდმოღების“ ამგვარი განმარტებით სურს დასაბუთოს დებულება — „წიგნი მიზეზთა შესახებ“ მართლაცდა სხვა არაფერია, თუ არა პროკლეს წიგნის „კავშირნი ღმრთის-მეტყველებითნი“-ს «გარდმოღება» პეტრე იბერის მიერ“ (გვ. 67). საამისოდ მკვლევარს ხელს უშლის დასახელებული წიგნების მოცულობითი მხარე: „მიზეზთა წიგნი“ შეიცავს 32 თავს, პროკლეს „კავშირნი“ — 211 თავს. ამიტომ „გარდმოღება“-სიტყვას ის იყენებს არა იმ მნიშვნელობით, როგორც პეტრიწთან იხმარება, არამედ მისი კონცეფციისათვის მისაღები მნიშვნელობით: перевод-интерпретация<sup>44</sup>, перевод-толкование (გვ. 179), переложение (გვ. 213, 226, 276, 436), воспроизведение (გვ. 299, 309), переработка (გვ. 39, 93, 429), ხოლო ფრაზას „არამედ მიზეზი აწკუალად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს“ თარგმნის ამგვარად: „причиной того, что я вновь перерабатываю эту книгу (Прокла, III. Н.), является то...“ (გვ. 430).

„გარდმოღება“-სიტყვის ასეთი განმარტება არ შეესაბამება მის ნამდვილ მნიშვნელობას. პეტრიწთან ეს სიტყვა ნიშნავს მხოლოდ „გადმოსარგმნას“ (ან „თარგმნას“). ამ მნიშვნელობით იხმარება იგი სხვა ძეგლებშიც. მაგ., გიორგი ამარტოლის „ხრონოლორაფში“ ასეთი ფრაზა იკითხება: „მთასა ვიდრემე ებრაულთა სიტყვთა არ ეწოდების, ხოლო ქალაქსა — ს ა ლ ი მ, ვინაჲცა დავით ახლისა ადგილისა სამეფოდ შემმზადებელმან არ-სალიმ სახელ სდვა, რომელ არს მ თ ა ჯ მ უ ვ ე დ ო ბ - ს ა ჯ , ხოლო იერუსალიმად ე ლ ლ ი ნ უ რ ი ს ა მ ო მ ა რ თ თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი თ გ ა რ დ მ ო ლ ე ბ ი თ ა ი წ ო დ ე ბ ი ს და შუენებისათჳს კმისა“ (გვ. 117). ამ კონტექსტით „თარგმანებით გარდმოღება“ იგუევა, რაც „განმარტებით თარგმნა“.

ძველ ქართულში ევხედება სხვა ფორმებიც: „გარდამოღებული“ (=თარგმნილი), „გარდამოღებელი“ (=მთარგმნელი) და „გარდამოილო“ (=თარგმნა). მაგ.: დავით აღმაშენებელმა საღმრთონი წერილნი „მდიდრად შემოიკრიბნა, რაოდენნი პოვნა გ ა რ დ ა მ ო ლ ე ბ უ ლ ა დ ე ნ ა ს ა ქ ა რ თ ე ლ თ ა ს ა ს ხ უ ა თ ა ე ნ ა თ ა გ ა ნ , ძ ე ვ ლ ნ ი და ა ხ ა ლ ნ ი“<sup>45</sup>,

<sup>44</sup> Ш. Нукундзе, Петр Иер..., გვ. 40, 304.

<sup>45</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 347.

ან: „იოანემან ფილოსოფოსმან ჰიმქიმელმან ელადელთა ვმისაგან სპანთ მოსახელედ კმად გ ა რ დ ა მ ო ი ლ ო თარგმანებაჲ წმიდისა ევანგელიისა“ (A 102), ანდა: იოანე პეტრიწმა „განმარტნა წიგნი პროკლე ფილოსოფოსისა, რომელ არს [„კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნო“, და ბერძნულისაგანცა ქართულად გ ა რ დ ა მ ო ი ლ ო იგი“ („სპეკალი“), „ესე წიგნი(=კლემაქსი,—ი.ღ.) იოანე სინელისა ორგუარად არს გ ა რ დ ა მ ო ლ ე ბ უ ლ ამის დიდისა მიერ“ (იქვე), „არიან წერილნი უკუე ოთხნი ქართველთა ჳმასა ზედა მისგან (=პეტრიწისგან,—ი. ჯ.) გ ა რ დ ა მ ო ლ ე ბ უ ლ ნ ი... ელადელთა ენისაგან“ (დავით რექტორი), ან კიდევ: „ბირველად მათ... არაბთა ენისაგანცა საღმრთონი წიგნნი გ ა რ დ ა მ ო ი ლ ე ს მრავლითა შრომითა“ (ზაქარია მოძღვარი).

ამის მიხედვით, პეტრიწის ფრაზა („არამედ მიზეზი“....) ასე უნდა გავიგოთ: „მაგრამ ჩემს მიერ აწ ამ წიგნის ხ ე ლ ა ხ ლ ა გ ა დ მ ო თ ა რ გ მ ნ ი ს მიზეზი ეს არის“.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ რა წიგნის ხელახალ თარგმანზეა საუბარი, საჭიროა პეტრიწის ეს ფრაზა დავიმოწმოთ მთლიანი კონტექსტით. რაკი ჩვენთვის საინტერესო ტექსტი შინაარსობრივად რთული გასაგებია, აქვე ახალ ქართულზე წარმოვადგენთ მის სიტყვა-სიტყვის თარგმანს.

### იოანე პეტრიწი

ვინაჲ და მოსეცა, მწუერვალი წინა-მეთქუთაჲ, ღმრთისმეტყველობათა შორის თვისთა დამხედველი უმდგომობისა ქმნისა და აღქმნისა ჩუენისასა, შესატყვისთა უწოდს სახელთა წიგნთა თვისთა, რამეთუ «წ ი გ ნ ი ქ მ ნ ი ს ა ო», და დაურთავს მეორისა წიგნისა სახელის-დებასა, ვითარმედო «გ ა ნ ს ლ ვ ი ს ა ლ» თანშეზავებულად აობისა ჩუენისად, რამეთუ მივიღებთ ქმნასა შობითსა შორის მექმეობასა, და კუალად აჰა და ზედ დაურთავს განსლვასა ამათ მედინთა სხეულთაგან მოქმნითა ჩუენდა სიკუდილისაჲთა, ვინაჲ სამართლად თან და

### თარგმანი

ამრივად, მოსემაც, წინასწარმეტყველთა თავმა, რომელმაც თავის საღმრთო წარმოსახულობათა შორის განსკვრიტა ჩვენი შექმნისა და ყოფის (დაბადებისა და ცხოვრების) არამყარობა, თავის წიგნებსაც შესატყვისის სახელები უწოდა: [პირველს]— «წ ი გ ნ ი ქ მ ნ ი ს ა ლ», ხოლო მეორე წიგნს დაურთო ჩვენი არსებობის შესაბამისად სახელი «გ ა ნ ს ლ ვ ი ს ა ლ», რადგანაც შობითი დაბადებისას ჩვენ ვლებულობთ მოქმედების უნარს („მექმეობას“) და მერმე აჰა და ზედ მოსდევს ჩვენი წარმავალი სხეულიდან სიკუდილით განსვლა. და აი, მოსე,



ულაღაღებს წინა-მეთქუესა და მეფესა ღიდი ესე გარდამოცემელი შესაქმისაჲ მოსე.

არამედ მიზეზი აწკუალად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეგობს:

პირველ: რამეთუ განმრავლდეს გარდმომღებელნი და სხუასა აღუჩნდის სხუად; ვინაჲ ესე დაუღვენელ იყო უსაზღვროობითა ვერსადა მიყენებისაჲთა. და თუ სადაჲთ შემთხუეოდა ესე, რომელნი და უმეცარ იყვნეს და რომელთაჲმე გარემოხუევეითა დიდებითისა თნებისაჲთა წარეცონა სამხილი უსწავლელობისაჲ. ვინაჲ და ტომითთა შორის ჩუენთა არ აობს ვინცა ვინ თან მეძხილე და მერქუე, თუ ვით ესე მოქმედებაჲ ძალითისა სიტყუასაჲ? ვით ვითარე და სახარებათა შინა განიცხადების და სამოციქულოთა და სხუათა ყოველთა ესე ვითა, თუ: «დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ», და უც მართმრთელურად, ვითარმედ:

«პირველითგან იყო სიტყუაჲ», — და არა უწყიან, რომელ: პირველი შემდგომთა არს პირველი, და მათი არაჲს თუ უცხო ბუნებათა, არამედ ერთ და იგივე ბუნებითა, ვითარ ითქუმის: «კაცი კაცისა პირველად და ცხენი ცხენისა», და

შესაქმის ეს დიდი მომთხრობელი, სამართლად ულაღაღებს წინასწარმეტყუელსა და მეფეს [ისუ ნავეს]. მაგრამ ჩემს მიერ აწამ წიგნის ხელახლა გადმოთარგმნის მიზეზი ეს არაჲს:

პირველად ის, რომ მთარგმნელები გამრავლდნენ და თვითეულ მათგანს (სათარგმნელი ტექსტი) თავისებურად ესმოდა. ამიტომ (დედანსა და თარგმანს შორის) უსაზღვრო შეუსაბამობათა რიცხვი დაუღვეველი იყო. [მეორე], ეს მოხდა იმიტომ, რომ ზოგი მთარგმნელი უმეცარი იყო და ზოგსაც გარსმოხვეული დიდების კმაყოფილებით დაეზარა («წარეცონა») თავისი უსწავლელობის მხალეება («სამხილი»). ასე რომ, ჩვენს ტომთა (ე. ი. ქართველებს) შორის არაჲინ არის ვინმე მამხილებელი და მთქმელი [იმისა], თუ როგორია სიტყვის აზრი და მისი მოქმედება. ეს შეღავნდება სახარებათა წიგნში, სამოციქულოსა და სხვა თარგმანებშიც ამგვარად:

[მაგ., უნდა ითარგმნოს] — «დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ», ხოლო სწორად მიაჩნიათ — «პირველითგან იყო სიტყუაჲ» [იოანე 1,1], და არ იციან, რომ პირველი შემდგომთა პირველია. მაგრამ არა სხვადასხვა-

არამს თუ წინა-უკუშო, თუმცა: «კაცი ცხენსა და ცხენი კაცი».

ვინაჲ თუ სიტყუა მამისა ღმრთისა პირველად დაბადებულთა და წარმოჩენილთა ძალად პირველ მებრ აწ მათი, მაგრა თანამებუნებე მათდა და ერთი ნაბადთა და წარმოჩენილთაგანი და არა პირველ საუკუნეთა ყოველთა მამის-შორისი. რომელ არს დასაბამი თვის-შორისისა სიტყუსაჲ, ვითარ დისკოჲ, თუალი მზისაჲ, შარავან-დელთაღ.

და კუალად, ვითარ იტყვს დამდები ჩუენსა შორის ენთსა ღმრთის-მხილველისა მოსეს მიერ, ესთა გამოცისკროვნებულისა მოსეს მიერ სიტყუსა, ვითარმედ: «მოველით და ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდაო» — არ ესთა, არამედ ესთა, თუ დამხედმან იჟურიტნე, იტყვს: «მოველით და ვქმნეთ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენისა». და თუცა სიტყუაჲ სიერტოდმი არ... იწარებდა, გიჩუენნემცა უ ლ უ მ პ ი ა ნ თ ა ძ ლ ე ვ ა ნ ი.

გვარ არსებათა, არამედ ერთგვარ არსებათათვის, როგორც ითქმის: «კაცი კაცისა პირველად და ცხენი ცხენისა», და არა წინაუკუშო: «კაცი—ცხენსა და ცხენი—კაცი». ამიტომ მამა-ღმერთის სიტყუა პირველი ძალაა დაბადებულთა და წარმოჩენილთა, მაგრამ მისივე თანამებუნებეა და ერთ-ერთი დაბადებულთა და წარმოჩენილთაგანი. ეს პირველი არ არის ყოველთა მუდმიეთა მამის-შორისი, რომელიც წარმოადგენს თვის-შორისი სიტყვის დასაბამს, როგორც დისკო, მზის თვალი სხივთა მიმართ.

და კიდევ: ჩვენს ენაზე მთარგმნელი („დამდები“) ამბობს ღვთის-მხილველისა და ესოდენ გამოცისკრებული მოსეს სიტყვებს ამგვარად: «მოველით და ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდაო» [შესაქმე 1,26]. მაგრამ ასე კი არა, არამედ, თუ დამხედი ნახავს, ასე ამბობს [მოსე]: «მოველით და ვქმნეთ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენისა». სიტყვის გაგრძელებას რომ არ ვერიდებოდე, გიჩუენებდით, თუ როგორ უნდა ოლიმპიელებზე გამარჯვება.

ამ ტექსტიდან ირკვევა ორი რამ: 1. პეტრიწს ხელახლა გადმოუღია წიგნი, რომლის უწინდელი თარგმანი არაზუსტი ყოფილა. 2. ამის მიზეზი ყოფილა ორი გარემოება: ა. სათარგმნელი წიგნის სირთულის გამო მისი ტექსტი მთარგმნელებს სხვადასხვანაირად ესმოდათ. ბ. მთარგმნელთაგან ზოგი უმეცარი ყოფილა, ზოგიც ნასწავლი, რომელთაც გარსმონხეული დიდების კმაყოფილებით დაჰზარებიათ თავიანთი უსწავლელობის (უცოდინარობის) მხილება, მაგრამ ქართველებს შო-

რის არაეინ გამოჩენილა მამხილებელი და მთქმელი, თუ როგორია სიტყვის აზრი და მისი მოქმედება.

კითხვა იბადება: რა წიგნი თარგმნა ხელახლა პეტრიწმა და ვინ არიან ის „გარდმომღებლნი“ და „ულუმპიელნი“, რომელთაც იგი ეკამათება? რაკი ზემოთ დამოწმებული ტექსტი ჩართულია „კავშირთა“ კომენტარების ბოლოსიტყვაში, თითქმის ყველა მკვლევარი ფიქრობს რომ პეტრიწს ხელახლა უთარგმნია პროკლეს წიგნით. ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ გაეიზიარებთ. ფრაზა „არამედ მიწეზი აწ კულად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს“ განხილულია იმ წინა აბზაცი-საგან დამოუყიდებლად, რომელშიც პეტრიწი ეხება მოსეს წიგნებს. მოცემულ კონტექსტში „კულად გარდმოღება... წიგნისა ამის“ არ გულისხმობს პროკლეს „კავშირთა“ ხელახალ გადმოღებას. პეტრიწმა პროკლეს წიგნი პირველად თარგმნა. მანამდე მისი სხვა „გადმოღება“ არ არსებობდა. ეფრემ მცირე იონან დამასკელის „გარდამოცემის“ წინასიტყვაში წერს: ქართულ ენაზე აქამდე „ს ხ უ ა ა რ ა რ ა ე ო დ ე ს თ ა რ გ მ ნ ი ლ ა ს ა ფ ი ლ ა ს ო ფ ო ს თ ა წ ი გ ნ თ ა გ ა ნ ი“<sup>16</sup>.

ეს განცხადება შემთხვევითი არ არის. ეფრემი ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი იყო „საფილოსოფოსო წიგნებისა“ და მის ამ თქმას სათანადო საფუძველიც უნდა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა: პეტრიწი რომ „კულად გარდმოღებაში“ ვარაუდობდეს პროკლეს წიგნს, მაშინ ის პირველი თარგმანადან რაიმე არასწორ ციტატს დაიმოწმებდა და მის კრიტიკასთან ერთად ახალი თარგმანის ნიმუშებსაც მოიყვანდა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, მსგავსი რამ დამოწმებულ ტექსტში არ შეინიშნება. მაშ, რა გადმოთარგმნა პეტრიწმა ხელახლა? — ბიბლიური წიგნები, კერძოდ მოსე წინასწარმეტყველის თხზულება, რომელსაც ის ზოგადად „შესაქმეს“ (ანუ „დაბადებას“) უწოდებს.

ბიბლიის თარგმნა ქართული მწერლობის აღრეფეოდალურ პერიოდშივე დაიწყო. პირველად გადმოიღეს საეკლესიო ლიტურგიკაში სახმარი წიგნები—სახარება და დავითის ფსალმუნები. შემდეგ სხვა წიგნთა თარგმანებიც გაჩნდა: X საუკუნისათვის ბიბლია უკვე მთლიანად გვექონდა ქართულად. ჩვენი მწერლობის განვითარების მეორე პერიოდში დაიწყო უწინ თარგმნილი წიგნების გაჩაღება, ზოგიერთი მათგანის ხელახალი თარგმნაც. ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწიეს საზღვარგარეთის (სინის მთის, ათონისა და ჯვრის მონასტრის) ლიტერატურულ ცენტრებში მოღვაწე ქართველმა მეცნიერებმა, განსაკუთრებით კი ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელებმა. გიორგიმ ბერძნულიდან ქართულად

<sup>16</sup> თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 215—216.

ხელახლა თარგმნა ახალი აღთქმა. მანვე სათანადო რედაქცია გაუწია სხვა წიგნებსაც. ქართულმა ეკლესიამ მისი თარგმნილი (თუ ნარედაქციევი) ბიბლიური წიგნები კანონიკურ ტექსტად გამოაცხადა და ყველასთვის სავალდებულო გახდა ამ წიგნებით სარგებლობა.

ყოველივე ეს კარგად იცოდა პეტრიწმა. მიუხედავად ამისა, მას უარუყვია ძველად თარგმნილი (თუ ნარედაქციევი) ბიბლიური ტექსტები და, როგორც პროკლეს „კავშირთა“ კომენტარების ბოლოსიტყვიდან ირკვევა, თვითელი მათვანი შეუწამებია ბერძნული დედნისათვის. ქართულ თარგმანებში მას უნახავს ტექსტობრივი ხასიათის შეცდომები, რის გამოც მათი ხელახალი თარგმნა და რედაქტირება განუზრახავს. ის „გარდმომღებლნი“, რომელთაც პეტრიწი ჰყოფს ორ კატეგორიად (უვიცებად და განდიდების კმაყოფილებით გარემოცულ სწავლულებად), არიან საღმრთო წერილის ადრინდელი მთარგმნელები, რომელნიც XII საუკუნემდე მოღვაწეობდნენ. სწორად შენიშნავს მ. გოგიბერიძე, რომ „პეტრიწი «ულუმპიელებს» უწოდებს საღმრთო წერილის ქართველ მთარგმნელებს“ (შრ., I, XC), სახელდობრ: ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელებს, რომელთაც ავტორიტეტული სიტყვა თქვეს ბიბლიური წიგნების თარგმნაში. საგულისხმოა, რომ ათონელ მოღვაწეთ „ულუმპიელებს“ უწოდებდა აგრეთვე ეფრემ მცირე.

პეტრიწი ბიბლიური წიგნების გარდმომღებლებს ეკამათება თარგმანის უზუსტობაში. თარგმნილ ტექსტებს ფილოლოგიური და ფილოსოფიურ-თეოლოგიური თვალსაზრისით განიხილავს. საგანგებო ყურადღებას აქცევს „სახარების“ კანონიკურ რედაქციას—ე. წ. გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს: იმოწმებს ფრახას „პ ი რ ვ ე ლ ი თ გ ა ნ ი ყო ს ი ტყ უ ა ჯ“, აკრიტიკებს მას დედანთან მიმართებით და ასწორებს ასე: „დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ“.

პეტრიწის მოსაზრებით, „სიტყუა“ (ლოგოსი) სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასია და ის იმთავითვე არსებობდა მამის-შორის ისევე, როგორც მზის დისკო სხივთა მიმართ. მზის გამოჩენა და სხივის მოფენა ერთდროული მოვლენაა. ასეთივე მიმართებაა მამა-ღმერთსა და „სიტყვას“ შორის. სიტყვა თანამებუხებეა მამისა და ორივეს ერთი დასაბამი აქვს. მსჯელობა — „ჯერ მამა, შემდეგ სიტყვა“ დაუშვებელია. თვით სიტყვა „პირველი“ შედარებითი ცნებაა და „მამისა“ და „სიტყვის“ მიმართების გამოსახატავად არ გამოდგება. იგი შეიძლება ვიხმართ ერთგვარ არსებათა მიმართ. მაგ., „კაცი კაცისა პირველად და ცხენი—ცხენისა“, მაგრამ არ შეიძლება კაცი ვცნოთ სხვადასხვაგვარ არსებათათვის პირველად, მაშინ როდესაც სიტყვა საერთოდ „პირველი ძალაა დაბადებულთა და წარმოჩენილთა“. ამიტომ სწორია ვთარგმნოთ „შორის დასა-

ბამსა“, ვიდრე—„პირველთაგან“, რომელიც რამდენადმე ხელს უწყობს ქრისტიანული ორთოდოქსალური დოგმის მწველებლური თვალსაზრისით გაგებას.

პეტრიწი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ამ ერთი არაზუსტი ფრაზის აღნიშვნით, მან ჯერ სახარება თარგმნა ხელახლა და მერმე მოკამათებებს განუმარტა მიზეზი მისი „კუთლად გარდმოღებისა“. ოთხთავის ეს ახალი რეცენზია დაცულია თეოფილაქტე ბულგარელის ეგზეგეტიკური თხზულების ქართულ თარგმანში, რომელიც შეუსრულებია იოანეს ლიტერატურული მოღვაწეობის პირველ პერიოდში (საფიქრებელია, როგორც ვთქვით, ბიზანტიაში ყოფნის დროს). პეტრიწს გიორგის თარგმანი შეუდარებია ბერძნული დედნისათვის და საფუძვლიანად შეუსწორებია იგი: ზოგან ტექსტი ოდნავ შეუცვლია, ზოგან—მნიშვნელოვნად, ზოგანაც უცვლელად დაუტოვებია იმ სახით, როგორც კანონიკურ რედაქციაშია. იოანე ცდილობს თარგმანი დედანს დაუახლოოს. ამიტომ მას მრავალი წინადადება გაუმართავს მიმღებობური კონსტრუქციით და ზოგჯერ ბერძნული ტერმინებიც შემოუტანია უთარგმნელად თუ თარგმნილის პარალელურად. სანიმუშოდ დავიმოწმოთ რამდენიმე ექსცერპტი ჩვენამდე მოღწეული თავებიდან:

#### გიორგი მთაწმიდელი

იყო იოანე უდაბნოსა და ნათელს-ცემდა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატყვებლად ცაღვათა... და ნათელ-იღებდეს მისგან ყოველნი იორდანესა მდინარესა და აღუარებდეს ცოდვათა მათთა...

და მეყსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხმულნი... და ჯმა იყო ზეციით: „შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, შენ სათნო-ვიყავ“. და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ. და იყო მუნ ორმეოც დღე და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან....

#### იოანე პეტრიწი-ჰიმნომელი

იყო იოანე უდაბნოსა შინა ნათლის-ცემელ და ქადაგებელ ნათლის-ღებასა სინანულისასა მისატყვებლად ცოდვათა... და ნათელს იღებდეს ყოველნი იორდანესა მის მიერ აღმსარებელნი ცოდვათა მათთანი...

და მეყსეულად აღმომავალმან წყლით იხილნა განხმულნი ცანი... და ჯმა იყო ცათაგან: „შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, რომელსა შორის სათნო-ვიყავ“. და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ. და იყო მუნ უდაბნოსა შინა ორმეოც დღე განცილილი ეშმაკისა მიერ...

ხოლო ვიდოდა რაჲ ზღვს კადესა მას გალილეა-სასა, იხილნა სკმონ და ანდრეა, ძმაჲ მისი, ითხევლი-დეს რაჲ ზღუასა მას ზედა, რამეთუ იყვნეს ივინი მესათ-ხევლე და ჰრქუა მათ იესო: „მოვედით და შემოვიდეთ მე და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა“. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევ-ნეს ბადენი მათნი და მისდევდეს მას. დამცი-რედ წარვიდა და იხილა იაკობ ზებუდესი და იოანე, ძმაჲ მისი, და ივინი განაგებდეს ბადეთა ნავსა შინა. და უწო-და მათ. ხოლო მათ მეყსეუ-ლად დაუტევეს ზე-ბედე, მამაჲ მათი, ნავ-სა შინა მუშაკთა მის-თა თანა და მისდევ-დეს მას (მარკოზ 1,4—20).

მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა: „მე ვარ გაბრი-ელ, წინაშე მდგომელი პირსა ღმრთისასა“...

და იყო შაბათსა მეორესა და განვიდოდა თავადი თე-სულისა განყანისა, ხო-ლო მოწაფენი მისნი მოსჭრიდეს თავსა ტუ-ვილისასა, მუსრვიდეს ტელითა და ჰამდეს. ხო-ლო რომელთამე ფარისევლთა ჰრქუეს: „რასა ჰზამთ შაბათ-სა შინა, რომელი არა ჯერ-არს?“

და მავალმან ზღვს კი-დესა გალილეასასა იხილნა სკმონ და ანდრია, ძმაჲ სკმონისი, მთამგდებელად სათ-ხევლისა ზღუასა შინა, რა-მეთუ იყვნეს მეთევზურ. ჰრქუა მათ იესუ: „მოვედით შემდგომად ჩემსა და გყვნე თქუენ მეთევ-ზურ-ყოფად კაცთა“. და მეყსეულად დამტევებელ-ნი ბადეთა მათთანი შეუდგეს მას. და წარ-რაჲ-ვიდოდა მცირედ მუნით, იხილა იაკობ ზებუდესი და იოანე, ძმაჲ მისი, და ივი-ნიცა ნავსა შინა განმგებე-ლად ბადეთა. და მეყ-სეულად უწოდა მათ. და დამტევებელნი მამი-სა მათისა ზებუდესნი ნავსა შინა მიზღურთა თანა ვიდოდეს შემდგო-მად მისსა (A 102).

და მიმგებელმან ან-გელოსისამან ჰრქუა მას: „მე ვარ, გაბრიელ, წინაშე მდგომ-ელი ღმრთისაჲ“...

და იყო შაბათსა მეორე პირველ-სა, განვიდოდა იგი თეს-ულთაჲთ და მოსრუ-დეს მოწაფენი ტუ-ვილთა და ჰამდეს, რა-მეთუ ქუცნკდეს ტე-ლითა. ხოლო ვითნიმე ფარი-სევლთაგანთა ჰრქუეს მას: „რა-სა ჰყოფთ, რომლისა არა ჯერ-არს შაბათთა შინა?“ და

მიუგო იესუ და პრქუა მათ: „არცა-ლა ესე აღმოგივითხავსა, რომელი-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია მას და მისთანათა? ვითარ-იგი შევიდა ტაძარ-სა ღმრთისასა და პურ-ნი იგი შესაწირავ-სანი შექამნა და სცა მისთანათა, რომელთაჲ არა ჯერ-არს ჰამაჲ, გარნა მღდელთაჲ ხოლო?“ (ლუკა, 1.18—20; 6,1—5).

მიუგო იოანე და პრქუა მათ: „მე ნათელ-ვსცემ წყლითა. ხოლო შორის თქუენსა დგას. რომელი არა იცით, რომელი ჩემ-სა შემდგომად მოსლვად არს, რომელი პირველ ჩემ-სა იყო, რომლისა არა ღირს ვარ მე, რაჲთა განვჰსნე საბელ-ნი ჴამლთა მისთანა“...

რომელმან მომავ-ლინა მე ნათლის-ცემად წყლი-თა. მან მრქუა მე: „რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავე-ლი და დადგრომილი მის ზედა. იგი არს, რომელმან ნათ-ელ-გ-ც-ეს სულითა წმიდითა“. და მე ვიხილე და ვწამე. რამეთუ: ესე არს ძე ღმრთისაჲ. ხეალისა დღე დგა კუალად იოანე და მოწა-ფეთა მისთაგანნი ორნი. და მი-ჰხედა იესოს, ვიდოდა რაჲ იგი, და თქუა: „აჲ, ტარიგი ღმრთისაჲ!“ (იოანე 1,26—27, 31—36).

მიმგებელმან მათლა მი-მართ პრქუა უფალმან: „არცა ესე აღმოგივითხავსა, რომელი ყო დავით, ოდეს შეემშია მას და მისთა მყოფთა მათ? ვითარ მი-ვიდა სახიდ ღმრთისა და პურნი წინადაგე-ბისანი მიიხუნა და შე-ქამნა და სცა მისთანა მყოფ-თა. რომელთაჲ არა ჯერ იყო ჰამა, გარნა მღდელთა ხოლო?“ (A 113).

მიუგო მათ იოვანემან მეტ-ყუელმან: „მე ნათელ-ვსცემ წყლითა, ხოლო საშუალ თქუენსა დგას. რომელი თქუენ არა იცით. იგი არს შემდგომად ჩემსა მომავალი. რომელი წინაჲთ ჩემსა იქმნა, რომელსა მე არა ვარ ღირს. რაჲთა განვჰსნა მისი საბელი იმა-ნტოჲ საჯამრობლისაჲ“...

მომაველინებელმან ჩემმან ნათლის-ღებად წყლითა, მან მრქუა მე: „რომელსა იხი-ლო სული გარდამომაველი და დადგრომილი მას ზედა, იგი არს ნათლის-მ-ც-ემ-ელ-ი სუ-ლისა მიერ წმიდისა“. და მე ვიხი-ლე და ვწამე. ვითარმედ: ესე არს ძე ღმრთისაჲ. ხეალისაგან კუა-ლად დგა იოანნი და მოწაფეთა მისთაგან ორნი და მიმხედ-ველი იესოჲსი მავლი-საჲ იტყუს: „აჲ, ტარიგი ღმრთისაჲ!“ (A 52).

ოთხთავის პეტრიწული რედაქცია გამოუცემელია, მაგრამ ის ნი-  
მუშები, რომლებიც აქ მოვიყვანეთ მისი ტექსტიდან, საკმარისია იმის  
გასათვალისწინებლად, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება ეს ხელ-  
ახალი თარგმანი. მასაც ისეთივე სტილისტური ნიშნები აქვს და ისეთ-  
სავე დამოკიდებულებას ამქლავნებს დედანთან, როგორსაც „კლემაქ-  
სის“ პეტრიწული რედაქცია: ორივე თარგმანი დედანს ზუსტად ემთხ-  
ვევა, ორივეგან წინადადებები აგებულია მიმღეობური კონსტრუქციე-  
ბითა და თხრობის სტილი დამძიმებულია ბერძნიზმებით.

ამ მხრივ საყურადღებოა „შესაქმიდან“ ამოღებული ციტატიც. პეტ-  
რიწს არ მოსწონს თარგმანი — „მოვედით და ვქმნეთ კაცი ხ ა ტ ა დ  
და მ ს გ ა ე ს ა დ ჩ უ ე ნ დ ა“ (1, 26), და შენიშნავს: მოსე ასე ამ-  
ბობს — „მოვედით და ვქმნეთ კაცი ხ ა ტ ი ს ა ე ბ რ და მ ს გ ა ე -  
ს ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა“-ო. ეს პეტრიწული თარგმანი მცირეოდენი ვა-  
რიანტული სხვაობით იკითხება მოსეს წიგნების გელათურ ვერსიაში  
(A 179).

ე. წ. გელათური ბიბლია ჩვენამდე შემონახულა ორი ხელნაწერით  
(A 1108 და Q 1152). ორივეს აკლია მოსეს პირველი ორი წიგნი — „შე-  
საქმე“ და „გამოსლვათაჲ“, მაგრამ ისინი დაუტავს A 179 ხელნა-  
წერს, რომელიც, ბ. გიგინეიშვილისა და ც. კიკვიძის დაკვირვებით,  
უდავოდ გელათური ბიბლიის დასაწყისის წარმოადგენს<sup>47</sup>. ვფიქრობთ,  
მოსეს თხზულების ეს ახალი გელათური რეცენზია, რომელიც ენობ-  
რივი ნიშნებით არ განსხვავდება პეტრიწული თარგმანებისგან, უნდა  
იყოს ის „გარდმოღება“, რომლის შესახებ ცნობას გვაძლევს თვით პეტ-  
რიწი „კავშირთა“ კომენტარების ბოლოსიტყვაში. ის ვარაუდი, რომ  
„შესაქმის“ პეტრიწული თარგმანი დაცული უნდა იყოს გელათურ კა-  
ტენებში (A 1108 და Q 1152), დიდი ხანია არსებობს და თანდათანო-  
ბით ძლიერდება. ჩვენი უპირველესი ამოცანაა პეტრიწის მთარგმნე-  
ლობითი მეთოდის მეცნიერული შესწავლა და მის მიერ დამოწმებული  
ბიბლიური ციტატების შედარება გელათურ ვერსიასთან. ახლა ამ შე-  
საძლებლობას მოკლებული ვართ, რადგანაც შესაძარებელი ტექსტები  
ჯერ კიდევ მეცნიერულად არ არის დამუშავებული და გამოცემული.  
მაგრამ თუ მომავალი ძიება ამ მხრივ წარიმართება, იმედია, ჩვენი ვარა-  
უდი კუთმარებლად იქცევა. დღეს არსებულ მასალე-  
ბი ადასტურებენ, რომ გელათური ბიბლიის  
მთარგმნელი უნდა იყოს პეტრიწი — მწერა-  
ლი, რომელმაც უარყო ბიბლიის კანონიკური  
ტექსტი.

<sup>47</sup> ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბ-  
ლიის თარგმანი (გელათური ვერსია), შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიურ  
ძიებანი, 1966, გვ. 149—159.



#### 4. აბიოგრაფიული თხზულებანი

პეტრიწს დიდად უღვაწია ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაშიც. ტრადიციული ცნობებით, მას ბერძნულიდან გადმოუღია „მრავალნი შესხმანი წმიდათანი“ (ანტონ ბაგრატიონი) ან „მრავალნი წმიდათა ცხოვრებანი“ (იოანე ბაგრატიონი). მასვე აღუწერია „საკვრველის შუენიერის ენა-მზეობით ცხოვრება თეოდორა ალექსანდრიელისა“<sup>48</sup> და უთარგმნია „წამებანი“ ზოსიმისა და ბარბარესი<sup>49</sup>.

ამ შრომათაგან ორი უკანასკნელის გარდა ყველა დაკარგულად ითვლება. ვფიქრობ, ზოგი თხზულება დაცული უნდა იყოს სვიმეონ ლოლოთეტისა და იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასებში და საჭიროა მათი გამოვლენა, როგორც ამას ფიქრობდა კ. კეკელიძე ჯერ კიდევ 1918 წელს „კიმენის“ პირველი ტომის შესავალ წერილში.

აგიოგრაფიული მეტაფრასების ერთი ნაწილი ბერძნულიდან თარგმნა ეფრემ მცირემ და მანვე დაგვიტოვა შესანიშნავი „მოსაძსენებელი მცირე სკემონისათვის ლოლოთეტისა და თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“. ამ ანდერძში ეფრემი წერს: „და მასვე ჟამსა ბრძანებითავე და წარსაგებელითა მისითა [=საბა თუხარელისაჲთა, — ი. ლ.] ვთარგმნენ ესე რაოდენნიმე საკითხავნი ლოლოთეტისა მეტაფრასთაგან“<sup>50</sup>. მას უთარგმნია იოანე ქსიფილინოსის ზოგიერთი საკითხავიც — მეთოდი ეპისკოპოსის „სიტყვა“ (გელ. 1, ფ. 13) და ევსუქი იერუსალიმელის „შესხმა“ (გელ. 2, ფ. 282), რომელთაც აშიაზე მიწერილი აქვთ „თარგმნილი ეფრემისგან“ და „ეფრემი“.

სვიმეონ მეტაფრასს აღუწერია სექტემბერ-იანვრის, იოანე ქსიფილინოსს კი — თებერვალ-აგვისტოს თვეთა საკითხავები. კ. კეკელიძე ფიქრობს: თუ სვიმეონის საკითხავები უთარგმნიათ XI საუკუნეში შავ-მთაზე, ქსიფილინოსის საკითხავები ითარგმნა დიმიტრი მეფის (1125—1154 წწ.) დროს გელათის მონასტერში და მათი მთარგმნელი უნდა იყოს პეტრიწის ერთ-ერთი მახლობელი შეგირდი<sup>51</sup>. დღეს ეს მოსაზრება მთლად ზუსტი არ ჩანს. თვით ხელნაწერთა ცნობებიდან ირკვევა, რომ მეტაფრასთა ზოგიერთი საკითხავი უთარგმნიათ გიორგი მთაწმიდელსა და ეფრემ მცირეს. ირკვევა ისიც, რომ ამ საკითხავებში შეუტანიათ მცირე წინასწარმეტყველთა (ამოსისა და ამბაკოს) თხზუ-

<sup>48</sup> А. Цагарели, Сведения, III, გვ. 158.

<sup>49</sup> А 128; გელ. 3, ფ. 207—211; გელ. 5, ფ. 6—11; ცენტრ. არქ. № 468, ფ. 48—53.

<sup>50</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 226.

<sup>51</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, გვ. 506; კიმენი, I, 1918, გვ. XXV—XXX. აქ კრებულას მთარგმნელად ნუარაუღევია იოანე პეტრიწი.

ლებათა ძველი რედაქციებიც<sup>52</sup>. ამიტომ საფიქრებელია, რომ ქსიფილინოსის კრებულის თარგმნაც დაიწყო XI საუკუნეში შავ-მთაზე ისევ ეფრემ მცირის ინიციატივით და დასრულდა გელათში პეტრიწის აქტიური მონაწილეობით დემეტრეს მეფობაში. მართალია, დოკუმენტურად ეს მოსაზრება არ დასტურდება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეფრემი და იოანე ერთად მოღვაწეობდნენ შავ-მთაზე და იოანემ გელათში გააგრძელა ეფრემის ლიტერატურული ტრადიციები, აგრეთვე იმას, რომ ქსიფილინოსის კრებული ძირითადად თარგმნილია პეტრიწული სტილითა და მეთოდით, შეიძლება ეს ვარაუდი გამართლდეს.

საგულისხმო მოსაზრებას გამოსთქვამს პ. ინგოროყვა: ქსიფილინოსის მეტაფრასების ერთი ნაწილი (ველათური ხელნაწერი № 2), რომელშიც დატულია 13 მარტის საკითხავად კონსტანტინე (ეგნატე) დიაკონის (IX საუკ.) თხზულება „სიტყუა ექსორიობით აღმოყვანებისათვის სხუელისა წმიდისა ნიკიფორესსა. რომელი მამათმთავარ იქმნა კონსტანტინუპოლის, ახალსა ჰრომსა“ (გვ. 172—205)<sup>53</sup>, უთარგმნია იოანე კომპიმელსო. მასვე შეუთხზავს „სახისმეტყუელის“ ახალი რედაქცია, რომლის ერთი თხრობა „ალკვიონისათვის“ დაუცავს ეგნატე დიაკონის თხზულების სქოლიოებს. აქ ფრიად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პ. ინგოროყვა ქსიფილინოსის კრებულის ერთ-ერთ მთარგმნელად სთვლის იოანე კომპიმელს<sup>54</sup>.

ეგნატე დიაკონის „სიტყვის“ ქართული თარგმანი შესრულებულია მაღალმხატვრულ დონეზე კლასიკური ხანის აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური ძეგლებისთვის დამახასიათებელი ენაშურობით. მთარგმნელი დიდად განსწავლული ქართველი მწერალია. მის განსწავლულობას მეტყველებს არა მარტო თარგმანის მაღალი ტექნიკა, არამედ ტექსტზე დართული სქოლიოებიც, რომლებიც შეიცავს იმდროის მკითხველისათვის ძნელად გასაგები, თუ ნაკლებად ცნობილი სახელების განმარტებებს. ამათგან ჩვენს ინტერესს იწვევს რამდენიმე სქოლიო (ფ. 187—188, 191—192), რომლებშიც მთარგმნელი განმარტავს ძველ ბერძნულ ისტორიულ-მითოლოგიურ სახელებსა და ამბებს. სანიმუშოდ დავიმოწმოთ ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის რამდენიმე უცნობი სქოლიო (თვითეულის დასათაურება ჩვენია):

<sup>52</sup> რ. მ. ი. მ. ი. ნ. ო. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. ნ. ა. კ. ვ. ე. ვ. ი. გ. შ. ი. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, I, 1962, გვ. 153—160.

<sup>53</sup> ბერძნული დედანი იხ. მინეს ცნობილ კრებულში: PG, ტ. 100, გვ. 41—160.

<sup>54</sup> რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 66. ეს მოსაზრება ვამეორებთა კ. ეკელიძის ადრინდელი შეხედულებისა, რომელიც გამოთქმულია 1918 წელს (კიშენი, I, 1918, გვ. XXV—XXX), ოღონდ წყარო არ არის მითითებული.

1. ქსერქსესგან ელისპონტოს განხილვისათვის: „შეისწავე, ვითარმედ ღმრთის-მეტყუელისა გ რ ი გ ო ლ ი ს მიერ ქსენებულსა ქ ს ე რ ქ ს ს ა სპარსთა მეფესა იტყვს, რომელმან შეებმა უყო რაჲ ელლინთა მისრულმან, განჯიდა ელისპონტოჲ, ესე იგი არს ელადისა შეიწრებულო ზღუჲა. და ეგრეთ განწი-აღნა ელადს და ათინას. ხოლო მთაწმიდისა და ათონისა მთისა შესავალი იწროჲ ჳმელად მყოფი საშუალი კვრკისპოლისა და თესლონიკისაჲ განკუეთა და იგი განვლონავითა. და ამიერ საზა-რელ იქმნებოდა, ვითარცა მწყურნებისგან მავმობელი და ჳმე-ლისა მწყურნებ-მყოფელი, და ეგრეთ განმავლონებული სპა-თაჲ....

ლაკედემონელთა ქმნეს ოდესმე, რამეთუ: მოუტდეს რაჲ მბრძოლნი, დაუბნენს ყოველნივე შემოსავალნი კარნი [და] სძლეს მბრძოლთა....

რამეთუ მორცენეს სპარსთა ოდესმე და მიავლინესო დელ-ფეს აპოლო[ნი]სსა. რათა გამოუცხადოს მათ, თუ ვითარ ებრ-ძოლნენ სპარსთა. ხოლო მათ ესეჯიჲარი გამოცხადებჲა უმის-ნა მან. ვითარმედ: «ზღუდეთა მიერ ჳქმისათა მძლე ექმნნეთ სპარსთა». და შექმნეს რაჲ ზღუდის-ზღუდენი და ციხენი საბ-რძოლველნი შემისანი. ვერ უძლეს წინა-დადგომაჲ და ძლეუაჲ სპარსთაჲ. მაშინ მვედართ-მოავარმან თ ე მ ი ს ტ ო კ-ლი განაზრახა ათინელთა, ვითარმედ: «ზღუდენი შემისანი არაჲ». ნაენი. რამელნი-იგი მოიბუნეს რაჲ, შთაყარნეს ზღუად და დაუტევეს ქალაქი და ზღუად შესრულთა ათინელ-თა ბრძოლაჲ უყვეს სპარსთა და სძლეს მათ».

2. ჰონეროსის ილიადისთვის: „ილიადოცა წოლებულსა ქალაქსა ტ რ ვ ა მ ს ა ს ა შინა განმეფებასა პ რ ი ა მ ო მ-სსა თანა მონათესავით მისით ან ტ ი ნ ო რ ი თ უ რ თ ზღაპ-რის-მეტყუელებს ო მ ი რ ო ს, რომელ: ამის პ რ ი ა მ ო მ ს ძემან ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე აიტაცა ე ლ ე ნ ი, ასული (sic) მ ე ნ ე ლ ა ო მ ს ი. ელადით და წარმოიყვანა ტ რ ვ ა მ ს ა ს. რომელი-ესე იქმნა რაჲ. განლაშქრეს მ ე ნ ე ლ ა ო ს ა ლ-მ ე მ ნ ო ნ ი თ უ რ თ და მიჯდომილთა ტრკადას შემუსრ-ნეს და მოასრულნეს პრიამეთნი. და უკუნ იქცნეს რაჲ მძლე-ველნი ელლინნი ელადს. მოწვენულისა ამის მტყებელთა პრიამეთ ძლით შეაწყუნეს გოდებანი და გლოვანი. და ესევი-თარნი იგი ტკბილად იძნობებოდეს ანტიზორიდელთა და სხუ-თა ყოველთა მიერ. ი ლ ი ა დ ო ესე იგი არს ტრკა ქალაქის ბოროტთა მათდა ძკრთათჳს შენაწევრებული“.

3. ალკვიონისათვის: „შეისწავე, ვითარმედ: ალკვიონი ცხოველი არს, ზღუასა შინა მომგებელი ყოფისაჲ, რომლისა მართუეთა გამოსხმისა დღეთა იტყვან დიდისა მყუდროობისა ქმნასა ზღუასა შინა, — შვდ დღე კუერცხისა გროობასა და შვდ დღე განგულვებასა მათსა. ამათ ათოთხმეტთა დღეთა ყოვლად უშიშისა სიწყნარისა შექმნასა იტყვან ზღუასა შინა. და ამიერ ყოვლადე დაწყნარებულებასა ზღვსასა დიდსა ალკვიონის დღესა ამსგავსებს ღრევიონებრი ენაჲ“.

4. პანდიონის ასულთა ფრინველ-ქმნისათვის: „ხოლო პანდიონის ასულთა მფრინველ-ქმნასა ესრეთ ზღაპრობენ, რამეთუ იტყვან, ვითარმედ: პანდიონს ესხნეს ასულნი, რომელთა ეწოდებოდა პროკნი და ფილომლა; რომელთაგანსა პროკნის ქრმად მიეყვანა ტირეეს, რომლისა მიერ შვა იტვას. ამის პროკნისსა იტყვან ოდესმე დისა თვისისა ფილომლას სურვიელობასა და ამის ძლით ქრმისა თვისისა ტირეეს მამისა თვისისა მიმართ წარვლინებასა მოყვანებად დისა. რომელ-იგი წარვიდაო და აღიყვანა დაჲ მისი და მგზავრ-ტრფიალებულმან დაამდაბლა იგი. და ესე რაჲ ქმნა, შიშნეულმან — ნუ პროკნისს აუწყოს ესე, აღმოჰკუეთა მას ენაჲ. გარნა მან წარსრულმან ენად იტუმინა საქსოელნი ორღანონი და მქსოვლობასა ზედა წერით დამნიშნებელმან მისმან აუწყა მას ტირეეის მიერი გზისა-შორისი იძულებულობაჲ თვისი. რომელ-ესე ცნა რაჲ პროკნი პირველად სანოვაგე-მყოფელმან იტვას ძისა მისისამან, სახიდ მოსრულსა შეაჭამა იგი. ამის შემდგომად თვთ იგიცა საწყალობელად ცხოვრებისა დამაქცეველ ყო და ესრეთ მოსაწევართა ამათ თვისთა მარადის მგოდებელნი ევედრნეს ეშმაკთა რომელთამე, რათა მფრინველ მარად-მგოდებელ ყვენე იგინი. ხოლო მათ ერთი იგი შეცვალეს აიდონად და მეორე — მერცხლად, მიმდემად მჭიჭინებელად“.

5. ტანტალოხისთვის: „ტანტალოხსა რომელნიმე ესრეთ ზღაპრობენ, ვითარმედ: მოყუარე და თანა-მესუმურ და ყოველთა ხუაშიადთა ღმერთთასა მეცნიერ იყო და მიმნდობელად-მყოფი უცნაურთა მათთა გამოუცხადებდა კაცთა. ამისთვის პატივისა წილ ესრეთ ტანჯეს იგიო, რამეთუ: კიდებულ ყვეს იგი აერთა შინა და ზედაჲთ მისსა საზარელი ლოდი დამოჰკიდეს, რათა მარადის შიშითა დაცემისა მისისა მოლოდებისაჲთაგან ილეოდის. ხოლო სხუანი იტყვან, ვითარმედ: წყარო-მდინარეთა შინა დადგინებული წყურილითა ტანჯეს, რამეთუ: დადრკეს რაჲ სუმად, ევლტის იგი და, იპეშვებდეს რაჲ, განედინების“.

6. სისვიფონისთვის: „სისვფონისა კულა მპარავ-მასმენ-ლობასა იტყვან, რომელმან დაუცხრომელად ლირწად მყოფი ზ ე ე ს ალიტაცა თანა-საბილწებელად. ასული ა ს ო ჰ უ მდინარისაჲ დაფარულსა შინა ერეოდა მას. შეასმინა ს ი ს კ-ფ ო ნ ზ ე ე ს ი და წარიყვანა ასული ა ს ო ჰ უ, შესმენისა წილ ქვა ყო. სისვფონ ეგვეითარი თვთ იქმნა მსიძავად და მემრუშედ არ-გამოჩინებისათჳს“.

7. ნიოვინის ქვად-ქცევისათვის: „ნ ი ო ვ ი ნ ი ს ა თ ჳ ს ესრეთ ზღაპრობენ, ვითარმედ: შვნა რაჲ ათორმეტნი ძენი, ესრეთ იქადა მეტყუელმან, ვითარმედ: «ვერცა ლ ი ტ ო იქმნა ესევეითართა და ესეოდენთა დედაჲ». რომელნი-ესე ცნა ლ ი ტ ო, და მიაველინაო მისგან შობილნი ა ჰ ო ლ ო ნ და ა რ ტ ე მ ი და ერთ ლამესა მოუსრნა მათ მიერ ათორმეტნივე ძენი. რომლისა ამის მოსაწევარისა მარად მგოდები ნ ი ო ვ ი ნ გარდაიცვალაო ქვად“.

ამ სქოლიოთაგან „ალკვიონისათვის“ დაბეჭდა 1938 წელს პ. ინგოროყვა<sup>55</sup>, ხოლო „ჰომეროსის ილიადისთვის“ და „პანდიონის ასულთა ფრინველ-ქმნისათვის“ 1965—1966 წლებში ჩვენ გამოვაქვეყნეთ<sup>56</sup>. სხვა სქოლიოები მკითხველისათვის უცნობია. პ. ინგოროყვა მის მიერ დაბეჭდილ ტექსტს მიაწერს იოანე კიმჭიმელს: „მე-12 საუკუნეში ქართულად არსებულა «სახისმეტყველის» ახალი რედაქცია, მაგრამ ეს ძეგლი დაკარგულია“ (შემონახულა ნაწყვეტი „ალკვიონისთვის“). იგი „გამოსულა ქართველი ჰუმანისტების სკოლიდან... ჩანს, ეკუთვნოდა იოანე ფილოსოფოსი კიმჭიმელის კალამსო“ (გვ. 66). ეს მოსაზრება გამომდინარეობს ი. ჯავახიშვილის ერთი შეხედულებიდან, რომელიც გამოქვეყნდა 1912 წელს ეურნალში „Христианский Восток“ (I<sup>1</sup>, გვ. 20): ჩვენში, — წერს ისტორიკოსი. — ძველად «სახისმეტყველების» არაერთი რედაქცია არსებულა. ამჟამად ცნობილ რედაქციაში (იგულისხმება „მჭეტათჳს სახის-სიტყუა“, გამოცემული ნ. მარის მიერ) ალკვიონზე არაფერი სწერია. „აზმათა“ ავტორს, რომელიც ალკვიონის ამბავს აღწერს, ხელთ სჭერია „სახისმეტყველების“ უცნობი რედაქცია, რომელსაც სათაურად ჰქონია „ბუნებისმეტყველება“. მას ჩვენამდე არ მოუღწევია; იგი რედაქციულად და შედგენილობით ცნობილი ტექსტისაგან განსხვავებული ყოფილაო.

<sup>55</sup> რუსთაველის კრებული, 1958, გვ. 66.

<sup>56</sup> ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, რუსთაველის ეპოქის ჩვენამდე არმოდწეული სალიტერატურო მემკვიდრეობის გარშემო, 1965, გვ. 17. შდრ. „ქართული ლიტერატურის ისტორია“, II, 1966, გვ. 249; ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, რუსთაველის საისტორიო თხზულების გამო, მაინე, 1967, № 2, გვ. 304.

მართლაც, „აზმათა“ ავტორს მოეპოვება ერთი ექსცერპტი „ალკვიონის-სთვის“: „დიდი ბასილი, მნათიკესარიისა, ბუნებისმეტყუელეობასა შინა არსთა ქმნილებისასა ექუსთასთა დღეთასა იტყვს: ჩიტი ალკუნი ბაგესა ზედა ზღვსასა დამსხმელ იქმნების კუერცხთა; ოხრანი და ღელვა-ტეხილობანი ზღვსანი ვერ გარდავდებიან ბრძანებასა ღმრთისასა და მცველ ექმნების თესლოვანებისა ალკუნისასა“ (გვ. 15). მაგრამ ეს ამონაწერი არ გვაძლევს უფლებას, გავიზიაროთ ი. ჭავჭავაძისა და პ. ინგოროყვას მოსაზრება „სახისმეტყველების“ სხვა რედაქციის არსებობაზე. „აზმათა“ ავტორი ასახელებს თავის წყაროს: ეს არის ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲ“, რომელშიც მართლაც დატულია თხრობა ალკვიონის შესახებ<sup>57</sup>. თამარის ისტორიკოსი იცნობს ბასილის თხრობას არსთა შესაქმნეზე და იქიდან იმოწმებს ალკვიონის თესლოვანებას მაგალითს. შესაძლებელია ესეე თხრობა იყოს გელათური მეტაფრასის ზემოთდამოწმებული სქოლიოს წყაროც. „სახისმეტყველებს“ სხვა რედაქციის კვალი ძველ ქართულ მწერლობაში არ ჩანს.

თხრობას „ქსერქსესგან ელისპონტოს განხიდვისათვის“ მიწერილი აქვს: „ვიმისოს-მოქმედი“, „თუკვიდიდი-მოქმედი“ და „მიროის“ (გვ. 187). ესენი, ალბათ, ის ავტორები არიან, რომელთა თხზულებებიდან ამოკრებილია ცნობები ბერძენ-სპარსთა ომის შესახებ. თემისტოკლეს თავდადების ამბავი ცნობილი ყოფილა „აზმათა“ ავტორისთვისაც. თამარის მამას გიორგი მესამეს (1156—1184) ბრძოლის წინ წარმოუთქვამს პატრიოტული სიტყვა, რომელშიც მებრძოლებს სამშობლოს თავდადებისაკენ მოუწოდებს და თემისტოკლეს გმირობაზე მიუთითებს (გვ. 8). უდავოა, XI—XIII საუკუნეების ქართველები კითხულობდნენ ბერძნულ საისტორიო მწერლობას ან, როგორც „აზმათა“ ავტორი ამბობს, „ძველთა მომთხრობელთა“ თხზულებებს (მაგ., თუკვიდიდი-მოქმედის ისტორიას) და ბიზანტიური ხანის ჟამთააღმწერლებს, სარგებლობდნენ მათგან და, თუ საჭიროებას მოითხოვდა, ქართულადაც თარგმნიდნენ (მაგ., გიორგი ამარტოლის „ხრონოლოგია“).

ქართველი მწერლები, როგორც არაერთხელ გვითქვამს, იცნობდნენ ჰომეროსის ეპოსსაც. ისინი თავიანთ თხზულებებში იმოწმებდნენ „ილიადას“ პერსონაჟთა სახელებს, „ოდისეას“ ეპიზოდებს, სარგებლობდნენ მათი მხატვრული სახეებით, მაგრამ ტროის ციკლის ის მშვენიერი თხრობა, რომელიც გელათურ მეტაფრასს შემოუწუნავეს. არც ერთ ძველ ქართველ მწერალს არ მოეპოვება. მასში გადმოცემულია

<sup>57</sup> ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გამოსცა მ. კახაძემ, 1947, გვ. 97—98.

ამბავი ელენეს მოტაცებისა და ტროადის დარღვევისა. მნიშვნელოვანია სიტყვა „ილიადას“ განმარტებაც: „ილიადო ესე იგი არს ტრკა ქალაქის ბოროტთა მათდა ძკრათთჳს შენაწევრებული“, რომლითაც ირკვევა, რომ ზემოთ დამოწმებული სქოლიოების ავტორი უნდა იყოს ქართველი მთარგმნელი (შეიძლება იოანე პეტრიწი).

სქოლიო „ილიადისთვის“ ერთის ეგნატე დიაკონის „სიტყვის“ შემდეგ აღვიღს:

„ხოლო ამიერ ნათესავნი რაჲ მრავალ-სახენი ანაზღა-იქმნნეს და მყის ლამპართა აღნთებულობანი და ძნობაჲ დამატკობელი არა პრამიკუულთა მოსაწევართაჲან, არცა კჳალად ანტინურიდელთა ჳმობისაგან დამარხვად, არცა ილიადის ბოროტთაგან შემტყიცებული, არამედ ნუთად უკუე მქონებელი სტიქარონთა შეწყობილებისა მიერ წმიდისა ამის საქმისაჲ“.

რაკი მთარგმნელს ამ ტექსტისათვის განმარტება დაურთავს, უნდა ვიფიქროთ. რომ XI საუკუნის მიწურულს (თუ XII საუკუნის დამდეგს), როდესაც ქსიფილინოსის საკითხაეები ითარგმნებოდა, ჰომეროსის ეპოსის (კერძოდ, ტროის ცკლის) ამსახველი მოთხრობა ქართულად ჳერ კიდევ არ იქნებოდა დამუშავებული.

დანარჩენი ოთხი სქოლიო (პანდოინის ასულთა ფრინველ-ქმნისათვის ან ტანტალოსის, სისვიფონისა და ნიოენისათვის) ძველი ქართული მწერლობისათვის უცნობი სიუჟეტებია. მათ არც „ელინთა ზღაპრობაში“ ვხვდებით.

პროკნის, ფილომლასა და ნიოენის (ნიობას) თავგადასავალს მოგვითხრობს ოვიდიუს ნაზონი „მეტამორფოზებში“, ხოლო ტანტალოსისა და სისვიფონის დასჯის ამბებს—ჰომეროსი (ოდისეა XI, 582—600). ქართველი მთარგმნელი იცნობდა თუ არა ამ თქმულებებს დასახელებული ავტორების მიხედვით, არ ვიცით. საფიქრებელია, ისინი ჩვენში სხვა წყაროებიდან შემოვიდა, რადგანაც ზოგიერთი მოტივი არ მოეპოვებათ ჰომეროსისა და ოვიდიუსის თხზულებებს.

პ. ინგოროყვა ამ სქოლიოების ავტორად სთვლის იოანე კიმპიმელს. ჩვენი აზრით, რაკი კიმპიმელი არის იგივე პეტრიწი, „ელინთა მეზღაპრობის“ პატრივი, ცხადია, იოანე ფილოსოფოსს უნდა გადაეულოცოთ, თუკი პ. ინგოროყვას მოსაზრებას რაიმე მტკიცე საყრდენი მოეპოვება.

სქოლიოების ტექსტი დაწერილია პეტრიწული სტილით: გვხვდება მიმღეობური კონსტრუქციები, აზრობრივი დახლართულობა და ლექსიკური თავისებურება. ავტორის მკვერმეტყველებაზე მიუთითებენ სიტყვები: „განვიდეა“ (= ხილის გაღება), „განწიაღება“ (= წყლის გაცურვა), „გრობა და განგულეება“ (= კვერცხის გამოჩეკა), „ზღაპრის-

მეტყულება“, „პრიამეთი“ (= პრიამის სამფლობელო), „სურვიელობა“ (= სიყვარული), „სანოვაგე-მყოფელი“ (= საკმლის გამკეთებელი), „მჭიკინებელი“ (= მოჭიკიკიე), „პეშეება“ (= მუჭით აღება რისამე), „მპარავ-მასმენელობა“ (= ჩუმად მამეზღრობა) და სხვა. ერთი სიტყვით, ეს ლექსიკური მხარე ნათლად არკვევს იმას, რომ ქსიფილინოსის ზოგიერთი საკითხავი უთარგმნიათ პეტრიწულ სალიტერატურო სკოლაში. შესაძლებელია მათი მთარგმნელი მართლაც იოანე იყოს. ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ მომავლისათვის საფუძვლიანად შევისწავლოთ XI—XII საუკუნეების მეტაფრასული კრებულები, რომლებშიც შემონახული უნდა იყოს პეტრიწის მიერ თარგმნილი არა ერთი აგოგრაფიული თხზულება (წმიდათა ცხოვრება თუ შესხმა).

## 5. საისტორიო თხზულებანი

იოანე პეტრიწს დიდი წვლილი შეუტანია ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების საქმეშიც. დავით რექტორი წერს: „ვიეთნიმე იტყვიან წიგნსაცა იოსიპოსისასა ამის იოანესგან ნათარგმნსა ელინურიდამ“. აქ ივარაუდება იოსებ ფლაბიოსის „მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყუადასამომბისაჲ“, რომლის თხუთმეტი წიგნი (I—XV) მართლაც პეტრიწს გარდამოულია ბერძნულიდან ქართულად. ამას ადასტურებს ხორნაბუჯელი მღვდელიც—დავით ინანაშვილი, რომელსაც 1835—1836 წლებში რუსულიდან გადმოუთარგმნია იოსებ ფლაბიოსის მე-16—20 წიგნები: დავითის თარგმანს ერთვის იამბიკო, სადაც აღნიშნულია შემდეგი:

ვმეერ დღე და ღამე და ვიქმენ ესრეთ მსრულავ  
 იოსიფოსისა, რომელი არს ნაშრომი  
 თარგმანებითა ელინურისა ენით  
 საქებელისა წოდებულის პეტრიწის...

პეტრიწის თარგმანი ჩვენამდე მოღწეულია XIII—XVI და XIX საუკუნეების ხელნაწერებით<sup>58</sup>. ტექსტი ჭერჯერობით გამოუცემელია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იოანეს მეორე საისტორიო თხზულება, რომელიც მას სიბერის ხანს დაუწერია. ეს არის „ცხოვრება

<sup>58</sup> Q 183 (Q ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 202), ქუთ. № 10 („ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 63—64). ამ ხელნაწერს ერთვის იამბიკო: „პეტრიწის გვარი წერილისა განმავკირებლს“ (I v), რომელიც ანტონ კათალიკოსს ეკუთვნის; S 372—375; ქუთ. № 384 (ნაკლული).



მეფეთ-მეფისა დავითისი“ ანუ „შესხმა-მიტხრობა“, რომელიც აღმოაჩინეს დავითის „დიდებითა, სიმკნითა და გუარითა ცხოვრებასა“. ამ ძეგლზე ზევით გვქონდა საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავიმეორებთ. მასში გატარებული იდეოლოგიური თვალსაზრისი ნათლად ავლენს იოანე პეტრიწის, როგორც მოწინავე პოლიტიკური მოღვაწის, პროფილს.

## 6. იოანე პეტრიწის იამბიკოვები

იოანე პეტრიწის სალიტერატურო მემკვიდრეობიდან მეცნეერთა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მისი პოეტური შემოქმედება. ზევით განვიხილეთ იოანეს ერთი თექვსმეტმარცვლოვანი ლექსი „თუ თალი მილისეველმან“, რომელიც დაწერილი უნდა ყოფილიყო ექსპრომტად დავით აღმაშენებლის საქებრად, და ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ტრაქტატი „სათნობათა კიბე“, „დალექსილი იროიკოდ და აკროსტიხორად კიდურ-წერილობით“. ქვემოთ შევეხებით მის სხვა ლირიკულ ნაწერებს.

საერთოდ პეტრიწის ლირიკა სასულიერო შინაარსისაა და ძირითადად თორმეტმარცვლოვანი იამბიკური საზომით შეთხზულ ურთიმო ლექსებს შეიცავს. დანიშნულების მიხედვით ზოგი მათგანი დიდაქტიკურია, ზოგიც ლიტურგიკული. უპირველესად მნიშვნელოვანია „გალობანი ყოველთა წმიდათანი“, შედგენილი „წესსა ზედა ტვბიკონისასა“, და „პროლოდია“ (ანუ თვენი) სექტემბერ-იანვრის თვეებისა.

1. „გალობანი ყოველთა წმიდათანი“ შედგენილია პეტრიწისა და მისი ძმის პავლეს მიერ. A 290 ხელნაწერით მას უძღვის ზედწარწერილი: „გალობანი წმიდათანი, თქმულნი პეტრიწისაგან «კურთხეულ-არსამდინ» და «კურთხეულ-არს, აკურთხევიდით და აღიდებდით»—ძმისა მისისა პავლესაგან“ (ფ. 243r); ყანჩათის ჟამნ-გულანით კი ყველა თვის გალობის ავტორია „პეტრიკი“ (H 1452, ფ. 342r—349r). ტექსტი იწყება ამგვარად:

თუესა სეკდნებრსა აქუს დღე ლ [30], დღეთა აქუს ჟამი იბ [12] და ღამეთა ჟამი იბ [12]. ვჰაჰ ბ[2], გალობა ი [10]. უ გ ა ლ ბ დ ი თ ს ა : „ზღუდა მეწამული“...

ჟამთა და წელთა კელმწიფებითა ღმერთ-მთავრობითთა მოქმედო უფალო, სამგუამოვნებით დიდებულო, ხოლო ერთ-არსებით თაყუანის-ცემულო, გუაცხოვნენ კმნილნი შენი აწყა მოწვენულნი დასაბამსა ჟამის-მოქცევისასა.

ამის შემდეგ კალენდარული წესით განლაგებულია სახელები იმ წმიდანებისა, რომელთა ხსენების დღეც არის დაწესებული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ, და იქვე მიწერილია საგალობელთა სახელწოდებები:

1. ღირსი სვეონ—ყოვლისა დიდებულო, სუეტო მოთ., გ<sup>ნ</sup> მიმდ.
2. მამა — მოწაშემან, იოანე მმარხუელი, კ<sup>ნ</sup>დ სრ<sup>წ</sup>მნ.
3. ანთიმოს—საქმით მიემსგავსე, მამისა თეოქისის, ნაყადულთა.
4. ბაბილა—საქმით მიემსგავსე, წინასწარმეტყუელისა შენისა.
5. ზაქარია—მღდღობისა სამკაული და ა. შ.

მომდევნო თვე (ოქტომბერი) იწყება ამგვარად:

თუესა ოქტონბერსა აქუს დღე ლა [31], დღეთა აქუს ჟამი ია [11] და ლამეთა ჟამი იგ [13]. გ ი ხ ა რ დ ე ნ ი: ესამებაო წმიდაოა...

1. ქებული ანანია—მოციქულო წმიდაო, პავლეს უპირატესისა.
2. კვპრიანე—საქმით მიემსგავსე იუსტინეს, შენ შორის საკე.
3. დიონოსი—სიტკობებაჲ ისწავე.
4. იეროთე—სიტკობებაჲ ისწავე.
5. ხარიტონი—ალ<sup>ღ</sup>...

აი, ასე დასახელებულია ყველა წმიდანი და საუფლო დღესაწაული სათანადო საგალობელთა აღნიშვნით. ტექსტი მთავრდება 31 აგვისტოს დაწესებული საუფლო დღესასწაულით: „სარტყელი ყოვლად წმიდისა, მფარველო სულთა ჩუენთაო, [ღმრთის-მშობელო. ქალწულო კაცთა] — უქმი“.

ამ „გალობებს“ საფუძვლად დასდებია ქრისტეფორე მტილენელის (1000—1050 წწ.) ე. წ. „გალექსილი კალენდარი“, რომელიც იოანეს შეუქმოკლებია (ამოულია ზოგიერთი წმიდანის სახელი და ეპითეტებიც კი) და შრომა „წარმოუდგენია ლიტურგიული კანონის სახით“<sup>59</sup>. მისი ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია ორი რედაქციით: პირველი მოთავსებულია XIII საუკუნის ხელნაწერში, შეიცავს წმიდათა სახელებს სექტემბერ-აგვისტოს თვეებისას<sup>60</sup>, ხოლო მეორე დატულია ყანჩაეთის ჟამნ-გულანში (გადაწერილია 1674 წელს) და წმიდათა სახელები მასში განლაგებულია კალენდარული წესით იმგვარად, როგორც ზევით წარმოვადგინეთ<sup>61</sup>.

2. „სათვეო სვინაქსარი“ (ანუ „პროლოღია“) „გალობათა“ საფუძველზეა შეთხზული იამბიკოვნად, ქრისტეფორე მტილენელის ანალოგიური შრომის მიბაძვით. იოანეს დაუწერია მხოლოდ სექტემბერი-იანვრის (ე. ი. პირველი ხუთი თვის) შესხმანი. მერმე ეს შრომა გაუგრძელებია კათალიკოს არსენ ბულმაისიმიძემს აბუსერძე ტბელის თხოვნით, შეუთხზავს თებერვალ-მაისის თვეთა შესხმანი, ხოლო ივნის-აგვისტოს თვეთა შესხმანი დაუწერია კათალიკოს ანტონ პაგრა-

<sup>59</sup> ე. ქ ე ქ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 288—289.

<sup>60</sup> A 290, ფ. 243r—244v.

<sup>61</sup> H 1452, ფ. 342r—349r.

ტიონს. ამისი დამადასტურებელი ცნობები დაცულია „პროლოდის“ შემცველ ხელნაწერებში<sup>62</sup>. აი ესენიც:

ხუთნი არიან ქმნილნი თთუენ იონისგან  
ფილოსოფოსის კირკიმელ წოდებულის,  
ესე იგი არს: სეკდეშბერ-ოკდომბერა,  
მებრვე ნოეშბერ-დეკემბერ-იანვარი.  
მისთა სიბრძნეთა ესე არს მაცხადი.

ხუთთა მათ გარდა არასადა იყო სხუა,  
რაცა მასრულ ექმნამუა ნაკლთა თთუეთა.  
მსურველთ ვედრებით მოსთხოვეს მყის არსენის.  
მამათმთავარსა, ძესა ბულმაისისსა,  
რათა აღაესონ ნამთნი იონისნი.

ინება, ქელ-ჰყო, აღაენა ნამთ-გებულნი  
უწმიდესმან მან კაცმან, გონება-ვრტელმან,  
ოთხთთუენი ქლექსნა. ასტიხნა ორფოვებრ —  
ფებერველ-მარტი. ესთა აპრილ-მაისი,  
სხუა ვერლა ქსალდა დროთა შეხლომთაგან.

შემდგომად ორთ მათ ქელ-ჰყო სამ-თთუეთ სრულება  
მამათმთავარმან, მეფის ძემან ნტონი,  
მებრ უშიროსი სიბრძნისა ქუე-მდებარემან;  
ვინ დავითის ტომ ითვსა. ისაყუთრა,  
მან ყოვლად სრულ-ქმნა იენის-იელისა-გვისტო.

ჰოი მსმენელნო, მიწმუნეთ თქმალნი ესე:  
თუმცა იოან არს საქებელ ყოვლთაგან,  
მაგრა თვთ არსენ არ ნაკლებობდა მისდა.  
ორნიე ღმრთის-მეტყუელ, რატორ-ფილოსოფოსნი.  
აჰა, ანტონი მეზესთმთიებობა მათდა! <sup>63</sup>

ეს ლექსი დაწერილია ანტონის მოწაფის — ტრიფილე მონაზონის მიერ. ამ მწიგნობარს მთელი წლის შესხმანი ერთ წიგნად გადაუწერია და მისთვის წინასიტყვაობა დაურთავს (რაც ირკვევა დავით რექტორის გადანაწერი ნუსხიდან). წინასიტყვაობის ერთ-ერთი წყაროა A 85

<sup>62</sup> A 85, ფ. 196—212; S 379, გვ. 29 (S ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, I, გვ. 440); A 1427—გალექსილი თენი, გადაწერილი 1799 წელს დავით რექტორისგან თელავს (შდრ.: A ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, IV, გვ. 521—522). A 85 ხელნაწერის ცნობები განხილული აქვს გ. მიქაძეს ნარკვევაში „არსენ ბულმაისი-მისქე“ (ლიტერატურული ძიებანი, XV, 1964, გვ. 115—121).

<sup>63</sup> A 1427, ფ. I r—III r.

ხელნაწერის ცნობა: „ესე იამბიკონი ხუთთა თუეთა მეტნი არა იყვნეს ენასა ზედა ქართულსა; და ოთხთა თუეთანი ბულმაის ძემან თქუა, ქართლისა კათალიკოსმან, ჩემითა შეხუეწინთა“, რომელიც ტექსტში მიუწერია აბუსერიძე ტბელს (224 r). მისი მეორე წყაროა ანტონის აკროსტიკული იამბიკო, რომელიც ერთვის „პროლოლიას“ (გვ. 229):

აჰა, თხრობილნი წმიდათათკს ვასტიხე!  
ვქქმნენ, ვიკადრე ეს, რომელ შევეხ აღვსებად.  
შე ესთა ტიალ-ვიფრასე, არ ექქმენ ზესთა,  
უღლ ესე და იგ ოქროვან თქმული მათი  
მენება ოღენ აღმევსო ნეტართ ნაშთნი.

ამ იამბიკოს აკროსტიკი იკითხება ჯვარედინად და პორიზონტალურად: „ანტონი, მეტაფრასთა მესტიხე“.

„სათვეო სვინაქსარი“ საყურადღებო თხზულებაა. მასში არსებულ პოეტურ სახეებსა და ტერმინებს ვხვდებით „ვეფხისტყაოსანსა“ და „აბდულმესიანში“. მაგ., თოთხმეტი სექტემბრის საგალობელად იკითხება ასეთი იამბიკური სტროფი (გვ. 10—11)<sup>64</sup>.

ძ ე ლ ი ს ი მ ა ლ ლ ე დ, ს ი ღ რ მ ე დ, ს ი ვ რ ც ე დ და ს ი გ რ ძ ე დ  
მპყრობელი ღმრთისაჲ, სამ-ნაწილდი ნიში,  
ამაღლებული მრგულივ წმიდა ღუობს ეთერსა...

ამის გავლენით შეუთხზავს შავთელს 72,1<sup>2</sup> ტაეპი:

ც ნ ო ბ ი ს ა ს ვ ე ტ ი, ხვეჭით საქვრეტი  
ს ი მ ა ლ ლ ე დ, ს ი ვ რ ც ე დ, ს ი გ რ ძ ე დ და ს ი ღ რ მ ე დ.

საყურადღებოა პეტრიწის ის იამბიკოც, რომელიც მიძღვნილია 25 ოქტომბრის თარიღით დიმიტრი სოლუნელისა და ნესტორ მოწამისა-დმი (გვ. 34):

დიმიტრის მრწემი, მაქსიმიანეს მძლავრი,  
ლკეოს მკლველი, თვთ ქრისტესთვის მომუდარი  
დღეს მახვლითა სამყაროს მსრბოლობს ნესტორ<sup>65</sup>.

ამის გამოძახილია „აბდულმესიანის“ 98,3 ტაეპი:

ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ  
დიმიტრის მიერ ძალ-შეზღუდულად.

<sup>64</sup> ციტატებს ვიმოწმებთ დავით რეკტორის ნუსხიდან (A 1427).

<sup>65</sup> საქართველოს ცენტრარქივის ხელნაწერზე (№ 264/268, ფ. 214v) დაყრდნობით ამ იამბიკოს ავტორად მიგვაჩნდა იოანე შავთელი (ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული მეხოტბენი, II, 1964, გვ. 249—250). ჩვენს მოსაზრებას აძლიერებდა ის, რომ ანალოგიური შინაარსის ტაეპი მოიპოვება „აბდულმესიანშიც“. მაგრამ „სათვეო სვინაქსარის“ შესწავლისას ნათელი გახდა, რომ იამბიკოს ავტორია პეტრიწი, შავთელი კი მის გავლენას განიცდის.

ერთ-ერთ სტროფში შეიმჩნევა „ვეფხისტყაოსნის“ 896,1 ტაქის („სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისა“) ლიტერატურული წყარო (გვ. 41—42):

უნათო ნითი და უსხეულო მიწა,  
ჴორცო ჴორცი, უსხეულო სამშენველო,  
უ ს ა ხ ო ს ა ხ ე, შეუცავი გონება.

„სათვეო სვინაქსარი“ ინტერესს იწვევს ენობრივ-სტილისტური მხრივითაც. მასში მიმობნეულია ორიგინალური მხატვრული სახეები და რთული წარმოების სახელზმნები, რომელთაც უხვად ვხვდებით პეტრიწის გავლენით შეთხზულ გვიანდელ (XVIII ს-ის) იამბოკოებში. მაგ.:

შორე იობ-ეესტათი სტრატიატი....  
ცხედრეულით და ძეებითურთ კუროსა  
პპოებს ეტლად და განჴელის ცასა, ვითარცა  
მზე მთოვართა ორთა მთიებთა თანა (გვ. 19—20);  
სტეფანეს თავი ეანდამატა ლოდთა  
და თხემსა მისსა ემარგალიტნეს ქვანი (გვ. 70);  
უშენსა უქმსა ამრავალსაზრუნველებდა  
და მხეებრსა შექს იბრწყინვალეებდა ღამე (გვ. 86);  
ვთქუა: იოანეს თუ აახალნიშებენ,  
სიტკბო მესიკთა ჴმასა აწმიდაარსებენ,  
კოსმას გალობა აღმართისმამისქნარებს  
და გონებისა ღმობა აღმართისმეტყუელებს,  
ხოლო პატივი აზეცისკარვისმღღელებს (გვ. 83);  
ეასილის ვისმე ღმონი კბილ-ფრჩხილებითა  
გვრგვენსა შეთხზვით უთუალმარგალიტებენ (გვ. 75);  
კრეტ-საბმელისა შინაგან მესიწმიდღ  
ენებული მიწებრ მიიმშვიდობისრულებს (გვ. 87).

ამ ამონაწერებში მოხდენილ პოეტურ სახეებთან ერთად ყურადღებას იქცევს სახელზმნათა ხელოვნური ფორმები სიტყვებიდან:

ბევრ-წილი — განუბევრწილებს,  
მრავალ-საზრუნველი — ამრავალსაზრუნველებდა,  
ახალი ნიში — აახალნიშებს,  
წმიდა არსი — აწმიდაარსებენ,  
ღმართის მამის ქნარი — აღმართისმამისქნარებს,  
ზეცის კარვის მღღელი — აზეცისკარვისმღღელებს,  
მშვიდობის რული — მიიმშვიდობისრულებს,  
სპე აკ-თოვლებრი — განასპეტაკთოვლებრიბს. (გვ. 76).  
ოქრო-მურ-გუნდრუკი — მიოქრომურგუნდრუკებს (გვ. 89).

ასეთმა ფორმებმა ფართოდ გაიკაფეს გზა კლასიკური ხანის საერო პოეზიაში (შდრ.: „ვეფხისტყაოსანი“ — გასისხლმდინარდა, გაჭმამყივარდა, იფერმკრთალეს, გაითავისწინა; „აბდულმესიანი“ — სხივმომცემელობ, ამრავალწილებს; „თამარიანი“ — ბედდილობს, ლაწვმულაზარობს, გაგულქველევად) და XVIII საუკუნის იამბიკურ ოდებში (ანტონ კათალიკოსი, დავით რექტორი, ტრიფილე მონაზონი და სხვა).

3. საღმრთო წერილის კანონთა შორის პეტრიწის კალმის ნაყოფად სთვლიან ორ-მუხლედად დაწერილ იამბიკოს (A 290, ფ. 245 r):

ერთ ოთხნი, ორ აკლს იოანე, სამ მარკოზ,  
ოთხ ულუკად, ხუთ მათე-ლუკა ხოლო,  
მათე-მარკოზ ექუს. შუკდ მათე-იოანე,  
მარკოზ-ლუკა რვა, ცხრა ლუკა-იოანე.  
ათ ოთხთაჲ თვის-თვის აღწერილი კანონი.

პრომ. კორი-კორი, გალატ, ეფეს, ფილიპელ,  
კოლას, თესლო-თესლონიკ, ტიმოთე,  
ტიმოთე, ტიტე, ფილიმ, ებრაელ — ათ ოთხ.  
იაკობ, პეტრე ორ და სამ იოანნი,  
ხოლო იუდა შუკდ შემდგომად «საქმეთა».

პირველი სტროფი იძლევა სახარებათა აღრიცხვასა და უთითებს პარალელურ ადგილთა მაჩვენებელ კამარებს. ძველად მიღებული იყო ცხრა კამარა: პირველი შეიცავდა ოთხ მახარებელს, მეორე — სამს (აკლდა იოანე), მესამე — სამს (აკლდა მარკოზ), მეოთხე — სამს (აკლდა ლუკა), დანარჩენი ხუთი — ორ-ორ მახარებელს (მათე-ლუკას, მათე-მარკოზს, მათე-იოანეს, მარკოზ-ლუკასა და ლუკა-იოანეს). ამას მოსდევდა ოთხმეტე „თვის-თვის აღწერილი კანონი“ — პავლე მოციქულის ეპისტოლენი.

მეორე სტროფში ჩამოთვლილია პავლე მოციქულის 14 ეპისტოლეს სახელები დასაწყისი მარკვლების აღნიშვნით (რომაელთა, 2 კორინთელთა, გალატელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლასელთა, 2 თესლონიკელთა, ტიმოთეს პირველი და მეორე, ტიტეს, ფილიმონის, ებრაელთა) და სხვა დანარჩენი წიგნები ახალი აღთქმისა: იაკობ — კათოლიკე ეპისტოლე იაკობ მოციქულისა, პეტრე ორ — პეტრე მოციქულის ორი ეპისტოლე, სამ იოანე — იოანე მოციქულის სამი ეპისტოლე და იუდა შუკდ შემდგომად «საქმეთა» — იუდა მოციქულის ეპისტოლე, რომელიც „მოციქულთა საქმეების“ შემდეგ რიგით მეშვიდეა.

4. ანტონ ბაგრატიონი რუსულიდან გადმოკეთებული „თენის“ წინასიტყვაში<sup>66</sup> წერს: „მეხილვა ოდესმე იოანეს მიერ ფილო-

<sup>66</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 184.

სოფლისა, დღეთა ქართლსა შინა ყოფისა ჩემისათა, გულან-  
სა შინა მცირესა ნაკუთითა, დაღათუ არა მცირესა წერილითა,  
სამსაგალობელნი წინათქმულთა (= „ქორციელად შობისა  
უფლისა და ნათლის-ღების“; —ი. ლ.) დღესასწაულთანი“. ეს „მცირე  
გულანი“, რომელშიც ყოფილა იოანეს იამბიკოები „სამსაგალობელ-  
ნი“, ჭერჭერობით მიგნებული არ არის. ამათ გარდა პეტრიწს გამოუ-  
თქვამს „მრავალნი ღმრთის-მეტყუელებანი უადრეს ბუნებისა მრავალ-  
დალექსულთა იამბიკოვანთა გალობათა შინა, ხოლო მრავალნი გალო-  
ბანი სათვეოთა და ტრიოდონისა და პენტეკოსტისა გარდამოულია  
ბერძენთა ჳმათაგან ჩუენთა ზედა ჳმათა“ ჳ მასვე მიეწერება „კვმატ-  
ნი იამბიკოდ თქმულნი“, მაგრამ ეს პოეტური ნაწერებიც ჭერჭერობით  
დაკარგულად ითვლება. იმედია, მომავალი კვლევა-ძიება ამ მხრივ  
მნიშვნელოვან შედეგს გამოიღებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს, თუ რა შინაარ-  
სიანი და მრავალფეროვანი ყოფილა თემატიკით იოანე პეტრიწის სა-  
ლიტერატურო მემკვიდრეობა. მისგან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ  
მესამედი ნაწილი. ჩვენს მოვალეობას შეადგენს იგი კრიტიკულად შე-  
ვისწავლოთ, გამოუცემელი ტექსტები დავადგინოთ მეცნიერულად  
და ფართო მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ ისინი. მაშინ უფრო მრავალი  
საკითხი წამოიჭრება ქართული მწერლობისა და აზროვნების ის-  
ტორიკოსთა წინაშე და, ალბათ, ზოგიერთ ბუნდოვან საკითხსაც ნათელი  
მოეფინება.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსოფლმხედველო-

ბა ნ. მარიდან დაწყებული დღემდე ჭერ კიდევ არ არის ჭეროვნად შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე დიდძალი ლიტერატურა მოგვეპოვება. ეს გარემოება გამოწვეულია უპირველესად იმით, რომ ქართული ფილოსოფიის ისტორიკოსები თავიანთს კვლევა-ძიებაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და ამჟამადაც აქცევენ პროკლე დიადოხოსის „კავშირთა“ პეტრიწულ კომენტარებს, უკეთ: ისინი პეტრიწის მსოფლმხედველობას არკვევენ ამ ერთადერთი ორიგინალური ნაშრომით, მაგრამ მათ მხედველობის გარეთ რჩებათ იოანე ფილოსოფოსის ის თარგმანები და საკუთარი თხზულებანი, რომლებიც განეკუთვნებიან ძველი ქართული მწერლობის სხვა დარგებს (ბიბლიოლოგიას, ეგზეგეტიკას, ასკეტიკა-მისტიკას, აგიოგრაფიას, ჰიმნოგრაფიასა და სხვას), განსაკუთრებით კი ფილოსოფიურ-დიდაქტიკური პოემა „სათნობათა კიბე“, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

პეტრიწის მსოფლმხედველობის გასარკვევად მაინცაღამაინც დიდ დახმარებას ვერ გავვიწევს „კავშირთა“ კომენტარებში. ამ თხზულებით შეგვიძლია დავადგინოთ უფრო ის, თუ იოანეს როგორ ესმოდა პროკლეს „კავშირნი“ და როგორ აისახა მასში ანტიკური ფილოსოფიის ცოდნა. ჩვენ თუ შევეცდებით, მისი ფილოსოფიური კონცეფცია წარმოვადგინოთ მხოლოდ „კომენტარების“ მიხედვით, როგორც ამას სჩადის ზოგი მკვლევარი<sup>1</sup>, ცალმხრივ წარმოდგენას შევიმუშავებთ ამ ქართველ ფილოსოფოსზე. საამისოდ საჭიროა პეტრიწის მთლიანი ლიტერატურული მემკვიდრეობის გათვალისწინება, რასაც უწინ სამართ-

<sup>1</sup> ვ. კ ე რ ძ ე ვ ა ძ ე, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები, 1960, გვ. 26—49.



ლიანად მიუთითებდა კ. კეკელიძე<sup>2</sup>. სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობას ჯერჯერობით მოკლებული ვართ, რამდენადაც ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება პეტრიწის შრომების სრული მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა, ურომლისობაც საგრძნობლად აფერხებს ამ მოაზროვნის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოძღვრების ჯეროვან განხილვასა და შეფასებას. ამიტომ აქ მე წარმოვადგენ მხოლოდ „სათნობათა კიბის“, როგორც ბველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ძეგლის, შინაარსობრივ ანალიზს, რომელიც, ვფიქრობ, მცირეოდენ წველილს შეეტანს პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსოფლმხედველობის შესწავლაში. მაგრამ მანამდე საჭიროა ორიოდე სიტყვით შევჩერდე ჯერ იმ თეორიებზე, რომლებიც შეიმუშავეს ჩვენი მწერლობისა და აზროვნების მკვლევარ-ისტორიკოსებმა XI—XII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ მიმდინარეობებთან დაკავშირებით.

## 1. ცობა რამ კვლევების ისტორიიდან

„ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ორტომიანი შრომის ავტორმა შ. ნუტუბიძემ წამოაყენა: მოსაზრება, თითქოს XI—XII საუკუნეების საქართველოში არსებობდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფილოსოფიური მიმდინარეობა: ერთი — პ რ ო გ რ ე ს ი უ ლ ი, რომელიც ემყარებოდა ქართულ წარმართულ ფილოსოფიურ ტრადიციას და მისი მეთაური იყო პ ე ტ რ ი წ ი, ხოლო მეორე — რ ე ა ქ ც ი ო ნ უ რ ი, რომელიც ახშობდა ყოველივე მოწინავე აზრს, და მის სათავეში იდგა ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი. მოვუსმინოთ თვით მკვლევარს: „ა რ ს ე ნ ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი რ ე ა ქ ც ი ო ნ უ რ ბ ა ნ ა კ ს ე კ უ თ ვ ნ ო დ ა, ხ ო ლ ო ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი — ი მ დ რ ო ის მ ო წ ი ნ ა ე ე ჯ გ უ ფ ს“ (II, გვ. 152). ისინი რომ პოლიტიკურად და ფილოსოფიურად სხვადასხვა აზრისა იყვნენ და ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ ბანაკს ეკუთვნოდნენ, ეს ჩანს იქიდან, რომ „იოანე პეტრიწი... განიცდის სისტემატურ დევნას, სამშობლოდან გაძევებას, ტანჯვასა და სხვა, ხოლო არსენ იყალთოელის შესახებ ეს ცნობილი არაა.... საქართველოში, საერთოდ, და საქართველოს ეკლესიაში, კერძოდ, არისტოკრატიული ბატონობის პერიოდში მიღებული კაცია არსენ იყალთოელი, ხოლო დევნილი — იოანე პეტრიწი“ (II, გვ. 149). ამას გარდა, ჩვენს მწერლობას შემოუწინახავს ერთი ძეგლი „პირმშოაშავს“,

<sup>2</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 293—305.

რომელიც ადასტურებს ამ ორი ფილოსოფოსისა და მათ მიმდევართა იდეოლოგიური წინააღმდეგობის არსებობას. ეს ძეგლი დაუწერია არსენ იყალთოელს იოანე პეტრიწის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ და შეუტანია შრომების კრებულში, რომელიც ცნობილია „დოღმატიკონის“ სახელწოდებით<sup>3</sup>.

XI—XII საუკუნეების საქართველოში პროგრესიულ და რეაქციონურ ფილოსოფიურ ბანაკთა არსებობა, უკეთ, პეტრიწული და იყალთოური სკოლების ანტაგონისტური დაპირისპირება კატეგორიულად უარყო კ. კეკელიძემ. პირიქით, — აღნიშნა მან, — „პირმშოხსათჳს“ დაწერილია (თუ თარგმნილია) პეტრიწული სკოლის მიმდევრის, უფრო კი — თვით იოანე პეტრიწის მიერ. პეტრიწისა და იყალთოელის შეხედულებანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არსენი და იოანე ერთმანეთს ებრძოდნენ, პირიქით, ისინი ერთხანს გელათშიც მოღვაწეობდნენ ერთად<sup>4</sup>.

შ. ნუცუბიძის მიერ აღძრული საკითხით და ძეგლით „პირმშოხსათჳს“ მეც დავინტერესდი. 1964 წელს დავბეჭდე ნარკვევი „მიქაელ ფსელოსის ფილოსოფიურ-ეგზეგეტიკური ტრაქტატი «პირმშოხსათჳს»“, რომელშიც გამოვთქვი მოსაზრება, რომ ეს ძეგლი დაწერილია ბერძნულად „დიდისა ფილოსოფოსისა ფსელოსისაგან მოწაფეთათჳსთა მიმართ“, ხოლო ქართულად გადმოღებულია არსენ იყალთოელის მიერ<sup>5</sup>. ამ დასკვნამდე მივედი ქართული ტექსტისა და ხელნაწერებში დატული ზედწარწერილთა შესწავლის საფუძველზე. აღვნიშნე ისიც, რომ შ. ფსელოსის ტრაქტატში განმარტებულია პავლე მოციქულის ეპისტოლეებში ოთხგზის დამოწმებული სიტყვა „პირმშო“, როგორც ქრისტეს აღმნიშვნელი ეპითეტი, და იგი არ არის დაწერილი ვისიმე (ამ შემთხვევაში პეტრიწის) მოძღვრების განსაკიქებლად. ამის

<sup>3</sup> შ. ნუცუბიძე, იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა ახალი ძეგლი XII ს. საქართველოში, თსუ შრომები, XX, 1938, გვ. 151—162; მისივე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 204—209. III. Х и д а ш е л и, Основные мировоззренческие направления в феодальной Грузии, 1962, гв. 286—292.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 292, 298, სქ. № 1.

<sup>5</sup> ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, 1954, გვ. 71—91. ეს წიგნი დაბეჭდილი იყო, როდესაც გამოქვეყნდა ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი ს „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“ (ხელმოწერილია დასაბეჭდად „17. XII. 63 წ.“), რომელშიც ავტორი ტრაქტატს „პირმშოხსათჳს“ მიაწერს შ. ფსელოსს (გვ. 259). ამიტომ ჩემს ნარკვევში აღნიშნული მოსაზრების დამოწმება ვეღარ მოვასწარი.

დასასაბუთებლად გამოვაქვეყნე ტექსტიც (გვ. 80—84) საჭირო კომენტარებითა და ლექსიკონით<sup>6</sup>.

ჩემს ნარკვევს ქართული ფილოსოფიის მკვლევართაგან არავინ არ გამოჰხმაურებია<sup>7</sup>, თუმცა ერთი რამ მტკიცედ უნდა აღინიშნოს: რაკი „პირშოხასათჳს“ ტრაქტატის შინაარსი გაირკვა, რომ იგი უფრო ეგზეგეტიკური თხზულებაა, ვიდრე პოლემიკური, და დადგინდა ავტორის ვინაობაც, ამ ძეგლს ვერავინ ვერ გამოიყენებს ქართული ფილოსოფიური სკოლების იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა აღსანიშნავად. მაგრამ ამით არც იმის თქმა მსურს, რომ XI—XII საუკუნეების საქართველოში არ წარმოებდა აზრთა ჭიდილი, სიტყვისმგებლობა ფილოსოფიურ პრობლემატიკაზე და, პირიქით, ყველაფერი მხოლოდ ქრისტიანულ-სქოლასტიკურ სამოსელში იყო გახვეული და ეკლესიის სარკმელს გარეთ არავინ არ იხედებოდა. ასე რომ ყოფილიყო, ჩვენ XII—XIII საუკუნეებში არ გვექნებოდა მდიდარი საერო-მხატვრული მწერლობა, რომელიც გაქვნილია საერო-პროგრესიული იდეებით და საერთოდ ჰუმანისტური სულისკვეთებით.

ჯერ კიდევ გიორგი მერჩულის თხზულებიდან ვიცით, რომ გრიგოლ ხანძთელი ეუფლებოდა „სიბრძნესა ამის სოფლისა ფილოსოფოსთასა“ და მისგან „კეთილსა სიტყუასა“ იწყნარებდა, „ხოლო ჯერკული განაგდის“. ეკლესიის მსახურთაგან „გარეშე“ ფილოსოფიით გატაცება გაზღა ერთ-ერთი მიზეზი სხვადასხვა ჯურის მწველებლობისა,

<sup>6</sup> ორი წლის შემდეგ „პირშოხასათჳს“ რამდენიმე სიტყვის „შესწორებით“ გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა (გეორგია, VI, 1966, გვ. 260—263), ოღონდ სკოლოში მიუთითა: „პირველად დაბეჭდა ივ. ლოლაშვილმა“ (გვ. 260), გამოკვლევაში კი (გვ. 6—8) ამისი საწინააღმდეგო რამ აღნიშნა: „არც ერთი ამ ძეგლთაგანი (იგულისხმება „პირშოხასათჳს“ და „საუფლო დღესასწაულთა განმარტება“, — ი.ლ.) გამოცემული არ არის“ (გვ. 8), ხოლო სკოლოში დასძინა: ისინი „დავაშაშაღეთ გამოსაცემად და ამ წიგნის ბოლოში ვერთავთ დამატების სახით“ (იქვე). რაც შეეხება თხზულების ავტორისა და მთარგმნელის ვინაობის საკითხს, მათზე მკვლევარი წერს: „ამჟამად ჩვენთვის შემდეგი საკითხია გადასაწყვეტი: მართალია თუ არა, რომ ეს შრომა (ე. ი. პირშოხასათჳს, — ი.ლ.) მიქაელ ფსელისის ნაწარმოებს წარმოადგენს და რომ ის არსენ ივალთოელის მიერ არის გადმოთარგმნილი? ამ საკითხის გარეშე შეზღვევი მოსაზრებებია წამოყენებული“ და ა.შ. მეორე იგი იზოწუმებს კ. კეკელიძისა და შ. ნუტუბიძის მოსაზრებებს, ხოლო ამ სტრიქონების დამწერს საერთოდ არ ასახელებს, თითქოს მას მხოლოდ ტექსტი დაეუბნებინა და ფილოლოგიურ საკითხებს კი არ შეეხებოდეს. „გეორგიას“ მეექვსე წიგნი თავის დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას არ დაყარავდა, თუკი მისი ავტორი ან. ფსელისის ტრაქტატის პირშოხასათჳს“ შესწავლის ისტორიის სრულად წარმოადგენდა.

<sup>7</sup> მხოლოდ გაკრით შეეხო მას აბ. ცანავა რეცენზიაში „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“ (ლიტ. საქართველო, 1964, № 27).

რომელთაც მარალმადიდებლური სარწმუნოების დამცველნი სასტიკად გამოზღნენ. მარტო ის ფაქტი, რომ არსენ იყალთოელს უთარგმნია თეოლორე აბუყურას (IX ს.) ნარკვევი „გულსიკმის-ყოფაჲ საღმრთოჲსა და გარეშისა ფილოსოფოსობისა სიტყუათაჲ“, ნათლად მოწმობს, რომ XI—XII საუკუნეების ქართველი მწიგნობარნი ინტერესით ეცნობოდნენ ეკლესიისათვის მიუღებელ ფილოსოფიასაც და საჭირო ვამხდარა ქართულ ენაზე შექმნილიყო ისეთი სახელმძღვანელო შრომა, რომელაც მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნოდა საღმრთო ფილოსოფიაზე და ამავე დროს მისცემდა შესაძლებლობას, „გარეშე“ ფილოსოფიაც გამოეყენებინა საღმრთო საქმისათვის სასარგებლოდ.

როგორც ცნობილია, პირველ ხანებში, როცა ქრისტიანობა გზას იკაფავდა ბატონობის მოსაპოვებლად, მკაცრად იბრძოდა საერო (წარმართული) ფილოსოფიის წინააღმდეგ, ანადგურებდა აკრძალულ წიგნებს, დაწერილთ „ამის სოფლისა ფილოსოფოსთაგან“, მაგრამ მერსე ეკლესიის მამებმა კარიდან გაძევებული წარმართი ფილოსოფოსები საკმლიდან შემოაპარეს და მათი მოძღვრება დაუდეს საფუძვლად ქრისტიანულ თეოლოგიას. მათ პირველ რიგში არჩევანი პლატონსა და არისტოტელეზე შეაჩერეს. ეს ორი ფილოსოფოსი „გააქრისტიანეს“ და ეკლესიის სამსახურში ჩააყენეს. იყო დრო, რომ მათ მხატვრები და მეჩუქურთმეები ეკლესიის კარიბჭეზეც კი ხატავდნენ (თუ ჰკვებოდნენ).

ეჭვს გარეშეა, პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრება ისწავლებოდა კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში, სადაც უმაღლესი განათლება მიუღია არისტოტელეს თხზულებათა ერთ-ერთ კომენტატორს — პერიპატოელ თემისტოისს (დაიბ. 317 წ.), ხოლო მასზე უწინ — ევგენიუსს (თემისტოისის მამას)<sup>8</sup>. ლიბანიოსის ცნობით, დიდად განსწავლული კაცი ყოფილა IV საუკუნის ქართველი ფილოსოფოსი ბაკური<sup>9</sup>, რომელიც საზღვარგარეთ ისეთ მოაზროვნეთა წრეში ტრიალებდა და ისე იყო არაქართველი კოლეგებისაგან პატივცემული, რომ მას უნდა სცოდნოდა ძველბერძნული ფილოსოფია, კერძოდ კი პლატონისა და არისტოტელეს შრომები<sup>10</sup>. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ჭირს თქმა, თუ პირველად რომელი ქართველი ავტორი იმოწმებს ხსენებულ ფილოსოფოსთ. ერთი რამ კი ცხადია, რომ ამ ფილოსოფოსთა სახელი

<sup>8</sup> გეორგიკა, I, 1961, გვ. 45—58. შდრ.: სსმ მოამბე, X-B, გვ. 337—340.

<sup>9</sup> კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს მოსაზრებით — ბაქარ: შირიანის ძე (ეტრულები, III, 1955, გვ. 12—15).

<sup>10</sup> გეორგიკა, I, 1961, გვ. 59—68. შ. ნ უ კ უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, 1956, გვ. 92—104; Ш. В. Х и д а ш е л и н, Основные мировоззренческие направления в феодальной Грузии (IV—XIII вв.), 1962, გვ. 51—72.

და მოძღვრება საქართველოში დიდად გახდა ცნობილი ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელისა და კლასიკური ხანის ზოგიერთი უცნობი მწიგნობრის თარგმანებითა და ორიგინალური თხზულებებით. შემდეგში მათ პოპულარიზაციას ხელი შეუწყვეს საერო-მხატვრული პოეზიის მნათობებმა — რუსთაველმა და მებოტბეებმა, აგრეთვე დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსებმა.

XI საუკუნის მეორე ნახევარში მანჯანას აკადემიის იპატთა შორის ცხარე პოლემიკა წარმოებდა იმის შესახებ, თუ წარმართ ფილოსოფოსთაგან რომელი ეცნოთ ავტორიტეტად — პლატონი თუ არისტოტელე. ან ქრისტიანული დოგმების დასაბამებულად მათგან რა მოსაზრებებს დაყრდნობოდნენ. ამ მხრივ მეტად საყურადღებო ფაქტს იუწყება ნ. სკაბალანოვიჩი ნარკვევში „Византийская наука и школы в XI веке“<sup>11</sup>. იგი ჯერ იძლევა მ. ფსელოსის მოსაზრებათა კრიტიკულ შეფასებას და შემდეგ წერს:

„XI საუკუნეში სწავლულთა სამყარო გაყოფილი იყო ორ ბანაკად: არისტოტელეს მიმდევრებად და პლატონის მიმდევრებად. ქრისტიანულ აღმოსავლეთში არისტოტელემ კარგა ხნით ადრე გადასწონა პლატონს და მის მიმდევართა ბანაკმა რიცხობრივად დიდად გადააჭარბა მოწინააღმდეგეთა ბანაკს. არისტოტელეს ავტორიტეტი მისი ლოგიკის სისტემური გამოყენებით ნებართული იყო იოანე დამასკელის მართლმადიდებლურ დოგმატიკაში“... ამავე საუკუნეში კონსტანტინეპოლში „არისტოტელეს ჰყავდა ენერჯიული მექომაგე იოანე ქსიფილინოსის სახით. გალაშქრება მის წინააღმდეგ და პლატონის განდიდება უკვე ისეთ საძრახავ საქმედ ითვლებოდა, რომელიც არ ეთანხმებოდა მართლმადიდებლურ მოძღვრებას. სკოლაში ჩვეულებრივ ფილოსოფიურ მიმდინარეობად ისწავლებოდა არისტოტელიზმი, მაგრამ იქაც დრო და დრო გზას იკაფავდა მოძალება, მიეცათ უპირატესობა პლატონისთვის“ (№ 3—4, გვ. 349).

მანჯანას აკადემიის მეორე მოძღვარი მ. ფსელოსი — ქსიფილინოსის საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგა. ნ. სკაბალანოვიჩის თქმითვე, „ის აღმერთებდა პლატონს, როგორც მსოფლიოს უდიდეს მოაზროვნესა და ქრისტიანული დოგმატების წინასწარმავუწყებელს, რომელთაგან მოძღვრებას სულის უკვდავებაზე პლატონურ დოგმატად სთვლიდა. პლატონსა და გრიგოლ ღმრთისმეტყველს ერთ სიმაღლეზე აყენებდა. არისტოტელეს კი უყურებდა როგორც ბუნდოვან მოაზროვნეს, უფანტაზიო ფილოსოფოსს, რომელიც ტრიალებდა ისეთ დაბალ

<sup>11</sup> Христианское чтение, 1884, № 3—4, გვ. 344—369; № 5—6, გვ. 730—770.

(საზროვნო) სფეროში, რაც ამბობებული გონებისათვის გაუგებარია და არ იწვევს (მკითხველში) სულიერ აღმაფრენას“ (იქვე, გვ. 358). როცა კონსტანტინე მონომაქმა მ. ფსელოსს სთხოვა არისტოტელეს „ორგანონის“ განმარტება, მან ეს შეუძლებლად სცნო და კეისარს უარი შეუთვალა. მაშინ ეს საქმე კონსტანტინემ დააეალა ქსიფილინოსს; უკანასკნელმა დაწერა კიდევ სპეციალური არისტოტელური ხასიათის ლოგიკური შრომა, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია. შემდეგში მ. ფსელოსმა თავისი დამოკიდებულება არისტოტელეს მიმართ შეცვალა: მან იმპერატორისადმი მიწერილ წერილში აღიარა, რომ იგი პლატონის მიმდევარია, მაგრამ დიდად აფასებს ასევე არისტოტელესა და მის მოძღვრებას ლოგიკაზე. ბოლოს მან დაწერა არისტოტელეს „კატეგორიებისა“ და პორფირის „შესავლის“ კომენტარებიც კი, რომელიც შუა საუკუნეების ფორმალისტურ-გრამატიკული ლოგიკის ერთ-ერთ მთავარ სახელმძღვანელოდ იქცა<sup>12</sup>. მ. ფსელოსის რაციონალურმა ტენდენციამ, რომელიც წარმოიშვა არისტოტელური ლოგიკის პრინციპებზე (და არა პლატონის რწმენის თეორიის გავლენით), შემდგომი და უფრო რადიკალური განვითარება პოვა მისი მოწაფის, იტანე იტალის შემოქმედებაში. როგორც აღვნიშნეთ, მან საუცხოოდ აითვისა არა მარტო პლატონისა და გამოჩენილ ნეოპლატონიკოსთა მოძღვრება, არამედ თავისი მოღვაწეობის უდიდესი დრო არისტოტელეს „ორგანონთა“ კომენტარებს შეაღია. ეს ტემპერამენტიანი ფილოსოფოსი უფრო პრინციპული; და თავდადებული აღმოჩნდა ბიზანტიური რენესანსული იდეების დასაცავად, ვიდრე მისი უფროსი თანამედროვე მ. ფსელოსი, რომელიც ცნობილია როგორც გამოჩენილი ჩინოვნიკი, მოქნილი ინტრიგანი, იდეურად მერყევი, მლიქვნელი, მაგრამ მრავალი ფილოსოფიურ-თეოლოგიური და ისტორიული შრომის ავტორი<sup>13</sup>.

ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი XI—XII საუკუნეების ქართველი ფილოსოფოსებისათვის — იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელისათვის, რომელნიც XI საუკუნის 70—80-იან წლებში ბიზანტიაში იმყოფებოდნენ და სწავლობდნენ მანვანას აკადემიაში სწორედ იმ დროს, როდესაც იქ მოღვაწეობდნენ იოანე ქსიფილინოსი, მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალი. არსენი თუ ქსიფილინოსის მოწაფე იყო, პეტრიწი ითვლებოდა იტალის მოწაფედ და უმცროს მეგობრად. მათი მოღვაწეო-

<sup>12</sup> О. В. Трахтенберг, Очерки по истории западно-европейской средневековой философии, М., 1957, гв. 88.

<sup>13</sup> История Византии, II, 1967, гв. 361 — 363. ამ საკითხზე იხ. აგრეთვე: П. Безобразов, Византийский писатель и государственный деятель Михаил Пселл, ч. I, 1890; იოანე პეტრიწის შრომები, I (მ. გ. გ. ი. ბ. რ. ძ. ს. ნ. რ. კვ. ვ. გვ. XXXIV—XL).

ბის შედეგად საქართველოშიც წარმოიშვა არისტოტელური და პლატონური მიმდინარეობანი. ამის შესახებ კ. კეკელიძე წერს:

„ის ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საშუალო საუკუნეებში არისტოტელიზმსა და პლატონიზმს შორის და, ამასთან დაკავშირებით, სურვილი მათი მორიგებისა ან «სიმფონიისა» ნეოპლატონიზმის ნიადაგზე, მკვეთრად იჩენს თავს ჩვენს ფილოსოფიურ მწერლობაში. ჩვენშიც ჩამოყალიბებულა არისტოტელიზმი და პლატონიზმი, რომელთა მორიგებას ცდილობს ნეოპლატონიზმი, თუმცა უკანასკნელი ვერ აკმაყოფილებს საფასურით არისტოტელიკებს, რამდენადაც ამ «სიმფონიაში» ადგილი აქვს პლატონიზმის ელემენტებს“ (გვ. 295). „არისტოტელიზმის აპოლოგეტად საქართველოში გვევლინება არსენ იყალთოელი“ (გვ. 297), ხოლო იოანე პეტრიწი „დგება ნეოპლატონიზმის ნიადაგზე და არისტოტელესა და პლატონის მორიგებას ცდილობს ჯერ ნემესიოს ემესელის“ თხზულების თარგმანით, შემდეგ პროკლეს „კავშირთა“ გადმოქართულებითა და მისი „კომენტარებით“ (გვ. 298—299).

შ. ნუცუბიძემ არ გაიზიარა ეს მოსაზრება: „არსენისა და პეტრიწის ერთიმეორესთან დასაახლოებლად ხმარებული საბუთები (რომლებიც კ. კეკელიძემ მოიშველია პეტრიწის მსოფლმხედველობისა და მისი ადგილის გასარკვევად. — ი. ლ.) არაა სეროზული და მეცნიერული.... არსენ იყალთოელის არისტოტელიზმზე ლაპარაკი გაუგებრობაა. მას არად არაფერი ამის დამამტკიცებელი არ დაუწერია, თუ არა საღმრთო წერილზე ან წმიდა მამათა «უცთომელ კვშმარტებაზე» დამყარებულ. როგორც ეს დოგმატიკოსსა და რეაქციონერს შეჰფეროდა“<sup>14</sup> და ა. შ.

სეთი ტენდენციური შეფასება იყალთოელის საქმიანობისა და საერთოდ პეტრიწისა და არსენის (დავით აღმაშენებლის უახლოეს თანამშრომელთა) თითქოსდა „მტრული“ დაპირისპირება არც ერთი საისტორიო და არც ერთი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ძეგლით არ დასტურდება. კ. კეკელიძის მოსაზრებას კი სერიოზული და მეცნიერული აყრდენი მოეპოვება, რადგანაც არსენი და იოანე ერთ ფილოსოფიურ სკოლაში აღიზარდნენ, ერთად მოღვაწეობდნენ შავ-მთაზე ეფრემ მცირესთან და საქართველოშიც ერთ დიდ საქმეს — ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას ემსახურებოდნენ. რუის-ურბნისის რეზიდენციის განჩინების ავტორი, რომელიც ექვს გარეშე არსენ იყალთოელს, შეუძლებელია რეაქციონერად ვცნოთ, მაგრამ მისი თვალსაზრის რიგ შემთხვევაში პეტრიწულია, ხშირადაც პეტრიწისგან განსხვავებული. არსენი, მოწაფე იოანე ქსიფილინოსისა, მოძღვ-

<sup>14</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, გვ. 152—153.

რის მსგავსად არისტოტელეანიზმის წარმომადგენელია. ამას ადასტურებს მისი თარგმანები — იოანე დამასკელის „ცოდნის წყარო“, ანასტასი სინელის „წინამძღვარი“, ანტი-პლატონური ტრაქტატი „განქიქება ელინებისა სულთა პირველ-ყოფისაჲ“, „დიდი სჯულის კანონი“ და სხვა. იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში კი პლატონ-არისტოტელეს მოძღვრებათა „სიმფონიის“ ცდაა მოცემული. ამით აიხსნება ის, რომ იოანე ფილოსოფოსს უთარგმნია ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, ამონიოს ერმისის „მოსაჯსენებელი ხუთთა ჳმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაჯსენებელი ათთა ჳმათადმი არისტოტელისათა“, რომლებშიც (განსაკუთრებით პირველში) პლატონისა და არისტოტელეს მოძღვრებანია ერთმანეთთან შეხამებული. პეტრიწი ამ ორ ფილოსოფოსს დედნებში იცნობს, მაგრამ ის არ დგება მათს თვალსაზრისზე. მათი მოძღვრებით მას სურს „საღმრთო განცხადება“ დაასაბუთოს პლატონური ფილოსოფიით, ხოლო „საღმრთო ჳმზმარიტებას“ მოუძებნოს ფილოსოფიურ-ლოგიკური საფუძველი. ამიტომაც პეტრიწი ზოგჯერ პლატონის მხარეს უფრო იხრება, ვიდრე არისტოტელესკენ, მაგრამ ეს გადახრა არ არის ეკლესიისათვის მიუღებელი. ამ შემთხვევაშიც კ. კეკელიძე მისაღებ მოსაზრებას გამოსთქვამს (გვ. 300—301):

„არავითარ გადახრას ქრისტიანული დოგმატებიდან, არავითარ გადახრას წარმართობისაკენ, იქნება ის ბერძნული თუ ქართული“, პეტრიწის ნაწერებში არა აქვს ადგილი. წინააღმდეგ შემთხვევაში „გუგუბარი იქნებოდა და მოულოდნელიც ასეთი რამ იმ ადამიანისაგან. რომელიც ქართულად თარგმნის ბიბლიურ წიგნებს მათი ტექსტის ზუსტად დადგენის მიზნით, თარგმნის წმიდათა «ცხოვრებებს», თხზავს ეფიციალური საღვთისმსახურო წიგნებისათვის ლიტურგიკულ ჳმზმებს, რომლებიც მალაფარდოვან სიტყვებში თითქმის ვულგარულად თეოლოგიის დებულებებს გამოთქვამენ, ღარგმნის და ლექსავს მსჯეკური ხასიათის შრომას «კლემაქსს», რომელშიც მოცემულია 30 სარისხი ადამიანის სულის ღვთაებისადმი მიახლოებისა, მსგავსად რისტეს ცხოვრების 30 წლისა“, და ა. შ.

კ. კეკელიძე შემთხვევით არ ასახელებს აქ იოანე სინელს „კლემაქსს“. როგორც აღვნიშნეთ, პეტრიწმა ეს თხზულება ხელახლა თარგმნა ბერძნულიდან ფოტი პატრიარქის (IX ს.), ძველბერძნული ფილოსოფიის დიდი თაყვანისმცემლის<sup>15</sup>, კომენტარებითურთ. ამავე ძველის ეფთვიმისაეული თარგმანის საფუძველზე მანვე შექაზა იამბიკური ლექსით ოცდაათ თაოანად ფილოსოფიურ-დიდაქტიკური პოემა

<sup>15</sup> კ. კეკელიძე, თარგმანება ეკლესიასტისა..., 1920, XXXII—XLIV.



„სათნობათა კიბე“, რომელიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს პეტრაწია მსოფლმხედველობის შესასწავლად. მაშ, განვიხილოთ ეს ძველა პეტრაწის სხვა ფილოსოფიურ შრომებთან დაპირისპირებით.

## 2. უზენაესი ერთი, ცა-სახლი ბონებითი და მისი აჩრდნილი

პეტრაწის ფილოსოფიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოძღვრებას უზენაეს ერთზე, ანუ ღმერთსა და კეთილობაზე. ეს ერთი ყველაფრის შემოქმედია. „სათნობათა კიბეში“ იწოდება იგი, როგორც „თვთ-მყოფი მარადისი“ (42,2), „დაფარული გონება“ (106,2), ან მარტივად „გონება“ (105,1), „ულამო ნათელი“ (86,4), „დაუესები ნათელი“ (164,4), „საუკუნო მზე“ (12,5), „მარტივი სამებითი“ (155,4), „სამებითი ერთი, ცნობილი სამებადვე“ (300,2). მას, როგორც უცნაურსა და კეთილობას, პატივისცემის წადილით ადამიანებმა უწოდესო „მამა“ (= მამა-ღმერთი), რადგანაც იგი ყველაფრის დასაბამია, ნივთიერი (= მატერიალური, ხილული) და უხილავი ქვეყნის შემოქმედი, არსთა საწყისი<sup>18</sup>. ამ ერთიდან ჩნდება სიმრავლე და, რაკი იგი არის კეთილობა, არ ბადებს ბოროტებას. ერთი და კეთილობა წარმოშობს მხოლოდ კეთილს, ბოროტება კი მოსდევს სიმრავლეს: იგი „მრავალთაგან არს, არ ოდენ ერთსა ჰკიდავს“ (181, 3—4). როდესაც სიმრავლე კვლავ ერთს უბრუნდება, არსება ბოროტებისა იცვლება კეთილით. ასეთია ტრიალული დიალექტიკა: არსნი „ეგრეთ ერთისაჲთ მოვლენ და მუნვე მივლენ“ (249,5).

ადამიანიც უზენაესი ერთის შემოქმედია. იგი შექმნა ღმერთმა ოთხი ელემენტის (წყლის, მიწის, ჰაერისა და ცეცხლის) შეზავებით და სულის შთაბერვით მიანიჭა მას ცხოველობა და მოძრაობის უნარი. სიკვდილი არღვევს ამ ოთხი კავშირის საკრველსა და სხეულიდან გამოსული სული უბრუნდება ღვთაებას, ე. ი. „მუნვე მიდგება, სადაჲთ პირველ მოვიდა“ (107,5). ამრიგად, სამყაროს იერარქიის მწვერვალს წარმოადგენს „მრავალ-საქადაგოჲ ერთი“, რომელიც ყველაფერს კეთილისაჲს წარმართავს. აი, თვით პეტრაწის სიტყვებით (105):

გონებისაგან სიტყუა იშობების და  
ხოლო ამისი დასაბამი კეთილ არს,  
ენაჲთგან სუათა ცხოველებრიეთა სულთა,  
ძალთა ყოველთა ზედა-მდგომ არს და უძღვის,  
კეთილისადმი მართებს და განაწესებს.

<sup>18</sup> იოანე პეტრაწის შრომები, II, გვ. 8.

აქ მეტაფორული ცნებებით გამოთქმულია ქრისტიანულ თეოლოგიაში საყოველთაოდ მიღებული მოსაზრება, რომ მამა-ღმერთისაგან იშვა ძე-ღმერთი, რომლის დასაბამი (ე. ი. მამა-ღმერთი) არის კეთილობა, ვინაიდან თვით ეს დასაბამი (ანუ გონება) სხვა ცოცხალ სულებზე, ყველა ანგელოზზე მაღლამდგომია, მათ წინ უძღვის, „კეთილისადმი მართებს და განაწესებს“.

შემდეგ იგი განაგრძობს (106):

წინამდებარე ეს განიგონე შენ  
ღუმლისა გზად, და ფარულად გონებად<sup>17</sup>,  
ხოლო ენისა მტყველებად და ცხადად  
წარმომჩენელად გულისათა, ვინაათგან  
სჯობს საქმე უჭმო სიტყუასა უსაქმოსა.

პეტრიწის ეს ქრისტიანულ-თეოლოგიური შეხედულება შეზავებულია არეოპაგიტული თეორიით კეთილისა და ბოროტის შესახებ<sup>18</sup>, რომელმაც შესანიშნავი მხატვრული ასახვა პოვა „ვეფხისტყაოსანში“<sup>19</sup>, და ნეოპლატონური დებულებებით, რომ ხილული სამყაროა ღვთაებრივი ემანაცია (მზიურ სხივთა გადმოფრქვევის მსგავსი მოვლენა), იდეათა ქვეყნის აჩრდილი, პეტრიწის ენით — „მზუელავი არსისა“. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ის, რომ იოანესთვის ბოროტება „მრავალთაგან არს, არ ოდენ ერთსა ჰკიდავს“, ხოლო ეს ერთი (=ღმერთი) არის კეთილობა (=სახიერება), ყველაფრის მიზეზი, ყველაფრის დასაბამი და წარმომშობი. მასეე უბრუნდებიან თავიანთი არსებობის უარყოფელნი წარმონაშობნი, რომლებიც „ეგ-

<sup>17</sup> ამ შემთხვევაში შეუძლებელია არ გავიხსენოთ რუსთაველის ცნობილი ტაეპები: „გაგიცხადა დამალული გონება მამან და ფარულ მამან“ (1295,4), ან: „ბოლოდ ასრე გააცხადნა გონება მამან და ფარულნი“ (1453, 2). ორივეგან „გონება“ და „დაფარული გონება“ არის პეტრიწის „მრავალ-საქადაგოჲ ერთი“ ანუ ღმერთი, „უცნაური და უიქმელი, უფალი უფლებათა“. პოემის გმირები ეძებდნენ ნესტანს და აი ღმერთმა აპოენინა მათ ქაჭეთის ციხეში გამოშვებულად. ამით მან გააცხადა ის დიდი საიდუმლო, რომლის გამჟღავნებით „ბოროტსა სძლია კეთილმან“. ტერმინი „დაფარული გონება“ ნასესხებია ქრისტიანული ფილოსოფიური შრომებიდან და შეიძლება პოეტი ამ შემთხვევაში „სათნობათა კიბითაც“ იყოს შთაგონებული (შდრ.: ი. ლოლაშვილი, „რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის“, სიღნაღის რაიონული გაზ. „კოლმეურნე“, 1966, № 92).

<sup>18</sup> დიონისე არეოპაგელი, შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით, 1961, გვ. 42—57.

<sup>19</sup> Ш. Н у ц у н и д з е, Творчество Руставели, 1958, გვ. 94—95; ი. ლოლაშვილი, რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები (საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, 1966, გვ. 82—85).

რეთ ერთისადაც მოვლენ და მუნვე მივლენ“. ამის შესახებ იოანე პროკლეს „კავშირთა“ კომენტარების პირველსა და მეორემეტე თავებში წერს:

„ვინაფთვან აღმოჩნდა ერთი უზადოდ (= უნაკლოდ, უმწიკვლოდ) და წმიდად და თვთ-ერთად (= აბსოლუტურ ერთად) და ზესთ-მდებარედ (= ყველა უზენაესთა მალლა მდგომად)“, ამიტომ „თვთ მას ვიტყვ და ს ა ბ ა მ ო ბ ა ს ა ც ა“, რადგანაც ყოველ დასაბამის მქონეს („დასაბამიერთა“) მოეპოვება („თან მოაქუს“) თავისი დასაბამი, „ვითარცა ხუროჲ—ნახუროებთა და ბუნებაჲ—ნახუნებებთა“, ანუ როგორც ღურგალი — საღურგლო საქმეს და ბუნებაჲ—ბუნების შედეგს<sup>20</sup>. რაკი ეს ერთი (ანუ ღმერთი) არის კეთილობა (ანუ სახიერება), „ძირი და მიზეზი მყოფთა წარმოობისაჲ“, ამიტომ, როგორც პროკლე იტყვის: „ყოველთა მყოფთა დასაბამი და მიზეზი უპირატესი კეთილობაჲ არს“... ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ არსთა წარმოშობის („მყოფთა წარმოობის“) ძირად და მიზეზად იქნებოდა კეთილობაჲ უმჯობესი და უმაღლესი რამ და მისგან, როგორც პირველი მიზეზისგან, წარმოედინებოდა („წარმოეწყაროების“) მყოფი, რომელიც კვლავ მისკენ უნდა ისწრაფოდეს და იქცეოდეს, „ვითარცა თვისისა მანყარობელისა თუალისადმი“ (= როგორც მისი წარმოშობი წყაროს თვალისადმი)... ხოლო არსთა ვითარებისათვის ესეც არის საუწყო, რომ „კეთილობასა ეტრფის მყოფი ყოველი და თვისთა ტკივილთა საწყურად ერთსა და პირველსა კეთილობასა უკუ ედინების და დამგდე (= დამტოვებელი) თვისთა წადილთა და აობათაჲცა (= არსებობისაჲცა)“, როგორც კეთილობისადმი მოსწრაფე, „უკუენ ერწყუმის“, ე. ი. კვლავ ღვთაებას უერთდება (II, გვ. 43—44).

პროკლეს მოძღვრება ერთის უპირმშოესობაზე, რომლის ვრცელი განმარტება მოცემულია „კავშირთა“ კომენტარებში, საფუძვლად უდევს „სათნობათა კიბის“ თეოლოგიურ ნაწილს, მაგრამ თუ პროკლეს „ერთი“ ყველაფრის დასაბამია, თვით კი—დაუსაბამო, თავისთავადი ერთი („თვთ-ერთი“), პეტრიწის „ერთი“ გააზრებულია ქრისტიანული თვალთხედით: იგი ხან მამა-ღმერთია (დაუსაბამო და უშობელი, მაგრამ ყველაფრის საწყისი), ხან—ძე-ღმერთი, შობილი მამისაგან, ხანაც—ზოგადად ღმერთი. ამიტომ „სათნობათა კიბის“ ცნებები „ერთი“ და „ერთებრივი“ დიფერენციაციას საჭიროებენ: მაგ., ერთგან პეტრიწი წერს: სიკვდილი შეუცნობელი ქურდია,

რომელი სულსა ს'ეულთაგან წარიყვანს

და, სადა ერთი დამსკუთლულ არს, მუნ მიჰყავს (28, 3—5)

<sup>20</sup> იოანე პეტრიწის შრომები, II, გ. 16.

ცხადია, ეს „ერთი დამსჯუალული“ არის იესო ქრისტე, რომელიც ებრაელებმა ლურსმებით გააყრეს (დამსჯუალეს) ჯვარზე.

მეორეგან იოანე განმარტავს, თუ რა არის მორჩილება, ხოლო მორჩილ მონაზონზე შენიშნავს (44, 3—5):

იგი თვის შორის ცხოვრობს აროდეს,  
არამედ მუნ არს ქრისტე და გონებითა  
და ერთსა პხედავს, და უვსოსა ნათელსა.

აქაც „ერთი... დაუესო (=ჩაუქრობელი) ნათელი“ არის ქრისტე ღმერთი, „ღმრთისა სიტყუაჲ“ (30,2), „ქუეყანად ზეცით მოსრული“ (31,3) და კაცობრივი „ბუნებისა მიმღები“ (200, 3), განკაცებული ღმერთი<sup>21</sup>.

პეტრიწი ქრისტეს იხსენიებს მეტაფორული ცნებითაც. როგორც ცნობილია, ნეოპლატონიკოსებმა მზე ღვთაების ხატად აღიარეს და ღვთაებრივი ემანაცია შეადარეს მზიურ სხივთა გადმოფრქვევას. თეოლოგიაში ეს მოსაზრება განავითარა დიონისე არეოპაგელმა: „რამეთუ სხიერებისაგან (=ღვთაებისაგან) არს ნათელი და სახე არს სახიერებისაჲ. ამისთვის ნათელ-სახელობით იგალობების სახიერებაჲ (=ღვთაება), რომელმან მზისა შორის, ვითარცა სახისა შორის, აჩუენა პირმშოჲ, ხატით ვსო“ (გვ. 32). შუა საუკუნეების ქრისტიანულმა მწერლობამ მზე ძე-ღმერთის ხატად დააჯანონა და გადააქცია იგი ქრისტეს აღმნიშვნელ მეტაფორულ ცნებად, რომელიც ფართოდ გავრცელდა ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, განსაკუთრებით კი საშობაო და სააღდგომო ღვთაებად აღიარებისათვის შეთხზულ ჰიმნებში<sup>22</sup>. ეს ფაქტი კარგად იცოდა იოანე ფილოსოფოსმა და ამიტომაც „კავშირთა“ კომენტარების ბოლოსიტყვაში (II, გვ. 206) ქრისტეს ნაცვლად მზე დაასახელა: „მზემან მამისა მიერ წარმოარსებულ მან თვთ საზესთათა მათცა ზესთა აღჰქადნა სულნი ჩუენ კაცთანი“. ეს ნიშნავს: მამა-ღმერთის მიერ წარმოშობილმა მზემ (=ძე-ღმერთმა) ზეციერ არსებებზე მაღლა აიყვანა „სულნი ჩუენ კაცთანი“-ო. იგი ამ მეტაფორას ხშირად ხმარობს „სათ-

<sup>21</sup> ქრისტიან თეოლოგთა ენით, ქრისტეში განსახიერდა ორი ბუნება -- ღვთაებრივი და კაცობრივი. ამიტომ ქართულ მწერლობაში ხშირად იხმარება გამოთქმები: ღმერთი-კაცობრივი ბუნებისა (არსების) მიმღები (მოზიარე) და, პირიქით, აღმანი-ღვთაებრივი ბუნების მოზიარე, ან „ბუნება-ზიარი“, როგორც რუსთაველი წერს ავთანდილზე (1109, 1), ანდა: „მკნენელსა ცოველთასა ჰნებაუს... ზეცად აღმალეხებად ბუნებაჲ კაცთაჲ, რათა ზიარ-ყოს ბუნებასა ღმრთეებისასა“ (იოანე მტბეწარი). ამ საკითხზე იხ. მამია რაფაელის, „ვეფხისტყაოსნის ზოგი ადგილის გაგებისათვის“ (შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 1966, გვ. 117—121).

<sup>22</sup> ი. ლოლაშვილი, რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები, საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, 1966, გვ. 75—78.

ნოებათა კობეშიც“. ქართველი ფილოსოფოსი იყენებს პიმნოგრაფიაში გავრცელებულ ტრაფარეტულ შესიტყვებებს (მაგ., „მზე იგი სიმართლისა“, „მართალთა მზე“ და მისთანებს). ვფიქრობ, საილუსტრაციოდ ერთი ნიმუშიც კმარა:

იოანე სინელის „კლემექსის“ ეფთვიმე მთაწმიდლისეულ თარგმანში, რომელიც გაულექსავს პეტრიწს, აღწერილია გათენებისა და მზის ამოსვლის ბუნებრივი სურათი: „პირველად ცისკარი აღელის, და მერმე ნათელი მოეფინის და მაშინდა გამობრწყინდეს მზე“ (გვ. 199). ეს ფაქტი სულ სხვაგვარადაა გააზრებული პეტრიწის თხზულებაში (149):

ეთარ ცისკარი ნათლისგან წინა ვლს,  
ეგრეთ მარტვა ჩანს სიწმიდისა პირველად.  
მერმე აღმოვალს მზე იგი სიმართლისა,  
და განანათლებს გონებასა წმიდასა  
და ბნელსა ნისლსა მოხუეულსა წარსდენის.

აქ „მზე იგი სიმართლისა“ მეტაფორული ცნებაა და ქრისტე ღმერთსა გულისხმობს. ამასთან, ეს ტაეპები შეთხზულია ძველქართული საგალობლების გველენით. ასეთივე ფრაზებით უგალობენ ქართველი პიმნოგრაფები ახლად შობილსა. თუ მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეს:

1. იოანე მინჩხი — „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანი“:

„საღმრთოა საფლავი ცხორება გუქქმნა ჩუენ, მორწმუნეთა, რომლისაგანცა აღმობრწყინდა მზეა სიმართლისა და განანათლნა კიდენი ქუეყანისანი აღდგომისა მისისა მადლითა“<sup>23</sup>.

2. იოანე მტბევაძე — „დასდებელნი ქრისტეს შობის წინა-დღისანი“:

„აღივსო საღმრთოთა მით ნათლითა ბრწყინვალითა ქუაბი იგი ბეთლემისა, რამეთუ მზეა სიმართლისა და მას შინა გამობრწყინდა“ (იქვე, გვ. 70).

„ღრუბლისაგან სულ-მცირისა ვიხილეთ ჩუენ ნათელი, მსხდომაოეთა სიკუდილისა აჩრდილთა, მზეა იგი სიმართლისა, ქრისტეა, მიმყვანებელი ნათელსა უკუდავებისასა“ (იქვე).

3. ანონიმი ქართველი პიმნოგრაფი — „დასდებელნი ნათლის-ღებოსანი“:

„მზეა სიმართლისა, ხატი და ბრწყინვალეობაა უხილავისა მამისა და დღეს მოვიდა ნათლის-ღებად იოვანესა“ (იქვე, გვ. 213).

<sup>23</sup> 3. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, 1913, გვ. 20.

1. გრიგოლ ხანძთელი (?) — „გალობანი აღესებისანი“:

შთაქდა საფლავად სოფლისა შემოქმედი,  
მღვმესა ბნელსა დაიდვა თუთ-მნათობი,  
შეუხებელი ნათელი უსხეულოა.

ღღუს აღმობრწყინდა მიერ მზე და სი მართლისა და  
ღა განანათლნა კიდენი სოფლისანი<sup>24</sup>.

დასასრულ, ორაოდე სიტყვა ერთ მხატვრულ სახეზეც — „ნათელ-  
ა მას უღამოსა“, რომელიც საყურადღებოა არა მარტო პეტრიწუ-  
ლი, არამედ რუსთაველური პოეტური ცნებების გასარკვევადაც. ზოგი  
მკვლევარი ამ შესიტყვებას ქართული წარმართული ფილოსოფიის ნა-  
ვალევედ სთვლის. ეს მოსაზრება შორსაა კემმარტებისაგან. უღამო  
ნათელი“ ჰიმნოგრაფიული მწერლობისათვის ცნობილი ფორმულაა, რო-  
მელიც ნიშნავს აბსოლუტურ ნათელს, და იხმარება ქრისტე ღმერთის  
ეპითეტად, უკეთ, ქრისტეს აღმნიშვნელ მეტაფორად. მისი სინონიმე-  
ბია „ნათელი დაუღამებელი“, „ნათელი მიუაჩრდილებელი“, „ნა-  
თელი დაუშრტელი“, „დაუესო ნათელი“ და „უმრუმო ნათელი“,  
რომელთაც უხვად ვხვდებით კლასიკური ხანის სასულიერო (განსაკუ-  
თრებით, ჰიმნოგრაფიულ) და საერო-მხატვრულ მწერლობაში. პეტ-  
რიწი ამ ცნებას იყენებს „სათნოებათა კიბის“ 86-ე სტროფში, სადაც  
გამოთქმულია მოსაზრება, თუ რა გზით შეიძლება აღმოიფხვრას შფო-  
თი და მონაზონი როგორ უნდა ამალდდეს სააქაოდან ღვთაებამდე. იგი  
წერს:

ნათლითა ვითარ ბნელი უჩინო იქმნების,  
ეგრეთვე რისხვა, გულის-წყრომა განქარდეს,  
მონაზონმან რაჲ სიმდაბლით ხედვად იწყოს:  
ერთებრივსა მას უღამოსა ნათელსა,  
და ესე სცვალის აჩრდილი საუკუნოდ.

ცხადია, აქ „ერთებრივი უღამო ნათელი“ არის მხოლოდ „ღვთაებ-  
რივი აბსოლუტური ნათელი“, რომელიც ქრისტიანულ ღმერთს და,  
კერძოდ, ძე-ღმერთს გულისხმობს. სტროფის შინაარსი ასეთია: რღ-  
გორც ნათელი გააუჩინარებს ბნელს, ასევე რისხვა და გულისწყრომა  
განქარდება, თუკი მონაზონი გამოიჩენს სიმდაბლეს და მთელი არსებით

<sup>24</sup> პ. ინგოროყვა, გორგი მერჩულე, 1954, გვ. 076. მზის დიდებულად აღ-  
მობრწყინებისა და ბნელით მოცული გარემოს განათების მოტივი, რომელშიც ქართ-  
ველმა ჰიმნოგრაფებმა მეტაფორულად ასახეს ქრისტეს დაბადება, ნათლის-ღება და  
აღდგომა, რეალური ბუნებრივი მოვლენის მხატვრულად ასახავად გამოიყინა პოემა  
„აჩრდილში“ ილია ქვეკავაძემ: „აღმობრწყინდა მზე დიდებულად და გაახათა ქვე-  
ყანა ბნელი“ (თხზ., I, 1951, გვ. 131).

გაიშქვალება „ერთებრივი უღამო ნათელის“ (= ქრისტე ღმერთის) ჭკრეტი. მაშინ ის სააქაოდან, როგორც მარადიული ქვეყნის აჩრდილიდან, ამალღდება ღეთაებამღეო<sup>25</sup>.

მსგავს მონაზრებას გამოსთქვამს პეტრიწი ამავე თხზულების XVII თავშიც „უპოვარებისთვის“:

ღიდ არს, რომელმან დაუტევენს ღმრთისათვის

მონაგებნივე და, უპოვარებით რაჲ

ქორცთა აჩრდილი სცვალოს უკუდავთა დასთად,

იგი მოიგოს—დაუცხები ნათელი,

არსთათუალი და წყარო, დამქცევი მათი (16').

— ე.ი. დიღია ის, ვინც ღეთისათვის უარყო სიმღიდრე, ხოლო ვინც უქონლობას (სიღარბებს) დაითმენს და სხეულებრივ აჩრდილს (= სააქაოს) შესცვლის უკუდავთა დასით (სხვაგვარად: ვინც უპოვარებით თავის სხეულს განღევს და უკუდავთა დასის წვერი, ანუ მოღასე განღება), ის მოიპოვებს ჩაუქრობელ ნათელს, რომელიც არსთა შენოქმედიღა. მათი წარმომშობი წყარო (თუალი). ✕

ყოველივე თქმულიღან ირკვევა, რომ მტერიწის ღმერთი არის ქრისტიანული სამება-ერთარსება ერთი, „უცნაური და უთქმელი“, დაუღამო და დაუწყებელი, მაგრამ ყველაფრის წარმომშობი და არსებობის მიმნიჭებელი, „არსთა მამა“ და „ყოველთა საწყური“ (II, გვ. 166) ჯეს გარკვევით ჩანს „კომენტარებიდანაც“, რომელშიც პროკლეს დებულულებებს იოანე ამაგრებს პავლე მოციქულის ავტორიტეტით. იგი წერს: პროკლე „კავშირთა“ 29-ე თავში ამბობს—მსგავსება „მესამოღელა“ (შუთა) დამბადებელსა („წარმომაყენებელსა“) და დაბადებულს („წარმოყენებულს“) შორის. მისი მეშვეობითვე წარმოიშობა მიზეზისგან შედეგი („მიზეზიანი“) და იგივე „წარმოიქმს... კუალად უკუნ ქცევისა თვისისა დასაბამისადმი“. ასე რომ, მიზეზი ორივე პროკესისა— „წარმოქმნისაღცა და კუალად თვსთა დასაბამისადმი უკუნ-ქცევისაღ“ არის მსგავსება. „და რაოდენ უფრო მსგავს, უფრო მამახლებელ და, რაოდენ უფრო მახლობელ. უფრო მსგავს“-ო. ამას ენმაურება, — დასძენს იქვე პეტრიწი, — „სიტყუთა ჩემგონება-მზისა პავლესი“, რომელიც ყველაფერს სთელის „ხატად და მსგავსად და ექმაგიოდ (= გამოსახულებად, ბრწყინვალეობად) მის ერთისად, რომელსა მამობაღცა (= მამა-ღმერთი) ჰკადრა

<sup>25</sup> გამოთქმას „უღამოსა ნათელსა“ თეოლოგიური შინაარსი გამოაცალა რუსთაველმა და იგი, როგორც რეალური მხატვრული სახე, გამოიყენა თინათინის სიღამაზის წარმოსახავად: „თინათინს ჰკადრა შერმადინ, ნათელსა მას უღამოსა“, (682, 1).

სიტყუამან (=ძე-ღმერთმა)“. მერმე იგი იქვე იმოწმებს ისაია წინასწარმეტყველს, რომელსაც ავტორი „ღმერთიეთა ნაკუერცხალთა“ ჩირალაანს უწოდებს, და მამა-შვილის ანალოგიით მიზენ-შედგეობრივი ურთიერთობის საკითხს არკვევს (II, გვ. 78).

ცხადია, ამის შემდეგ მცდარად უნდა ვცნოთ შ. ნუცუბიძის მოსაზრება—თითქოს პეტრიწმა მზეს მიანიჭა „პატივი ღმრთეებისა“, უწოდა მას „ღმერთი და კეთილობა“ და იგი სამყაროს იერარქიული წყობის მწვერვალზე აიყვანა. მიუღებელია აქედან გამომდინარე დასკვნაც: თითქოს „ქართველმა ფილოსოფოსმა წარმართობისკენ ნაბიჯი გადადგა“, ან თითქოს მან აღმართა საერო ფილოსოფიის დროშა და ქართული წარმართული ფილოსოფიის აღდგენით დაუპირისპირდა არსენ იყალთოელის „რეაქციონურ“ სკოლას და ა. შ.<sup>26</sup> იოანეს „კომენტარებში“ (გვ. 14, 96, 166 და სხვა) ვხვდებით ისეთ გამოთქმებსა და ფრაზებს, რომელთა მიხედვით შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ პეტრიწს სწამს მრავალღმერთიანობა, ან მზეს აღიარებს კეთილობად და გონების საწყისად, მაგრამ ასეთ შემთხვევებში იგი იმოწმებს ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა თხზულებათაგან პროკლეს ნააზრევის განსამარტავად სხვადასხვა სახით ექსცერპტებს, რომლებშიც ზოგჯერ საუბარია მზე-ღმერთსა და მრავალღმერთიანობაზე, მაგრამ განა ასეთი მასალის საფუძველზე შეიძლება ავაგოთ პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური კონცეფცია ღვთაებასა და უზენაეს ერთზე? რა თქმა უნდა, არა! ასეთი გზა უარსაყოფია და ეს ცხადლივ ჩანს „კომენტარების“ შესავალ-დასასრულიდან და განსაკუთრებით კი „სათნობათა კიბიდან“, რომლებშიც მზე წარმოდგენს ქრისტეს მეტაფორას და „მზე იგი სიმართლისა“, „ერთებრივი უღამო ნათელი“ და „დაუესები ნათელი“ გააზრებულია ღვთაების აღმნიშვნელ ქრისტიანულ ცნებებად.

პეტრიწის ნააზრევი სამყაროს იერარქიული წყობა ქრისტიანულ-ნეოპლატონურია, სადაც ნეოპლატონიზმის როლი განისაზღვრება ქრისტიანულ-დოგმატური დებულებების ფილოსოფიურ-ლოგიკური დასაბუთებით. ამ წყობაში უმაღლესი მწვერვალია უზენაესი ერთი (= თვითერთი), ხოლო უმდაბლესი—სააქაო, სადაც ბდება ოთხთა კავშირთა შეზავება და რღვევა. მათი შეჯამება საფესურია „ნამდკლ-მყოფი“ resp. „ნამდკლ-არსი“ (ე. ი. ჰემმარიტად არსებული), სხვაგვარად—„ცა-

<sup>26</sup> შ. ნ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვევები, 1965, გვ. 127—129, 172—173, 198—203. შტრ.: იოანე პეტრიწის შრომები, II, 1927, გვ. LXXIII—LXXVI, C—CV. შ. ნუცუბიძის მოსაზრება პეტრიწის წარმართობაზე ეკატრად გააკრიტიკა მ. გოგიბერიძემ თავის ცნობილ ნარკვევში „იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა“ (იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. LXXXIII—LXXXVI, XC—XCIII).



სახლი გონებითი“ (143, 5), „ეზოჲ ერთისაჲ“ (175,5), „სადგური გონებითი“ (241, 4), „სახლი გონებისა“ (267,5), „საყდარი ანგელოზებრი“ (165,5), „გუართა სადგური“ (289,5), „საჲანე სულისა“ (143,4), „სულთა საყოფი“ (42,3), რომელიც შექმნა უზენაესმა ერთმა (ანუ ღმერთმა) თავის სამყოფად. **X**ოიანე ფილოსოფოსი წერს:

„არს უქუე ნამდვლ-ყოფი მხოლობა ყოველთა გონებათა და ყოველთა არსებათა, არამედ — გაგუარებულთა და გასახეებულთა“ (II, გვ. 21)... „ყოველთა გუართა მთავარი დასაბამი გონებაჲ არს, რომელ არს ნამდვლ-არსი და ნამდვლ-ყოფი, ვითარცა ადგილი გუართაჲ“ (II, გვ. 125)... „ერთთა შეერთებისა მიერ შედგა ყოველი ანაქუსი (=ბუნება) და მორთულებაჲ (=პარმონია) გონებისაჲ, რომელი ვითარცა საყდარი (=ტაბტი) მის მიუწოთომელისა ერთისაჲ, მოირთო შედგმულებაჲ (=შედგენილობა) პირველისა ნამდვლ-ყოფისაჲ, რომელსა ვიტყუთ საყოველთაოდ გონებად და ცად გონებათად და გონებითად საკურთხეველადცა უწოდეს დიდთა და ღმერთის-მეტყუელთა ბრძენთა, რამეთუ მის (=ნამდვლ-ყოფის) მიერ მღდელმთავრობს ყოველი გონებაჲ და ხედავს და ესვითა (=ამგვარად) აღიჭკვრობს მის მიუწოთომელობასა ზესთაჲსა ერთისადმი, და თან აღიტაცებს ყოველთა რაჲზომვე ზიართა თვისთა არსთა მამისადმი, ვითარ ყოველთა საწყურისადმი (=წყაროსადმი); რამეთუ ბჭე და ეზოჲ ერთისაჲ არსო, ვითარ ეტყოდა სოკრატის პარმენიდი, რამეთუ ნამდვლ-ყოფისა მიერ [წარმოებს] ყოველთა არსთა აღსლენი და შესლვანი მის ერთისადმი“ (II, გვ. 166).

ამ ამონაწერებიდან ჩანს, რომ **X**ნამდვლ-ყოფი“ პლატონურ იდეათა სამყაროა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი გაიგივებულია სამოთხესთან — „მართალთა დაუღვევარ საშვეებელთან“. ამიტომაც არის, რომ იოანე „ქრისტეს ტაძარს“, „სულის საჲანესა“ და „ცა-სახლსა გონებითსა“ ერთ სიბრტყეზე აყენებს. **X**ოიანე სინელი წერს: „სიწმიდე თვისება არს უჯორცოთა ბუნებისა, სიწმიდე ტაძარი არს ქრისტესი სათნოჲ და ცაჲ არს გულისაჲ ქუეყანასა ზედა“ (გვ. 196), პეტრიწი ამ ფრაზას ფილოსოფიურ ელფერს ანიჭებს და პოემაში შეაქვს ღედნისათვის უცნობი ახალი ტერმინი (143):

ნაყროჲანებასა არა-წმიდებაჲ შეუდგს,  
ხოლო მარხებასა—სიწმიდე აღუძრველი,  
იგი უჯორცოთ თვისება წარუჲალი,  
ქრისტეს ტაძარი და საჲანე სულისა  
ზესთა წმიდისა, ცა-სახლი გონებითი.

ამ „გონებთს ცა-სახლში“ ანუ „მართალთა დაულევარ საშვებელსა“ (53, 4) თუ „სასძლოში“ (286, 2), რომლებიც, პეტრიწის მოსახრებით, იდენტურ ცნებებს წარმოადგენენ, ბინადრობენ „მამა-ღმერთი“ (ანუ უზენაესი ერთი), ძე-ღმერთი (= მამის ხატი, სიტყვა და გონება) და სული წმიდა, გამოსული მხოლოდ მამისგან. აქვე არიან „ზეცი-სა ძალნი“ (ანუ ანგელოზები), საგანთა და მოვლენათა იდეები (ანუ აბსტრაქტული ცნებები, რომელთა შემეცნების სფეროა გონება) და უცოდველი სულები. მათს სათავეში დგას უზენაესი ერთი — „არსთა მამა“ და „საწყური“, რომლისაგან გაბრძნებული კაცობრივი სული უპკრეტს საღმრთო განგებასა

და ნიეთთა ქსეასა თორმეტთა ზედათო ჰხედაეს  
გონებითთა საცნაურით ხედეთა (40, 3—4).

ეს ქვეყანა (ანუ სააქაო), რომელიც ღმერთმა შექმნა „უთვალავით ფერთა“; მოჩვენება; ნამდვილ-მყოფის (= ნამდკლ-არსის) აჩრდილია, „უმყოფო არსი, სიზმარი ნაქსოვნები“ (4, 2—3), „სარკითი“ სურათი (291, 5), „მზუელავი არსისა“ (286, 4), ე. ი. „ნამდკლ-არსის“ იმიტაცია (პლატონის თქმით — იდეათა ქვეყნის ანარეკლი). ჩვენი შეგვრძნებებით აღქმული სამყარო დროებითია, სიზმარივით განქარვებადი, „აროდეს მდგომი, ცულადი და წარმავალი“ (4,4), „მდენი და წარმავალი“ (18,4; 49,4; 163,2; 286,3), რომელიც „დღეს არს და ხვალე დაილევის“ ან „გარდაღების“ (264,5; 286,5) რაც დღეს ტკბილია, ხვალ ის მწარეა (14,3). სააქაო მდიდართა და ღარიბთა სწორმყოფელია (4,5), „უმყოფოა“ (= უარსო, ე. ი. არსებობის უქონელი) და „ბნელი“ (40,5), „ამაო“ (163,4), „აწვე მიმცემელ, წარმლებელცა მაშინვე“ (14,4). დაუღვრომელი სოფლის წესი ასეთია (21):

არაჩაი არს სოფელსა შინა მტკიცე,  
ყოველივე მსწრაფლ წარმავალ არს სრულიად:  
არცა სიმდიდრე, არცა სიგლახაე და  
არცა ღიღება! — აჩრდილი და სიზმარი.  
მოიძულე შენ ყოველი, მონაზონო!

ამიტომ ის, ვინც სოფლის ამოებებს შეიცნობს, ხოლო ხორციელი საქმისაგან განთავისუფლდება, სულისათვის უნდა იზრუნოს და შეუდგეს „გზასა მონაზონებისასა“. მაგრამ მონაზონება არ არის უბრალოდ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა — მშფოთვარე კაცობრივი ცხოვრების მიტოვება და მონასტერში გადასახლება,

არამედ — სრულად ნებათა დატევება  
და მსოფლიოთა საქმეთაგან უცხო-ქმნა,  
ნებსით სიკუდილი პირველ კორცთა  
რღუევისა (9, 3—5).

საერო ცხოვრების უარყოფა და კვლავ უკან დაბრუნება, ან დროებით „მსოფლიოთ თანა ქცევა“ დაუშვებელია. ვინც ამქვეყნიური საქმეებითაა გატაცებული, მისთვის „სულისა გზათა ძებნა“ ისევე ძნელია, როგორც „ორთა ერთგან მონება წინა-მეწყუთა“, ე.ი. ერთი კაცისგან ორი მებრძოლის დამორჩილება (18—19).

მონაზონი არს, რომელსაცა გონება  
ღმრთისა ხედვითა განწყვიდოს მარადს.  
ცხოველებრივნი სულისა ძალნი ერთად  
გონიერთადა შეეყარნეს და არსსა,  
ერთთა მზესა მას ჰხედვიდეს მიუღრეკლად (8).

ასეთი განმარტების შემდეგ იოანე გონიერ ადამიანს აძლევს რჩევას: სოფელი დაუნდობელია; ვინც მას უგუნურებით შეიყვარებს, შეჰკრავს და სრულიად დაიძონებს (17, 1—2): იგი ერთს ამცნებს და მეორეს აკეთებინებს: „მსოფლიოთა საქმეთა შეშსკუალულთ“. ამიტომ

უკუეთუ არა მოძულნე უოველნი,  
თხსნიცა შენნი, მონაგებნი სრულად.  
ვერ ძალ-გაც ქრისტეს მტებათა აღარულებ:დ (20).

ან კიდევ:

საწუთროს, ეითარ არ-მყოფა, მყოფად ნუ ქყოფ: |  
იმას ახედვო, თეთ-მყოფსა (=ღმერთსა). ღერო მსმართალ:  
ყოვლითურთ მიხუალ საუკუნო მასა მზისა (12, 3—5).

ამრიგად, პეტრიწმა ერთმანეთს დაუპირისპირა ორი სამყარო: „ცასახლი გონებითი“ (ანუ სამოთხე) და მატერიალური ქვეყანა (ანუ სააქაო). პირველს უწოდა „ნამდვილ-მყოფი“ (ნამდვილად არსებული), მეორეს—აჩრდილი, „უმყოფო არსი“ (არარსებული მყოფი). ორივე შექმნაო უზენაესმა ერთმა ანუ ღმერთმა: პირველი—როგორც მუდმივი, უმაღლესი, ნათელიერი, ხოლო მეორე—ყამიერი, ხრწნადი, დაბალი, ბნელი; ადამიანმა, რომელიც „შეესქესა ბნელსა ამას ცხოვრებას“, უნდა უარყოს ამქვეყნიური ღროებითი საწუთრო და თავის იდეალად აქციოს ზეციურ საქმეთა ზრუნვა. ასე უკვრეტს პეტრიწი ცხოვრებას ქრისტიანი ასკეტის თვალით. უცხეს გასაგებიცაა, რადგანაც იოანე იყო მოძღვარი ბერი, ბიბლიური თეოლოგიისა და „მამათა კოსმოლოგიის“ უბადლო მკოდნე, აღზრდული სამონასტრო წეს-ჩვეულებებზე და მათი მტკიცედ დამცველი. მაგრამ მისი კოსმოლოგია შეზავებულია „გარეშე“ ფილოსოფიით. რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა შუა საუკუნეების ქრისტიანულ სქოლასტიკას<sup>27</sup>.

<sup>27</sup> ყველა ამის შემდეგ მიუღებელია პეტრიწის თეოლოგიურ შეხედულებათა ამგვარი წარმოსახვა: „Утверждение Бога, как творца мира, до некоторой сте-

### 3. ოთხთა კავშირთა შეზავება-რღვევა და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა

ანტიკური ხანის ბერძენ ფილოსოფოსთა წინაშე მწვავედ დადგა საკითხი, თუ რისგან შედგება მრავალფეროვანი და ცვალებადი ხილული სამყარო. თალესი მის პირველად შემადგენელ ელემენტად ასახელებდა წყალს: ყოველი საგანი არის წყალი, ან წყალი არის ყველაფრის ქვემდებარე (სხვაგვარად: საგანი ჩნდება წყლისაგან, ე. ი. წყალია ხილული სამყაროს დასაბამი). ანაქსიმანდრემ საგანთა ქვემდებარედ აღიარა „აპეირაონი“ (რაც ქართულად ნიშნავს „უსაზღვროს“, ჰეგელის თქმით — „განუსაზღვრელ მატერიას“). ანაქსიმენმა მის ნაცვლად შემოგვთავაზა ჰაერი, ხოლო ჰერაკლიტემ — ცეცხლი: „ყველაფერი იცვლება ცეცხლით და ცეცხლი — ყველაფრით მსგავსად ისევე, როგორც ოქრო — საქონლით და საქონელი — ოქროთი“<sup>28</sup>. ამრიგად, ანტიკური ფილოსოფიის პირველმა წარმომადგენლებმა

пеша является маскировкой истинных взглядов Платона; оно, в какой-то мере, представляется политическим маневром, отражающим состояние классовой борьбы тогдашней Грузии, когда клерикальные круги еще чувствовали под собой сильную опору... Платон в противовес христианскому богу выдвигает авторитет разума. Сориентировавшись против авторитета церкви... Платон в отношении к религии приближается к точке зрения деистов с некоторыми даже атеистическими высказываниями“ (Иоанн Петрици, Рассмотрение платоновской философии и Прокла Диадоха, 1942, гл. 78. დაყოფა ჩემია, — ი. ლ.). ეს სიტყვები ეკუთვნის ი. ფ ა ნ ტ ხ ა ე ა ს, რომელმაც ერთელი ნარკვევი წაუშლვარა პეტრიწის „კომენტარების“ რუსულ თარგმანს. მოყვანილ ციტატში დამოუბულოა სამი შეცდომა: 1. გტყვება, რომ ღმერთი სამყაროს შემოქმედია, არ წარმოადგენს „სათნობებათა კიბის“ ავტორის „ქეშმარიტ შეხედულებათა შენიღბვას“, ან ეკლესიის მოძღვართათვის თვალასახევე „პოლიტიკურ მანევრს“. პირიქით. ეს დებულება ერთ-ერთ საფუძვლად უდევს პეტრიწულ ფილოსოფიურ შეხედულებებს. 2. პეტრიწის მოსაზრებით, უზენაესი ერთი (ანუ მამა-ღმერთი) არის შეუცნობელა გონება („დაფარული გონება“), როგორც უმაღლესი კეთილობა და მარადიული იდეა, რომლისაგანაც იშვასიტყვა (=ძე-ღმერთი). მაგრამ ეს თვალსაზრისი შეწყნარებულა „ეკლესიის ავტორიტეტთა“ მიერაც. 3. ღეიზში XVIII საუკუნის ფილოსოფიური მომდინარეობა და XI—XII საუკუნეების ფილოსოფოსი პეტრიწი რელიგიასთან მიმართების საკითხში არ შეიძლება მიახლოებოდა დეისტურ ფილოსოფიურ ნაზრევს; არც რაიმე საერთო აქვს მის ქრისტიანულ-ნეოპლატონურ მსოფლმხედველობას ღეიზთან და მასში არც რაიმე „ათეისტურ გამონათქვამებს“ ეხედებით.

<sup>28</sup> ს. დ ა ნ ე ლ ი ა, ანტიკური ფილოსოფია სოკრატეს წინ, 1926, გვ. 53—90, 131—155; М. А. Дышник, Диалектика Гераклита Эфесского, 1927, гл. 95—127; Э. Н. Михайлова, А. Н. Чанышев, Ионская философия, 1956, 184 гл.; Ф. Х. Кессиди, Философские и эстетические взгляды Гераклита Эфесского, 1963, гл. 85—95. მ. გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე, ფილოსოფიის ისტორია, 1941, გვ. 21—25, 26—34.

სამყაროს წარმოშობის საწყისად მატერია (წყალი, აპერიონი, ჰაერი და ცეცხლი) აღიარეს, ე. ი. ის ოთხი ელემენტი, რომლებიც შემდგომი ხანის მოაზროვნეებმა ყველა საგნის შემადგენელ კავშირად სცნეს. მაგრამ თუ ეს ფილოსოფოსები ქვეყნიერების საწყისად ერთ რომელიმე სტიქიას (წყალს, აპერიონსა თუ ჰაერს) სდებდნენ, V საუკუნეში (ჩვერამდე) ემპედოკლემ ერთის ნაცვლად საგანთა დასაბამად მრავალი გამოაცხადა. ეს მრავალია ოთხი სტიქია („ძირი“): ცეცხლი, ჰაერი, წყალი და მიწა. ყველაფერი შედგება ერთი და იმავე სტიქიონებისგან, ოღონდ ერთმანეთისაგან განსხვავებული პროპორციით. სტიქიონთა შეერთებით ჩნდება რაიმე საგანი, მათი გათიშვით კი ის ისპობა. ეს შეერთება და გათიშვა (ძველი ქართულით—შეჯანება და რღვევა ან დაშლა) მარადიული პროცესია. საგანთა ცვლილებაც ამ „ძირებზე“ (სტიქიონებზე) არის დამოკიდებული: „საგანი მაგრდება, როდესაც მას ემატება (უერთდება) მაგარი მიწა. საგანი შავდება, როდესაც უერთდება ბნელი ჰაერი. საგანი თვება, როდესაც მას ემატება ცხელი ცეცხლი. ერთი სიტყვით, ყოველი ცვლილება საგნისა არის შედეგი მექანიკური პროცესებისა: მისი შემადგენელი სტიქიონების გასვლისა (შემცირებისა) და შემოსვლისა (მომატებისა)“<sup>20</sup>. მაგრამ ეს შეზავება და რღვევა თავისით კი არ ხდება, არამედ — სიყვარულისა და სიძულვილის ზემოქმედებით. პირველი აზაუებს ამ სტიქიონებს, მეორე კი — არღვევს. ასე ჩნდება და ისპობა საგანიო<sup>20</sup>.

ემპედოკლეს მოძღვრებას ოთხ ელემენტზე პოპულარობა მოუპოვეს შემდგომი ხანის ფილოსოფოსებმა. არისტოტელე წერდა: „ყველა აღიარებს ბუნებრივი ელემენტების არსებობას, როგორცაა ცეცხლი, მიწა, წყალი, ჰაერი და სხვა მარტივი სხეულები, შემდეგ მცენარეები და მათი ნაწილები, აგრეთვე ცხოველები და ცხოველთა ნაწილები, და ბოლოს, ცა და ცის ნაწილები“ (მეტაფიზიკა VIII, 1)<sup>21</sup>. იგი ემპედოკლეს აკრიტიკებდა კიდევ: მართალია, მან პირველად მიუთითა ყველაფრის მატერიალურ საწყისებზე („ძირებზე“), რომელთაც სიყვარული (მეგობრობა) აკავშირებს ერთმანეთს, ხოლო სიძულვილი (მტრობა) სთიშავს ერთმანეთისგანაო, „მაგრამ ის (=ემპედოკლე) იყენებდა მათ (=საწყისებს) არა როგორც ოთხს, არამედ როგორც ორს; სახელდობრ, ერთი მხრივ იყო ცეცხლი თავისთავად და მეორე მხრივ — მისდამი დაპირისპირებული, როგორც ერთი ბუნების მქონე, მიწა, ჰაერი და წყალი“ (იქვე, I, 4). — მიუხედავად ამისა, არისტოტელემ დიდად

<sup>20</sup> ს. დანელია, ანტიური ფილოსოფია სოკრატეს წინ, 1926, გვ. 161—162.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 156—172. მ. გოგობერიძე, ფილოსოფიის ისტორია, 1941, გვ. 50—54.

<sup>21</sup> ესარგებლობ თამარ კუკავას თარგმანით (1964 წ.).

შეუწყო ხელი ამ მოძღვრების გავრცელებას. პერიპატეტიკოსთა და ნეოპლატონიკოსთა წყალობით „ოთხასოვანი“ სისტემა მსოფლიოს მოედო და იგი ქრისტიანულ თეოლოგიაშიც კი მოკალათდა. მაგ., ნემესიოს ემესელმა (V საუკ.) დაწერა წიგნი „ბუნებისათვის კაცისა“, რომელშიც სპეციალური თავი მიუძღვნა ასოთა (= ელემენტების) რაობასა და მათს ურთიერთმიმართებას (გვ. 61—71)<sup>32</sup>. ამავე პრობლემას შეეხო აგრეთვე იოანე დამასკელი (VIII ს.) „გარდამოცემაში“. ნემესიოს ემესელი წერს:

„არიან უკუე ასონი ოთხ: ქუეყანაჲ, წყალი, აირი, ცეცხლი—თანწყობილნი თქმულთაებრ წესისა ქუენათაგან ზენათა სხეულთად, და ესენი არიან ყოველნი და უმარტივესნი სხუათა მიმართ სხეულთად... თვითოელსა ასოსამებრ დაუღღვით ორი რომელობაჲ აქუს, გუარქმენელი მისი: არს უკუე ქუეყანაჲ ჳმელ და გრილ, ხოლო წყალი—გრილ და ნოტიო, ხოლო აირი — ნოტიო და მჭურვალე მისისაებრ ბუნებისა, არამედ ცეცხლი — მჭურვალე და ჳმელ“... ელემენტები ერთმანეთს ორ-ორი რომელობით უპირისპირდებიან: როგორც მაგ. წყალი სიგრილითა და ნოტიოებით—მშრალსა და მჭურვალე ცეცხლს, ან მიწა სიგრილითა და სიმაგრიით — მჭურვალესა და ნოტიო ჰაერს. რაკი ამგვარ წინააღმდეგობათა გამო „ურთიერთას თანშეხებად“ შეუძლებელია, მათ შემაკავშირებელ („საკრველის“) მესაშუელედ ღმერთმა დააწესა მიწისა და ჰაერისათვის წყალი, რომელსაც მისცა ორი რომელობა — სიგრილე და სინოტივე, „რამეთუ სიგრილითა უკუე თანგანეკუთნვის ქუეყანასა, ხოლო სინოტიითა თანშეხების ჰაერსა“. ასევე, წყლისა და ცეცხლის საშუალად მანვე დააწესა ჰაერი, „რამეთუ სინოტიისა რომელობითა თანამესაკუთრე არს წყლისა, ხოლო სიმჭურვალითა—ცეცხლისა“. ამრიგად, შემოქმედმა ეს ოთხივე ელემენტი წარმოსახა ორგვარად — თვითეული „თავსა შორის თქსსა მყოფად და სხუათა თანაღრეულად და თანშემკრველად“, მაგრამ მანვე „სიბრძნით იველოვნა“ ისე, რომ ელემენტები ერთმანეთში გადასვლით იქმნებიან და ირღვევიან, მაგრამ თვითეული მათგანი არ კარგავს თავის რომელობას, ასო მაინც მარადიულია ყოველგვარი ცვლილების დროს. „რამეთუ ქუეყანაჲ, ოდეს რაჲ გადინდგელდეს (=ატალახდეს), იქმნების წყალ; ხოლო წყალი, ოდეს რაჲ შემტკიცდეს და დაჭირდეს, იქმნების ქუეყანაჲ“, თუ იგი გაცხელდება და აორთქლდება, გადაიქცევა ჰაერად; ასევე ამ უკანასკნელის შეკუმშვითა და გაცივებით მივიღებთ წყალს და ძლიერი გაშრობით—ცეცხლს. როცა ცეცხლი ჩაქრება და აბოლდება, ჰაერად

<sup>32</sup> ეს სარგებლობ იოანე პეტრიწის თარგმანით (გამოქვეყნდა ს. გორგაძის რედაქციით 1914 წ.).

იქცევა. ასე რომ, „განჭურვებულისა წყლისაგან და შრეტილისა (= ჩამქრალი) ცეცხლისა იქმნების ჰაერი“, რომელიც თავისი ბუნებით მხურვალეა, მაგრამ გრილი — „მეზობლობითა ქუეყანისა და წყლისადათა“.

ხილული საგნები შეიცავენ ამ ოთხ ელემენტს და მათი მრავალფეროვნება და ნაირსახეობა დამოკიდებულია ელემენტთა რაოდენობრივი შეზავებით. ადამიანის (და საერთოდ ცხოველთა) სხეულიც შექმნილია ოთხევე ელემენტის შეერთებით ამგვარად: ყოველი ორგანიზმი შედგება ოთხი ბალამისგან (= სითხისგან): „სისხლისაგან და წათხისა (= ლორწოვანსა) და მწითურისა ნაფლისა და შავისა“. მათგან შავი ნაფლისა საწყისია მიწა, წათხისა — წყალი, სისხლისა — ჰაერი და მწითური ნაფლისა — ცეცხლი. ელემენტები განიციდან „ქმნასა და ბრწნას“, შეზავებასა და რღვევას. შეზავების შედეგად საგანი (ან სხეული) იქმნება (ჩნდება), ბრწნისა (თუ რღვევის) შედეგად ისპობა (ან კვდება) და ეს პროცესი მარადიული კანონია სამყაროსა, რადგანაც ყოველი შეზავება გულისხმობს დაშლას, შეერთება — გათიშვას და სიცოცხლე — სიკვდილს<sup>33</sup>.

ეს მოძღვრება თითქმის უცვლელად შევიდა იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროში“. საიდანაც ქრისტიანულმა თეოლოგიამ შეისისხლ-ხოცა და თავის საკუთრებად აქცია. იოანე დამასკელი წერს:

„ყოველი სხეული ოთხთაგან (= ასოთაგან, ელემენტებისგან) შემზადების, ხოლო სხეულნი ცხოველთანი — ოთხთა ბალამთაგან. სათანადო არს ცნობად, ვითარმედ ოთხნი ნივთნი არიან: ქუეყანა — ჯმელი და გრილი, წყალი — გრილი და ნოტიოვ, ჰაერი — ნოტიოვ და მჭურვალე და ცეცხლი — მჭურვალე და ჯმელი. ეგრეთვე არიან ბალამნიცა ოთხნი, შემსგავსებულად ოთხთა ნივთთაჲსა: შავი ნაფელი — შემსგავსებულად ქუეყანისა, რამეთუ გრილი არს და ჯმელი, მლაშე ბალამი (ნემესიოზით — წათხი, — ი. ლ.) — შემსგავსებულად წყლისა, რამეთუ გრილი არს და ნოტიოვ, სისხლი — შემსგავსებულად ჰაერისა, რამეთუ ნოტიოვ არს და მჭურვალე, ყვითელი (ნემესიოზით — მწითური, — ი. ლ.) ნაფელი — შემსგავსებულად ცეცხლისა, რამეთუ მჭურვალე არს და ჯმელი. აწ უკუე ნაყოფნი ნივთთაგან შემტკიცნებიან და ბალამნი — ნაყოფთაგან, ხოლო სხეულნი ცხოველთანი — ბალამთაგან და მათდავე მიმართ დაივნებნიან, რამეთუ ყოველი შეზავებული მათდავე მიმართ დაივნების, რომელთაგანცა შეზავებულ იყოს“<sup>34</sup>.

<sup>33</sup> ნ ე მ ე ს ი ო ს ე მ ე ხ ე ლ ი, ბუნებისათვის კაცია, გვ. 58—65.

<sup>34</sup> იო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი, გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებლური სარწმუნოებისა, არსენ ივალთოელის თარგმანი, 1744, გვ. 121.

კითხვა ისმის: რა იწვევს ელემენტთა შეზავებასა და რღვევას, შეკავშირებასა და დახსნას ან შეერთებასა და გათიშვას? როგორც ალენიშენა, ემპედოკლე ამის მიზეზად სთვლის ორ სუბსტანციას—სიყვარულსა და სიძულვილს. მაგრამ რა იძულებდა სიძულვილს, რომ სიყვარულით შემტკიცებულ ელემენტთა შორის შეჭრილიყო და ისინი ერთმანეთისგან გაეთიშა? ემპედოკლე ასეთ მაიძულებელ საშუალებად ასახელებს „ფიცს“, მაგრამ მის რაობაზე იგი არაფერს ამბობს, თუმცა, ცხადია, რომ ეს „ფიცი“ არ არის გონება, რაღაც ზებუნებრივი ძალა. სწორედ ამიტომ, როგორც სამართლიანად წერს ს. დანელია, პლატონი ვაკიცხვით ასხენებს ემპედოკლეს, რამდენადაც უკანასკნელის შეხედულებით ბუნებაში ყველაფერი ხდება „არა გონების, არც რომელიმე ღმერთის, არც მონერხებულობის საშუალებით, არამედ ბუნებრივად და შემთხვევით“<sup>35</sup>. შემდგომი ხანის იდეალისტმა ფილოსოფოსებმა და ლეთისმეტყველებმა ელემენტთა შემქმნელ და მამოძრავებელ ძალად სცნეს ღვთაებრივი გონება, სამყაროს შემოქმედი—ღმერთი, ანუ უზენაესი ერთი. ამის შედეგად ქრისტოლოგიაში ჩამოყალიბდა ასეთი დოგმატური ფორმულა: ყველაფერი შექმნა ღმერთმა და მანვე დააწესა ელემენტთა შეზავება და რღვევა.

მოდღვრებას ოთხ ელემენტზე ფართო ადგილი უკავია პეტრიწის ფილოსოფიაშიც. აქ ელემენტთა შეზავება-რღვევა წარმოსახულია ისე, როგორც არის არისტოტელესთან და ნეოპლატონიკოსებთან. პეტრიწი მასზე ყურადღებას ამახვილებს „კომენტარებსა“ და „სათნობათა კიბეში“, რომლებშიც ის „ელემენტის“ მაგიერ ხმარობს სამ ტერმინს: „ასოს“, „კავშირსა“ და „ნივთს“. მისი მოძღვრებით, არსებობს ორი „ერთი“. პირველია უზენაესი ერთი ანუ „უქმნელი ერთი“ (resp. „უქმნოა ერთი“), რომელიც განუყოფელია (აბსოლუტური ერთი) და „ზესთა ძეს ნაწილთ-მიერობასა“ (II, გვ. 23), ხოლო მეორეა „ქმნილი ერთი“, რომელიც შეიცავს მრავლობას და თვითონაც მრავალია. „ყოველი ქმნილი ერთი, — წერს პეტრიწი, — ნაწილთა მიერ შედგების, ხოლო უქმნელსა ერთსა არცა ნაწილნი ჰქონან და არცა ასონი და კავშირნი, ამით რომელ ყოველი ასოა და კავშირნი პირველ მისსა არს, ვისდაცა იყოს ასოა, ხოლო ერთსა უპირველესსა — არა რაა“.... და კიდევ: „უქმნელ უკუე ერთ არს პირველი და ზესთ ერთი, რომლისა სხუაა არდ იყოს უპირ-მყოფს, ვინაა ამის უქმნოა ერთისა მიერ წარმოდგეს მხოლონი (=მონადები) ქმნულთა ერთთან“ (იქვე). ხოლო „ყოველი ქმნილი (=აგებული) არა-არსისაგან არსებად იქმნების“ (II, გვ. 25).

<sup>35</sup> ს. დანელია, ანტიკური ფილოსოფია..., გვ. 164.



მაშასადამე, პეტრიწის მოძღვრებეში „უქმნოთ ერთი“ (ანუ ღმერთი) არის „არა-არსისაგან არსებად მომყვანებელი“, როგორც ეს მიღებულია ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის შრომებში<sup>36</sup>. „სათნობათა კბეში“ „უქმნელ ერთს“ მეტაფორულად „მზე“ ეწოდება, „ქმნილ ერთს“ კი—მარტივად „ერთი“: მონაზონიო „ერთთა მზესა მას (= „ქმნულთა ერთთა“ მანათობელ შემოქმედს) ჰხედვიდეს მიუღრვკლად“ (8.5)<sup>37</sup>. „უქმნელი ერთი“ თუ მარადიულია, დაუსაბამო და დაუწყებელი, „ქმნილი ერთი“, ე.ი. „არა-არსისაგან არსებად მოყვანილი“ (რუსთაველის თქმით—„არსად შემოსრული“) ჟამიერია, დასაბამისა და დასასრულის მქონე, ხოლო „ყოველი არსამარადისო ანუ კავშირთა და ასოთაგან არს შედგმულ და კუალად მათდა (=ამ შემადგენელ ელემენტთა, —ი. ლ.) მიმართვე აღდგნეს, რომელთაგანცა შედგა. ვითარ ესე მოკუდაეთა ცხოველთა ბუნებაჲ საცნაურ ჰყოფს“ (II, გვ. 106). ე.ი. ყოველი ქმნილი ოთხი ელემენტისაგანაა შეკავშირებული და რღვევის პროცესში კვლავ მათ უბრუნდება, როგორც ამას ცხად-ჰყოფს მომაკვდავ ცოცხალ ორგანიზმთა ბუნება. ასე რომ, ეს ელემენტები განიცდიან მუდმივ ქმნასა და ხრწნას (შეზავებასა და რღვევას). მ. გოგიბერიძემ ნარკვევში „იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა“ (გვ. XLIII) სწორად შენიშნა. რომ პეტრიწი „ქმნისა და ხრწნის-შორისთა ასოთა“ (II, გვ. 75) ურთიერთში ვალსელის პროცესს არისტოტელეს ფილოსოფიის მიხედვით განმარტავს. ფილოსოფოსი წერს:

„რამეთუ ყოვლობაჲ (=всѣищность) ყოველთაჲ სამარადისო არს, ვითარ ბუნებაჲ ყოველთა სფეროთაჲ და ოთხთა ამათ ასოთაჲ და ვითარ ბუნებაჲ ყოველთა ცხოველთაჲ. და ვინაჲ (=ამიტომ) ერთობით ყოვლობაჲ ყოველთაჲ საყოველთაოჲსა შორის ჟამსა დამსქუალულა, ... ხოლო ოდეს და ოდესობაჲ (=ჟამი, временность)—მეკუდოთა (=მომაკვდაეთა) და ნაწილებითთა შორის, რამეთუ ვინ კაცი მოკუდების, და ვინ ცხენი, და ვინ ირემი, და ვინ თევზი და არა ბუნებაჲ ამათი, ვითარცა კაცებაჲ, ცხენებაჲ და სხუაჲ ესევეითარი. და კუალად: ოთხნიცა ესე

<sup>36</sup> ი. ლოლავილი, მიქაელ ფსელის ფილოსოფიურ-ეგზეგეტიკური ტრაქტატი „ჰირმოლოგია“ (ძვ. ქართული მწერლობის საკითხები, II, გვ. 80—91); მისივე, რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები (შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული, 1966, გვ. 85).

<sup>37</sup> შტრ.: „ყოველი უკუქცევი ამის თეს-შორისა ერთისა სიყუარულითა ეკუნ იქცევის, რათა პოვოს თეს-შორისა ერთისა მიერ საწყური მყოფთაჲ და მზე ერთთაჲ (II, გვ. 49).

ასონი ნაწილებით იქმნებიან და იხრწებიან და არა ყოვლობით, რამეთუ ნაწილი (= ნემესიოსით — „რომელობაჲ“) იხრწნა (= დაიხსნა, დაირღვა) ცეცხლისაჲ და გაქუეყანდა (= მიწად იქცა), დაივსო რაჲ მის შორის სიმკურეალეჲ; და ნაწილი იხრწნა წყლისაჲ, გაჰაერდა რაჲ და დაადგო თვისი სიგრძილე; და ეგრეთვე ნაწილი იხრწნა აირისაჲ და არა ყოვლობაჲ, დაადგო რაჲ თვისი სიმკურეალე, ვითარცა ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ი წიგნსა შორის «ქ მ ნ ის ა და ხ რ წ ნ ის ა ს ა ს ა» გუასწავლის“.... (II, გვ. 118—119).

ეს ფილოსოფიური ცოდნა საუცხოოდაა გამოვლენილი პოემამიცი „სათნოებათა კიბეჲ“. აქ იოანე ხმარობს ყველა ტერმინს, რომელთაც კი ვხვდებით ქართულ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ძეგლებში ელემენტთა რაობისა და ურთიერთმიმართების განსასაზღვრავად. იგი სახელებს „სიკვდილსა“ და „სიცოცხლეს“ ზოგჯერ სველის მათი შესატყვისი ფილოსოფიური ტერმინებით — ოთხთა კავშირთა შეზავებით (ან რღვევით). იოანე ზოგჯერ იყენებს ასეთ გამოთქმებსაც: „მრჩობლ-ორთა“ (= ორწყვილ, გაორმაგებულ) კავშირთა შეზავება, ან უბრალოდ — „ორ-მრჩობლთაჲთ“, „ოთხთაგან“, „ოთხნივე“, „ოთხეულსა“ და „ნივთთაგან“. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობენ „სათნოებათა კიბის“ ისტორიები და ტაეპები, რომლებიც შეთხზულ არიან პროზაული „კლემაქსისაგან“ დამოუკიდებლად. მაგ., პროზაულ დედანში იკითხება: მარტომყოფსა მოწყინება „პ ი რ ვ ე ლ ს ი კ უ დ ი ლ ის ა ა რ ა გ ა ნ ე შ ო რ ო ს და პირველ საფლავად მისღვისა მ ა რ ა დ ლ ე ბ რ ძ ო დ ის“. პეტრიწი ამ ფრაზას ასეთნაირად ლექსავს (124, 1—3):

მოწყინება ჰბრძავს მარადის მარტოდ-მყოფსა;  
არ განეშოროს პირველ ნივთთა რღუევისა,  
უკუეთუ არა განიფრთხოს მღკაძრებით. ✕

ცხადია, აქ დედნისეული აზრი რამდენადმე განზოგადებულია და პოეტურ ფორმშია ამალღებული, ამასთანავე მინიშნებულია ისიც, რომ „ნივთთა (= ელემენტთა) რღვევა“ იგივეა, რაც სიკვდილი, ხოლო მათი შეზავება ჰქმნის ცოცხალ სხეულს. იოანე ამ მოსაზრებას უფრო გარკვევით ავითარებს ძილისა და სიკვდილის განმარტებისას (183):

ძილი მ რ ჩ ო ბ ლ - ო რ თ ა კ ა ვ შ ი რ თ ა შე ზ ა ვ ე ბ ა  
და მ ა ა გ ა ნ ქ მ ნ ი ლ თ ა - ც ხ ო ვ ე ლ თ ა ს ხ ე უ ლ ის ა  
გრძნობითთა გუარათა საცნობელთა უქმობა,  
გონიერად შენ გაიგონე, ესე არს...,

<sup>38</sup> შტრ.: „რამეთუ ოდეს რაჲ ცეცხლმან განაგდოს სიმკურეალე, მხოლოდ იქმნების ქუეყანაჲ. ესე უკუე საუწყო მენისაგან, რამეთუ შთამოკენებული ვინაჲვე ცეცხლი და განგრძობული ზეშთ-საჩინობისაგან ქვა იქმნების, რომლისთვისცა ყოველი მგჳი ქეთთა და წუმწუბითთა შთამოიკენების“... (ნ ე მ ე ს ი ო ს ე მ ე ს ე ლ ი, ბუნებისათვის კაცისა, გვ. 64).

მაგრამ ძილი საჭიროა ზომიერების დაცვით, თორემ უზომო ძილი,

ვითარცა სულსა გონებასა უზნელებს,

ეგრეთ სხეულსა მოშლის მყოფობისაგან

და ოთხეულსა დაარღუევეს უსაეკვოდ (185, 3—5).

ან კიდევ:

...ცხენება სიკუდილისა დაარღუევეს [ქორცვა]

და ოთხნივე ესე [კავშირნი] წარადგენენ ქრისტესა

უპოვარებით ცხოვრებულსა კეთილად (166, 3—5).

მაგრამ „ტორციელი ოთხი საკრეველის“ (32,5) დახსნა (=დაშლა), ან „თავისა თვისისა ნიეთთაგან განყოფა“ და „ნიეთიერთა ორობასა ძლევა“ (48, 4—5) ძლიერ ძნელია. რადგანაც სხეული დიდ ვნებას განიცდის, ამ დროს იგი იტანჯება:

საჭირო (=ძნელი) რაჲე ქორცთა იჟოს ესეთი,

რომელ ოთხთაგან ირღუეოდეს ნაზავი (278, 3—4).

რაკი სხეული ვერ გაექცევა ოთხთა კავშირთა გათიშვას, რადგანაც ყოველი ნაზავი (ნაერთი) უბრუნდება თავის შემადგენელ ელემენტებს, ამიტომ სხეულის თანდათანობითი განლევიით და უმანკოების, სიწმიდისა და მარხვის დაცვით მონაზონმა უნდა იზრუნოს სულისათვის, რომ „აქაჲთ, ორ-მრჩობლთაჲთ“ (ე.ი. სააქაო ოთხი კავშირიდან) ამალღდეს „დიდსა სოფელსა“, შეუერთდეს „მერმე თვთ-მყოფსა მარადისსა“ (ე. ი. ღმერთს) და სამუდამოდ დამკვიდრდეს „სულთა საყოფსა ტკბილსა“ (42). X

ისმის კითხვა: ოთხთა კავშირთა დახსნა (რღევევა) რატომ იწვევს ცოცხალი ორგანიზმის სიკვდილს? ეს კითხვა დაკავშირებულია სულისა და სხეულის ურთიერთობასთან. რადგანაც უსულო სხეული უძრავია და მკვდარი, სულიერი კი—მოძრავი და მოქმედი. ამიტომ საჭიროა ორიოდე სიტყვით მასზეც შევჩერდეთ.

სულისა და სხეულის ურთიერთობაზე არსებობს უამრავი თეორია<sup>39</sup>. აქ განვიხილავ მხოლოდ იმ მოძღვრებას, რომელიც საფუძვლად უდევს პეტრიწის ფილოსოფიას. ეს არის ნეოპლატონური თეოლოგია, რომელიც მოცემულია ნემესიოს ემესელის, პროკლე დიადოხოსისა და ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებში და პეტრიწის „კომენტარებსა“ და „სათნოებათა კიბეში“. მათი ურთიერთშედარე-

<sup>39</sup> ისინი განხილულია თ. კუკავას წიგნში „შემეცნების თეორიის პრობლემები ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში“ (1965, გვ. 287—304).

ბიდან შეინიშნება ბევრი რამ საერთო, რომელიც ქრისტიანულ სამო-  
სელშია გახვეული. ან პირიქით—ქრისტიანული დოგმა გააზრებულია  
და დასაბუთებული ფილოსოფიურად. ეს ნათლად ვლინდება სულისა  
და სხეულის ურთიერთობის საკითხში.

როგორც აღენიშნეთა, პეტრიწმა დაუშვა ორი სამყაროს—იდეათა  
ქვეყნისა და სასქაოს, როგორც „ნამდვლ-მყოფის“ აჩრდილის, არსე-  
ბობა. „სულის სავანედ“ ან „სულთა საყოფად“ სცნო მან „ცა-სახლი  
გონებითი“, ანუ „მართალთა დაულევარი საშეგებელი“. იქ სულები  
გახლაგებულ არიან დას-დასებად და ვაგონიერეიულნი ფრენენ უვნებ-  
ლად. მაშასადამე, პეტრიწის ფილოსოფიაში სული  
ამქვეყნიური სამყაროს მიღმა არსებული კა-  
ტეგორიაა. იგი უსხეულოა, უკვდავი, თვითმობრავი („თვთ-  
მიმდრეკი“) და სხეულისათვის სიცოცხლისა და მოძრაობის მიმნიჭე-  
ბელი. „მამა (= წარმომშობი) სულისაჲ გონებაჲ არს“, ხოლო გონებას  
თვის შორის აქვს „ყოველნი გუარნი არსთანი“ (ე. ი. ყველა საგნის  
იდეა), რომელსაც იგი სულს აძლევს, როგორც ჩვეულებრივი მამა თა-  
ვის წარმონაშვს; მაგრამ გონებას ეს „გუარნი არსთანი“ აქვს „უწმი-  
დესად და დაზესთაებულად“, სულს კი—„სულებრივ და უდარესად“  
(II, გვ. 198).

არსებობენ სამი რანგის სულები: 1. „საღმრთო სული. საყოველთაო,  
პირველი და არს იგი ღმრთისა და გონების გუარ“; 2. „სული ქცე-  
ვადი“, ე. ი. კაცობრივი სული, რომელიც ხან გონებასთანაა შეკავშირე-  
ბული, ხანაც სტოვებს მას და ხდება უტუნური; 3. საშუალო სული,  
„სამარადისოდ გონიერთადა შეყოფილი და უქცევი“, როგორც მაგ.,  
მზისა და საერთოდ ციურ სხეულთა სულები. „საღმრთო სული საყო-  
ველთაო“ არის სწორედ ის „სული ღმრთისა“, რომელიც, მოსეს თქმით,  
„იქცეოდა ზედა წყალთა“ (შესაქმე II, 2), და „ახალი აღთქმით“—  
„სული წმიდა, გამოსული მხოლოდ მამისგან“, რომელიც წარმოად-  
გენს სამების ერთ-არსებას და „დაფარულ გონებასთანაა“ შერწყმუ-  
ლი. ქცევადი სულია სწორედ ის, რომელსაც „ძალი სამარადისოდ შთა-  
მოსლვად ქმნისადმი“ შესწევს, რაც საწყისია, „მიზეზ და წყარო ცხოვე-  
ლობისა“. როცა ეს სული თავის წარმომშობ გონებასთანაა შეერთებუ-  
ლი, მისი დახმარებით ნამდვილ-მყოფის სამფლობელოში ფრენს და,  
როდესაც ის გაუგუნურდება (ე. ი. მოსცილდება მას გონება), დასცივია  
ფრთები, ძირს ჩამოვარდება და შეუერთდება სხეულს, რომელსაც მი-  
ანიჭებს სიცოცხლესა და მოძრაობის უნარს. სხეულთან მყოფი სული  
სასქაოში მეცნიერებისა და სათნოებათა მიერ კვლავ გონიერდება, ის-  
ხავს ფრთებს, სტოვებს ხორცს და უბრუნდება იდეათა ქვეყანას. სუ-  
ლის ეს „ქცევა“, ე. ი. ზევიდან ძირს ჩამოსვლა და დაბლიდან ზეცად

ამაღლება, პროკლე-პეტრიწის ენით — „სამარადისოდ შთასლვა ქმნისადმი და კუალად აღსლვა ქმნისაგან მყოფისა მიმართ“ არის დაბადებისა და სიკვდილის, შეზავებისა და დასნის მარადიული პროცესი, ცხოვრების ტრადული დიალექტიკა. რომელიც პეტრაწმა აითვისა პროკლეს მეშვეობით. ქართველი ფილოსოფოსი ამ პროცესის საილუსტრაციოდ იშველებს სოკრატეს სიტყვებს პლატონის ერთ-ერთი დიალოგიდან: სული „შთამოვალსო ქმნისადმი და კუალად აღვალსო, ვითარ იტყოდა სოკრატო“, და იქვე განმარტავს: სული, „ვითარ ფრთე-დაცვინებული ფრინველი“, ძირს ჩამოვარდება. იგი „მოსწყდეს რაჟ გონებასა, უგუნურ იქმნების, რამეთუ ფრთე სულსა — გონებაჟ, ხოლო, ოდეს სასწავლოთა და სათნობათა მიერ მიიხუნეს ფრთენი თვისნი, რომელ არს გონებაჟ, კუალად სულთა მამისადმი (= გონებასადმი) აღფრინდების“ (II, გვ. 204)<sup>40</sup>.

აერთად შეყრილი სული და სხეული ერთმანეთს მუდმივ წინააღმდეგობას უწევენ და ცდილობენ გაყრას. ამ ბრძოლაში სხეულის შემაერთებელი კავშირები იშლებიან (ითიშებიან ერთმანეთისაგან), იხსნება სხეულებრივი საკრველი და სული ეყრება ხორცს, რის შედეგადაც დგება სიკვდილი. იოანე წერს:

[სიკვდილი] ეს არს: განყოფა სხეულთაგან  
 სულისა პირველ ზენასა მის მსჯავრისა  
 მოსლვისა, რაჟამს ოთხნი ესე დაირღვენ  
 და მუნვე მიდგენ, საფთცა პირველ მოვიდეს (107).

პეტრიწი აქ ავითარებს პლატონის დებულებას, რომ სიკვდილი არის „სულის გაყრა სხეულისაგან“ (ფედონი, გვ. 16)<sup>41</sup>, მაგრამ იგი არა ნაკლებ დამოკიდებულია ამონიოს ერმისის შრომაზეც „მოსაწყენებელი ხუთთა კმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“, რომელიც თვით მასვე (ე. ი. იოანეს) უთარგმნია „სათნობათა კიბის“ დაწერამდე. როგორც ითქვა, ეს ფილოსოფიური ძეგლი წარმოადგენს პორფირის „კატეგორიათა შესავლის“ განმარტებას, რომელსაც უძღვის შესავალი, თუ „რაჟ ვიდრემე არს ფილოსოფოსობაჟ“ და რა არის „ქუედ-მდებარე“ (საგანი) მისი? ამონიოსი ამ საკითხის განსაზღვრებისას საგანგებოდ ჩერდება სულისა და სხეულის ურთიერთობაზეც. იგი წერს: ფილოსოფოსობა ძველიდანვე „მრავალთა მრავალ-გზის განასაზღვრეს“. მათ შორის პირველი განსაზღვრება ასეთია: „ფილოსოფოსობაჟ

<sup>40</sup> შტრ.: Платон, Избранные диалоги, 1965, გვ. 210—214.

<sup>41</sup> პლატონი, ფედონი, ბ. ბრეგვაძის თარგმანი, 1966, გვ. 16. შტრ. იქვე. გვ. 21—23. Платон, Избранные диалоги, 1965, გვ. 335.

არს მეცნიერება მყოფთა, უკუეთუ მყოფნი არიან, რამეთუ: არა წინა-დაედების ფილოსოფოსსა ყოველთავე საზოგადოს-შორისთა კაცთა ცოდნაა რიცხუეულად, არამედ—თუ რა ვითარი არს ბუნება კაცისა, რამეთუ არსებასა თითოეულისა საქმისასა და მყოფობასა ჰსჭურეტს ფილოსოფოსი, რამეთუ უკუეთუ მყოფ არიანობა ნაცვლად ვითარი იგი მყოფ არიანობისა. ხოლო პლატონ ესრეთ განასაზღვრებს ფილოსოფოსობას: «ფილოსოფოსობა რამეთუ არს მეცნიერება საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა»<sup>42</sup> „... რადგანაც მისი ობიექტი „მყოფნი“ განიყოფებიან საღმრთოდ და კაცობრივად. „სამარადისონი უკუე თქუნა საღმრთოდ, ხოლო ქმნისა და ხრწნილებისა-შორისნი თქუნა კაცობრივად“... ამ განსაზღვრების ამოსავალია თვით საგანი ფილოსოფიისა და მისი რაობა. მაგრამ ფილოსოფოსობა შეიძლება განისაზღვროს მიზნის მიხედვითაც: „არს უკუე ფილოსოფოსობა მსგავსებად ღმრთისა და ძალისაებრ კაცისა“. მაგრამ მიზნის მიხედვით შეიძლება მისი სხვაგვარი განმარტებაც: „ფილოსოფოსობა არს წურთა და სიკუდილისა“<sup>43</sup>. ამ შემთხვევაში საჭიროა ვიცოდეთ, თუ რას ნიშნავს „წურთა და სიკუდილისა“, რადგანაც ერთმა ჰაბუქმა. სახელით კლეომეროტოს, „შთამხედველმან «ფედონსა» პლატონისსა და ვითარმედ უქმს ვიდრემე ფილოსოფოსსა წურთა და სიკუდილისა მცნობელმან, ხოლო გუარისა (=ცნების, იდეის. — ი. ლ.) ვერმცნობელმან, აღსრულმან ზღუდით შთაიგდო თავი თვისი. ამისდა მოწამედ ამვრაკიელისა მის ჰაბუქისათვის შეაწყო ზედ-წერილი სიტყვის-მოქმედმან, რამეთუ იტყვს:

არქუ, მზეო, ძნობდი! კლეომეროტ ამვრაკელმან  
 [...შთაიგდო თავი თვისი],  
 შთაქრილმან ძალით ზღუდით ჟოჯობეთადმდი,  
 არარაჲს ძვრსა სიკუდილის ღირსსა მენებმან,  
 გარნა ერთს—პლატონს წიგნს მქურებმან სულის ძლითა<sup>44</sup>.

ამგვარი ხელყოფა ხსენებული ჰაბუქის უმეცრებით უნდა ავხსნათ, რადგანაც მან ვერ გაიგო, თუ რას ნიშნავს „წურთა და სიკუდილისა“. პლატონი არ ამბობს „განყვანებად თავისა თვისისა“. არამედ „იტყვს ესრეთ:

«ვიდრემე უკუე უთქმელთა შორის არს მათივს თქუმული სიტყუა: ვითარცა საპყრობილესა რასმე შინა ვართ კაცნი და არა გვქმს თავთა თვისთა განყვანება მისგან, არცა განვლდომამ, დიდად რადმე. მიიხსნე და არცა ადვილ განსახილველად, ხოლო არა ჯერ-არს განყვანება თავთა თვისთა»<sup>45</sup>.

<sup>42</sup> ეს იამბიკო ხელნაწერში დაზიანებულია. მეორე ტაეპი აღდგენილია პირობითად.

<sup>43</sup> პლატონი, ფედონი, გვ. 11—12; Платон, Избранные диалоги, გვ. 331—332.

რამეთუ ვითარ-იგი საპყრობილეს შინა მყოფმან და შეერდომილ-მან ბრალისა რაჲსათჳსმე ინებოს თუ განპარეჲდ, დაარღუევეს, რაოდენ მას ძალ-უტც, სჯულთა; ეგრეთვე მოსწრაფეცა განჯსნასა სხეულის საკრ-ველისა, მიცემულისასა წინ-განგებისა მიერ, დაარღუევეს დამბადებლო-ბითთა სჯულსა. არა ჭერ-არს უკუე მკულელ-თავის ყოფაჲ“. მაგრამ რა-კი პლატონის ამ განმარტებას ასეთი შედეგი მოსდევს, საჭიროა აიხს-ნას, თუ ფილოსოფოსობა „ვითარ წურთად სიკუდილისად“ გავიგოთ?

„ცნობაჲ საჯმარ არს, ვითარმედ: კაცისა შეზავებულ-ყოფასა სუ-ლისაგან და ჯორცთა მრჩობლი არს საკრველიცა და განჯსნაჲ სულისაჲ — მრჩობლი, რამეთუ: არს ბუნებითად თქუმული საკრველი, რომლი-სა მიერ სულსა შეეკრვის სხეული და ცოცხალ იქმნების მის მიერ; ხო-ლო არს წინა-აღრჩევითიცა საკრველი, რომლისა მიერ სული შეეკრ-ვის მამონებელი სხეულსა და შეიპყრობვის მის მიერ. მრჩობლი უკუე განჯსნაჲცა: ერთი ვიდრემე სხეულისაჲ სულისაგან, ხოლო მეორე სუ-ლისაჲ სხეულისაგან; და სიკუდილიცა—მრჩობლი: რომელიმე ბუნები-თი, რომლისაებრ ყოველნი კაცნი მოვკუდებით, ესე იგი არს, რომლი-საებრ განეშორების სხეული სულსა, ხოლო რომელიმე წინა-აღრჩე-ვითი, რომლისაებრ ფილოსოფოსნი იწურთიან განშორებასა სულისასა სხეულისაგან და ამისებრ ითქუმიან მწურთელად სიკუდილისად, ესე იგი არს, განყოფაჲ სულისაჲ სხეულისაგან.

რამეთუ საჯმარ არს შემეცნებაჲ, ვითარმედ: არა უეკუელად სხეუ-ლი რაჲ განეყოს სულსა, სულიცა განეყოფვის სხეულსა, რამეთუ სხე-ულთ-მოყუარენი სულნი შემდგომად სიკუდილისაცა სხეულთაჲსა მერ-მეცა გარე-ურბიან ტრფიალებასა, და ამათ იტყჳან ყოფად გამოჩინე-ბულთა მათ საფლავთა გარემო აჩრდილის სახეთა საოცრებათა; არამედ არც სული რაჲ განეშოროს სხეულსა, უეკუელად სხეულიცა განეშორების სულსა, რამეთუ ფილოსოფოსობით მცხოვნნი და სიცოცხლესა-ლა მყოფნი მერმეცა განაშორებენ თავთა თჳსთა სხეულისაგან. არს უკუე ფილოსოფოსობაჲ წურთაჲ სიკუდილისაჲ, ესე იგი არს, წურთაჲ სუ-ლისა სხეულისაგან განშორებისაჲ“ (ფ. 73რ—74რ, 75რ—78რ).

ეს გრძელი ამონაწერი, რომელიც პირველად ქვეყნდება ჩემს შრომაში, საყურადღებოა არა მარტო საერთოდ ქართული ფილოსოფი-ური ცოდნის დონის გამოსარკვევად, არამედ იმითაც, რომ მის ძირი-თად აზრს იზიარებს პეტრიწი „სათნობათა კიბეში“, როდესაც ის მსჯელობს სულისა და სხეულის ურთიერთობისა და სიკვდილ-სიცოცხ-ლის პრობლემებზე. იოანე წერს (64):

სიკუდილი ორად განიყოფის, იხედე:  
ერთად—ბუნებით ყოველთა კაცთად ესე,  
ხოლო მეორედ—საქმეთაგან სიკუდილად  
ჯორციელებრთა სულისა განშორებით.  
ფილოსოფობა არს წურთა ამისი მარად.

ეს სტროფი და მისი წყარო შემოკლებით ზემოთაც დავიმოწმე იმის დასადგენად, რომ ორივე ტექსტი ერთი და იმავე ავტორის შრომაა. ამჯერად კი მაინტერესებს მათი მსოფლმხედველობრივი მხარე. ორივეგან განვითარებულია პლატონური თვალსაზრისი ფილოსოფოსობის მიზან-დასახულებითს განსაზღვრებაზე.

პლატონი, ამონიოსი და პეტრიწი იმეორებენ დებულებას, რომ „ფილოსოფოსობა არს წურთაჲ (=სწავლა) სიკუდილისაჲ“. მათ საერთო აქვთ მრჩობლი სიკვდილის, ხორციელი საკრველისა და სულის ორგვარი „შეზავება-დახსნის“ თეორიაც, რომლის ძირითადი არსი ისაა, რომ მასში დაშვებულია სიკვდილის ორნაირი განმარტება—ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ს ა, როდესაც სხეული შორდება სულს, და წ ი ნ ა-ა ღ რ ჩ ე ვ ი თ ი ს ა (=განზრახვითისა), როდესაც „ფილოსოფოსნი იწურთიან (=სწავლობენ) განშორებასა სულისასა სხეულისაგან“ (როცა სული გამოეყოფა სხეულს და უბრუნდება გონების სფეროს). მაშასადამე, მრჩობლელი სიკვდილი არის ტრიადული დიალექტიკის გარდაუვალი კანონი: როცა სხეული ეყრება სულს, მაშინ ხდება სხეულებრივი საკრველის დახსნა (შეზავებულ ელემენტთა გათიშვა და პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება—„კუალად მათდა მიმართვე აღდგენა, რომელთაგანცა შედგა“). ტრიადის პირველი საფეხურია ოთხი ელემენტის ყოვლადობა, მეორე—მათი შეერთება (თუ შეზავება) და მესამე—ნაზავის დაშლა ელემენტებად. საპირისპირო შემთხვევაში, როცა სული ეყრება ხორცს, ხდება გაუგუნურებული სულის გაგონიერება, სხვაგვარად—ფრთებდაცვენილი სულის გაფრთოსნება და გონითს სამყაროში აფრენა (ანუ წვდომა ჭეშმარიტებისა). ამ ტრიადის პირველი საფეხურია სულის ყოფნა გონებასთან, მეორე—მისი გაუგუნურება (ზეციდან ძირს დაშვება) და მესამე—კვლავ გაგონიერება (მიწიდან ზეცაში აფრენა). „ქცევადი სული“, რომელიც ზეციდან ჩამოდის „ქმნისადმი“ და უკუიქცევა „ქმნისაგან მყოფისა მიმართ“, ამყარებს ურთიერთკავშირს ცასა და დედამიწას შორის; მისი მეშვეობით ხდება თანდათანობითი შემეცნება ციური ქვეყნისა, რომლის აჩრდილს წარმოადგენს სააქაო, და გახსენება იმ საგანთა და მოვლენათა იდეებისა, „რომელნი დასხნა და ქსევ მის [=სულს] შორის მამამან (=უზენაესმა ერთმა)“.

\* \* \*

სულთა მიმოქცევის ნეოპლატონურ მოძღვრებას, რომელიც გამომდინარეობს პლატონის სულთა უკვდავების თეორიიდან, იოანე ფილოსოფოსი ათანხმებს ბიბლიურ თეოლოგიასთან და მოსე წინასწარმეტყველის თხრობას სამოთხიდან ადამის გამოძევების შესახებ ასაბუთებს ნეოპლა-



ტონური ფილოსოფიით. სამოთხეში მყოფი ადამი მას ესახება იდეათა სამყაროში მფრინავ სულად, ხოლო იქედან გამოძევებული ადამი— ფრთებდაცვნილ, გაუფუნურებულ სულად, რომელიც შეერთებულია მომავლადვ სხეულთან. მოვუსმინოთ თვით იოანე ფილოსოფოსს (II, გვ. 205):

„უგანებო რაჲ იქმნა სული ადამ“ (ე. ი. როცა ადამმა თავისი უფუნურობით ღმრთის სიტყვა დაარღვია. შექამა აკრძალული ხილი და შესცოდა), ამით მან გარს შემოიხურა სხეულებრივი სამოსი და იქცა მომავლადვ ცხოველად, რომელსაც სამოსად აცვია ტყავის ქიტონი (მანტია). ამაზე მოსე ამბობს: „შეიმოსაო ტყავებრი სამოსი“<sup>44</sup>. ხოლო როდესაც ის (ადამის სული) დაიწყებს ზრუნვას სიწმიდისათვის, „ესე იგი არს, თანშენებად გონებისა და ღმრთისადა, კუალად განჰყარს თვსთაგან ნევთებრივთა მათ ქეტონისკთა (=სხეულებრივ წამოსასხამს), რომელნი შთამოსნა უგუნურებაჲმან, და აღვალს მამისადმი თვისისა“.

პეტრიწის მიერ აქ ადამის სული გაიგივებულია ნეოპლატონიკოსთა „ქცევად სულთან“, რომელიც „ოდესმე გუნებისადა [არს] შეყოფილი და ოდესმე უგუნურებისადა, ვითარ გამგდე გონებისაჲ“ (II, გვ. 193). მაგრამ ამ სულს „დაუზესთადების“ (მასზე მალლა მდგომია) „საღმრთო სული საყოველთაო“ (ე. ი. კოსმიური სული), რომელიც უზენაეს ერთანაა შეზავებული და წარმოადგენს „ქცევადი სულის“ იდეალს. პეტრიწის ფილოსოფიაში ეს „კოსმიური სული“ ეიგივება სამებაერთარსებას, ანუ ქრისტიანულ ღმრთეებას, რომლის სამგვამოვნებას იოანე ფილოსოფოსი ასაბუთებს „ფილოსოფოსთა დღის მწვეერვალის“—პლატონის, პროკლე ატიკელის, დავით წინასწარმეტყველისა და პავლე მოციქულის ავტორიტეტებით (II, გვ. 209—210)<sup>45</sup>. ეს უზენაესი ღმრთეება განაგებს ხილულ და უხილავ ქვეყანას, სააქაოსა და ზეცას, „ქვეყნიერ მეთრევათ“ და ზეციერ ძალებს.

ღმერთმა ადამის ცოდვილი სული გამოაძევა სამოთხიდან. გაუფუნურებული სული, დამძიმებული სხეულებრივი სამოსით, როგორც ფრთებდაცვნილი ფრინველი, ჩამოიჭრა დედამიწაზე და შეუდგა ტანჯითს ცხოვრებას. მას სააქაოში გაუჩნდა ბევრი საზრუნავი: აქ, ცხოვრებაში, გადაეღობა ათასნაირი საცთური, გაჰყვა ხორციელ მოთხოვნილებათა დატკობას, რის გამოც ჩაკლა თავისში სულიერი შესაძლებლობანი და სამუდამოდ გამოეთხოვა სამოთხეს. ბოლოს სულს უღალა-

<sup>44</sup> ზღრ. შესაქმე: „და უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შემოსნა მათ“ (III, 21).

<sup>45</sup> ეს საკითხი მშვენიერად გაარკვია მოსე გოგიბერიძემ (იოანე პეტრიწის შრომები, I, გვ. LXI—LXII).

ტა სხეულმაც, რომელსაც წლების განმავლობაში ემსახურებოდა; მყის დაიხსნა ხორციელი საკრველიც და დადგა ბუნებრივი სიკვდილი— სხეული გაეყარა სულს. ამის შემდეგ ეს სული სამუდამოდ მოხვდა ჯოჯოხეთში სხეულთან ურთიერთობის დროს ჩადენილი ცოდვების გამო. მაგრამ მამა-ღმერთმა საბოლოოდ არ გასწირა თავისი შემოქმედების ნაყოფი და კაცობრივი სულის მხსნელად ქვეყნად მოავლინა ძე-ღმერთი, რომელსაც ჩვენი ეკლესიის მემოდღვრემ, პავლე მოციქულმა, „ღვთის სიბრძნე“ უწოდა. მან, როგორც ადამიანის ბუნების მიმღებმა ღმერთმა, თავს იტვირთა ყოველგვარი ადამიანური ვნება, დაითმინა ჯვარზე გაკვრა, სიკვდილი, მაგრამ თავისი მოძღვრებით „სულნი ჩუენ კაცთანი“ კვლავ ზეცად აამალა (II, გვ. 208). ქრისტემ ჯოჯოხეთისაგან „სოფლისა სქესთა მიყოლილ სულთა“ (28,2) დასახსნელად იქადაგა „სწავლანი სათნოებათანი“, რომელთაც გაუგუნურებულ სულებს შეასხნეს გონების ფრთები, და თანდათანობითი „აღქსნებით სიმღიდრეთა მამისათა“ უკუიქცა „ნერგთად თვსთად ადამ სამოთხედ“ (II, 52). ამიტომ პეტრიწმა სულის განათლების უპირველეს საშუალებად აღიარა ცოდნის შეძენა (სწავლულება) და ადამიანის მორალურ-ზნეობრივი აღზრდა. „სათნოებათა კიბის“ ძირითად მიზანსაც სწორედ სულის განსაწმენდი მორალური პრინციპების ჩამოყალიბება შეადგენს. ავტორი გონებამახვილურ რჩევა-დარიგებას იძლევა, რომ „ჟორცთა მშვეებელის“ მიერ დამკლობილი სული გამხსნევდეს და მან დაიბრუნოს „ძალნი კეთილნი“. ვინც ცდილობს დაიოკოს ხორციელი მოთხოვნილება, ეძალება ნაყროვანებას, ისწრაფვის სიმღიდრისადმი, მრისხანეობს, მოყვისისათვის ძვირსა იზრახავს და გულისწყრომის გესლს აფრქვევს, აპყოლია „ცრუ-ფიცთა კაცთა და ტყუვილის მწმასნელთა“ (114, 1), არ ზრუნავს სიწმიდისათვის, გულფიცხელობს, მისცემია უზომო ძილს, ცუდად მზვობრობს და სძაგს მოტჩილება, სინანული, სიმშვიდე, სიწრფოება, უმანკოება, სიმდაბლე, თავისა თვისისა ჯანკითხვა, დუმილით დაყუდება და სარწმუნოება, ის თავის თავში სპობს სულის კეთილ ძალებს და ალაღებს სხეულს. მას ავიწყდება ყველაზე არსებითი, რომ ადამიანმა უნდა იზრუნოს სულის სიწმიდისა და სულიერი სიმღიდრისათვის, რადგანაც

სიწმიდე სახლი სათნოებათა არის,  
 არ შეირყევის, მაგრა დაფუძნებულ არს,  
 ქართა ბოროტთა კუეთებასა დაუდგამს (146, 1—3).

ასევე:

სულით მდიდარი საფასითა გლახაკ არს,  
 ხოლო მდიდარი სულითა დაგლახაკნეს,  
 ვინათგან ჯურელსა ნემსისასა აქლემი  
 ვითარ ვერ განვალს, ეგრეთ მდიდარი — ზეცას (158).

მაგრამ ყველაზე დიდი ნიჭი (=საბოძვარი), რომელიც ადამიანის სულს ოდესმე მოუპოვებია, ეს არის სწავლულება, ცოდნის შეძენა, რადგანაც გაბრძნებულ სულს აქვს შესაძლებლობა დაუბრკოლებლად აიაროს სათნოებათა კიბე, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის მამებმა გადეს სააქაოდან სამოთხემდე. კიბის თვითეული საფეხური თითო სათნოებას მოასწავებს და ოცდამეათე სათნოება არის „სარწმუნოებისათვის“, ხოლო მისი უკანასკნელი სტროფი ეხება სწავლულებას, რომელიც თანდათანობით აბრწყინვალებს ადამიანის სულს და, როგორც „საღმართო პლოტინოს იტყვს“, ჭაბუკებს აჩვევს უსხეულო ბუნებას (ღვთაებრიობას). იოანე უფრო მაღალ შეფასებას აძლევს სწავლა-განათლებას (301):

სწავლულება არს კეთილი მოვებული,  
საუნჯე მრთელი, უმაღლო სიყუარელი,  
ესხეულო გუართა გულის-ჰმა-მქმნელი,  
ხოლო სხეულთა შემთხვევითად მქურბელი.  
ესე მოიგე! კიბე აღვივლია შენ. ✕

\* \* \*

ამით ვამთავრებთ პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსოფლმხედველობის მიმოხილვას. რა თქმა უნდა, ეს მსოფლმხედველობა არის იდეალისტური, ქრისტიანული ნეოპლატონიზმი, სხვაგვარად — „გარეშე“ ფილოსოფიით, კერძოდ პლატონისა და არისტოტელეს იდეებით შეზავებული ქრისტიანული თეოლოგია, რომელიც ძლიერ შორსა დგას მატერიალისტური ფილოსოფიიდან, მაგრამ მისი მნიშვნელობა ისტორიული თვალსაზრისით უადრესად დიდია. პეტრიწმა აზროვნება გაათავისუფლა დოგმატური რწმენის სფეროდან და აიძულა მას ლოგიკური კანონებით დაესაბუთებინა უზენაესი ერთის უპირატესობა. მან ფილოსოფია, როგორც ცოდნის ერთ-ერთი დარგი, ქართული სქოლასტიკური აზროვნების შარაგზაზე გამოიყვანა და ქრისტიანული თეოლოგიის სამსახურში ჩააყენა. ამით მან ფილოსოფიას მოუპოვა არსებობის უფლება, რომელიც მას რეაქციონერ საეკლესიო მოძღვართაგან წართმეული ჰქონდა, და, როგორც სამართლიანად შენიშნავს მ. გოგბერიძე, ერთმანეთს მოარიგა პლატონი და ქრისტე. მისივე თქმით, ის „ღრმად იყო დარწმუნებული, რომ პროკლე, პლატონური ფილოსოფოსი, მისდა უნებლიეთ ქრისტიანობის საქმეს აკეთებდა. იგი ფილოსოფიაში იმასვე ამბობდა, რასაც თეოლოგიაში პავლე მოციქულმა“. ეს შესანიშნავად დაასაბუთა მან პროკლეს „კავშირთა“ წინასიტყვაში, კომენტარებსა და ბოლოსიტყვაში. იგივე თვალსაზრისი გამოავლინა პეტ-

რიწმა „სათნობათა კიბეში“. ანტონ ბაგრატიონის იამბიკოს თუ გავი-  
ხსენებთ, უნდა დავასკვნათ, რომ: ვითარცა პროკლე ენაწვეალა პლატონს  
ფილოსოფიაში, აგრეთვე იოანე პროკლეს ედიადოხა ღირსად, ოღონდ  
მან პროკლეს ფილოსოფიური მოძღვრება განმარტა „შეწევნითა პირ-  
ველასა სიტყვსა უფლისა ქრისტესითა“ და ამრიგად მოგვცა საკუთარი  
ქრისტიანული ფილოსოფია — „ღმრთისმეტყუელებაჲ ნივთისა გან-  
მიუხებელი“ და „ხედვაჲ ფილოსოფოსთა განცდისაჲ“.

---

# სათნოებათა კიბე

ინფორმაციულ თქმული ირანე აბრინის მიერ

(ტექსტი)

ბაჰსტის დასადგენად გამოყენებულ ძირითად ხელნაწერთა სია

- A — ცენტრარქივის ხელნაწერი № 264/268 (მხედრული, 1730 წ.),
- B — იმავე ფონდის № 259 (ნუსხური, 1779 წ.),
- C — საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 12887 (მხედრული, 1757—1762 წწ.),
- D — ხელნაწერთა ინსტიტუტის H 1737 (ნუსხური, XVIII საუკ.),
- E — იმავე ფონდის H 1023 (ნუსხური, XVIII საუკ.),
- F — იმავე ფონდის A 342 (მხედრული, 1788 წ.),
- G — იმავე ფონდის S 1597 (ნუსხური, 1768 წ.),
- K — იმავე ფონდის A 711 (მხედრული, 1785 წ.),
- U — იმავე ფონდის Q 814 (მხედრული, XVIII საუკ.).

სქოლიოებში მოყვანილი პროზაული ტექსტი ამოღებულია იოანე სინელის „კლემაქსის“ ეფთვიმე მთაწმიდლისეული თარგმანიდან (იხ. ლირსისა მამისა ჩვენისა იოანე სინა-მთის მამასახლისისა კლემაქსი, რომელ არს კიბე, გამოცემული ათონის წმიდის მთის ახალ-ქართველთ წმიდის იოანე ღვთისმეტყველის საეანისა, ფოთი, 1902, 426 გვ.).

პროზაული ტექსტი და ვარიანტები მითითებულია სტროფთა ნომრების მიხედვით. ვარსკვლავიან სტროფებს (\*1, \*2, \*4 და ა.შ.) არ მოეპოვებათ პროზაული ტექსტი; ისინი შეთხზულია თვით პეტრიწის მიერ იოანე სინელის „კლემაქსისაგან“ და მოუვიდებლად.

- \*1. იოანესგან სინელისა სამ-ათნი  
 გუარნი, კიბისა აღსაველთაებრ თქმულნი —  
 ვინცა აღსრულ ხარ, სისრულედ მიწვენილ ხარ! —  
 ესენი თვთო თავისაგან ათ-მუჭლად  
 მე, იოანე, დავლექსენ პირის-პირად.

I

გამოსლვისათვის სოფლით ესე

- \*2. გნებაეს, გამოხუალ, თუ ოდესცა ამას ჰყოფ.  
 არსსა ვით ჰხედავ, ოკმეცარი არ-მართალ,  
 მარადის მხედი, საუკუნოხსა მეტრფი;  
 ოკწყით, მუნ აღვალს ხულთა მამისა მიმართ  
 საგზოდ, ვინ აქა ოკფროხს მოიგო ესე.
- 3. მეძიებელთა ეპოების მათ ღმერთი,  
 მისგან შექმნულთა, რომელთაცა დასისა  
 საზომისაებრ მათისა იყოს იგი,  
 გარნა მრთელისა ხედვისა ორღანოხსა,  
 ვინაჲთგან მზისა მიხედვა ეგულვების.
- \*4. სოფლით სიელტოლა სრულთა არს ჰეშმარიტად,  
 რომელთა ესე აჩრდილი მოქძულოს —  
 უმყოფო არსი, სიზმარი ნაჯსოვნები,  
 აროდეს მდგომი, ცულადი და წარმავალი,  
 მქონებელთა და უქონებელთა სწორი.

3. ყოველთა რომელთა ენებოს და ეძიებდეს ღმერთსა, ეპოების მათ (გვ. 21).

---

2,4 მიმართ] მიერთ C. 2,5 საგზოდ] საზოგადოდ CU. 3,4 მრთელთა ხედვსა ორღანოთა AB; მრთელითა... ორღანოთა DE. 4,5 უქონოთა D.

5. მონაზონება წესისა უჯორცოთაჲს  
არს აღსრულება, ზრქელთ შინა ნიეთიერთა  
ამათ მოკუდავთა ჯორცისა სიმძიმეთა  
და მოქმედება მათი, რომელნი აქაჲთ  
ზენად ჰგზავნიდენ, წუთისაჲთ — საუკუნოდ.

❖ 6. მონაზონი არს, რომელი ბუნებასა  
სამარადისოდ აიძულებდეს, ხოლო--  
განათლებული მარადის მხედველ იყოს  
და საგრძნობელნი, სიტყვთა განწმედლინი,  
საცნობელითა კეთილითა შეემკუნეს.

♣ 7. სამთავანი არს სოფლით გამოსლვა, ბრძენო: ჯ-  
ანუ ცოდვათა მოსაგებელის კრძალვით,  
ანუ სურვილით სასუფეველის ღირსად,  
ანუ უფროხის საზომისა მოღებით,  
რომელ არს ღმრთისა სიყუარული მალალი.

♣8. მონაზონი არს, რომელსაცა გონება  
ღმრთისა ხედვითა განეწმიდოს მარადის,  
ცხოველებრივნი სულისა ძალნი ერთად  
გონიერთადა შეეყარნეს და არსსა,  
ერთთა მზესა მას, ჰხედვიდეს მიუღრეკლად.

5. მონაზონება არს წესი და საქმე უჯორცოთა, აღსრულებული ჯორცთა შინა ნიეთიერთა და მოკუდავთა....

6. მონაზონება არს იძულება ბუნებისა სამარადისოდ და დაცვა საცნობელთა დაუკლებელი. მონაზონება არს გუამი შეუგინებელი, პირი წმიდა და გონება განათლებული და მხედვარი (გვ. 22).

7. ყოველთავე, რომელთაცა სოფლისა საქმენი დაუტევენეს, ანუ სიმრავლისათვის ცოდვათა მათთაჲსა, ანუ სასუფეველისა ცათასა, ანუ სიყუარულისათვის ღმრთისა ქმნენეს (გვ. 23).

---

5,1 უჯორცოთა BEGKU, უჯორცოთას D. 5,5 წუთისას B. 6,4 საგრძნობელი E; 6,5 შეამკუნეს D, შეემკუნენ EGU. 7,1 სამთავან არის DEU; 7,4 მოღებით მოკე-  
ბით B; საზომის მოღებთა A. 8,4 შეეყარნენ ABDEGKU; მიუღრეკლად A.



- 9. არ ადგლითი სოფლით გამოსლვა არას, ვითარმცა აქამთ სხვსადმი მივილოდა, არამედ სრულად ნებათა დატევება  
 [ -და მსოფლიოთა საქმეთაგან უცხო-ქმნა,  
 -ნებისთ სიკუდილი პირველ გორცთა რღუევისა.

- 10. სამნი შეიტებენ, მონაზონო, და სცხოვნდე:  
 ოუმანკოება, სიწმიდე და მარხვაი.  
 ერთი მოყუსისა სიყუარულსა მოგართმევს,  
 ხოლო მეორე უსხეულოთა მიგრთავს  
 და მარხვა წმიდა ქუეყანით აღგამალლებს.

- 11. სოფლით გამოსლვა სიკბუქისა ჟამსა  
 აგიქმს, მონაზონო, რამეთუ შეკრებულნი  
 მამინ შრომანი სიბერესა გზრდიან შენ  
 და სიკუდილისა წინადათვე წარგზავნიან  
 მოსაგებელსა ღირსთასა საუკუნოდ.

## II

### არ-სიყუარულისათვის სოფლისა

- \*12. ამასა                    მიართუ, იწყე, ბრძენო,                    გონებას!  
 რაითგან                    არა                    სოფელი                    მოიძულო,  
 საწუთროს,                    ვითარ                    არ-ყოფსა,                    მყოფად ნუ ჰყოფ!  
 იმას                    ახედვო                    თვთ-ყოფსა,                    უფრომს მართალ.  
 ყოვლითურთ მიხუალ                    საუკუნოდასა                    მზისა.

8. მონაზონება ესე არს, რომელმან ნება თავისა თვისისა დაუტეოს (გვ. 22).

10. კეთილი საფუძველი არს სამთა მათ სათნოებისა სუეტთა — უმანკოება, მარხვა და სიწმიდე (გვ. 26).

11. სიკბუქესა შინა შეკრებულნი შრომანი სიბერეთა შინა მოუძღვრებულთა ზრდიან და ნუგეშინის-სცემენ (გვ. 32).

9,3 ნებათა] ცოდვათა E. 11,4 წარგზავნიან ABC, წარგზავნიან DGU. 12,1 აწყე] იუწყე E; 12,2 სოფელი] სული D. 12,3 საწუთროს AEU; ყოფად E.

- 13. ქემმარტებით რომელმან შეიყუაროს/  
უფლისა იგი მარადისი სუფევა,  
მან მოიძულოს სოფელი ყოველივე,  
თავიცა თვისი, მონაგებთა სიმრავლე,  
და უპოვარი ცხოვრება აღირჩიოს.
  
- 14. არა იზრუნოს საჭმართათვის ყოვლადვე,  
არცა მიერჩდეს გემოსა მავნებელსა,  
რომელიცა ტკბილ დღეს და ხვალე მწარე არს,  
აწვე მიმცემელ, წარმღებელცა მაშინვე,  
ხრწნად და წარმავალ მცირედ ჟამ ცხოვრებითა.
  
- 15. სოფლის მოძულე მარადის ღმერთსა ჰხედავს,  
მას შეექცევის სიყუარულით, თავს ისხამს  
მოღუაწებისა შემთხუეულთა ტკივილთა  
და, ვითარ ჯორცთათ შობილი, შიშულად განვალს  
აქაფთ ცხოვრებით ნეტარსა ცხოვრებასა.
  
- 16. სოფლით განსლვისა შემდგომად არწმუნებენ  
მოწყალეთა და ღმობიერთა ეშმაკნი  
ერის-კაცთადა ნატრად, თავთა ბრალობად,  
რათა სოფლადვე მიაქციენენ, ანუ თუ  
სასოებისა წარკუეთად მიაწიენენ.

12—15. რომელმან ქემმარტად შეიყუაროს უფალი და რომელი ქემმარტად ეძიებდეს მიმთხუევად საუკუნესა მას სასუფეველსა... მან არაღარა შეიყუაროს [სოფელი], არცა იზრუნოს, არცა იურეოდეს საჭმართათვის ანუ მონაგებთა... არამედ ყოველივე სიყუარული და ყოველივე ზრუნეა ამის ყოვლისავე განაგდოს და მოიძულოს ბირველ ამის ყოვლისა თვისნი ჯორცნი და შიშულად და უზრუნველად და სიმძნით შეუდგეს ქრისტესა (გვ. 36).

16. ეშმაკნი შემდგომად გამოსლვისა ჩუენისა სოფლით დაგუარწმუნებენ მოწყალეთა და ღმობიერთა ერისაგანთა ნატრად და თავთა ჩუენთა ბრალობად.. რათა სიმდაბლითა მით ამოაფთა და არა-ქემმარტითა ანუ სოფლადვე მიგუაქციენენ ანუ, დაღაცათუ მონაზონებასა შინა ვიყენეთ, სასოწარკუეთილებასა შთავუყარენს...

13,3 სოფელი| სოფლიო ADG. 14,3 დღეს—E. 14,4 წარმღებელსა C. 16,1 ირწმუნებენ CGU.

\*17. შეჰკრავს სოფელი და იმონებს სრულიად  
უგუნურებით მოყუარეთა მისთადა;  
ხოლო რომელსა სულითნი აღეხილნენ  
თუალნი, გონებით თანა-შემწენი მისნი,  
იგი — ამისგან ქმნილთა ზესთა ყოვლითურთ.

\*18. სოფლად განსლვა და მსოფლიოთ თანა ქცევა  
ყოვლად უცხო არს მონაზონთა წესისა,  
რამეთუ მუნვე მიქცევად აიძულებს  
წარმაველისა სოფლისა ჩუეულება.  
ამად შეიტბე უდაბნო, მოლუაწეო!

19. რომელთა ჰნებაეს სურვილით მოსწრაფება,  
კაბუცისა მის ისმინოს, რაჲ ჰრქუა ქრისტე,  
თუ ვითარ ძნელ არს მსოფლიოთა საქმეთა  
შემსჭულულთაგან სულისა გზათა ძებნა  
და ორთა ერთგან მონება წინა-მეწყუთა.

20. უყუეთუ არა მოიძულნე ყოველნი,  
თვსნიცა შენნი, მონაგებნი სრულიად,  
ვერ ძალ-გიც ქრისტეს მცნებათა აღსრულებად,  
ვინაჲთგან შენსა სხუათათეს გამცნებს იგი  
და მეორისა მიბყრობასა გარწმუნებს.

21. არარაი არს სოფელსა შინა მტკიცე,  
ყოველივე მსწრაფლ წარმავალ არს სრულიად:  
არცა სიმდიდრე, არცა სიგლახაკე და  
არცა დიდება! — აჩრდილი და სიზმარი,  
მოიძულე შენ ყოველი, მონაზონო!

10. ვისმინოთ, რასა ეტყვს უფალი კაბუცსა მას, რომელი ეტყოდა ყოველთა ცნე-  
ბათა დამარხვასა, ვითარმედ: „ერთილა გაკლს, რათა განვიდო ყოველი მონაგები შენი  
და მისცე გლახაკთა, და გლახაკ იქმენ და მიიღებდე სხუათაგან ქველის საქმესა“ (გვ.  
37). შდრ.: მათე 19, 20—21.

17,4 მისნი] მათნი B. 17,5 ზესთა] ზაკეთ AD; ზესთა ქმნილთა BE; ყოვლადვე  
B. 18,1 სოფლით გამოსლვა CDEU; და—CDE. 19,1 მოსწრაფება] მოლუაწება E.  
19,4 გზისა BG, გზასა CK. 19,5 ორთვე E; -მეწყუთა] -მეტყუელთა AD. 20,5 გარწ-  
მუნებს] გასწავებს B. 21,5 მოიძულენ E.

შცეოებინათკს.

\*22. უცხოება არს: ბუნებითა მშობელთა  
 ცხადი გაყრა და ისრე სოფლით განვლტოლა,  
 ხოლო მაღალთა სრულთა საზომთა მისლვა,  
 ოჯგრომსლა მჭართა აღება ჭუარისა და  
 ესრეთ შედგომა თვს-თვსად ქრისტესი აწ.

\*23. უცხოებისა გუარი კეთილ არს ესე, †  
 რაჟამს ხედვითი უცხო ჰყო ყოველთაგან,  
 ხოლო საქმითი ლოცვით მარტოდ ფრთოვან ჰყო  
 და სხუთა ყოვლთა ძალთა გონიერთა და  
 ცხოველობითა მარტო უძღუანო ღმერთსა.

24. კადნიერთაგან განშორება კეთილ არს †  
 შენდა მოსრულთა გულის-სიტყუათა ცხადად  
 და უცნაური მეცნიერება — წმიდა,  
 ხოლო ცხოვრება დაფარული — კეთილი  
 და ღუმლისა უფსკრული — განუცდელი.

25. სოფლით განსრულსა უცხოებით მავალსა  
 ცეცხლებრ აღეგზნის სიყუარული მშობელთა,  
 ხოლო ცეცხლისა გეენიისა შიში  
 დაჭურეტს მისსა მას შემწუფელსა გონებასა  
 და სიყუარულსა სიყუარულითა სდეგნის.

† 24. უცხოება ესე არს: განშორება კადნიერთაგან, სიბრძნე უცნაური, მეცნიერება  
 გამოუცხადებელი, ცხოვრება დაფარული..., უფსკრული ღუმლისა.

25. ესეცა გულის-სიტყუა, რომელ არს თვსთაგან განშორება მრავალ-გზის დასა-  
 ბამსა ცეცხლითა მით ღმრთისა მიერთა, ტრფიალთა ღმრთისათა ძლიერად აიძულებნ  
 სურვილისათკს კირთა და მწუხარებათა....

22,2 ისრე] ისწრაფე CU, ასრე E. 22,3 საზომსა ADE. 22,5 თვის-თვისი BCEGU.  
 23,3 მარტო DE; ჰყის B. 23,4 უძღუანოს B. 24,4 კეთილი და ფარული AD; კეთი-  
 ლი] კეთილ არს E. 25,1 განსრულთა EU; უცხოებად D; მავალთა EK.

26. უცხო ღმრთისათვის საყუარელ და კეთილ არს,  
ხოლო ყოველი უცხოება — არ-კეთილ,  
ვინაჲთგან ესე თვისებით არღ იქცევის  
ფილოსოფოსთა სქესებრიეთა წესითა.  
ამად ეკრძაღე უცხოებასა, კაცო!

27. რაეამს სხუათაგან უცხო-ჰყო შენ გონება, -/   
მაშინღა ღმერთსა მიეახლები, ბრძენო,  
რამეთუ მყოფი მისსა შორის გონება  
განმრავლებულსა ეერ თავს-იდებს ხედვასა,  
არამედ უცხო ყოველთაგან უგალობს.

• (28) უცხოებად რაჲ განხვიდოდე, ნუ ელი ✕  
სოფლისა სქესთა მიყოლილსა სულეებსა,  
რამეთუ იგი მპარავი უცნაურ არს,  
რომელი სულსა სხეულთაგან წარიყვანს  
და, სადა ერთი დამსქუალულ არს, მუნ მიჰყავს.

29. შეურაცხება მონაგებთა კეთილ არს —  
და უცხოება — რომლისაგან იშუების,  
რომლისათვისცა ნათელი რაჲ ბრწყინვიდეს, ?  
მაშინ რბიოდე მოღუაწებისა გზასა  
და არ შეგებრკუმას სოფლისა სიბნელემან.

26. არა თუ ყოველი უცხოება კეთილ არს (გვ. 44).

26. ნუ ელი, გან-რაჲ-ხედოდე მონაზონებად, გინა უცხოებად, სოფლისა მოყუ-  
რეთა სულთა, რამეთუ მპარავი იგი, რომელ არს სიყუდილი, სულ-მოკლე არს და არა-  
მადროებელი....

29. კეთილ არს შეურაცხება მონაგებთა, ხოლო მისი ღელა უცხოება არს (გვ. 45).

---

26,1 უცხოება ღმრთის (ღმრთისა) AD. 26,3 თვისებით—C. 26,4 წესითა] ქცევითა  
BCGKU. 28,2 სოფლისა სქესთა] სოფლის საქმეთა ACDE; 28,3 რომელი] რამეთუ  
BCU. 28 ,5 მიჰყავს] მივალს E. 29,5 შეგებრკუმეს EU.

30. განყოფილ შვილთა მამა-დედათაგან და ძმათა—ძმთაგან მოვიდა ღმრთისა სიტყუა, რაჟთამცა ამით უცხოება მოიგო და მითა ერთსა ნამდკლ-მყოფისა გზასა შესლეა დაიწყო ერთებრივად საყოფად.

\*31. რაჟამს გნატრიდენ უცხოებად განსრულსა და გულის-სიტყუას აღაშფოთებდენ შენსას, მაშინ ქუეყანად ზეცით მოსრული იგი მოიქსენე და დამდაბლდი გონებითა, ჰოჲ მოღუაწეო, განსრულო მტერთა წყობად.

#### IV

#### სიზმარტატუს

\*32. სრულთა ჩუენება რომელთათვს იქმნების, იგი მარტივთა თვსთა ხედვათათვს არს, ზესთა წმიდისა აღტაცებით სულისა მობერვითა და თვნიერ ჳორციელის ამის ოთხისა საკრველისა ზესთა ქმნით.

33. სოფლით განსრულთა უცხოთა მოღუაწეთა სიზმარნი ბრძენან. მით ესე შეუღგინე, ვინაჟთგან მტერი, სულთა ჩუენთა ეშმაკი, ოცნებათაგან ღამისათა აშფოთებს, რათა სოფლადვე მიქცევითა განკიცხნენ.

30. იტყვს უფალი, ვითარმედ: „არა მოვედ ქუეყანად მოფენად მშკდობისა მამა-დედათა შვილთა მიმართ და ძმათა ძმათა მიმართ, რომელთა ენებოს მონება ჩემი, არამედ მტერობა და მახკლი განყოფად ღმრთის მოყუარეთა სოფლის მოყუარეთაგან, ნიეთიერთა—უნიეთთაგან“... (გვ. 48—49). შდრ.: მათე 10, 34—35.

31. შემდგომად უცხოებად განსლეისა სიზმარნი გუებრძეიან. ამისათვს ვინებე უცხოებისა თავსა თანა მცირელი სიზმართათვსცა თქუმაღ (გვ. 51).

---

30,2 ძმათა] ძმასა ABCDGPU, ძმისა E; ღმერთი A; 30,3 რათა ამითა ABCDK. 31,1 განსრულსა] განსლეასა C; 31,2 -სიტყუასა აშფოთებდენ AE (ღარღვეულია ცა-ზურა); ამოთზდენ D, აღაშფოთებენ BC, აღაშფოთებდეს U; შენსა ABCDE. 32,5 საკრველისა] საკრველისა G.

34. გონების აღძრვად ჯორცთა უძრაობასა შინა იტყვან ბუნებისა-მეტყუელნი, ოცნებად — თუალთა ჯორცთა ცთომილებასა, რაჟემს გონება, ვითარ მძინარე, იყოს მისთა საგონთა მირიდებით სრულიად.

\*35. სამნი საქმენი სიზმართა გუაუწყებენ: პირველი იგი წმიდათა არს უწყება, ხოლო მეორე ეშმაკთა არს ბოროტი და მესამე არს ნაქსოვნი — ღლისისათა საქმეთა ქსოვნა, რაჟცა შეკმთხუეოდეს ვის.

36. სიზმართ რომელი ირწმუნებდეს, მსგავსი არს -j- კაცსა თვისსა აჩრდილისა მღვენელსა, ვითარმცა მისი შეპყრობა მონდომოდა და უარსოსა საქმესა ეძიებდა. ამაღ განიფრთხვე, მეგობარო, ნუ გძინავს!

37. ყოფადი ყოვლად ეშმაკთა არ უწყიან, რამეთუ: ანუ ტყუოლიან მათებრად, ანუ მალვითი წამ-ყოფით ეცინის რაჟ. იგინი ძილსა შინა მიუთხროიან მას, რათა არწმუნოს მომავალთა მცნობლობა.

34. სიზმარი არს აღძრეა გონებისა უძრაობასა შინა ჯორცთასა. ოცნება არს ცთომილება თუალთა მძინარესა გონებასა შინა...

35. რომელი სიზმართა ირწმუნებდეს, მსგავს არს იგი კაცსა მას, რომელი აჩრდილსა თვისსა სდევდეს და ენებოს შეპყრობა მისი.

37. ეშმაკნი ცუდად ღილებიანი ძილსა შინა წინაჟსწარ-მეტყუელ იქმნიან, რამეთუ მომავალთა საქმეთა გუახარებდიან, არამედ მომავალთაგანი არარაჟ უწყინ, გარნა თუ ტყუოლინ, ანუ თუ იქმნის საქმე იგი და სხვთა რაჟთმე ეცინის... და მოვილიან და მსწრაფლ გუთხრობდიან (გვ. 52).

34,3 ჯორცთა—CKU; ჯორცთა ცთომილებასა] ცთომილებასა ხოლო BG. 35,1 სიზმარსა BCGK; გაუწყებენ DEU; 35,4 ნაქსოვანი ღლისისა B; 35,5 შემთხუეოდენ BDEU, შეემთხუეოდენ C. 36,1 მსგავს არის DU. 36,2 მღვენელსა] მღვეარსა B; 36,3 ვითარმცა D; მონდომოდა E. 37,2 ტყუოლიან] თუ ტყუოლინ A, თუ იტყუოლინ D; 37,3 მალვითი] მავალთა BCDU, მალვათა GK; წამის-ყოფით ეცინის BDEGU.

38. სული არს იგი, ჰაერთა შინა ფრინავს  
და იხილის ვინ მკუდარი, აღსრულებული,  
მივალნ და უთხრობნ, ვითარცა უმყოფოსა,  
რათა რაჲ ესმას, მაშინ მისად ეგონოს  
მცნობელობად და ამითა მოაცთუნოს.

39. ყოვლად არარაჲ მომავალი იციან  
თუარა გრძნეულნი სიკუდილისამცა უთხრობდეს  
და წინაჲსწარი ღიღება მათი იყო,  
ვინაჲთგან ცუდთა მოაგონებნ საქმეთა  
და ჰაზრთა რათმე ბნელთა და უმეცართა.

40. სიზმართ არ-მრწმენი გონებითა განბრძნდების, f  
ვინაჲთგან ღმრთისა განგებასა აღუჭურეტს  
და ნივთთა ქსეასა თორმეტთა ზედაჲთ ჰხედავს  
გონებითითა საცნაურით ხედვითა  
და უმყოფოსა არ უჭურეტს, ბნელსა ამას.

41. 41. სატანჯველთა და სასჯელისა მჩუენებნი ←  
ესენი შენდა სარწმუნო მარად იყვენენ,  
ხოლო წარკუეთა სასოების თუ იყოს,  
ესე გონებით, ბრძენო, იგულისგმაე  
და ეშმაკთავე საქმითა განიგონე.

38. სული არს იგი, და შინაგან ჰაერისა ამის ქმნილნი საქმენი იხილნის და სცნის  
სიკუდილი მომკუდრისა მის და მივიდის და უთხრობნ უკუენურთა და გამოჩნდის მათ  
თანა წინაჲსწარ-მეტყუელად.

39. არა რაჲ მომავალთა საქმეთაგანი იციან წინაჲსწარ-მცნობელობით, თუ არა  
გრძნეულნი წინაჲსწარმცა სიკუდილისა თბრობად შემძლებელ იყვენეს...

40. რომელი სიზმართა ირწმუნებდეს, ყოვლითურთ გამოუცდელ არს, ხოლო  
რომელი ურწმუნო იყოს მათდა ყოვლადვე, იგი ყოვლად ბრძენ არს.

41. ყოველთავე რომელნი სასჯელსა და სატანჯველსა გიჩუენებდეს, მათი გრწმენეს;  
ხოლო უკუეთუ სასოწარკუეთილობა გბრძავს, იგიცა ეშმაკთა მიერ არს (გვ. 53).

---

38,1 აერთა C. 39,3 მათი ღიღება CDEU; იყოს U. 40,3 ათორმეტთა ზელ D. 41,3  
სასოების თუ ] სასოებისა DEU; 41,5 საქმისად AD.



მორჩილები ისათჳს ეს

\*42. მორჩილი მიხუალ აქამთ დიდსა სოფელსა,  
 ორ-მრჩობლათ, მერმე თვთ-მყოფსა მარადისსა,  
 რჩეულსა კპოვებ, სულთა საყოფსა ტკბილსა,  
 ჩემსაცა იღუწი, ესეჲარს შენდა კეთილ.  
 იწყე, მიგელის სხუა, ზესთა მონაზონო!

43. მორჩილება არს დავიწყება თავისა †  
 და მოკუდინება ასოთა, გონებითა †  
 ცხოვრება სრული, სიკუდილისა არ-შიში,  
 აქამთ განსლვისა სურვილი, საწადელი,  
 ვინამთგან ქრისტე მის შორის მკვდრ არს მადლით.

44. მორჩილება არს მოკუდინება ნებათა †  
 და უარ-ყოფა წადილისა სრულიად,  
 ვინამთგან იგი თჳს შორის ცხოვლობს არ ოდეს,  
 არამედ მუნ არს ქრისტესდა გონებითა  
 და ერთსა ჰხედავს—დაუესოსა ნათელსა.

45. გულსა მოძღურისა განკითხეა თუ მიგიწდეს,  
 სიძვისაგან ვით, ესრეთ იელტოდე მისგან;  
 ნუ სცემ ყოვლადვე ადგილსა ვნებასა მას,  
 რამეთუ შენი მსაჯული არს მოძღუარი  
 და განმკითხველი, თუალ-უხუავე მართალი.

48. მორჩილება არს უარის-ყოფა სულისა თჳსისა... მორჩილება არს მოკუდინება  
 მსოთა გონებითა ცხოველითა.

44. მორჩილება საფლავი არს ნებისა... (გვ. 57).

46. რაჲამს მოვიწდეს გულის-სიტყუა განკითხვად მოძღურისა, ვითარცა სიძვისა-  
 გან, იელტოდე მისგან, და ნუ სცემ ყოვლადვე ადგილსა გუელსა მას... იგი (= ქრისტე,  
 ი. ლ.) ჩემდა არს მსაჯული...

42,3 რჩეულთა D. 43,2 გონებისა BEG, გონებათა D. 43,3 არს შიში CU. 45,1  
 გულსა] სულსა D; 45,3 მას ვნებასა E.

46. საჭურველად თქუეს მარხვა წმიდათა მამათ  
და ლოცვა—ზღუდედ, ხოლო წმიდანი იგი  
ცრემლნი—გულისა საბანელად, მწმედელად,  
და მორჩილება წამებად გკჳადაგეს,  
ვინაჲთგან იგი ქრისტესა წარადგინებს.

\* 47. ანგელოსთა არს ყოვლად მიუდრეკლობა,  
ხოლო კაცთა არს აღდგომა დაცემულთა,  
რაოდენ გზისცა მოიწიოს, ამისთვის  
რამეთუ რჩეულ ნიჳ — კაცთა სინანული;  
ხოლო დაცემა ეშმაკთა — არ-აღდგომა.

\* 48. ამას მორჩილი ზესთა ექმნა სრულიად,  
რამეთუ ხედვით არს მისი მოღუაწება;  
ვინაჲთგან თავი თვისი ნივთთაგან განჰყო  
და ნივთიერსა ორობასა სრულად სძლო  
და მიემთხვა წამებასა უმტკივრად.

\* 49. „არა მოკუდების მორჩილიო ყოვლადვე“ — —  
გესმის, აკაკი რაჲ ჰრქუა მკუდარმან მოძღუარსა?  
რამეთუ ღმრთისად მარადის ცხოვლობს იგი  
და ზესთა ჰქმნია სოფელსა წარმავალსა.  
ესე შეიტკბე, მონაზონო, იღუაწე!

48. წმიდათა მამათა მარხვა თქუეს საჭურველად, და ლოცვა—ზღუდედ და უბი-  
წონი იგი ცრემლნი — საბანელად, ხოლო სანატრელი მორჩილება წამებად ჰადაგეს  
(გვ. 59).

\* 47. ანგელოსთა არს ყოვლადვე არა დაცემა, ხოლო კაცთა არს დაცემა და მეყსე-  
ულად აღდგომა, რადენ გზისცა მოიწიოს; ხოლო ეშმაკთა არს შემდგომად დაცემისა  
ყოვლადვე არა-აღდგომა (გვ. 73).

49. ჳმა უყო [აკაკი საფლავითგან, — ი. ლ.] ბერსა მას და ჰრქუა: „ეთიარ შესაძლე-  
ბელ არს, მამაო, სიკუდილი მორჩილისა?!...“ (გვ. 97).

46,1 წმიდათ მამათა E; 46,4 ჰჳადაგეს ADU, ჰადაგეს C; 46,5 ქრისტესდად D;  
47,1 ანგელოსი BGU; 47,5 არს აღდგომა BEGKU.

\*50. რაჟამს სიტყუანი კდემისანი გესმოდენ  
 ანუ ტანჯვანი მოიწივნენ, მორჩილო,  
 მოიჯსენე შენ პეტრე და იოანე,  
 თუ ვითარ ღირს-ქმნა უხაროდათ ტანჯვათა  
 სახელისათვის იესუ ქრისტესისა.

\*51. სულსა რომელსა აღსარება თან ედვას,  
 ეს გულის-სიტყუა აღვრ იქმნას ცოდვისად,  
 ✎ ხოლო რომელსა აღსარება არ უნდეს,  
 უშიშრად, ვითარ ბნელსა შინა, სცოდავს იგი.  
 ამად ხანა-აც მორჩილსა დღითი-დღედი.

## VI

### სინანულისათვის ესე არისჲ

\*52. სინანული — ძალ სულსა ზედვათაებრ,  
 იგ უბიწოი, ესე რჩეული ნიქი,  
 ნათესავთათვის სრულიად კაცთა არის,  
 არა სხვსაა. ესრეთ ვითარ თუ ჰხედავ,  
 ნუ ხარ, მიართვ აწ ცნობა, აღიხედე!

\* 53. ნათლის-ღებასა სინანული ახალ-ჰყოფს,  
 ღმრთისათვის აღსთქუამს ახალსა ცხოვრებასა,  
 მოიყიდის იგ მცირითა სავაქროდათა  
 დაუღეევარსა მართალთა საშუებელსა!  
 განემზადე შენ, მონანულო, კეთილად!

• 53. სინანული განმახლებელი არს ნათლის-ღებისა, სინანული აღთქმა არს ღმრთისა მიმართ ახლისა ცხოვრებისა.

50,4 უხაროდა EU. 51,1 ადვანს E. 51,2 ექმნას (-ების D, -ეს E) ცოდვას ADE. 52,2 იგი უბიწოი ი AU; 52,4 თუ ვითარ CU. 53,3 იგ მოიყიდის B; 53,4 დაუღეევარსა] დაუღევენელსა C.

\* 54. სასოებისა არა წარკუთვთა კეთილ, -  
ენწათგან ესე განეკუთნვის მონანულს  
და უფროჲს ყოვლთა კაცთა ესე აქუს ნიჰად,  
სიკუდილი რათგან განმკუთვთელად ცოდვისად  
თქუეს წმიდათა და კაცთ-მოყუარების ნიშნად.

55 სინანული სჯის თავსა თვისა მოსწრაფედ,  
სინანული სწმედს სკნიდისსა მხილებით,  
სინანული არს გზა ღმრთისა დაგებისა -  
და მიმყვანელი კართა სამოთხისათა.  
-შედი, მართალო, აღარ დაგეგშვის კარი.

\*56. გულის-თქმამან თუ გარდაუქციოს გზისგან,  
და ნაცვლის-გებით გულის-წყრომამან სცოდოს  
და გონებამან მარტივთა ხედვათა წილ  
ესე ირჩიოს—გრძნობითი, მრუმე, ბნელი;  
მას სინანული ახალ-ჰყოფს მოქცევითა.

57. მონანულისა მუცელი მომყმარ არს და —  
სასა წყურვილსა განუტმია მარადის;  
კორცთა სიშიშულე მას თანა-აც თვსებით.  
მისცემს მოქენეთ, არას მიიღებს მათსა;  
მისი სხუათა არს, სხუათა—მისი ყოველ არა.

54. სინანული ასული არს სათნოებისა და უარის-ყოფად სასოწარკუთუთილობისაჲ.

55. სინანული დასჯა არს თავისა თვისისა ურცხუენელი... სინანული დაგება არს  
ღმრთისა მიმართ შესწორებულად ცოდვთაჲსა ქმნითა სიმართლისაჲთა. სინანული  
განწმედა არს სკნიდისისა (გვ. 106).

57. სინანული არს მოყმობა მუცლისა თვისისა ძლიერად (გვ. 107).

---

54,5 ნიშნად] ნიჰად BEG, ნიშად D. 55,2 ეს ტაეპი D-ში წერია ორჯერ. 55,5  
კარი] პირსა CDU. 57,1 მუცელი—D.

\*58. მონანულისა სიმდაბლე სხუებრ იხილე  
და ცოდვას შინა მყოფთაცა განიცადე,  
ხოლო მაღალსა სიყუარულსა ღმრთისასა,  
სანატრელსა მას მოსრულსა სიმდაბლესა  
შეესაკუთრე, იგი გაქუნდეს მარადის.

59. წყლული ახალი ადვილ საკურნებელ არს, †  
ხოლო ძუელ-ქმნილი, უდებებად მოსრული,  
წამალთა დიდთა ჳელოვანთა მკურნალთა  
მოქენე არს; და ესრეთ ხედვა ხან-გრძელი  
მოჰკლავს სულისა სიწმიდესა კეთილსა.

60. მცირეთათვისცა ცთომათათვის ნუ ისმენ †  
გულის-სიტყუასა შენდამი მოსრულთასა;  
ნეტარმცა დიდნი არა გექმნეს ესე რაჲ,  
მისივე სწორი სათნოება მიუჰყარ;  
მცირედი ძღუენი დიდსა აცხრობს რისხვასა.

61. სვნიდისისა დაცხრომასა ეკრძაღე, †  
ნუთუ მოწყენა იყოს. დაცხრომა იგი  
დაეთრგუნოს რაჲ, წარგეოტოს მხილება  
და სინანული, ცოდვისა წარმდევნელი,  
უქმად შენ შორის დაჯსნილობით მყოფობდეს.

59. წყლულება ვიდრეა ახალ იყოს. ადვილ არს საკურნებელად, ხოლო დაძუელე-  
ბულნი და უდებ-ყოფილნი ძნიად საკურნებელ არიან, და ფრიადი შრომაჲ და მახკ-  
ლი წამალი და დაწეაჲ უქმს მათ ამას საწუთოსაჲე (გვ. 121).

60. ნუ ისმენ მისსა, რომელი გეტყოდის მცირეთა ცთომათა ზედა, ვითარმედ ნე-  
ტარ თუმცა იგი რაჲმე არა დიდ გექმნა; თუ არა ესე არარაჲ არს, რამეთუ მრავალ-  
გზის მცირემან ძღუენმან დიდი გულის-წყრომა მსაქულისა დააცხვრის.

61. ეკრძაღნეთ, ძმანო, ნუ უყუე არა სიწმიდისაგან დაცხრომილ არს სვნიდისი,  
არამედ მხილებისგან მოწყენა და ამისთვის არლარა გუამხილებს (გვ. 122).

---

58,2 მყოფთაგან C. 58,3 ხოლო მაღლისა სიყუარულისა ღმრთისა B; სიყუარულისა  
ღმრთისა AD. 60,2 -სიტყუათა ADE. 61,2 ნუთუ| ნუ სდუმ CGKU, ნუ საღ B. 61,3  
დაგეთრგუნოს B.

ჯსენაბისათჳს სიკუდილისა

\*62. ჳსენება ესე თჳთ იყოს შენდა მარად,  
 სიკუდილისა ჳბოებ, სულისა ჳორკთ განმყრელი.  
 ეჳა, განმგები სოფლისა სხუასა მიხუალ,  
 ნათლისა მალლის, იმის დიდის შემტკობი  
 ესრეთ წმიდათა კუალსა ნავთ-საყუდელსა.

63. მოგონებისა წინამძღუარი სიტყუა არს —  
 და სულიერის გლოვისა — სიკუდილისა  
 მარად შენ შორის ჳსენება, მოღუაწუო,  
 რამეთუ განსწმედს გონებასა მხედველსა —  
 და სიმართლეთათ იგავთა აღიყვანებს.

• \*64. სიკუდილი ორად განიყოფის, იხედე: ✕  
 ერთად — ბუნებით ყოველთა კაცთად ესე,  
 ხოლო მეორედ — საქმეთაგან სიკუდილად  
 ჳორციელებრთა სულისა განშორებით.  
 ფილოსოფობა არს წუერთა ამისი მარად. —  
 ✕

• (65) სიკუდილისაგან შიში. თანა-მდებია, ✕  
 ვინაფთგან ჳრისტეს ბუნებითნი ყოველნი  
 → უგიობელნი ვნებანი სრულად აჳუნდეს,  
 ხოლო ძრწოლისა შიში უნანელთათჳს  
 ცოდვათაგან არს. დაჳკვრდი ამას, ბრძენო!

83. ყოვლისა სიტყჳსა წინამძღუარი არს მოგონება. და ყოვლისა ტირილისა და  
 გლოვისა წინამძღუარი არს ჳსენება სიკუდილისა...

• 85. შიში სიკუდილისა არს საქმე ბუნებითი ურჩებისაგან მოწვეული; ხოლო  
 ძრწოლა სიკუდილისაგან სახე არს შეუნანებელთა ცოდვათა.

62,1 შენდა—D, შენთჳს ABCGK. 62,2 განმყრელი] განყოფელი ADE. 62,3  
 სხვისა CDU. 62,4 შემტკობი] შემტრფობი BCGKU. 63,3 ჳსენება ] ჳსსონაჳ B.  
 64,4 სულის განშორებითა E. 64,5 ამის (-ი) მარადის ACDEU. 65,1 თანამდებიარს E.  
 65,5 ცოდვათათჳს D.

66. სიკუდილისაგან შეეშინა ქრისტესა, —  
 ხოლო არავე შეძრწუნდა, რათამც მრჩობლთა —  
 ბუნებათა მათ თვითება საცნაურ ჰყო, —  
 და ერთი პირი ორთა შინა ნებათა  
 და საქმეთაცა გკჩუენოს უსხუაგუამოდ.

67. სიკუდილისა წურთა ერსა შორის მყოფთაგან  
 მოღუაწებისა შრომათ შობს საკვრეულად, —  
 ხოლო მარტოთა — ტყვილსა გულისასა  
 და გლოვასა მას სანატრელსა და ტკბილსა.  
 მარტოდ მცხოვნებო, სულთ-ითქუემდ და ტიროდე!

\* 68. მოელოდის ვინ სიკუდილსა სამარადოდ, †  
 იგი სრულიად გამოცდილ არს ყოვლითურთ,  
 ნება გულისა დაუტევებიეს მას  
 და ყოველთაგან მსოფლიოთა ზესთა არს  
 გაჩეგან ქმნითა ბუნებისაჲთა ყოველად.

\* 69. არცა ყოველი შიში კეთილ არს. ბრძენო, —  
 რამეთუ ღირსად მოწამეთა განაგდეს,  
 დაუტევენს რაჲ გემოთა საშუებელნი,  
 და ერთობითი გალობა უგალობეს,  
 ნაკუერცხალი რაჲ საღმრთო აღედუა გულსა.

86. შეეშინა ქრისტესა სიკუდილსაგან, გარნა არა შეძრწუნდა, რათა ორთავე ბუნებათა თვითებანი გამოაჩინეს....

87. ქსენება სიკუდილისა ერსა შორის მყოფთა თანა ჰშობს შრომათა და მოღუაწებთა და შეურაცხებისა თაქს-დებასა: ხოლო მარტოდ მყოფთა თანა — ტყვილსა გულისასა (გვ. 126).

88. რომელი მარად-დღე სიკუდილსა მოელოდეს, იგი ქეშმარიტად გამოცდილი არს (გვ. 127).

66,2 რათა ABCDEU. 66,3 ყოს B, ჰყოს ACDEU. 66,5 უსხუაგემოდ U. 67,2 შრომას B. 67,3 მარტოთა| მარტივთა C. 67,5 მცხოვრებო C. 68,4 ყოველთავე ADU; სოფლითაგან ADU. 68,5 ქმნათა AD. 69,1 კეთილ] კრძალულ BCGKU. 69,5 აღედუათ B.

- 70. უღმობელობა გულსა განაფიცებს და  
კამადთ სიმრავლე ცრემლთა განაწმობს წყაროს,  
ხოლო წყურვილი სულსა შეაიწრებს და  
ორთავე ამათ ქსენება სიკუდილისა  
უზესთავდების. გაქუნდინ შენ, მონანულო!

- 71. მრავალ არიან მოღუაწეთა საქმენი:  
სიყუარული და ქსენება ღმრთისა ხედვით,  
ზეცისა ძალთა ქსენება, მოწამეთაც,  
სიკუდილისა და ქსენება სატანჯველთა.  
ზესთაფთა ვიწყე, უცთომთ ზედ დავასრულე.

## VIII

### გლოვისათჳს

- \*72. იგლოვდ საწუთოს უკლთა ათასეულთა  
ოჯფროფსლა, რათა მერვეს განისუენო შენ,  
ვინაჲ ამითა საუკუნოს მოიგებ,  
არსთა ზესთასა ხედვა-საუკუდაოსა,  
ნებსით მწმედელი სულისა თუალთა მარად.

70. უღმობელობამან გულისამან განაფიცების გონება, ხოლო სიმრავლემან კამად-  
ლთამან განაწმინის ცრემლთა წყარონი. წყურვილმან და მღკაარებამან შეაიწრინ გული  
(გვ. 128).

• 71. მრავალნი არიან მოღუაწეთა გონებისა საქმენი, ვითარ: სიყუარული ღმრთისა,  
ქსენება ღმრთისა, ქსენება სასუფეველისა, ქსენება შურისა წმიდათა, მოწამეთაჲსა,  
ქსენება ხედვისა ღმრთისა..., ქსენება წმიდათა მათ და უხილავთა ძალთა, ქსენება  
სიკუდილისა შემთხუევისა ღმრთისა, სატანჯველისა და მერმისა მის განჩინებისა.  
ღიღლა საზომთაგან ვიწყეთ, ხოლო უცთომელთა და დაუცემელთა ზედა დავასრულეთ  
(გვ. 128—129).

71,5 ზეშთათა AB, ზეშთ(ა) თვით CU. 71,5 ადვასრულე D. 72,4 არსთა B;  
საუკუდაოსა] საუკუნოსა BE.



• 73. მგლოვარება არს მკმუნვარება სულისა, —  
ქსენება მისგან სატყეოართა საქმეთა,  
ყოველსა ჟამსა სურვილი ტრფილისად,  
გოდებით ჯმობა, კუნესით გულისაჲთ სულ-თქემა,  
სკნიდისისა ტანჯვა დაუცხრომელი;

74. დეზი არ ესე ოქროსა კეშმარიტი,  
მარადის მწერტი სულისა უტომელი,  
ყოვლისაგანვე შიშული მსოფლიოსა,  
განსუენებისა ჯორტაჲსა კიდევანი,  
ოდენ ხედვისა სიყუარულით შუებული.

• 75. ამან დაუცვა დაე ითს მადლი სულისა, ✕  
ვინაჲთგან ჰამად დაეიწყდა მას პური;  
ობრვა და სულთქემა ჯორცსა ძუალთა უკმობდა,  
არ სცემდა წამთა ძილსა თუალთა ყოვლადვე.  
ეგრეთვე შენცა იგლოვდი, მონაზონო!

76. ახლად შესრულთა გლოვასა სანატრელსა  
მათი საქმე არს მარხვა და დუმილი,  
წარმართებულსა — არ რისხვა-ძკრის-ქსოვნა,  
ხოლო მას შინა სრულებულთა — სურვილი  
განსაცდელთა და კირთა უნებლიეთთა.

• 78. გლოვა კეშმარიტი საღმრთო ესე არს კმუნვარება სულისა და გული მწუხარე,  
რომელი მარადის იურევენ საქმეთათჳს სატყეოართა და ყოველსა ჟამსა ტრფი-  
ლისა მის მიმართ თვისისა წყურიელ არიან და, რაჟამს ვერ ვწიის, ეძიებნ მას ტყვილითა  
გულისაჲთა და შემდგომად მისსა გოდებით ჯმობნ, კუნესით და სულთქეშით.

74. გლოვა კეშმარიტი დეზი არს ოქროსა, რომელი ყოველსა ჟამსა უწერტნ სულ-  
სა. და იგი განშიშულეებულ არს ყოვლისაგან ამის სოფლისა სიყუარულისა და ჯორციე-  
ლისა ნუგეშინის-ცემისა.

75. გლოვა დაეიწყება არს ბუნებისა, ვითარცა ნეტარსა მას [დაეითს, —. ლ.]  
დაეიწყდა ჰამად პური თესი, რომელიცა ვალობს ამას (გვ. 133).

78. რომელნი ახლად შესრულ იყვნეს გლოვასა ამას შინა სანატრელსა და ეწუოს  
წარმატებად, საქმე მათი არს მარხვა და დუმილი; ხოლო რომელნი წარმატებულ იყვნეს

73,4 სულთქით BCDEU. 74,1 კეშმარიტად CU. 75,3 ძუალსა E. 76,3 -ძკრსა-  
DEU, -ძკრთა- B. 76,4 სრულებათა C; სურვილით D.

77. ცრემლთა წყაროსა უდიდესად იტყვან,  
კადნიერ თუ არს დაღათუ სიტყუა ესე, —  
რამეთუ იგი პირველთა ბრალთა განსწმედს,  
ხოლო ესენი ნათლის-ღების უკუანაჲს  
ქმნილთა განსწმედენ ცოდვათა, მონანულო!

• 78. გლოვა გულისა ტკივილი არს მარადის,  
არა მიდრეკა განცხრომად, შუებად, გემოდ,  
არამედ ოდენ სიკუდილისა გონება  
ყოველს ჟამსა და ნუგეშინის-ცემასა  
ზენაჲთ მოღება საღმრთოჲსაგან მადლისა.

79. მგლოვარეთ თანა მრისხანება თუ იყოს, —  
ამპარტავენება — გუელის ნაშობი იგი, —  
ცრემლნი ცთომილად შევრაცხნეთ მათნი ხოლო;  
სიმდაბლე საღმრთო ვასწაოთ და სიმშვიდე.  
ესრეთ განვაძენოთ, ზენად განვჯაღოთ იგი.

მას შინა, მათი სასწაული არს ურისხელობა და ძკრის-უქსენებლობა; ხოლო რომელ-  
ნი განსრულებულ იყვნეს მას შინა, მათი სასწაული არს სიმდაბლე და წყურვილი სმი-  
სათეს კდემისა და შიმშილი ნებისთ კირთათეს და განსადელთა უნებლიეთთა (გვ.  
134).

77. წყარონი ცრემლთანი უდიდეს ნათლის-ღებისა არიან; შემდგომად ნათლის-  
ღებისა, დაღაცათუ, კადნიერ არს სიტყუა ესე, რამეთუ ნათლის-ღება პირველ ქმნულთა  
ცოდვათა ჩუენთა განსწმედელ არს, ხოლო ცრემლნი შემდგომად ნათლის-ღებისა  
ჩუენისა ქმნულთა ცოდვათა ჩუენთა მომტეეებელ არიან (გვ. 135).

• 78. გლოვა ქეშმარიტი არს ტკივილი გულისა, რათა ყოვლადე არა მიდრეკობდის  
შუებასა და განცხრომასა და გემოთა განსასუენებულთა საკმელთასა, არამედ ოდენ  
ყოველსა ჟამსა სიკუდილსა თესსა ხედვიდეს და ნუგეშინის-ცემასა მას ღმრთისასა (გვ.  
139—140).

78. რაჲჲს ვიხილოთ მგლოვიარეთა თანა მრისხნება და ამპარტავენება, მათნი  
ცრემლნი და გლოვა ცთომილად შევრაცხნეთ (გვ. 140).

80. პერობილთა ყოვლად სიხარული არა არს,  
არც განსუენება შეჯაჭულთა ნიადაგჲ  
ეგრეთვე გულთა მგლოვარეთა ქსენება  
განსუენებისა ამოღსა წუთისა  
ყოვლად არა არს. შორს ამათგან სრულიად!

\* 81. იყავ ვით მეფე გულსა შინა მჯდომარე, --  
სიმდებლისაგან ამალღებული ზენად.  
სიცილს უბრძანე წარსლვად წარვიდეს, ხოლო --  
ერემლთა მათ ტებილთა—მოსლვით მოვიდოდინს --  
ესრეთ ქელ-ჰყოფდი გლოვასა, მონაზონო!

## IX

### ურისხველობისათვის

\*82. ურისხველობა, ვნებათა მომსპობელი,  
რომელთა თანა ესრეთ მარადის იყოს,  
იგი ხედვითა ლოცვათა შემსჭუალულა  
საქმიეთა თანად ორთავე, რათა ამათ  
ხატად დასახონ ბუნებით ერთისათვის.

80. არა არს ავაზაყთა საპერობილესა შინა სიხარული და არცა ქეშმარიტთა  
მონაზონთა დღესასწაული ქვეყანასა ზედა.

81. იყავ ვითარცა მეფე გულსა შინა შენსა მჯდომარე, ამალღებული სიმ-  
დებლისა მიერ და უბრძანებდი ქელმწიფებით სიცილსა მას მწარესა წარსლვად და წარ-  
ვიდეს და ტირილსა მას ტებილსა—მოსლვად და მოვიდეს (გვ. 141).

80,4—5. BCU ნუსხებში ეს ტაეპები გადასმულია (იკითხება ჯერ მეხუთე, მერა  
მეოთხე). 81,2 ზენად] ზეცად BCU; 81,3 წარვიდის DEU. 82,3 შემსჭუალისა D.

\* 83. ურისხველობა არს ძლევა ბუნებისა, ႁ  
უმტკივარობა გინებათა თავს-დებით,  
ყუედრებათ ზედა ქებათა ერთად ყოფა,  
ძაგებისა და ვნებისა მოთმინება,  
არ აღშფოთება, არცა ლაღობა მისთვის.

† 84. დასაბამი არს ამისი მღუმარება •  
გულისა ყოვლად აღუძრველობით, ბრძენო,  
და საშუალი — გულის-სიტყუათ შეკრძალვა  
წულილადითა მით აღძრვითა სულსადათა  
და დასასრული — უშფოთოთ დაწყნარება. —

85. რისხვა არს აღძრვა, სიძულილი ფარული,  
ძკრის-ქხენება უჩინო და გულარძნილი,  
ბოროტის-ყოფა მარისხებელთა მიმართ,  
განმწარებადი ეშმაკებრი საცთური.  
ამას ერიდე: იოტე შენგან სრულად!

\* 86. ნათლითა ვითარ ბნელი უჩინო იქმნის, —  
ეგრეთ რისხვა და გულის-წყრომა განქარდეს,  
→ მონაზონმან რაჲ სიმდაბლით ხედვად იწყოს  
ერთებრივსა მას ულამოსა ნათელსა  
და ესე სცვალის აჩრდილი საუკუნოდ.

83. ურისხველობა არს ძლევა ბუნებისა და უტკივარობა გინებათათვის მოგებული  
შრავლითა ოფლითა და მოღუაწებითა ფრიალითა. სიმშვდე არს წესი აღუძრველი  
სულისა, რომელი გინებათა ზედა და ქებათა არიან ერთად.

84. დასაბამი ურისხველობისა არს დუმილი ბაგეთა, გულითა აღუძრველითა და  
საშუალო არს დადუმება გულის-სიტყუათა წულილადითა აღძრვითა სულსადათა, ხო-  
ლო აღსასრული არს უშფოთებელი დაწყნარება ბერვასა შინა ქართა არა-წმიდათასა.

85. რისხვა აღძრვა არს სიძულილისა ფარულისა და ძკრის-ქხენებისა უჩინოჲსა.  
გულის-წყრომა გულის-თქუმა არს ბოროტის-ყოფისათვის მარისხებელთა მიმართ  
მისთა (გვ. 152).

86. ვითარცა იგი გამოჩინებითა ნათლისადათა უჩინო იქმნების ბნელი, ეგრეთვე  
გამოჩინებითა სამდაბლისადათა ყოველი შფოთი და გულის-წყრომა უჩინო იქმნების (გვ.  
153).

84,3 -სიტყუეთ C. 85,4 განმწარებადი ეშმაკებრი საცთური] განმწარება და იოტე  
შენგან სრულიად C. 86,1 იქმნას D. 85,3 ხედვა D.

87. კაცი მრისხანე ნებსით განცოფებულ არს, ჩუეულებათა მისთაგან იმძლავრების. ამას სიმდაბლე უშფოთველი და მყუდრო თუ შეაუღლო, მოჰკუეთს ესე მისსა მას წარმდებსა, ცუდსა, რისხვისა თან-შექსვასა.

88. მშვდისა სრული მოღუაწება ესე არს: † მაწუხებელი მისი ახლოს რაჲ იყოს, მყუდროებით და ურისხველად მყოფობდეს, არა მოაკლოს სიყუარული სამისო და არცა გული განიდრიკოს ყოვლადვე.

89. დამაყენებელ მოსღვისაგან სულისა ზესთა წმიდისა ვითარ გულის-წყრომა და ნაცვლის მიცემა მარისხებელთა მიმართ არარაჲ არს და ესე დადევს წმიდათა საზღურად, რაჲ დათმნეს შემთხუეულნი მძლავრთაგან.

90. ურისხველობის დასაბამი ესე არს — ყუედრებისა და მოთმინება კდემისა, და საშუალი — წუხილისა ოტება; ხოლო დასასრულ — იპოოს თუ სადამე, რათა გინება შერაცხოს ქებად კაცმან.

87. კაცი მრისხანე ნებსით თქსით განცოფებულ არს, რამეთუ ძლეულ არს ჩუეულებათაგან პირველთა და თვნიერ ცნობისა ბორჯს და დაეცემის.

88. ესე არს დიდი სიღრმე სიმშვდისა: ოდეს მახლობელად იყოს მისსა შემაწუხებელი და გული მისი იყოს მყუდროებით და არა მოაკლდეს სიყუარულსა მისსა.

89. ვითარცა იგი სული წმიდა მშვდობა და მყუდროება არს სულისა, ეგრეთვე გულის-წყრომა აღმამფოთებელი და აღმამღურეველი არს სულისა და ამისათვის არარაჲ არს ესრეთ სულისა წმიდისა ჩუენდა მოსღვისაგან დამაყენებელ, ვითარ გულის-წყრომაჲ (გვ. 154).

90. დასაბამი სანატრელისა ურისხველობისა არს სიმწართა და ტკივილთა გულისაჲთა მოთმინება კდემისა და ყუედრებისა და გინებისა, ხოლო საშუალი — რათა შეუწუხებელად იყოს მათ შორის, ხოლო სისრულე ესე არს: თუ ოდეს იპოოს ვინ, რათა ვითარცა ქებად შერაცხოს გინება (გვ. 157).

---

87,2 ჩუეულებითა B. 88,5 განიდრიკოს ] განიმწაროს B, განიწმიდოს CU. 90,1 მრისხველობის D. 90,2 მოთმინებისა კდემა D. 90,5 კაცმან ქებად CEU.

91. სამნი იგინნეს მოლუაწენი ვისგანმე.  
ერთი შეწუხნა, გარნა დუმნა მადლობით;  
ხოლო მეორე დიდად მხიარულ იქმნა  
და მესამემან მაგინებელსა ცრემლნი  
მისდა მიჰმადლნა, საქმე ქმნა საკვრელი.

## X

### ძკრის-ზრახვისსატესკვი

|                    |                          |         |
|--------------------|--------------------------|---------|
| *92. ძკრის-ზრახობა | რომელთა თანა             | იყოს,   |
| რისხვისა ცეცხლსა   | ალაგზნებს ძმათა          | თანა,   |
| იუდაებრად          | ზადის ვეცხლის მომსყიდელთ |         |
| სისხლსა მოყუსისას, | ვითარ მიმღები            | მისთვის |
| ზაკვით მარადის,    | ისრეთ ვითარ.             | ისწავე! |

93. ძკრის-ვსენება, გულის-წყრომისა გესლი,  
თვს შორის ჰმარხავს დაფარულსა ცოდვასა,  
სათნოებისა სიძულილსა მოქმედებს,  
განკითხვისაგან არა განვაღს, ახლოს არს,  
ზის და იგონებს ბოროტსა მოყუსისათვს.

94. ესე სირცხვლი ლოცვისა არს, თუ ჰხედავ,  
ვინაფთვან ბრალთა მოტევება სჯულად ძეს  
და საკურთხეველად აღმავლისა დაგება  
ძმისადვე ხოლო და ესრეთ უსისხლომასა  
მსხუერბლის შეწირვა. დაჰკვრდი ამას, ბრძენო!

91. ვიხილენ სამნი მონაზონნი, რომელნი ერთბამად იგინნეს ვითგანმე: და ერთი იგი შეწუხნა, რამეთუ იგინა, გარნა დადუმნა; ხოლო მეორე მხიარულ იქმნა თავისა თვისისა გინებისათვს, ხოლო შეწუხნა მაგინებელისა მისთვის, რამეთუ ევენოს მას; ხოლო მესამემან გულისა თვისსა გამოისახა ენება მოყუსისა მის და ცრემლოვდა მჭურვალედ. და იყო მათ სამთა შორის ხილვა მუშაკათა შიშისა, სასყიდელისა და სიყუარული-სათა (გვ. 158—159).

\* 93. ძკრის-ვსენება არს გულის-წყრომისა გესლი, ცოდვათა დამმარხველი, სიმარ-თლისა სიძულილი, სათნოებათა წარმწყმედელი...

94. სირცხვლი არს ლოცვისა (გვ. 162).

91,5 მიჰმადლნა} მიჰმადლნა A. 92,3 ხდის ვეცხლისა AB. 92,4 სისხლს მოყუ-სისასა C. 93,1 გესლსა ABCDEU.

\*95. ამას განჰკურნებს წუხილი, მოყუსის თანა  
ძკრთა შემთხუევა გულითა მისთვს ლმობით,  
რაცამს სულითი ანუ სხეულობითი  
მისთვს მოვიდეს განსაცდელი და, ვითარ  
შენთვს მოსრულსა, ესრეთ სტკივენულობდე.

\*96. ქრისტეს ვნებათა ქსენება განიყვანებს  
ძკრის-ზრახვასა მოყუსისაგან, ჰოჲ კაცო,  
თუ ვითარ მათთვს თავადი ილოცვიდა  
და მოითმენდა სიმშვიდით კადნიერსა,  
მათსა წარმდებსა, უგუნურსა ზრახვასა.

• 97: ძკრის-ქსენება განლევს სიყუარულსა და —  
შურსა იგონებს, გულის-წყრომასა ჰმხეავს,  
ვეცხლისა კერპსა აღმართებს, თაყუანის-სცემს,  
კაენებრ ჰქოლავს სიმშკდესა ძმისასა,  
თუ ითხოოსცა მოტევება ცთომათა.

• 98. განუკრძალველსა სიყუარულსა ნუ ჰმონებ,  
რათა სხუა რაჲმე არ მოვიდეს ფარულად;  
და ტრეღსა შინა საყუარელსა გმოჩნდეს  
მჰამელი იგი მატლი დაუძინებო.  
„რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინონ“.

\*99, ძკრის-მზრახვასა თუ ვერ უძლო განშორებად.  
ამითა სძლიე: შეუფრდი მოყუასსა მას,  
რომლისათვს შენ გულსა მოგიტდეს ძკრი,  
და აღუარე დაფარული შენ შორის —  
მისთვს მოსრული ზაკვა და განგეშოროს. —

97. სიყუარულ მტკიცე ბუნებითი განშორებულ არს ძკრის-ქსენებისაგან.

98. არამედ საკრძალავ არს, რამეთუ სიძვა ადვილად მიეხალბების მას და გმოჩნ-  
დების ფარულად ტრეღსა მას შორის სიყუარულისსა ტილი იგი სიძვისა.

95,3 სულითა ანუ სხეულობითა B. 97,2 ჰმხეავს] (3)მარხავს BE. 97,5 ცთო-  
მათა] ცოდვათა BCU. 98,1 ჰმონებ] ჰგონებ ADE. 98,3 სიყუარულსა AD. 98,4 დაუ-  
ძინები D. 98,5 შდრ.: მათე 11,15; 13,9. 99,1-ზრახვასა DE; ვერ უძლო თუ CDU.

- \* 100. ძკრის-ვსენება შენი ეშმაკათვს ყავნ,  
 მას განეწყვე და ჰბრძოდე არა-ფარულად,  
სიყუარულისა ისრით განგმირე იგი, —  
 ბოროტისა წილ კეთილის მოგებითა;  
 არცხვნე მძლავრსა, მედგარსა მას მონასა.
- 101. ნუმცა ჰგონებ შენ მცირედ ამას ვნებასა!  
 მოლუაწეთა და გამოცდილთა მამათა  
 ებრძვის და ჰგონებს მათსა ამით ვნებასა,  
 ხოლო იგინი გამოცდილთა ჰპოვებენ —  
 სათნოებისა სიმარჯუესა კეთილსა. —

## XI

### დუმილისათვის

- \*102. დუმილი არცხუენს იესოსებრ მსაჯულთა,  
 უფროჯსლა განსწმედს სულისა ძალთა მრჩობლთა,  
 მაგრა ოდესმე არს უმჯობეს სიტყუაუცა,  
 იგი მანათლი თულთა გონებისათა,  
 ლოცვათა ფრთითა თვსებით აღმყვანები.
- \* \*103. მოგონებითსა რაოდენ უძნელეს არს  
 საქმითი ცოდვა, ეგრეთ დუმვა უმჯობეს  
 მეტყუელებისა, კეთილისაც თუ იყოს,  
 ვინაჲთგან ცთომა შეუდგეს მეტყუელებასა,  
 ხოლო დუმილსა არა არცხუენს ყოვლაღვე.
- \*104. შორს განკითხვისა მოყუსისაგან დუმილი,  
 რომელ-იგი არს ცოდვთა უმძიმესი,  
 ვითარ გუასწავებს ორთავე აღსასრული,  
 მეზუერისა და ფარისევლისა მის  
 მეტყუელება და მდუმარე ლოცვა ტკბილი.

100. უკუეთუ ძკრის-მოვსენე ხარ, ძკრ-მოვსენე იყავ ეშმაკათვს და, უკუეთუ ემტერები, მტერ იყავ კოროტა შენთა მარადის (გვ. 163).

101. ნუმცა ვინ ჰგონებს, თუ მცირე ვნება არს ესე უკეთური, რამეთუ ესრეთ ღიდ არს, ვიდრეა მრავალ-გზის მოლუაწეთაცა და სულიერთა დასცემს (გვ. 165).

100,4 კეთილსა AC. 103,5 მონასა მას მედგარსა B. 101,3 ამით] ამათ C. 101,4 გამოცდილთა] გამოცდილთა A. 102,3 უმჯობესი ACDEU. 103,1 უძლავს D. 103,2 დუმვა] დუმილი ACDEU. 103,5 ჰრცხუენეს ADEU. 104,3 გასწავებს ABCU. 104,5 დუმილი იგი ტკბილი BCU.



105. გონებისაგან სიტყუა იშობების და  
ხოლო ამისი დასაბამი კეთილ არს,  
ვინაფთგან სხუათა ცხოველებრივთა სულთა,  
ძალთა ყოველთა ზედა-მდგომ არს და უძღვის,  
კეთილისადმი ჰმართებს და განაწესებს.

\*106. წინამდებარედ ესე განიგონე შენ  
დუმილისა გზად, დაფარულად გონებად,  
ხოლო ენისა მეტყუელებად და ცხადად  
წარმომჩენელად გულისათა, ვინაფთგან  
• სჯობს საქმე უკმო სიტყუასა უსაქმოსა.

• \*107. დუმილსა შეუდგს ჯსენება სიკუდილისა,  
რომელ-ესე არს: განყოფა სხეულთაგან  
სულისა პირველ ზენაჲსა მის მსჯავრისა  
მოსლვისა, რაჟამს ოთხნი ესე დაირღუნენ  
და მუნვე მიდგენ, სადაფთ პირველ შოვიდეს.

108. ვინ შეიყუაროს დაყუდება კეთილი,  
იგი დუმილსა თანა მკვდრ არს მარადის;  
ხოლო უკმს კრძალვა გონებისა სიფრთხილით,  
ვინაფთგან ესე გზასა კეთილსა ჰხედავს,  
მიმყვანებელსა სოფლით სასუფეველად.

109. სიტყუა ერთი თქუა პეტრე, ხოლო ტიროდა  
გონებითთა ტირილითა მრავალ-ჟამ.  
ესრეთ უმჯობეს სიტყუასაგან დუმილი,  
ხოლო დუმილი განწმედილი, უშფოთო,  
ვინაფთგან შფოთი არ ოდენ თქმასა შეუდგს.

110. ვით დაყენება წყლისა განტეხილისა  
ჭურჭლისაგან ძნელ, ეგრეთ განდრეკილისა  
გონებისაგან პყრობა ენისა, რაჟამს  
ოცნებათაგან შემღურეული მრავალთა  
დაუდგრომელად ვარდებოდეს მათ შინა.

108. რომელმან შეიყუარა დაყუდება, მან შეიყრძალა პირი (გვ. 174).

109. სიტყუა ერთ თქუა პეტრე და ტიროდა მწარედ (გვ. 173). შდრ.: მათე 26,75.

110. ფიცხელ არს და ძნელ დაყენება წყლისა თუნიერ საპყრობისა და საგოზლისა  
და უძნელეს ამისსა არს დუმილი ენისა თუნიერ მარხვისა.

107,5 მიდგენ] მიეღუნ BCDU; სადაფთ] სადაც B, სადაცა DU, სათაე E; შოვიდენ  
B. 108,2 მკვდრ] მხედ C. 110,2 ვარდრეკილისა CU. 110,5 მათ] მას B.

111. ფუტკარსა ვითარ კუამლი იოტებს, ხოლო  
 ტრედსა განსდევნის საყნოსელთ არ-სიყეთე;  
 ეგრეთ დუმილსა განსდევნის კაცთა თანა  
 ყოფა მარადის მონაზონო, ეკრძაღე,  
 დაჯედ სენაკად უდაბნოს მარტოებით!

X

XII

ტყუვილინსათვს არის მს სახემდ

- \*112. ტყუვილი ძალი, აჰა, ეშმაკისა არს,  
 ყოვლითურთ განპრყუნის რაჲ სიყუარულის წესსა,  
 უცხო ჰყოფს ღმრთისა იესოსგან და სარისხ,  
 ვინაჲ ფიცთათჳ სატყუართათ მოსწრაფე  
 იქმენ სრულიადს. - ერიდე და ივლტოდდე! - ჟო
113. ცეცხლსა რკინა შობს და განცხრომა—ტყუვილსა,  
 სიყუარულისა განმრყუნელსა მას ბოროტსა,  
 ცრუ-ფიცებისა მიმღებსა მას, რომელ არს  
 უარის-ყოფა მართლისა მის მსაჯულის.  
 ამას ერიდე, ნუ ჰფუცავ, კაცო, ყოვლად.
- \*114. ცრუ-ფიცთა კაცთა და ტყუვილის მწმასნელთა  
 ნუცა თუ ყოვლად მცირედ დაეახლები!  
 წარვედ, ილოცე, გესუროს თუ ზუაობა.  
 ესე უმჯობეს, რათგან გმობად სულისა  
 ზესთა წმიდისა ისი განიჩინების.

111. რომელსა უხილავს გემო სიტკბოებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი  
 და უყნოსის სულწლება ცეცხლისა მის ზეცისა, იგი, ვითარცა ფუტკარი კუამლისა-  
 გან, ესრეთ ივლტინ კაცთაგან, რამეთუ ვითარცა მას იოტენს კუამლი, ეგრეთვე ამისა  
 საქმესა წინა-აღუღგების აღრევა კაცთა (გვ. 174).

† 112. ნაშობი რკინისა და ქვისა არს ცეცხლი და მრავალ-მეტყუელებისა და განცხ-  
 რომისა ტყუვილი არს. ტყუვილი არს განმრყუნელი სიყუარულისა და მშობელი ცრუდ-  
 ფიცისა, რომლისა არს ღმრთისა უარის-ყოფა.

111,2 საყნოსელა სიყეთე A, საყნოსელთა სიყეთე (სიმყარაღე B) BCGKU. 111,5  
 უდაბნოთ B. 112,2 სიყუარულის წესსა] რადმე სიყუარულისა A, სიყუარულს ესე  
 BCG, რადმე სიყუარულს ესე U (დაზიანებულია აკროსტიქი). 112,3 იესოსგან და  
 იესოსაგან ACE; სარისხ] ხარისხ AE; 112,4 სატყუართათ] და ტყუილთათ BC;  
 112,5 ივლტოდენ BCU. 113,1 ცეცხლსა] ვერცხლსა DU; ტყუილსა ABDEU; 113,3  
 მომღებსა AU; 113,4 მსაჯულის] მსჯელია E. 114,3 გესუროს] გესხუროს ABDEU,  
 გესხუროს C. 114,4 გმობად] მმობად C.

115. კაცი ვიხილენ მოხარულნი ტყუვილსა,  
 ზედა განცხრომით მნივთებელნი სიცილსა  
 და დამიკვრდა, ზენაათ მოსრულნი ვითარ  
 პირუტყუებრივსა ესრეთ საქმესა თანა  
 შეეთვსნეს და იგი სცვალეს აჩრდილად?
116. წესსა კეთილსა გლოვისასა განპყუნიან  
 ტყუვილისანი შემსჭულულნი ბოროტად,  
 მოყუასსა ურწყემენ მახესა, შეიპყრობენ  
 ტკბილ-ამოჯთა მით სიტყუთა მატუნებნი  
 და ამათ თანა ფიცისა წარმწმასნელნი.
117. შიში უფლისა რომელმანცა მოიგო,  
 იგი ტყუვილსა უცხო ექმნა სრულიად,  
 რამეთუ აქუს მას თქს შორის სკნიდისი  
 მსაჯულად თვსად, თუალ-უხუავად და მართლად.  
 ამად განწმდების, მონაზონო, მხელდევი.
118. რაჟამს ეშმაკთა წარსრულად იხილნიან  
 კრებულსა თანა მონაზონნი მარტონი,  
 მაშინ ეტყუედ ზაკვით და აცთუნებედ.  
 ნუ შეაწუხებ მეტყუელსა, განიკითხე,  
 რათა მათთანა ყოფა დააჯერონ მას.

115. ვიხილენ რომელნიმე კაცი, ვითარმედ: იხარებდეს ტყუვილსა ზედა და განცხრომითა და ცუდად-მეტყუელებითა ნივთებდეს სიცილსა

116. და წესსა მგლოვარეთასა განპყუნიდეს (გვ. 176).

117. რომელმან შიში-უფლისა მოიგო, იგი უცხო იქმნა ტყუვილისაგან, რაჟამს აქენ თავსა შორის თქსა მსაჯული თუალ-უხუავი, რომელ არს სკნიდისი (გვ. 177).

118. რაჟამს იხილიან ეშმაკთა ერთი ვინმე მათგანი, ვითარმედ ნებან წარსლვა მიერ შეკრებულთა მათგან, რომელნი სავსე იყენიან სიცილითა და ბასრობითა, მაშინ ეტყუედ მას ზაკვით და აცთუნებედ ორითა გულის-სიტყუთა.... (გვ. 176).

115,1 კაცი] ცანი A, ძმანი F; 115,2 სიცილსა] ტყუილსა D; 116,2 ტყუილისა-  
 გან E; 116,4 მატუნებნი] გატუნებენ B. 117,1 მოიგო რომელმანცა CDEU. 117,2  
 სრულიად] ყოვლად CU; 117,4 მსაჯულად თავისად D, მსჯელად თავისა E. 118,3 აც-  
 თუნებენ CDEU; 118,4 განიკითხე CU; 118,5 რათა] რაჟ A.

\*119. ხუთნი არიან ტყუვილისა საქმენი:  
 შიში სასჯელთა ანუ შიშის თვნიერ,  
 საზრდელისათკს ანუ გემოვნებისა,  
 სიცილისათკს, განცხრომისა ყრმებრისა.  
 მოლუაწეთაგან შორს არიან ესენი.

120. ყრმამან მცირემან არა იცის ტყუვილი,  
 ეგრეთვე სულმან შორს მყოფმან ბოროტთაგან,  
 ვინაჲთგან ერთსა მარტივად ჰხედავს იგი  
 და ბინდსა სცვალებს ბრწყინვალეზად ნათლისად  
 დაუესებელთა დღეთა თანა მარა-დღე.

121. დაამის რაჲ ღვწომან კაცის გული,  
 თვნიერ მისსა თქვს რაჲმე სამართალი;  
 კულად რომელთა აქუნდის ღმობიერება  
 და ცრემლნი ღირსნი გულისაგან წმიდისა,  
 არა იციან ამო ტყუვილი მათ.

### XIII

#### მოწყინებისა

\*122. მოწყინება არს ნიეთ-მკლველ მონაზონისა,  
 ოკადსასრულოდ ეს არ განეშორების  
 წესსა კეთილსა, ბნელ-ჰყოფს, უდებ და დატსნილ;  
 ყოველთა თანა იწუევს ყოფად მარადის.  
 იმას ეშმაკი სასრე ახლავს სიცილით.

120. ყრმამან ჩჩკლმან არა იცის ტყუვილი, არცა სულმან განშორებულმან ბოროტებისაგან.

121. დაამის რაჲ ღვწომან გული კაცისა, თვნიერ ნებისა მისისა თქვს სამართალი და, რომელნი აღივსნენ ღმობიერებითა ცრემლთაჲთა, არა იციან ტყუვილი (გვ. 178).

119,4—5 ეს ტაეპები გადასმულია (იეთხება ჯერ მეხუთე, მერე—მეოთხე). 120,5 დღეთ თან დღეა მარადის B; თან დღე მარადის CU. 122,1 ნიეთ-ABCDEU; 122,2 ესე არა D. 122,3 აწვეენ B. 122,5 სასრე] ისრე BCDGKU.

123. სენაკი მარტოდ-მყოფისა იხილა რამ  
მოწყინებისა ეშმაკმან, განიცინნა,  
მივიდა მისსა მახლობელად და დაჯდა,  
განუშორებლად დაემკვდრა მის თანა.  
განეწყვე წინა, მოლუაწეო, კეთილად!

124. მოწყინება <sup>ეჩქაღ</sup> ჰბრძაეს მარადის მარტოდ-მყოფსა;  
არ განუშოროს პირველ ნიეთთა რღუევისა,  
უკუეთუ არა განიფრთხოს მღკძარებით,  
და საქმე სცვალოს ხედვისა სიმარტივედ  
მღკძარითა მით. თუალითა სულისაჲთა.

\*125. შეზავებათა ცვალება მოაწიის  
მოწყინებისა ეშმაკმან გამომცდელმან  
დასარწმუნებლად სოფლის მოქცევისადა,  
რათა მკურნალსა უჩუენებდეს სენსა მას;  
მას შეაქციოს, სენაკსა განაშოროს.

126. სხუათა ენებათა თვისი წინა-განმწყობი  
ყოველთავე აქუს და იკურნებიანცა,  
ხოლო სიკუდილი ყოვლით კერძო მოისწრაფის,  
მოწყინება არს და დაჯსნა ახოვნისა  
ზენას სულისას სიმკნესა გამოცდილსა.

123. სენაკი მარტოდ-მყოფისა იხილა ეშმაკმან მოწყინებისამან და განიცინნა. და  
მახლობელად მისად მივიდა და დაემკვდრა მის თანა.

124. პირველ სიკუდილისა მისისა არა განუშოროს და პირველ საფლავად მისღვისა  
მარა-დღე ბრძოდის (გვ. 180).

126. სხუანი ენებანი თითოეულნი წინა-აღმდგომთა თვისთა სათნოებითა განქარდ-  
ებიან, ხოლო მოწყინება ყოვლის კერძო სიკუდილი არს მონაზონისა (გვ. 181).

125,3 მოქცევისად და DU. 125,4 უჩუენებდენ ABC. 126,2 იკურნებიან ACDGU,  
იკურნებიანვე BK. 126,3 სწრაფის E; კერძო მოსწრაფის BU.

127. ესე მოატყუებს გვრგვინსა მოლუაწესა,  
უკუეთუ არა მიერჩდეს და ებრძოდეს,  
რამეთუ განსწმედს ლოცვასა გონიერად  
თანა-შემქსველი ფსალმუნებასა ტკბილსა,  
საქმიტსა თანა—ხედვასა უვნებელსა.

128. ახოვნებამან სულისამან გონება —  
მოწყინებითა მომკუდარი აღადგინის  
და დაგნნილმან მან, მცონარმან და უღებმან,  
მისგან მოსრული კეთილი განაბნის,  
სულ-მოკლებით რაჟ მოწყინება აშთობდის.

129. ფსალმუნებისა ჟამსა გამოჩნდებიან  
მოწყინებისა ვნებანი საძაგელნი,  
რათა მხედველი დააღწიონ ამისგან  
და გარდმოაგდონ მალლით დაკუთებითა.  
აღდეგ, მგნდებოდი, მოლუაწეო, განიფრთხვე!

130. რვათა მათგანი ერთი ესე არს ვნება  
უძძიმესი და ძნელი და მოსაწყინო.  
არაჟთ იძლევის უფროჟს ვიდრე სიკუდილის  
ქსენებითა და საფლავისა ჭურჭტითა,  
ვინაჟთგან მიწა მიწადვე მიმავალ არს.

127. არარაჟ მოატყუებს ესრეთ გვრგვინსა, ვითარ მოწყინება მონაზონსა (გვ. 182).

128. ახოვნებამან სულისამან გონება მომკუდარი აღადგინის, ხოლო მოწყინებამან  
და მცონარებამან ყოველივე სიმდიდრე განაბნის (გვ. 181).

129. რაჟამს ფსალმუნება არა იყოს, მოწყინება არა ჩანს და, ოდეს აღვასრულო  
ქანონი ლოცვისა, მაშინ აღგუეხილებიან თუალნი (გვ. 181—182).

130. ერთი არს ესეცა რვათა შთ უკეთურებისა გულის-სიტყუათაგანი და  
უძძიმესი ყოველთასა... (გვ. 181).

---

127,1 მოლუაწეთა B. 127,4 ფსალმუნება-ტკბილისა BU; 127,5 საქმისა.... უნებ-  
ლიეთსა CU. 128,5 აშთობდეს ACDEU. 129,4 დაკუთებითა] გარდმოგდებითა E.  
130 ,1 არს ესე CU; არს ვნება ესე B.

131. ვინცა მოიგოს გლოვა წარმავალისა  
 სოფლისა ამის ბინდისა აჩრდილისა,  
 იგი სულითსა მდგმოსა სამარადოსა,  
 წრფელსა მარტივსა ხედვასა მიეტრფობისა,  
 და სძლევს ბოროტსა ამას მოწყინებასა. ~

#### XIV

#### ნაყროვანებნისათვის

- \*132. ნუცა მიხედავ იმას ვნებასა დიდსა,  
 ამას უცხოთსა საშეებელსა მწარესა,  
 ყოფადნი ნახენ, აჰა, გემონი ხრწნადნი,  
 რომელ ყოფადვე თვისი არ აქუს კეთილი,  
 ოკფრომსლა ამქლობ სულსა, ჯორტთა მშეებელი.

133. ნაყროვანება მოიპოვებს გემოთა,  
 თუალთა უჩუენებს სანოვაგეთა ტკბილთა,  
 ჭამასა აწუენენ, განძლომისათვის ჰსურინ,  
 მუცლის ქუეშეთი აღზრზენასა იჭირინ,  
 გემოს ხილვასა მისთვის ჰმზადებენ მარადის.

- \* 134. მუცლის სიმაძღრე აღზრზენს სიძვასა და  
 დაჰმრეტს ჭამადთა სინაკლულე მარხვითა;  
 იგი ანივთებს გეენიისა ცეცხლსა,  
 ხოლო მარხვისა სიკეთე აღიყვანებს  
 სასუფეველისა კარგსა ადგილსა ვრცელსა.

131. რომელმან მოიგოს კემპარიტი გლოვა, მას არა შეეხოს სული მოწყინების (გვ. 182).

132. ნაყროვანება მოიპოვებელი არს სანოვაგეთა და წყარო არს გემოთ-მოყუარებისა.

134. სიმაძღრე ჭამადთა მამა არს სიძვისა, ხოლო მიყობა მუცლისა წინამძღუარი არს სიწმიდისა (გვ. 185).

131,3 მდგმოსა] მდგომსა ACD. 132,1 ნუცა CU. 132,2 მწარესა] წმიდასა B-133,1 გემოთა] ვნებათა B. 133,3 ჭამას აწუენენ CU. 133,4 ქუეშეთა BCU, ქუე-  
 შეთნი E. 134,1 და]ზედა BCU.

135. მონა მუცლისა ელინ დღესასწაულსა,  
რათა სურვილი მისი აღმოვისოს მით.  
კგონებნ ამითა განძლომას, მუცლისასა,  
უფროს უხარინ, ვიდრე სულიერისა  
საზრდელისაჲსა, რომელ არს მარხვა წმიდა.

136. ნაყროვანება, ცუდი ღიდება, ვითარ  
მათგან სყიდულსა, მონაზონსა ერჩიან:  
ერთი განქსნასა კანონისასა აწუევენ,  
ხოლო მეორე — სათნოების ჩენასა,  
რათა სასჯელი ერთი მისცენ ორთავე.

\*137. მოღუაწისასა კანონისა დაქსნასა  
ვინცა აწუევედეს, ესე განიგონოს მან:  
უკუეთუ ღირსთა საზომისად მყოფობდეს,  
ისმინოს მისი, ხოლო უკუეთუ უღებთ  
დასისა იყოს, კანონი ეპყრას თვისი.

138. ვინცა მუცელსა მოყმობითა სდეენიდეს,  
არცა პურისა მიცემითა პირველად,  
იგი ევაგრეს მიემთხვოს მძოვარსა,  
ვინაჲთგან წინაჲს კარგთა განწესებულ არს  
მოწყუედა ხოლო, მერმელა — ჯმელთა ჭამა.

185. მონა მუცლისა იგონებნ, თუ რომლითა სანოაგითა იღღესასწაულოს.

186. მრავალ-გზის ემტერებინ ცუდ-ღიდება ნაყროვანებასა და, ვითარცა სყი-  
დულსა მონასა ზედა, ესრეთ ირჩოდიან უბადრუქსა მონაზონსა ზედა. ერთი იგი გან-  
ქსნასა კანონისასა აიძულებნ, ხოლო მეორე გამოცხადებასა სათნოებისა თვისისასა  
მძლავრობნ (გვ. 186).

188. რამეთუ [ევაგრე] იტყვის, ვითარმედ: რაჲმას მრავალთა სანოაგეთა მიმართ  
ჰსუროდის სულსა ჩუენსა, მაშინ შევაიწროოთ იგი პურითაცა და წყლითაცა (გვ. 187).

---

135,3 განძლომასა მუცლისას B. 136,3 აწუევეს DE. 136,5 სასჯელი] სასუფევე-  
ლი AD. 137,4 უკეთუ უღებთ] თუ უღებთა ACDU, თუ უღებებთა BEG. 138,1—2  
ტაეპები გადასმულია E-ში. 138,3 მძოვარსა] მძოვრებს E, მოძღვრებას ABCDEU.  
138, 4 კარგთა] კარებთა C.



● 139. ვითარ ყრმა მცირე ვერ განვალს ნაბიჯითა  
ერთითა თავსა კიბისასა სრულიად,  
ეგრეთ მოლუაწე სიფიცხით დამწყებელი —  
მოლუაწებისა აღსავალსა წმიდასა,  
თავსა მას ზედა მარხვისასა კეთილსა.

140. ნაყროვანისა გონება აღივსების  
არა-წმიდათა ვნებათა კერპებითა,  
ხოლო მმარხველთა ოცნებაცა წმიდა არს  
და საქმე ყოვლად სანეტარო ხედვითურთ.  
ვინმე გასწავებს მმარხველი ორმოცთა.

141. თულთა წყაროსა, ნათლის-ღებისა სწორსა,  
განაქმობს ესე ვნება სულისა დიდი,  
ხოლო მარხვისა ღმობა, წმიდა და ტკბილი,  
შეჰმზადებს მისსა განწმედილსა ჰურჰელსა.  
ესე შეიტკბე, მონაზონო, და გაქუნდენ.

## XV

### სიწმიდისათვის

|  |  |
|--|--|
| <p>*142. <u>სიწმიდე — ხატა</u><br/><u>ისწავე და შენ</u><br/><u>წმიდათა თანა</u><br/><u>მარჯუებით დაგვამს</u><br/><u>იტრფე სულისა</u></p> | <p>დიდთა მათ გონებათა,<br/>იმას შეესაყუთრე;<br/>სულთა ზე აღგიყვანებს,<br/>აქა ჯმნილსა ქორცთავან,<br/>თვხი შენდა მარადის.</p> |
|--|--|

139. ვითარმცა ვინ ჰრქუა მცირესა ყრმასა, ვითარმედ: ერთითა ნაბიჯითა აღ-  
ნედ თავსა კიბისასა! (გვ. 187).

140. გონება მმარხველისა ილოცენ ფრთხილად, ხოლო გონება ნაყროვანისა საე-  
სე არს კერპებითა არა-წმიდებითა (გვ. 188—189).

141. სიმაძღრემან მუტლისამან განაქმნის წყარონი თულთანნი, ხოლო მოყმობა-  
მან მუტლისამან გამოადინნის წყარონი ცრემლთანნი (გვ. 189).

139,2 სრულიად] ზენაძი B, ზედა CU. 140,4 სანატრო ACU; 141,1 თულთა] აულთა A. 141,5 შეიტკბენ BCD.

• 143. ნაყოფანებასა არა-წმიდება შეუდგს, ხოლო მარხვასა — სიწმიდე აღუძრველი, იგი უტორცოთ თვსება წარუვალი, ქრისტეს ტაძარი და სავანე სულისაჲ ხესთა წმიდისა ცა-სახლი გონებითი.

144. სრული საზღუარი სიწმიდისა ესე არს: გუამთა მათ ზედა სულიერ-უსულოთა სწორად მიხედვა: გონებითა ერთითა, აღუძრველობით, ხატისა სწორად ჭურეტით. ამას გუასწავებს დიდთა მამათა ცემები.

• 145. იხილა ვინმე სახე-კეთილი პირი და შემოქმედსა! მადლი შესწირა მისთვის, რათგან მიწისა შექმნა ესევეთარად უძლო ტელოვნად მაღლად საკვრველებით, და ტრფიალება განდევნა ტრფიალებით.

146. სიწმიდე სახლი სათნოებათა არის, არ შეირყევის, მაგრა დაფუძნებულ არს, ქართა ბოროტთა კუეთებასა დაუდგამს, თვთ მოკრძალულა მარხვის ზღუდეებითა და დაუტკნეია ჯოცთა შუენიერება.

• 148. [ნაყოფანებისა] ვნებისა ძლევასა ესე შუენიერი სიწმიდე შეუდგს... სიწმიდე თვსება არს უტორცოთა ბუნებისა, სიწმიდე ტაძარი არს ქრისტესი სათნო და ცაჲ არს გულისა ქუეყანასა ზედა (გვ. 196).

144. ესე არს კანონი და საზღუარი სრულისა მის სიწმიდისა, რათა არარაჲთა შეიცვალებოდის გონება განყოფილებასა ზედა გუამთასა; არამედ ერთად იყოს სულიერთა გუამთა მიმართ და უსულოთა, პირმეტყუელთა და პირუტყუთა (გვ. 197):

• 145. მითხრა ვინმე საქმე საკვრველი და საზომი სრული სიწმიდისა და იტყოდა, ვითარმედ: იხილა ვინმე პირი დედაკაცისა შუენიერი ფრიად და დიდად აღიდა დამბადებელი, დაუკვრდა სიბრძნე იგი და ძალი შემოქმედისა, თუ ვითარიღა შუენიერება უქმნიეს მას თიხისა და არარაჲსაგან. და ხილვითა ოდენ მისითა მოვიდა დიდად სიყუარულად ღმრთისა... (გვ. 209) წმიდა იგი არს, რომელმან ტრფიალებითა ტრფიალება განდევნა (გვ. 196—197):

146. სიწმიდე ზიარი სახლი არს ყოველთავე სათნოებათა (გვ. 197).

143,3 თვსება] სიწმიდე BCDU; წარუვალი] აღუძრველი ACDGKU; იგ უტორცოთა B. 143,4 და სავანე სულისა] სავანე სულიერი B, ცა-სახლი გონებითი E-143,5 გონებითი] გონიერი B; ცა-სახლი გონებითი] და სავანე სულისაჲ E. 144,5 გასწავებს B; 145,3 ესე ვითარი BCU. 146, 2 დაფუძნებულ არს] დაფუძნებულთა AD, დაფუძნებული CK, დაფუძნებულთა U. 146,3 კუეთებათა B; 146,4 მარხვისა ზღუდეებითა BE.

147. წმიდა იგი არს, რომელმანცა დღითი-დღე  
თვისნი გონების დაფარულნი იძინნა  
და მსგავსი მისი წამალი შეუშზადა,  
არ მისცა წამი ადგილისა საყოვნოდ  
და ესრეთ იქმნა უვნებელ ღირსი იგი.

148. ოცნებათ შინა ძილისათა არ-აღძრვა  
საზომსა ცხად-ჰყოფს უვნებელსა სრულიად,  
ვინაჲთგან ჯმნილა ხედვითთა და საქმითთა  
მათ ვნებათაგან და ანგელოზებრივი  
საქმე უჭირავს სანეტარო მართალთა.

149. ვითარ ცისკარი ნათლისაგან წინა ვალს,  
ეგრეთ მარხვა ჩანს სიწმიდისა პირველად.  
მერმე აღმოვალს მზე იგი სიმართლისა  
და განანათლებს გონებასა წმიდასა  
და ბნელსა ნისლსა მოხუეულსა წარსდევნის.

150. საწყალობელ არს, რომელიცა დაბნულდეს,  
უფროჲსლა—სხცსა მომატყუებული მისი,  
ვინაჲ ორთავე სიმძიმისა აღება  
ზურგითა ჰნებაეს და მიღება, სადა ჩანს  
ბნელი წყუღიადი, მთხრებლი ღრმა და უჩინო.

147. წმიდა იგი არს, რომელი ძილსაცა შინა არცა ერთსა შერყევასა გონებისასა  
და აღძრვასა შეიტყუებდეს (გვ. 197).

148. საშუალი საზომი სიწმიდისა — ბუნებითნი აღძრვანი თვნიერ ოცნებათაჲსა  
(გვ. 197).

149. პირველად ცისკარი აღელის და მერმე ნააყლი მოეფინის და მაშინდა გამო-  
ბრწყინდების მზე (გვ. 199).

150. საწყალობელ არს, რომელი დაეცეს; ხოლო უსაწყალობელს არს, რომელ-  
მან მეორესაცა მოატყუას დაემაჲ, რამეთუ ორთავე დაეცემისა და გულის-თქუმისა  
სიმძიმე მან იტვროს (გვ. 200).

147,2 იძინა AB. 148,4 მათ] მით C. 148,5 სანატრო AB, სანატროი D; და მარ-  
თალი C, მართალი BU.

- \*151. სხუასა არას ზედ, ვითარ ამას უხარის  
 ეშმაქსა — მტერსა სულისასა მარადის,  
 ხოლო სიწმიდე ანგელოსთა საშუებო,  
მომჰდელი მადლსა ზესთა გონებათასა, Ⴀ  
გაქუნდინ შენ თანა! გიძლევებს, იხარებდ.

## XVI

### ვეცხლის-მოყუარებნისათჳს

- \*152. ვეცხლის გამყრელი, უმეტრფო და უნდომი,  
 ერთსა შეეკრვის, აღვალს მუნ და იყოფვის.  
 ცისათ ზედა მდგომ, რიცხუსა რჩეულს კეთილსა,  
 ხატად დამსახო ერთებრივად თავისათ,  
 ლოცვათა და მეწყ ბრწყინვალედ ყოველთათჳს.
- \*153. ვეცხლის-მოყუარე სკნიდისსა დასთრგუნავს,  
 უფრომს პატივს-სცემს სარწმუნოებასა მას,  
 ვითარ ჟამისა მომლოდე მარხავს რასმე  
 და არა უწყის, ვითარ რომელი-იგი  
 ცისა მფრინველთა გამოზრდის, იღუწის მასცა.
154. კაცო, ნუ იტყვ გლახაკათჳს ნდომასა;  
 გაქსოვსცა, ორთა დანგთა სასუფეველი  
 ვით მოიყიდეს ცათა, რომელი-იგი  
 სიმრავლისაგან საჯმართასა ყოვლადმე  
 არ იპოვების, იგი სხუა არს სოფელი.

154. ნუ იტყვ, თუ გლახაკათჳს შეეკრებ, რამეთუ ორითა დანგითა სასუფეველ<sup>ე</sup>  
 ცათა მოიყიდეს (გვ. 223).

151,1 სხუას არას ზედა BE. 152,1 გამყრელი უნდომი BCU. 153,2 სარწმუნოე-  
 ბის A, სარწმუნოებისა BCDEU; 153,3 ვითა C; მომლოდნე CU. 153,5 ფრინ-  
 ველთა CU.

155. ვინცა მძლე ექმნა ვნებასა ამას ღიღსა,  
იგი წუხილსა განერა მარადისსა  
და ლოცვა წმიდა გონებითა წმიდითა  
ერთსა მიართვა, მარტივსა, სამებითსა.  
ესე შეიტრფე, მონაზონო, და სცხოვნდე.

156. დასაბამი არს ამისი მოწყალება,  
ვითარცა მისთვის შეკრებისა მგონები,  
ხოლო აღსასრულ — სიძულილი გლახაკთა.  
და ორთავე ამათ ყოველად კეთილი შუა  
არ იპოვნების. ეკრძაღე გონიერად!

157. ვიდრემდის შეკრებნ, საფასეთა უქადებნ  
და შეიკრიბნის, ჯელნი შეეკრვიან მათ,  
არას იგონებნ თვნიერ მოღებისა,  
არცა ლოცვასა წარდგომილი სხუასა რას,  
რამეთუ სადა საუნჯე, მუნცა გული.

\* 158. სულთ მდიდარი საფასითა გლახაკ არს,  
ხოლო მდიდარი სულითა დაგლახაკნეს,  
ვინამთგან ჯურელსა ნემსისასა აქლემი  
ვითარ ვერ განვალს, ეგრეთ—მდიდარი ზეცას.  
ამას გიჩუენებს წუხილი მდიდრისა მისა.


155. რომელი მძლე ექმნა ამას ვნებასა, მან ზრუნვანი მოიყუეთნა, ხოლო რომელი  
ამათგან შეკრულ იყოს, ვერ ოდეს ილოცოს წმიდითა გულითა (გვ. 223—224).

156. დასაბამი ვეცხლის-მოყუარებისა არს გულის-სიტუთა მოწყალებისა, ხოლო  
აღსასრული არს მისი — სიძულილი გლახაკთა.

157. ვიდრემდის შეკრებნ, მოწყალებასა უქადაგებნ, ხოლო შე-რად-კრიბის სა-  
ფასე, შეეკრვიან ჯელნი.

158. ვიხილენ გლახაკნი საფასითა, რომელნი გამდიდრდეს სულითა [და ჯორციე-  
ლი იგი ჭირი დაეიწყუდა სიხარულითა მით (გვ. 224)].

159. წერილთ სიტყუასა კეთილისათჳს თქმულსა  
 სხუებრ გაიგონებს უღები მონაზონნი;  
 „უქმნი ნუ სჳამნო“ მიზეზ ვეცხლისა ჰგონებს.  
 არ ამად აწუევეს, რათამცა შეიკრიბა,  
 არამედ — ლოცვად საქმითად მარადისად.

\*160. უცხოთ სიყუარულს განკრძალვა ჰმართებს დიდი,   
 რამეთუ თანად უსხენ ორნი ესენი:  
 ვეცხლის მონება ნაყროვნებასა თანა;  
 ხოლო მოჰყუეთს მას სიმდაბლე, სიყუარული  
 და ლოცვა წმიდა, აღჰყრობილი მარადის.

\*161. კერბთა მონებად ესე დადევს წმიდათა,  
 ვინაჲთგან სხუანი ამას ჰკიდავენ ვნებანი  
 და უფროჲს ხოლო იგი ბოროტი მკეცი,  
 სულისა ძალთა შემჰკამელი სრულიად,  
 გარდმოგდებელი საყდრით ანგელოზებრით.

## XVII

### უპოვარებისათჳს

|                 |                             |
|-----------------|-----------------------------|
| *162. უპოვარება | ეს იჯმნის სოფლისაგან,       |
| ბირად კეთილად   | ბუნებით დაიდების,           |
| ოკრისხველობა    | ისი მოქმედებს მარად,        |
| აქა დაიწყებს    | სიყუარულსა და ზეცას,        |
| რომელთა თანა    | ათჳს-მწყობრებს. მუნ აღვალს. |

160. მონაზონი საქმართ მოყუარე უცხო არნ მოწყინებისაგან, რამეთუ მარა-დღე  
 შურებინ და ივსენებნ სიტყუასა მას მოციქულთასა, რომელსა იტყვს, ვითარმედ:  
 „უქმი იგი ნუცა ჰჳან, და ჰელნი ჩემნი მმსახურებდეს მე და რომელნი იყვნეს ჩემ თა-  
 ნა“ (გვ. 224).

159,3 უქმი ნუ ჰჳანო CU. 159,5 მარადის CU. 160,2 რამეთუ] რომელთად CU;  
 ორნი] ოთხნი CU. 160,5 აღჰყრობითი CU. 161,4 შემჰკამელი] შემჰჳამელი CU. 161,5  
 გარდმოგდებული BE. 162,4 ზეცად BCU.

163. სიტყვს-გებისა შფოთთა ცილობისაგან,  
წარმავალისა სოფლისა ზრუნვათაგან  
იგ განერების, რომელმანცა საწუთო  
ესე ამათ მოიძულოს და აქაათ  
უპოვარებით იგი ჰპოოს უკუდავი.

9 164. დიდ არს, რომელმან დაუტევენეს ღმრთისათჳს  
მონაგებნი და, უპოვარებითა რაჲ  
ჴორცთა აჩრდილი სცვალოს უკუდავთა დასთად.  
იგი მოიგოს — დაუესებნი ნათელი,  
არსთა თუალი და წყარო, დამქცევი მათი.

165. არა მოაკლდენ ზღუასა ლელვანი დიდნი,  
არცა მონასა ვეცხლისასა — წუხილნი  
რისხვასა თანა, სიძულილსა კაცთასა;  
ხოლო ამათგან უპოვარება შორს არს,  
ვინაჲთგან ზეცას განამგზავრა ნეტარმან.

166. სარწმუნოება მტკიცე მოსპოლავს ამას  
და სასოება სიყუარულისა თანა,  
ხოლო ჳსენება სიყუდილისა დაარლუევს ჳ  
და ოთხნი ესე წარადგენენ ქრისტესსა  
უპოვარებით ცხოვრებულსა კეთილად.

103. რომელმან შეურაცხ-ქვენენ მონაგებნი, იგი განროვილ არს სიტყვს-გებისა და  
ცილობისაგან და შფოთისა.

104. დიდ არს, რომელმან ღმრთისათჳს დაუტევენეს მონაგებნი...

105. არა მოაკლდენ ზღუასა ლელვანი, არცა ვეცხლის-მოყუარებესა—რისხეა და მწუ-  
ხარება.

106. სარწმუნომან მტკიცემან მოსპოლნეს ზრუნვანი და ჳსენებაჲმან სიყუდილისა-  
მან უარყოფინეს ჴორცნიცა (გვ. 227).

---

163,4 მოიძულის U. 164,1 დაუტეოს ABDE. 164,2 რაჲ—ABCDU; მონაგებნი]  
მოგონებანი BKU; 164,3 უკუდავად B; 164,4 დაუესებო ABGKU; 164,5 და მამქცევი  
U; 165,2 წუხილი B. 165,5 ვინაჲთგან] ვინაცა D; განიმგზავრა BCGKU, განგიგ-  
ზავრა D. 166,4 ქრისტესა] იქა C; 166,5 ცხოვრებულნი CU.

167. უმეტრებით და პირუტყუებით გლახაკსა  
ორივე ესე დასჭირდეს უღონოსა:  
ესე საწუთრო დააკლდეს, არა ჰქონდეს  
და საუკუნო შეიძინოს ვერარაჲ  
ვინაჲთგან ცხოვრებს უღებად დაჯსნილობით.
168. იობისი შენ გასმიეს მადლოვნება,  
ამად რამეთუ არა უყუარდეს იგი,  
არცა შეწუხნა, დაკლება ესმა მათი,  
ვინაჲთგან კაცი არას ივნებს, რომელი  
საღმართოდ ცხოვრებდეს საკმართა ქონებითა. —
169. უპოვარისა ლოცვა წმიდა არს, ხოლო  
ერთსა ეკრძალოს გონიერად სიბრძნითა:  
მიმოსლვისაგან არა იძლიოს იგი,  
არცა კრებულსა შორის მიმოქცეობდეს,  
ვინაჲთგან ვეცხლი წარიპარავს ცნობასა.
170. სიყუარულისა ვეცხლისაგან ყოვლადვე  
უცხო არიან მორჩილებასა შინა  
სანატრელსა მას მყოფნი მარადის, რათა  
იგი მოიგონ, სიყუარული, რომელი  
არს და მარადის იყოს უკუნისამდე.

167. რომელი უმეტრებით და უგულისხმოდ და პირუტყუებრ გლახაკ იყოს, მას  
ორივე დასჭირდა, რამეთუ საწუთროჲ ესე წარწყმიდა და საუკუნოსა ვერ მიემთხვა.

168. არა იყო იობს თანა ყოვლადვე კუალიცა ვეცხლის-მოყუარებისა, ამისთვის  
რამემს ყოველივე წარუჭდა, შეუწუხებლად ეგო (გვ. 227).

169. ერთი ოდენ არს უპოვართათვისსაკრძალავ, რამეთუ მიმოსლვისაგან აღრე  
იძლევიან, რომელთა არა აქუნდეს სიბრავლე საკმართა.

170. მორჩილებასა შინა მყოფნი ვეცხლის-მოყუარებისაგან უცხო არიან (გვ. 226).



- 171. ამად ბოროტ არს ვეცხლისა იგი სენი,  
რამეთუ სხუანი ვნებანი ზედა ჰკიდავენ:  
შურნი, პარვანი, კაცის კლვანი და შფოთნი;  
ხოლო რომელნი საკმართა წარაგებდეს  
და იკმარებდეს კეთილად, კეთილვე არს.

## XVIII

### გულ-ფიცხელოზისათჳს

- 172. გული ფიცხელი ხ ილვად არა თავს-იღებს  
უფლის მიერვე სულითა ერთად მყოფთა,  
ლოცვათა მომკლველ, არ-მღმობელ, უგუნურცა,  
ფრიად უმადლო, თავ-მოთნე, ამპარტავან.  
იცან, ნუ სდროებ, ოვხწრვე ამას ვნებასა.
- 173. გულ-ფიცხელობა მკლველი არს გონებისა,  
სულისა თუალთა აჩრდილი შემოსრული,  
ვნება ბოროტი, მოყუსისა განმწარება,  
საძულო რისხვა, გულის-თქუმა მიგებისა.  
ამას ეკრძაღე, მონაზონო მდაბალო!
- 174. გული ფიცხელი — წინამძღუარი ბრმად-მყოფი,  
სხუათა ხედვითა მასწავები უნათლო,  
იგი მკურნალი, თვთ სნეული დაწყლული,  
სხუათა მრისხავი რისხვისათჳს და თჳსსა  
არა-მრიდები ვნებისა გესლსა ამას.

171. ძირი არს ყოველთა ბოროტთა ვეცხლის-მოყუარება და ესრეთ ეწოდების, რამეთუ სიძულილი, და მპარაობანი, და კაცის კლვანი, და შფოთნი, და მტერობანი, და ძკრის-ვსენებანი, და უწყალოებანი და შურნი მან ქმნნა (გვ. 228).

173. გულ-ფიცხელობა სიკუდილი არს გონებისა და მკლველი არს სულისა...

174. გულ-ფიცხელი და უღმობელი... წინამძღუარი არს ბრმა: თვთ ვერ ჰხედავს და სხუათაცა ხედვას ასწავებნ; სიმრთელისათჳს წყლულებათასა იტყუნ და თვთ დაუცადებლად თავსა თჳსსა მოსწყლავნ; სენისა კურნებასა იტყუნ და მვენებელისა ჰამასა არა დააცადებნ; ვნებათა შეაჩუენებნ და მვესეულად მუნვე მიიქცის, საჰმესა ზედა ბოროტსა განიზრახის.... (გვ. 230).

---

171,2 ვნებანიცა დაკიდავენ D; ზედა] და A. 171,4 რომელი ABDEU. 172,1 გული ფიცხელი] გულ-ფიც BDE; თავს-იღებს+ხოლო B. 173,4 საძულო] საძულო ABCDE. 174,2 ხედვათა B. 174,4 რისხვისა თვისნი თვისსა AD. 174,5 ვნებასა B.

\*175. მონაზონო, შენ სიმდაბლე შეიყუარე,  
სიმშვდე, მარხვა, სიწრფოება უმანკო,  
სიყუარული და მოწყალება მაღალი.  
ამითა სძლიე სიფიცხესა წარმდებსა  
და შედი მერმე ეზოსა ერთისასა.

176. უღმობელობა აძლიერებს მუცელსა,  
ხოლო დააჭკნობს სულისა ზნესა კარგსა;  
უღმობელობა თუალთა წყაროს განაგმობს,  
ხოლო მოყუსისა ვნებასა აძლიერებს.  
გულო ფიცხელო, დაწყნარდი, იღმე ესე!

\*177. გულ-ფიცხელი [და] უღმობელი რაჲ შეკრბენ  
ერთად, ორნივე სულსა შორის წარმდებსა  
ვნებასა შობენ, სიკუდილსა სულისასა,  
ვინაჲთგან შფოთი უწესო შეემთხუევის  
ამპარტავანთა. იგი კრებულნი ცუდი!

178. გული ფიცხელი, უღმობელი იჩემებს  
წარმავალისა სოფლისა სიძულილსა,  
სიბრძნის-მეტყუელებნ სიკუდილისათჳს ხოლო;  
ვითარ უკუდავი მარადის იყოფებინ.  
თუალი სულისა ზე გაქუნდინ, მონაზონო!

178. გლოვასათა მძლე ექმნა ესე მწარე დედოფალი და სიმყარლისა საუნჯე მუცე-  
ლი, განძლიერებული უღმობელობის მიერ (გვ. 231).

178. გულ-ფიცხელი და უღმობელი.... სიკუდილისათჳს სიბრძნის-მეტყუელებნ  
და, ვითარცა უკუდავი, ესრეთ იყოფებინ (გვ. 230—231).

---

175,2 უმანკოება AD. 175,5 ერთისასა] ზეცისასა CDE. 176,2—3 ტაეპები  
B-ში გადასმულია. 176,2 სულისა ზნესა] სულის ზენასა BE; ზნესა ] ზენასა AD. 176,5  
იღმე] ღამე CU. 177,1 გული ფიცხელი ABCDEGKU; რაჲ შეკრბენ] შეკრბენ C.  
178,3 -მეტყუელებს B, -მეტყუელებენ C.

179. საქმესა ზედა ბოროტსა განრისხნების,  
ხოლო თესაგან არა ჰრცხუნენის, მასვე იქმს;  
სიტყვთა აღსთქუამნ და საქმითა უარ-ჰყოფნ  
ულმობელი და დაქსნილი, გულ-ფიცხელი,  
მედგარი მონა, მზაკუარი, ნაყროვანი.

\*180. ამას ერიდე, მონაზონო, ნუ სდროებ,  
ვინაფთგან სახე შენი ანგელოსებრი  
არ-ქუეყანით არს, ზეცისა არს, მას ზრახავს.  
იგი შეიტკბე, იგავსა ერთსა ხედე  
ერთებრივითა თუალითა უღამოფთა.

\*181. გული ფიცხელი საფთ მოვალს, გაიგონე,  
რომელთა გუართათ აღმოსცენდა უღმობი!  
ესე ვნებული, ბოროტი მოგზაური  
მრავალთაგან არს, არ ოდენ ერთსა ჰკიდავს.  
ამად ღუმილი შეიტკბე. შეიყუარე.

## XIX

### ქ ი ლ ი ს ა

\*182. ძილა — ყოველთა საცნობელთა უქმობა,  
იცან, დახედენ! ოთხთა საქმეთაგან არს:  
ლოცვა განსდევნის ეშმაკთა-მიერსა მას; —  
ისი ბუნებით არის, ჰამადთაგანცა;  
ხადმე ოდესმე მარხვაცა არს მიზეზი.

179. თესთა სიტყუათაგან არა ჰრცხუნენ უბადრუცსა; ბოროტსა რაჲ იქმნ, გულის-  
ქმა-ყოფნ და მასვე შინა არს: პირითა ყეთილისა ქმნასა აღუთქუამნ და საქმით ბოროტსა  
იქმნ (გვ. 230).

179,2 ჰრცხუნენს ADU; 179,3 საქმით უარ-ჰყოფენ ACDEU. 180,4 იგავთა  
ACDEU. 181,2 უღმობელი AD. 181,3 ბოროტი ვნებული U. 182,4 ბუნებითა არს  
A; ის ბუნებითა DE.

\*183. ძილი მრჩობლ-ორთა კავშირთა შეზავება  
და მათგან ქმნილთა ცხოველთა სხეულისა  
გრძნობითთა გუართა საცნობელთა უქმობა,  
გონიერად შენ გაიგონე, ესე არს,  
მაგრა მიზეზი — სხუა. ისწავე, თუ გსურის.

\*184. ბუნებითა შენ შორის, მოღუაწეო,  
ნუ დაიმძიმებ ოდესმე მოსლვისათვს,  
რამეთუ ადამს პირველად დააძინა  
შემოქმედისა მტკიცემან ბრძანებამან —  
და ესრეთ უქმნა თანა-შემწე შობისა. —

\*185. მაგრა უზომო ძილი ჩუეულებისა  
და განსუენების ფრიადისაგან არის;  
და ვითარ სულსა გონებასა უბნელებს,  
ეგრეთ სხეულსა მოშლის მყოფობისაგან  
და ოთხეულსა დაარღუევს უსაეჭვოდ.

186. ლოცვასა რაჟამს წარვდგით, მაშინ ეშმაკნი X  
ფქნარებასა და ძილსა მოგველენდიან,  
რათა ხედვასა დააცილონ გონება,  
დაწყმიდონ იგი საზომი უვნებელი.  
განმკნდი, მხედველო, ნუ გცონის, იღვძებდი!

186. მივიღით რაჟ ლოცვად, [ეშმაკნი] დაგუნთქიან ძილითა... სხუანი კედელსა მიგ-  
უყარდნობდიან, ვითარცა მოუძღურებულთა, და მრავალ-გზის ფქნარებასა უზომოდ  
მოგველენდიან (გვ. 235—236).

183,3 გუართა] გულთა C; 183,4 განიგონე DE; 184,1 ბუნებითი არს BCEU.  
185,4 ეგრეთ] გარეთ C; მყოფობისაგან მოშლის E. 186,1 ეშმაკნი მაშინ BCU. 186,5  
მხედველო] მხედო და B.

187. ვინცა დაიდვას გულსა — ლოცვასა შინა  
ვითარცა ღმრთისა წინაშე მდგომარე არს —,  
იგი ძილსაცა ბუნებითსა მძლე ექმნის  
და სხუათ ყოველთა, რომელთაცა აწუევდეს  
კაცობრივისა მიყოლა ბუნებისა.

\*188. მორჩილი მტკიცე, ლოცვათა შემწირველი  
ძილსაცა შინა მასვე იგონებნ, რომელ  
მღკდარეს აქუნდეს ზრუნვანი დღისისანი,  
და ჰხედაენ მასვე უკუდავსა, უღელვოსა,  
საუკუნოხსა ერთსა გზასა მტკიცესა.

\*189. ძილი ვნება არს სულისა მიფარული,  
რამეთუ: რაჟამს არა ჰგონებნ, გამოჩნდის  
და ლოცვა მისი მოშალის; თუ უდებად  
უმჯნო დაძხედის-ლა წარდგომილი ხედვასა  
მისსა რომელი, მოეგო მოღუაწებით.

\*190. მრავალთა თანა ლოცვა მღკდარებასა  
მიჰმადლებს კაცსა მოღუაწესა სიფრთხილით,  
ხოლო ძნელად უჩნს შემსკულავა გონებისა,  
ვინამთგან ხედვა უდაბნოს მყოფთა ჰშუენის  
და სიმარტოით მარადის ცხოვრებულთა.

187. რომელმან დაიდვას გონებასა თვისსა სიმტკიცითა გულისაათა და ესრეთ ხედ-  
ვიდეს, ვითარმედ კეშმარტიად წინაშე ღმრთისა მდგომარე არს, რაჟამს ილოცვიდეს...,  
არა ევნებოდის მას ერთისაცა ამით პირველ თქმულთაგანისა (გვ. 236).

---

187,1 ვინმცა BG. 187,2 ვითარმცა BG. 187,3 ექმნის BCDGK, ექმნა E. 187,4  
აწუევდეს C. 188,5 საუკუნესა BCU. 190,4 ჰშუენის| უჯმს B; მყოფთა| მოღუაწეთა C.  
190,5 სამარტოთათ A, სიმარტოთ E, სამარტოთა D.

- \*191. ჰგონებ თუ ძილსა განსუენებად, ჰოა კაცო,  
მცირე იგუმეიე სიმტკიცედ ბუნებისად,  
და გამოსახე შენ შორის სამარე და  
ადრე განიფრთხობ, რამეთუ თანა-მდებად  
შიში კაცთა აქუს სიკუდილისა მარადის.

## XX

### მ ლ კ ძ ა რ მ ბ ა ი

- \*192. მონაზონსა მას / რომელსადა ძილისად  
ღმრთისა ხედვითა ეძლიოს, გამოცდილ არს,  
ოკხილავს ღირსთა ბუნებით ნათელი და  
ძნობს გალობასა, აღმყვანებელსა ზეცად,  
ამას ეტრფობის, იღვძებს და ნათლდების.

- \* 193. ძილი ფრიადი გონებასა აფიცხებს,  
ხოლო ღვძილი განსწმედს და განანათლებს;  
ესევე სდეენის სიძვისა ვნებასა მას,  
დიდსა ბოროტსა, წარმწყმედელსა სულისას,  
ჯორცთა ბნელისა შეკარებულსა მწვრესა.

- \*194. ათთა გიჩუენებ მღვძარების გამოთა  
უსავსესისა რიცხვსა კეთილ-ქმნათა,  
ვინამთგან ესე შეუღდგს მოლუაწებისა  
გზასა კეთილსა, მარჯუესა მტერთა წყობად,  
და მდაბალსა მას საზომსა, უმარცხნოსა.

198. თუღმან მღვძარემან განწმიდა გონება, ხოლო სიმრავლემან ძილისმან განა-  
ფიცხა გული და დააბნელა სული. მონაზონი მღვძარე მტერი არს სიძვისა, ხოლო მო-  
ძილი მეგობარი არს მისი... ძილი ფრიადი მომატყუებელი არს დავიწყებისა, ხოლო  
მღვძარებაა განსწმედს გონებასა (გვ. 239—240).

191,1 ძილსა] ძალსა E. ზეცად] ზედად C, ზენად U. 194,3 მოლუაწესა D, მოლუ-  
აწებასა B.

195. გულ-ფიცხელობას შემუსრავს, სიზმართაცა, ~~ქ~~  
მოპქდის ცრემლთა და გულსა ამდაბლებს ზომით,  
გულის-სიტყუათა სცავს, მოადნობს ჳამადთა,  
სტანჯავს ეშმაკთა, ენას უაღვრებს და  
სდევნის ოცნებას, იპყრობს გულის-სიტყუათა.

\*196. სულისა ძალთა ძილი შეაფარილებს —  
და მღვძარება განსწმედს და განაახლებს; —  
გონება ჰხედავს მღვძარესა უვნებოდ, —  
ხოლო მძინარე შეიკრებს ოცნებათა,  
რაჟამს განზრახვა წარიოტოს ძლეულმან.

\*197. მღვძარესა მას რაცა ეხილნიან დღეს,  
იგინი ძილსა შინა სწრაფით ეჩუენნის,  
რათა აოცნოს მომავალთა ცნობა და  
ამპარტავან ყოს მდაბალი მონაზონი,  
პრიდოს ეშმაკსა, გარდმოთხელსა მალლით.

\*198. რისხვა და შური მღვძარესა ებრძვიან, —  
ამასეე თანა ვეცხლის ნაშობი იგი;  
ხოლო მძინარსა ოცნება მათი განლევს  
და გულის-სიტყუა სიძვისა შეაბილწებს,  
ვინამთგან ცხადად ესე უფრომს აღჩნდების.

106. მღვძარება შემუსრვა არს გულ-ფიცხელობისა და განთავისუფლება არს სიზ-  
მართაგან; მოპქდელი არს ტირილისა და დამამდაბლებელი არს გულისა; მცველი არს  
გულის-სიტყუათა და მომადნობელი არს ჳამადთა, მტანჯველი ეშმაკთა, აღვრი ენისა  
და შაოტებელი ოცნებათა. მონაზონი მღვძარე მონადირე არს გულის-სიტყუათა და  
ადვილად შეუძლის მყუდროებასა შინა ლამისასა, ხედვად და შეპყრობად მათდა (გვ.  
240).

---

196,1 შეაფარილებს] შეაფარილებს D, შეაფარილებს CU. 196,3 უვნებელს A,  
უვნებად DU, უვნებელად C. 196,4 ხოლო] და AB. 196,5 ძლეულმან] სწეულმან  
BU. 197,3 ცნობა და] მცნობელობა BE. 197,5 მალლით] ზეცით B. 198,4 შეაბილ-  
წებს] შეაგინებს E.

- \*199. ჩუეულება არს ყოვლისავე, რაჲცა არს:  
 ამაღ ბუნებად ბრძენთა დააწესეს აწ,  
 ამას უწოდა ასოდ სიტყუამან ღმერთმან,  
 ვინაჲთგან ესრეთ განგდება ძნელ-არს მისღ  
 და მოკუეთაცა, ვითარ ასოჲსა ჩუენგან.
- \*200. ძილსა თუ იტუმევე, მცირედ ესე, ჰოჲ ბრძენო, —  
 რათა გონებას არა ევნოს ყოვლაღვე, —  
 ვინაჲთგან ღმერთსა, ბუნებისა მიმღებას,  
 განაღკებდეს ნავის შინა მოშიშნი,  
 ბუნებითია, უენებო და მცირელი.
- \*201. ვაჭარი ვეცხლსა ემოყურების და მტერი  
 იგი ბოროტი სულისა ძილსა ჰყუარობს,  
 რათა მოღუაწე დააბრკოლოს ამითა  
 და ღრმას მოქცევსა ზუაობისასა აშთოს,  
 ოცნებითა რაჲ აღაშფოთოს მრავლითა.

## XXI

### მოშიშებისათჳს არს

- \*202. მოღუაწეო, შენ                    ამას ერიღე კრძალვით  
 ოკფროჲსლა, რათა                    სული იძიო მისთჳს  
 შიშსა რომელი                        იმას გასწავებდეს და  
 იგავთა ერთსა                        ბუნებითთასა მიერ  
 შენ წარგავლენდეს,                    ეტრფე კეთილად ამას.

---

199,2 აწ] იგი CU. 200,5 ბუნებითთა E. 201,1 ემოყუების B. 201,2 ძილსა] ძალსა B. 201,4 აშთობს CGU. 201,5 მრავალთა C. 202,2 რათა] რამეთუ C. 202-ე სტროფის 3—5-ე ტაეპების ბოლოკიდურის აკროსტიქი. დამახინჯებულია C-ში: დ, შიე, ამა.



\*203. მოშიშებისა საქმენი ექუს არიან, ხოლო მათგანნი რომელნიმე კეთილსა, გონიერსა მას გზასა არა გარდავლენ და რომელნიმე ხატად სიმართლისადვე დაისხმიან და ესე შენ გულის-ჴმა ყავ.

• 204. მოშიშება არს ჩუეულება ყრმებრივი, ურწმუნობა, მზუაობრობა დაჴსნილი, განგებისა მის ზენაჴსა ვერ მიწთომა, ვნება ამაო, განკრთომა ანაზღაფთი. ამას მძლე ექმენ, განსდევნე ესე შენგან.

\*205. ღამის მოშიშსა ეცინოდის ეშმაკი, ვინაჴთგან ჰხედავს ყოვლად ვერ-მიხებასა; უკუეთუ არ ზენათ მსაჯულმან მიუშვას გამოსაცდელად სიმართლისა მისისად, უმეცრებასა ჰკვრდების უგონებოს.

• \*206. ამას მძლე ექმენ, ნუ გცონის ადგილთა მათ მისლვად მარადის; სადაცა გეშინოდის, ღამის სიბნელე ღლისად შერაცხე ნათლად, ხოლო ღლისასა ეწყუებოდე ლოკვითა და ესრეთ შედი მოლუაწებისა გზასა.

\*207. აჩრდილთა რათმე საქმეთასა გონება, ანუ ყოფადთა მოსალოდებთა შიში ანუ ვნებათა უჴამოთათჴს ძრწოლა მდედრებრივთა არს გულითა და უმჴნოთა, არ-სასოებით ღმრთისა მხედთა მარადის.

¶ 204. მოშიშება ჩუეულება არს ყრმებრივი სულსა შინა ცუდად მზუაობარსა. მოშიშება მიდრეკა არს სარწმუნოებისაგან მოლოდებთა მოულოდებელთაჴთა (გე-244).

203,1 საქმენი] სახენი BCU. 203,4 სიმართლისადვე D, სიმართლისავე BEG. 205,5 უგუნებოსა ADU, უგუნებოს C. 205,2 გეშინოდეს E. 206,3 ღლისა ABCDEU; 206,4 ღლისისად B. 207,2 მოსალოდებელთა CDU.

- \*208. არცა სიბნელე, არც უდაბნო ადგილი,  
 არცა ტევნები, არცა მათა სიმაღლე  
 განაძლიერებს ეშმაკისათ ჩუენ ზედა  
 მანქანებისა სიბოროტის ღონეთა,  
 მაგრა — სულისა უღებება დაქსნილი.
- \*209. მოშიშებასა ნუ ჰგონებ მას წმიდასა,  
 რომელსა დავით ღმერთსა მიუჰყრობს საძღუნოდ;  
 იგი წმიდა არს, ტანჯვათა მოკრძალი და  
 ანუ ხედვისა სიყუარულით კრებული,  
 უნაკლულო და სრული, წმიდა, მართალი.
- \*210. ესე ცთომილი უარსო და უმყოფო,  
 მოღუაწეთათვს საკრძალი და სარიდო,  
 შიში ყრმებრივი შენგან განაგდე, მწნეო,  
 მოღუაწებისა შესრულო სტადიონად;  
ესრეთ სჰამდი ამვროსიასა ტკბილსა.
- \*211. არცა ყოველი უშიშო და უკრძალო  
 მოღუაწებისა გზასა წმიდასა სტკებნის,  
 ვითარ მრავალნი საფლავების მჰკუერველნი  
 ანუ ადგილთა უდაბნოთა მავალნი  
 აღმოსავსებლად სიმპალისა მათისად.

## XXII

### ცუდად-მზუაობრობის

- |                    |                               |          |
|--------------------|-------------------------------|----------|
| *212. ცუდად მალალი | მზუაობრობასა                  | ჰპოვებ,  |
| უნივთოსა შენ,      | ზენასა ბოროტს,                | ვითარ    |
| დიდებასა მას       | უმოყუროსა, ჰოა                | ბრძენო,  |
| აჩრდილსა ცუდსა,    | ამოსა                         | შეიკრებ. |
| დამდაბლდი, გესმის  | ოკფლის, აქათ გნებვს წარსლვის. |          |

208,2 არცა მათა სიმაღლე] არცა უდაბნო ადგილი E. 209,5 სრული] სული AE.  
 მღღევართ] მღღევართა CDU; 271,2 შინა | შინასა B; 271,5 დაღუმდეს] დაღუმდების  
 ADE, დაღუმებრ BCU; 277,1 ეკლესიას] ეკლესიასა C; 290,2 ყოვლად] ყოვლადე  
 C; 293,1 სიყუარულ] სიყუარული CU; 294,3 ცეცხლს] ცეცხლსა ACDU; 295,3 შერს]  
 შერსა C; 295,4 საჭიროს] საჭიროსა CU; 298,2 ღირსადქდა A; 298,2 სიყუარული]  
 სიყუარულიე BC; 301,3 გუართა] გუართათა CU; 302,3 ვითე] ვითთაე A; 302,3  
 ცას] ზეცა ADE.

ხელნაწერებში დაშვებულია უხეში წერიით შეცდომებიც, რის შე-  
 დეგადაც ტაქეებში დარღვეულია ცეზურა, საზომი და შინაარსი. აი  
 ესენიც:

1,1 სინელი| სინანული C; 18,2 მონაზონთა| მონაზონაზონთა C; 20,3 სხუათათკს| სხვას სხვითათვის C; 24,2 მოსრულთა| მოს რომელთა AD; 26,2 მიყოლილსა| მიყოლისა CD; 38,1 ჰაერთა| პირთა D, ჰერთა E; 42,5 იწყე| ი მწყემსი A; 55,5 დაგვეშვის| დაგვეშვის A; 57,1 მომყმარ არს| მომყმარს C; 57,2 წყურვილსა| წყრილსა ACU; 75,1 ამან| ამინ C; 90,2 ყუედრებისა| ყუედრებისა A; 93,2 ჰმარხავს| მარხავს C; 94,1 სირცხელი| სისხელი E; 112,5 ვერიდე| რიდე C; 137,5 კანონი| ცნონი C; 140,2 კერპე-ბითა| კუეფებითა C; 148,3 ჰმნილა| ჰმნილი B; 181,2 აღმოსცენდა| აღმოსჩენდა C; 186,2 ფქნარებასა| ფქნარებს D; 202,2 იძიო| იგიო C; 251,1 აქცინა| აქიცნა CU; 268,3 და ამრავლებდეს| დამრავლებს C; 273,4 დამატებისა| დამატების U; 275,3 მარტივითა| მარტივივითა E; 277,2 ნურარას| ნურარაჰარასა E; 293,5 ინდლამად| ინდლამად C, ინდლამად U; 300,4 განდმრთლების| განდთულების U.

ზოგიერთი წერითი შეცდომა გამოწვეულია წინა ან მომდევნო ტაეპის ან მათი რომელიმე სიტყვის (თუ შესიტყვების) გამეორებით, ან კიდევ ტაეპების გადასმით (იხ. ვარიანტები ტაეპებისა: 55,2; 85,4; 208,2; 270,2; 271,4—5 და სხვა). ერთ-ერთ გადაშწერს როდესაც 267-ე სტროფის პირველი ტაეპი გადაუწერია, მექანიკურად წერა გაუგრძელებია 268-ე სტროფის მეორე ტაეპიდან. ასე რომ, მას გადასაწერი დარჩენია 267,2 — 5 და 268,1 ტაეპები. ამიტომ რიგ ხელნაწერებში (BCGKU) 27-ე თავი წარმოდგენილია 9 სტროფით. ეს, ჩანს, უგრძენია C-ს გადაშწერს და ტექსტში 268-ე სტროფი გაუმეორებია (გვ. 97).

გადაშწერათა ყველა შეცდომა გავასწორეთ ხელნაწერებში დადასტურებული წაკითხვებით. შინაარსობრივი ცვლილების გამომწვევი კონიექტურებისგან შეგნებულად შევიკავეთ თავი. მუშაობის პროცესში ხელნაწერთა ყველა კითხვა-სხვაობა აღვნიშნეთ, მაგრამ ვარიანტებში მივუთითეთ მხოლოდ ძირითადი სხვაობა, ისიც მხოლოდ უმთავრესი (ABCDEGU) ხელნაწერების მიხედვით. ტექსტის ქვეთავთა დასათაურება ჩვენ გვეკუთვნის. ყველა სათაური წარმოადგენს აკროსტიქის გამეორებას.

იოანე პეტრიწის შემოქმედებითი მუშაობის გასათვალისწინებლად ტექსტს დავურთეთ იოანე სინელის „კლემაქსის“ ეფთვიმე მთაწმიდლისეული პროზაული თარგმანის ის ექსცერპტები, რომლებიც გაულექსავს პეტრიწს. მასვე დავურთეთ იშვიათ და არქაულ სიტყვათა ლექსიკონი. მათი საშუალებით ტექსტის შინაარსობრივი გააზრება იოლი ხდება.

\* \* \*

ADEF და ზოგ სხვა ხელნაწერში „სათნობათა კიბის“ დასასრულს მისდევს თხუთმეტი იამბიკური სტროფი, რომელთაგან პირველი სტროფი აკროსტიქულია და იკითხება სათაური: „შვდთათკს ვნებათა არს“; მთლიანი ტექსტის შინაარსი ასეთია:

- |                   |                             |            |
|-------------------|-----------------------------|------------|
| 1. შედთა ვნებათა  | თვთ აღმრიცხავი              | ჰჰოვბ      |
| ოვფროდსლა დიდთა   | ხულისა ამათ                 | სენთა.     |
| დაფარულადცა       | ვინა გონების                | მამბრმოზთ  |
| თუ არ განიფრთხობ, | ნებსით მასვე შენ მთხრებლსა, |            |
| აჰა, შთაჰრილ ხარ. | ესე დიდი                    | ვნება არხ. |

### I

2. ამჰარტავანო, რად ვმსგავსე გულითა  
ბნელსა ბელიარს, მთავარსა მას ბოროტსა?  
ვით დავიმრუმა ოთხთა კავშირთა ყრამან  
ხატი მარტივთა, უსხეულთა თუალი?  
თან აღრეულ ხარ, მიწა ხარ და დამდაბლდი!
3. სიმდაბლეო, შენ ანგელოსთა სახეო,  
ისი არღვე, ქვე სრულად დააკუეთე!  
ღმერთ-ჰყოფ შენ მადლით მჰონებელთა აწ შენთა,  
მას ეხატები, ზეციით რომელი-იგი  
მონისა ხატსა სიმდაბლით შეეთვსა.

### II

4. კერპთ-მსახურებად გთქუეს შენ წმიდათ მამათა,  
ვინათგან ვნებთ ძირი ხარ ყოვლით კერპო,  
ვეცხლის-ტრფობაო, რტოვბ-ზედა-მომსხმელო,  
აღმღებო ცადმდე, შთამყვანო ჰოჰოხეთად.  
განუძლომელო, ნაკულუო ყოვლით კერპო.
5. უპოვარება, საჰმართა მოიძულეზ,  
სიყუარულისა საკრველო, უშფოთველო.  
ლოციის მწმედელო, დიდებისაგან ჰმნაო,  
განცხრომისა და ტყუილის მოძულეო.  
ვიცი, შენ არღუეე ვნებასა ამას დიდსა.

### III

6. ნაყროვნება, არ ოდენ სულის ვნება ხარ,  
აწვე — გონების მოშლაცა ხედვისაგან,  
კულად ამ ოთხთა ასოთა განმრყუნელიცა.  
ვინათგან ერთის დამეტება სხუასა ჰშლის  
სასმელ-საჰმელთა უძღებად რევისაგან.
7. მარხევე, დაარღუეე ამის სენსა ბოროტსა,  
განსწმედ ვონებას, ხედვასა უმარტივებ,  
ხოლო სხეულთა სიმრთელესა მიჰმადლებ,  
და სტომაჰისა ოთხთა ძალთა აღკაზმავ  
და სიმრთელითა ჯორკთ აკლი მოღუაწებად.

## IV

8. სიძეაო, შენ ხარ უსაძაგლესი სენი,  
უსხეულოთა ბუნებათა მოძულე,  
ქორცთა მბილწები, სულსა თუალთა მბნელები,  
მკირედ ჟამისა გემო და მიმცემელი  
საუკუნოვანსა გეენისა ცეცხლსა.
9. შენ, სიწმიდო, მეგობარო ქრისტესო,  
ზეცისა ძალთა მოდასეო მართალო,  
არღუევ, განსდევნი ტრფიალებითა ამით,  
რომელი სულსა დაიცავს განუწყუნელად  
და მუნ აღიყვან, სადა ერთებრ შუება არს.

## V

10. სიძულილსა რად მიეტრფობი, რისხეაო,  
მღულარება ხარ სისხლისა გულს გარემო,  
ფუფუნებითა ნავლისადათა აღმღურევეთ.  
ზედ-მომავალი არა თუმცა ერთ კერძო  
ქრისტეს მცნებისებრ მიუპყარ შენ მცემელსა!
11. სიყუარულო, შენ სინათლეო ნეტარო,  
წინაშე ღმრთისა საყდართა მდგომარეო,  
მცნებათა თავო, ამას არღუევ და ჭფოცხავ,  
რამეთუ ერთსა კერძოსაცა მიუპყრობ,  
რათა შენითა განსწავლო მოთმენითა.

## VI

12. მოწყინებაო, მართოდ ჯდომისა მშლელი,  
გაიყვან სოფლით, კუალად მუნვე მიაქცევ,  
არ სცემ ადგილსა, ყოველგან გაამწარებ,  
მეგობართაქს ჰზაკევე მხიარულ-ქმნასა  
და აღაესებ მათ უფროვსად სიმწარითა.
13. სულ-გრძელებით შენ მოღუაწეო მართალო,  
მოითმენდ იმათ ზედ-მოსრულთა ყოველთა,  
მოწყინებასა წარბოტებ სენაკით  
და მართობით ცხოვრებასა აღირჩევ,  
წინ განეწყობი, სძლევცა იმას კუალადვე.

## VII

14. მწუხარებავე, ჰშილი გონებასა მდაბალსა,  
სულისა ძალთა შესქემ და სხეულთაცა.  
ძულთა მღილი ხარ, არღუევ შეზავებათა,  
შემუსრავ ძალსა და ამდედრებ ცნობასა,  
სოფლის ზრუნვათა შემსკუალავ საკრეველად.

15. სულისა ხედვა, ეონთა გუართა ქურეტა,  
ამითა შუება, გულისა ნათლად დება,  
ერთებრთა გუართა განუჭრელი საკრველი,  
მათ შორის ქცევა, მხიარულ-ქმნა უკუდავი  
არლუევს იმისას ოთხ-სახითურთ ყოფსა.

ამ ტექსტში დახასიათებულია შვიდი ვნება—ამპარტავნება, ვეცხ-  
ლის-ტრფობა (ანუ ვეცხლის-მოყვარება), ნაყროვანება, სიძვა, სიძუ-  
ლილი, მოწყინება და მწუხარება, აგრეთვე მათი უარმყოფელი შვიდი-  
სათნობა—სიმდაბლე, უპოვარება, მარხვა, სიწმიდე, სიყვარული,  
სულ-გრძელება და სიხარული. ავტორი მკითხველს ურჩევს, რომ  
თვითელი ვნება დათრგუნოს მისი საწინააღმდეგო სათნობით. ხელ-  
ნაწერებში ამ ავტორის ვინაობა აღნიშნული არ არის, მაგრამ რაკი ეს  
ტექსტი „სათნობათა კიბეს“ ერთვის და ზოგჯერ მას წინ უძღვის 302-ე,  
აკროსტიქული სტროფი, შეიძლება დაისვას საკითხი: „შკდლათეს ვნე-  
ბათა“ ხომ არ არის შეთხზული პეტრიწის მიერ? ამ საკითხის დასმას  
მხარს უჭერს პეტრიწული ტერმინებიც: „ოთხთა კავშირთა ყრა“ (2,3);  
„ოთხთა ასოთა განმრყუნელი“ (6,3); „ზეცისა ძალთა მოდასეო“ (9,2);  
„უსხეულოთა ბუნებათა მოძულე“ (8,2); „სულისა ხედვა, ეონთა  
გუართა ქურეტა“ (15,1)—და „ერთის“ ცნებით ღვთაების გამოხატვა:  
„და მუნ აღიყვან, სადა ერთებრ შუება არს“ (9,5); „ერთებ-  
რთა გუართა განუჭრელი საკრველი“ (15,3), რომელთაც ვხვდე-  
ბით ზემოთ დამოწმებულ იამბიკოებსა და „სათნობათა კიბეში“.

---

## ლექსიკონი

### ე

- ადამ 184,3 ბიბლიური გადმოცემით, პირველი ადამიანი, რომელიც გააჩინა ღმერთმა.
- ადგილ-ი: ნუ სცემ ადგილსა ვნებასა მას 45,3 ვნებას (იგულისხმება სიძვა) ნუ აძლევ ადგილს. ადგილით-ი: არ ადგილითი სოფლით გამოსლვა არის 9,1 სოფლიდან გამოსლვა (საერო ცხოვრების მიტოვება და ბერად შედგომა) არ არის ადგილის შეცვლა.
- ათ-მუკლ-ი: ათ-მუკლად... დავლექსენ 1,4—5 ათ სტროფად გავლექსე.
- ათკს-თკხებლ იხ. თკს-თკსი.
- ათკს-მწუმბრებს 126,5
- ამბოხება 264,2 არეულობა, შფოთი.
- ამვროსია 210,5; 241,5 „არს ელინური ლექსი, ხოლო ქართულად — უკუდავება. დავით რექტორი“ (A 342); ღვთაებრივი სასმელ-საჭმელი; სურნელოვანი ნელსაცხებელი.
- ამპარტავან-ი 172,4 ამაყი, ზეავი; ამპარტავნება 213,1 ამაყობა, ზეაობა.
- ანაზღაბთ-ი 204,4 უცაბელი, მოულოდნელი.
- არა-მრიდებ-ი 174,5 მოურიდებელი.
- არ-მრწმენ-ი 40,1 ურწმუნო, დაუჯერებელი.
- არ-მყოფ-ი 12,3 არ-არსებული, არა-არსი.
- არ-სასოება იხ. სასოება.
- არს-ი 2,2; 8,4; 164,5 მყოფი, არსებული, **сущиѣ**. არსთ მზად-ი 222,5 შემოკმედი, ღმერთი. არსთა თუალ-ი იესო ქრისტეს

- ეპითეტი: [უპოვარმა] იგი მოიგოს— დაუესიბი ნათელი, არსთა თუალი და წყარო დამკევეი მათი 164,4—5. შ. რ.: „მიდრეკაჲ სულისაჲ სხუად ნუ ჰგონო, არამედ ცხოვრებად და ეს (=სული, ი. ლ.) ვითარ თუალად და წყაროდ ცხოვრებისად“ (პეტრიწის შრომები, II, გვ. 51). უმყოფო არს-ი 4,3 რასაც არა აქვს არსება, არარსებული მყოფი; მწუელავი არსისა 286,4 არსებულის აჩრდილი (მიმბაძველი, იმიტატორი). არსება 243,2 მყოფობა, **сущиѣсть**.
- ასო<sup>1</sup> 43,2; 199,5 ორგანო, ადამიანის სხეულის ნაწილი.
- ასო<sup>2</sup> 199,3 კეფირი, ელემენტ. (წყალი, მიწა, ჰაერი, ცეცხლი).
- აღვზება: ცეცხლსა ალაგზებს 92,2 ცეცხლს აანთებს (გააღვივებს).
- აღვლა ავლა (ქვევიდან ზევით): კიბე აღვივლია შენ 301,5 კიბე ავივლია (კიბეზე ასულხარ) შენ.
- აღზრზენა 133,4 აღძვრა, აშლა (რისამე): მუცლის სიმძალრე აღაზრზენს (=აღძრავს) სიძესა 134,1.
- აღზუავება: აღზუავენ 281,2 აღზავადე, გაამაყადე, გაამპარტავანდე. იხ. ზუაობა, მზუაობარი.
- აღმომცენებ-ი 294,4 აღმომცენებელი, რაც იწვევს აღმოცენებას.
- აღმოსლვა ამოსვლა: აღმოვალს (=ამოვა) მზე 149,3.
- აღმუვანებ-ი 102,5 ამყვანი.
- აღმზილ-ი 302,4 აღმზილველი.

აღსკ.ობილ-ი: ლოცვა აღჰყოფილი  
!60,5 ღვთაებრივი სიყვარულით ხელ-  
აყარი ლი ლოცვა.

აღსრულებულ-ი 38,2 გარდაცვლილი.

აღუძრველ-ი იხ. აღძრვა.

აღუძრველობა იხ. აღძრვა.

აღკრება: ენას უაღკრებს 195,4 ენას აღ-  
ვირს ამოსდებს, ენას გააჩერებს.

აღჩენა: აღჩნდება 198,5 გამოჩნდება.  
იხ. ჩენა.

აღძრვა 34,1; 84,4; 85,1; 148,1; 258,3

აღძრვა; აღშფოთება, აღელვება.

აღუძრველ-ი 143,2 აღუღვებელი, უშ-  
ფოთო. აღუძრველობა 84,3; 144,4

აღუშფოთებლობა, აღუღვებლობა.

აღჰურება ახედვა: აღეჰურებს 40,2.  
იხ. ო ჰურება.

აღწდობა ასვლა: აღწედ 221,5 აღი.

ახოვნება 128,1 მხნეობა, სიამაჲე.

## ბ

ბრალ-ი 77,3 დანაშაული. ბრალობა 16,3  
დანაშაულობა.

ბრძაჲ: ბრძენან 33,2; 254,3 ებრძვიან;  
ჰბრძავს 124,1 ებრძვის.

ბუნება 1. გვაჰოვნება, ბუნება: მრჩობლ-  
თა ბუნებათა 66,2—3 ორი ბუნების;  
ღმერთსა, ბუნების (=გვაჰოვნების) მიმ-  
ღებსა 2,3; არა-ბუნებით 288,2.

2. სხელი; ხასიათი: სიმდაბლე აღ-  
ბობს ბუნებასა მაგარსა 242,1; მონა-  
ზონი... ბუნებასა აიძულებდეს 6,1—2;  
ურისხველობა არს ძლევა ბუნებისა  
83,1.

3. არსი: იძიე.... სიმდაბლისა ბუნება  
244,2.

ბუნებით 182,4 ბუნებრივად.

ბუნებით-ი 22,1; 184,1 ბუნებრივი.

ბუნების-მეტყუელ-ი 34,2 ბუნების მცოდ-  
ნე.

ბჭე 289,5 კარი.

## ბ

გაგონება 253,3 მოსმენა, შემეცნება:

სხუად არა ყოველად გაიგონების 284,1  
სხვანაირად სრულიად არ შეიცნობე-  
ბა (შეიმეცნება, მოისმინება).

გალობა თქმა, დარქმევა: უცხო ყოველ-  
თაგან უგალობს 27,5. შდრ.: „ღმერთად  
გონებად იტყოდა პირველსა გო-  
ნებასა, რომელსა ნამდვლ მყოფობაჲ  
უგალობა სიტყუამან“ (პეტრიწის შრო-  
მები, II, გვ. 192).

გამოცდა 101,4 გამოკვლევა, გაჩხრევა,  
გამოძიება; გამოცდლი 101,2; 227,2  
გასიჩქული და შემოწმებული.

გამყრელ-ი 152,1 განმამორებელი, ვინც  
ერთს ჰყრის მეორისგან; სულისა  
ჰკრის გამყრელი 66,2 სულისა და სხე-  
ულის ერთნაშეთისგან განმამორებელი,  
გადატ. ხორცაელი ცხოვრების უარმ-  
ყოფელი.

განათლება: განანათლებს 149,4; 193,2  
განათებს. განათლებულ-ი 6,3 განა-  
თებული. შდრ.: „მზე... ანათლებს  
(=ანათებს) თქს შორის ყოველთა განათ-  
ლებულთა (=განათებულებს)“ (პეტრი-  
წის შრომები, II, გვ. 161).

განწევა 280,2 დაბნევა, დაფანტვა; ნუ  
განბნეუ 276,1 ნუ დაბნევი; განაბ-  
ნიის 128,4.

განბრძნობა: განბრძნდების 40,1 გაბრძნ-  
დება, ბრძენი გახდება.

განგება 259,2 უზუნაესი ძალა, ღვთაების  
ნება-სურვილი.

განდრევა ვადახრა: არცა გული განდ-  
რეოს (=აიცრუოს) 28,5; განდრევილი-  
ი 110,2 ვადახრილი, განდგომილი. იხ.  
მიდრევა, მიუდრეველი.

განვლტოლა 22,2 გაქცევა. იხ. ვლტოლა,  
სუვლტოლა.

განვითხვა 253,4 გასამართლება, განსჯა;  
განიითხვ თაჲი შენი 256,5; განიით-  
ხავს... თაჲსა 266,1; მოყუასსა განიით-  
ხავს 215,3.

განკრომა 204,4 შეშინება.

განკრძალვა 160,1 გაფრთხილება, მორი-  
დება; განკრძალე 265,5 გაფრთხილ-  
დი, მოერიდე; განკრძალო 269,5. იხ.  
განუკრძალველი, კრძალვა, მოკრძალვა,  
უკრძალო, საკრძალო.

განმართება გასწორება: თქსსა ცთომას  
განმართებს 266,5 თავის შეცდომას  
გამოაწორებს.

განმგებ-ი 62,3 გამგებელი.  
 განმუშეოელი-ი 54,4 გამკვეთელი; აღმკვეთელი.  
 განღმრთობა: განღმრთლების 300,3 გაღმერთდება.  
 განმყრელი-ი იხ. გამყრელი.  
 განმწნობა: განმწნდი 186,5; 256,5 გამხსნევი.  
 განრისხება: განრისხების 179,1 განრისხდება.  
 განრომა: განერა 155,2 გადაურჩა, თავი დააღწია; განერების 163,3 გადაურჩება, თავს დააღწევს.  
 განრუხანა: განრუხანა 116,1 წახადენენ.  
 განსრულებულ-ი 257,1 დასრულებული, დამთავრებული (იგულისხმება სწავლადამთავრებული ბერი).  
 განსჯა 266,2 გასამართლება, განკითხვა.  
 განუკრძალველი-ი 98,1 გაუფრთხილებელი, უკეთ: მერყევი (სიყვარული). იხ. განკრძალვა, კრძალვა, მოკრძალვა, უკრძალო.  
 განუცდელი-ი 24,5 დაუნახელი, რაც თვალთ არ დაინახება. იხ. განცდა.  
 განფრთხობა 36,5; 129,5 გამოფხიზლება.  
 განჭიქება: განაქიქეს 227,3 გამოაშკარავებს, საჭევეწოდ ცნობილი გახადეს.  
 განყოფა 30,1 გათიშვა, გაყრა; თავი თვისი ნივთთაგან განყოფა 48,3 თავისი თავი ოთაი ეღმენტიგან გათიშა, ე. ი. სული გაყარა ხორცს (თავი მოიკლა) შღრ. აბღულმესიანი 30,4: „მჩობღად სხეულთა სული განიყევს“ (ძველი ქარაველი მეზობტენი, II, გვ. 268. იხ. გაყოფა).  
 განყოფილება 249,3 გაყოფა; განსხვაება.  
 განცდა 256,3 დანახვა; განიცადე 58,2 დაინახ; განიცდიდე 259,4 დაინახადე. იხ. განუცდელი.  
 განძარცვა გ ზღა, მოცღა, მოშორება: განძარცვა სიმშვეღე 240,3 დკრგა სიმშვიღე.  
 განწმიდება: გ წმღების 117,5 წმიდაგანდება.  
 განწყობა დარ ზმვა: მას გ-ნეწყვე დ კბრძოდე 100,2; გ-ნეწყვე წინა, მო-

ღუაწო, კეთიღად 123,5.  
 გარღკვევა: გარღ: უქციოს (=გაღღუხეიოს) გზისგან 56,1.  
 გარღმთხეულ-ი გარღმღვრილი: კრიღოს ეშმაკსა, გარღმთხეულსა მალღიღ 197,5 მოარიღოს მალღიღდან გარღმღვღებულ (გამოძვეღებულ) ეშმაკს.  
 გარღმღვღენიღ-ი 234,5 მალღიღდან (ზეციღდან) მოღენიღი (გამოგზაენიღი.) გაღუღება 284,4 გაუქმება.  
 გენისა 25,3; 134,3 ჟოჯოხეთი.  
 გონება 1. კეუღა, разум: 43,2; 102,4; 110,3 144,3; 155,3; 147,2; 173,1; 185,3; 186,3; 190,3; 196,3; 216,5; 259,5; 263,4; 264,3; 268,1; 278,1; 280,2; 284,2; 298,3.  
 2. ღმერთი, მამა-ღმერთი: დღთარული გონება 106,2 (შღრ. რუსთაველი: „გაგიცხაღა დამალული გონებამან დღთარულმან“—1295,4); გზე... განნათღებს გონებასა წმიღასა 149,4, გონებისა სახსი 267,5.  
 3. ფიქრი: 140,1; 207,1; 272,2; 274,3.  
 გონიერ-ი კევიანი, разумный: გონიერსა მას ბეღსა 289,5; ერთსა ეკრძალღს გონიერად 169,2; გონიერად მოქმეღი 253,4; გონიერთა ხეღვთა 265,4; სულისა ძალღი ერთად გონიერთაღა შეეყარნეს 8,4.  
 გონებით-ი კევიანი, разумный: ზესთა წმიღისა ცა-სახსი გონებითი 143,5; გონებითი მხეღვეღობა 289,4; ტიროღა გონებითთა ტირიღითა 109,2.  
 გონების თუღღ-ი 102,4 იგიეეა, რაც გონება.  
 გუამ-ი 218,1 სხეული.  
 გუარ-ი 1. სახე: სამ-თნი გუარნი 1,2 ოღდაათი სახე (იგულისხმება სათნობათა ის სახეები, რომელთა შესახებ მსჯეღობს პეტრიწი თავის თხზულეუბაში); უცხოებისა გუარი 23,1; გუართა (=სახეების) საღგურსა 289,5; მისცე გუარსა თეს-თესი ხეღვა სულთა 262,5; გრძნობითთა გუართა 183,3; ერთებრსა ზენასა გუარსა 241,4.  
 2. მოღღმა, ნათესავი: რომელთა გუართათ (=მოღღმათაგან) აღმოსცენა



ულობი 181,2; უსხეულოთა გუართა  
(= მოდგმათა თუ სახეთა?) 301,3.  
გულის-თქუმა 173,4 ნდომა, სურვილი.  
გულის-სიტყუა 195,3; 195,5; 198,4;  
223,2; 265,1 ფიქრი, განზრახვა.  
გულის-ჭმობა: იგულისქმეა 41,4 მიხვე-  
ლი, შეიტყე, გაიგონე.  
გულის-ჭმის-ჭმუნელ-ი 301,3 გამგონე,  
შემტყობი, მიმხედრი.  
გულ-ფიცხელ-ი 177,1; 179,4 გულქვა,  
სასტიკი, უღობელი. გულ-ფიცხე-  
ლობა 173,1; 195,1 გულქვაობა, სისას-  
ტიკე, უღობელობა.

## ღ

დაახლევა დაახლოვება; ახლოს ყოფნა:  
დაეახლები 114,2 დაუახლოვდები. იხ-  
მიახლება.  
დაბრკოლება: დაბრკოლოს 201,3 შეაღ-  
დინოს; დაბრკოლდეს 227,5 შეფერხ-  
დნენ.  
დაგება 55,3 შერიგება.  
დაგლახაყება გაღარიბება: დაგლახაყენს  
158,2 გაღარიბდეს.  
დადგმა: დაუდგამს 146,3 გაუძღლებს,  
გაუმაკრდება, დაუდგება.  
დავით 209,2 ბიბლიური წინასწარმეტყვე-  
ლი და ებრაელთა მეფე.  
დათრგუნვა გაქეღვა, გათელვა (ფეხით);  
ძღვეა: დათრგუნოს 61,3 იძლოს;  
დათრგუნოს 274,2 გათელოს; სუნი-  
დისსა დათრგუნავს (= გათელავს, გა-  
ქეღავს; დაკარგავს) 153,1.  
დაყუთება 129,4 დახეთქება, დანარცხება;  
დაყუთება 225,5 დაენარცხა, და-  
ხეთქა. დაყუთებულ-ი 220,5 დახეთ-  
ქებული, დანარცხებული. იხ. კუე-  
თება.  
დაკერება: დაკერდი 65,5; 94,5 დაუკ-  
ვირდი, დაკვირდი.  
დაღექსვა: დაღექსენ 1,5 გავღექსე,  
ღექსად ეთქვი.  
დამაყენებელი-ი 89,1 შემაფერხებელი, შე-  
მაჩერებელი.  
დამსახ-ი 152,4 დამსახველი, გამოზსახ-  
ველი.

დამსკუალული-ი 28,5 დაღურსმული,  
ღურსმებით მიჭვიდილი (იგულისხმე-  
ბა ჭვარზე გაერული ქრისტე). იხ. შემს-  
კუალვა.  
დამტკიცება: დამტკიცების 279,2 განჭტ-  
კიცდება.  
დამქცევა-ი 164,5 დამღვრელი, გაღმო-  
მადნელი.  
დამძიმება ნუ დაიმძიმებ 184,2 ნუ დაი-  
ღარდებ (დაინაღვლებ, შეწუხდები).  
დანგ-ი 154,2 სპილენძის ფული (და ხლო-  
ებით ნახევარი კაპიკი).  
დარღუვა 107,5; 166,3; 185,5 დაშლა,  
დახსნა (კავშირისა).  
დარწყმა: დაურწყამს 250,3 დაუგებს  
(მახეს).  
დას-ი 3,2 დასი, გუნდი; უყუდავთა დას-ი  
164,3 ანგელოზები და წმიდანები.  
დასხმა: დასხმიან 203,5 დაიდებთან.  
დატყვება 9,3 დატოვება; დაუტყვენს  
69,3; 164,1 დატოვენს (ისინი); დაუტყ-  
ვენს 68,3 დაუტოვებთ; დაუტოვებთ  
266,3 დასტოვებს. იხ. მიტყვება, მო-  
ტყვება.  
დაუღვრომელი-ი 110,5 დაუღვრომელი, და-  
უღვარი, გაუჩერებელი.  
დაუვსება-ი 164,4 ჩაუჭრაბელი.  
დაუვსებელი-ი 120,5 დაუხელებელი, და-  
უღამებელი (დღე).  
დაუვსო 44,5 ჩაუჭრაბელი.  
დაუღვეარი-ი 53,4 უღვეელი; უსაზღე-  
რო.  
დაუძინება-ი 98,4 მოუსვენარი (?).  
დაღათუ 234,2: 262,4 კიდევ რომ.  
დაუოვნება 230,1 გაჩერება.  
დაუღება 108,1; 262,1; 263,1; 269,4;  
270,5 ბერის განმარტოებული ცხოე-  
რება, განდევლობა. დაუღებულ-ი  
266,1 მარტომყოფი, განდევლი.  
დაშრება: დაშრეტს 25,4; 134,2 ჩააქ-  
რობს, გაანელებს.  
დაშრობა: დააშრობს 215,2 გარჯის.  
დაცება 47,5 დავარდნა. დაცემული-ი 47,2  
დავარდნილი.  
დაცხრომა 61,1; 61,2 დაკარგვა (სეინდი-  
სისა).  
დაწყულული-ი 174,3 დაკრილი, დაკოდილი.

დაწედა: დაწმიდონ 136,4 წარწყმი-  
დონ, წახდინონ.

დაკირება: დაკირდეს 167,2 გაუკირდეს.  
დაქსნა 126,4; 137,1 დარღვევა, დაშლა;  
გაუქმება; დაქსნაჲ-ი 123,3; 179,4;  
204,2; 208,5 დარღვეული, დაშლი-  
ლი, გაუქმებული; დაქსნაჲობა 61,5;  
167,5 დარღვევა, დაშლა, გაუქმება.

დაქშვა: დაგვეშვის 55,5 დაგვეხურება, და-  
გვექტება.

დაჯერება: დაჯერონ 118,5 აკმარონ.

დროება: ნუ სდროებ 172,5; 180,1 ნუ  
ახანებ.

დუმება: დუმნა 91,2 გაჩუმდა, დადუმდა.

დუმვა 103,2 დუმილი.

## ქ

ევაგრე 138,3.

ერ-ი 302,2 ხალხი.

ერთ-ი 82,5; 120,3; 152,2; 155,4; 175,5;  
181,4; 249,5; 289,3 უზენაესი ერთი,  
ღმერთი; ერთებრ-ი 241,3 ღვთაებრი-  
ვი; ერთებრივ-ი 152,4; 180,5 ღვთაებრი-  
ვი. შდრ.: „ზესთ-არსნი ერთნი და  
ღმერთნი... მიჴფნენ თსთა ღმრთე-  
ბრიეთა და ერთებრიეთა თვთებათა და  
ნათელთა“ (პეტრიწის შრომები, II,  
გვ. 171).

ერთბამად 218,2; 272,1 ერთად.

ერთ-მდგომ 302,1.

ერის-კაც-ი 16,3 საერო პირი.

## ყ

ვერ-მიხება 205,2 მიუხებელობა, შეუხე-  
ბელობა, არა-მატერიულობა.

ვლტოლა 272,1 ლტოლვა, გაქცევა, თა-  
ვის გარიდება; ივლტოდეს (=გარბოდეს)  
მისგან 45,2; ივლტოდეს 269,3 გარბო-  
დეს; ივლტოდედ 112,5 გარბოდეს  
(ბრძ.); სასყიდელთა ევლტის (=გაურ-  
ბის) 215,4; ევლტოდეს 264,3 გაურ-  
ბოდეს. იხ. განვლტოლა, სივლტოლა.

## ზ

ზაკვა 99,5 ცბიერება, თვალთმაქცობა.

ზენა 205,3 ზევით მყოფი, ზეციერი.

ზესთა 114,5; 143,5; 246,5; 247,2 ზედა,  
უზენაესი, უმაღლესი.

ზესთობა მეტობა, მაღალმდგომობა: ორ-  
თავე ამით კსენება სიკუდილისა უზეს-  
თაედების (=ჰმეტობს) 70,5 ორივე ამა-  
ზე უმეტესია სიკედილის ხსენება.  
შდრ.: „ჰზესთობს და ჰმეტობს სამა-  
რადისობაჲ უუღავებასა“ (პეტრი-  
წის შრომები, II, გვ. 151). „ყოველი  
განშორებული მიზეზი ეზესთაეების  
განუშორებელსა მიზეზსა“ (იქვე, გვ.  
146).

ზრდა რჩენა; კვება: შეკრებულნი მაშინ  
შრომანი სიბერცსა გზრდიან (=გარჩე-  
ნენ) შენ 11,3.

ზრქელი-ი 5,2 სქელი.

ზუაობა 114,3; 201,4; 219,2 ამაყობა,  
ამპარტავენება. იხ. აღზუაება, მზუაო-  
ბარი.

## თ

თავ-მოთენ 172,4 თავმომწონე, თავმოყ-  
ვარე.

თავს-ღება 172,1 თავის თავზე მიღება (რ-  
სამე); თავს-იღებს 27,4; 172,1 იყის-  
რებს, თავის თავზე მიიღებს.

თავს-ხსმა: თავს ისხამს (=იტვირთავს)  
მოღუაწებისა შემთხუეკლთა ტყიელი-  
თა 15,2.

თანა-მღებ-ი ვალი; თანამღებარე: სიკუ-  
დილისაგან შიში თანამღებია 65,1;  
თანა-მღებად შიში კაცთა აქუს სიკუ-  
დილისა 191,4; ფსალმუნებასა ტყბილსა  
თანა-მღებად აქუს განბნევა გონებისა  
280,2.

თანა-შემწე 184,5 დამხმარე, მშველელი.  
თან-შექსვა თანაშექსოვა, თანაშეთხზვა:  
მოკუეთს... ცუდსა რიცხვისა თან-  
შექსვასა 87,5. თანა-შექსველი-ი 127,4  
თანაშემწეობარი, თანაშემთხზველი.

თვითება 66,3 თავისებურება, სპეციფი-  
კური თვისება, ატრიბუტი.

თული-ი: ერთებრივითა თულითა 180,5  
ღვთაებრივი თვალით. იხ. გონების თუ-  
ალი, სულის თული, არსთა თული.  
თული-უხზუა-ი 117,4 მიუღდგომელი, მიუ-  
კერძებელი.

თუთ-ყოფ-ი 12,4; 42,2 თვითარსებული  
(ეპითეტია ღმერთისა).

თეს-ი 142,5 ნათესავი.  
 თესება ბუნება: უწორცოთ თესება 143,3;  
 ესე თესებით არღ იქევის 26,3; წორც-  
 თა სიშიშულე მას თანა-აუ (=თანდაყო-  
 ლილი აქეს) თესებით 57,3; ლოცვათა  
 ფრთითა თესებით აღმუჟანები 102,5.  
 თეს-თეს-ი ცალ-ცალკე. თავ-თაქსი:  
 თეს-თესი ზედუა 262,5; ათეს-თესებღ  
 242,5 გან ცალკევე, გააცალცალკე.  
 თესობა: ათეს 262,4 შეუთვისე.

II

იგავე-ი 63,5; 120,4; 202,4 ნიმუში. შღრ.:  
 „რადუა ხატად თესდა და იგავედ ყო-  
 ველთა მყოფუდით“ (პეტრიწის შრომები,  
 II. გვ. 143). იგავება ნიმუშება, ნიმუ-  
 შად აღება; სახება: გონებასა, სულსა,  
 მისსა სიტყუასა ხატად ინდღამად აი-  
 გაეებენ (=სახევენ) 293. შღრ.: „ესე  
 სახენი იგავედ ოდენ ესახებთან და  
 ეგავებიან მას ერთებრიუსა რიც-  
 ხება“ (იგევე, გვ. 14).

იმსთუე იხ. მსთუა.  
 ინდღამა 293,5 შარაენდელი.  
 იობ-ი 168,1 ბობლიური მამათმთავარი,  
 მრავალტანჯულად წოდებული (იხ.  
 წიგნი იობისი).  
 იძინა იხ. ძიება.

J

კანნიერი-ი 21,1 უნიშარი, თამაბი, გაბე-  
 დლა. შღრ. საბა: კანნიერი.  
 კაპირი-ი 183,1 ელემენტო, ასო (იხ.).  
 კანონ-ი 137,1; 137,5 წესი, ენწესება.  
 კარგი-ი 138,4 რიგი.  
 კდმა „შიში გმობის ლოდინსა ზედა“  
 (საბა): სიტყუანი კდმისანი 50,1 სასირ-  
 სხელი სიტყუები; მოთმინება კდმი-  
 სა 90,2 სირცხვილის მოთმენა.  
 კიდგან-ი 74,4; 221,3 განკიდევებული, გან-  
 ზე მდგარი.  
 კრძალვა 7,2; 108,3; 271,1 რიდება, სი-  
 ფრთხილვა, გაფრთხილება; ეკრძალე  
 26,5; 61,1; 216,5 ერიდე, უფრთხილ-  
 თა; ეკრძალოს 169,2 ერიდოს, უფრ-  
 თხილდეს. იხ. განკრძალვა, განუკრ-  
 ძალველი, მოკრძალვა, უკრძალო.  
 კუეთება 146,3 ხეთება, წულომა, შესკლო-  
 მა. იხ. დაკუეთება.

ლ

ლაღობა 83,5 „განუერძალველი კანნიე-  
 რება“ (საბა), მხიარულება, ზედმეტო  
 სითამამე.  
 ლირწი 224,5 ურცხვი; ვნებანი, მხურ-  
 ვალე.  
 ლმობა 141,3 ტყეილი: იღმე 176,5 იმტ-  
 კენი. იხ. მღმობელი.  
 ლმობიერი-ი 16,2 შეგბოალებელი, ლმო-  
 ბიერი. იხ. მღმობელი.  
 ლოდნა: ელინ 125,1 ელიან, უცდიან.  
 ლტოლვა იხ. ელტოლა.

მ

მადლოვნება 168,1 მადლობა, მადლიერება.  
 მავალი-ი 25,1; 244,5 მონიარული.  
 მაღაღ 268,5 სწრაფად.  
 მამა 1. მამალმგრო: მენ აღვალს სულ-  
 თა მამისა მიმართ 2,4; ნიჭი... ზესთა.  
 ნათელთა მამისაგან მოსრული 247,2.  
 2. ეკლესიის მამა, სწავლული საეკლე-  
 სიო მოღვაწე: მასს გაუსწავებს დიდთა  
 მამათა კლები 144,5.

მანათლი-ი 102,4 მანათლებელი.  
 მანჭანება 208,4 ხრიკი, მოტყუება,  
 ცბიერება.  
 მათებელი-ი 216,4 გამგდები, გამძეე-  
 ბელი იხ. ოტება.  
 მახწავები-ი 174,5 მახწალებელი.  
 მახწაღვლელი-ი 216,4 მახწალებელი.  
 მაჩისხებელი-ი 85,3; 89,2 განმარისხე-  
 ბელი.  
 მარტივი-ი 155,4 შეუღარებელი. იხ. სი-  
 მარტივე.  
 მარტოდ-წყოფი-ი 123,1; 124,1 ვანდევო-  
 ლი, მარტო მცხოვრები ბერი.  
 მარტოება 220,3 განდგეოლობა, მარტო-  
 მყოფობა.  
 მარღე 236,4 დამარღვეველი.  
 მარჩბივი-ი 227,3 ტყუპის ცალი.  
 მარჭულ 287,3 მარჭენი.  
 მაქებ-ი 216,1 მაქებარი.  
 მამფოთ-ი 264,3 მამფოთებელი. შფოთის  
 (არეულობის) აღმძვრელი.  
 მაცოუნებ-ი 116,3 მაცოუნებელი, მაც-  
 ლური

მაცხოვარი 226,2 მხსნელი (ქრისტეს ეპითეთი).  
მახვა: კმახვეს 97,2 ამახვილებს, ალლე-საეს.  
მბაღი 222,5 დამბადებელი, შემქმნე-ლი.  
მღვმო 131,3 მყარი,  
მღვომი 4,4 მღვომარე.  
მღვდლებრივი 207,4 დედაკაუტი.  
მღენი 286,3 დენადი, წარმავალი. იხ. წარმდენი.  
მღვავარი 270,3 დლიური.  
მეღვარი 100,5; 179,5 მცონარი, ზარ-მაიცი.  
მეერთე 214,5 შემეერთებელი.  
მეზუერი 104,4 მებაუე.  
მეოხი 281,5 შემეწე, დამხმარი, შუამდ-გომელი. იხ. ოხა.  
მეტრფი 2,3 მოტრფილე; მოწადინე. იხ. მიტრფობა, ტრფობა, შეტრფობა.  
მეტრფულე 103,3; 103,4 ლაბარაკი.  
მეყი 231,5 თელის დახამხამება.  
მეცნიერება 24,3 ცოდნა.  
მეძიებელი 3,1 მაძიებელი, ვინც რაი-მეს ეძებს; მეკვლევარი.  
მეწყი 152,5 დამწყები.  
მჰაკუარი 179,5; 252,3 ცბიერი, თვალთ-მაქცი.  
მზე ქრისტეს ეპითეთი: მზე იგი სიმარ-თლისა 149,3. შდრ.: „აღმობრწყინდა მზეა სიმართლისაჲ და განანათლნა კილენი ქუეყანისანი აღდგომისა მისისა მადლითა“ (იოანე ზინჩხი) (პ. ინგრო-ყვა. ძველ-ქართული სასულიერო პოე-ზია, გვ. 20).  
მჰუაობარი 277,5 ამაყი, ამპარტავანი.  
მჰუაობრობა 214,2; 213,4 ამაყობა, ქედმაღლობა, ამპარტავნება.  
მჰუელავი 286,4 მიმამძველი, იმიტატო-რი. იხ. არსი.  
მთავრობა 253,4 მეთაურობა, უფროსო-ბა.  
მთხრებელი 150,5; 254,1 ორმო.  
მიახლება მიეახლები 27,2 ახლოს იქ-ნები. იხ. დაახლება.  
მიგება 173,4 მიზღვა, სამაგიეროს გა-დახდა.

მიღრეკა 78,2 გადახრა; მისდერკ 232,2; 272,1 გადახარე; არ მიღრეკებოდეს 287,3 არ იხრებოდეს. იხ. განდრეკა, მიუღრეკელი.  
მიოხრობა მიუოხრიან 37,4 ეუბნებთან, მიმადლება: მიმადლებს 190,2 მიანი-ქებს.  
მიოხრევა: მიემოხვა 48,5 შეჯდა.  
მიოთვა: მიგრთავს 10,4 შეგავრთებს.  
მიოილება 34,5; 219,5 მორილება.  
მიორჩ: არცა მიერჩიდეს 14,2 არცა ემორ-ჩილებოდეს.  
მიტევება 289,2 მიტოვება. იხ. დატე-ვება, მოტევება.  
მიტრფობა: მიეტრფობის 131,4 ესიყვა-რულება; ესწრაფება. იხ. მეტრფი, ტრფობა, შეტრფობა.  
მიუღრეკელი 8,5; 299,4 უძრავი, გა-ნუხრელი; გაშტერებული (ხედა).  
მიუღრეკლობა 47,1 განუხრელობა. იხ. განდრეკა, მიღრეკა.  
მიუმიოხრეველი 243,3 შეუხვედრელი.  
მიქცევა 16,3; 33,5 მიბრუნება; მიაქცი-ენე 16,4 მიბრუნონ.  
მიწომმა 204,3 მიწვლობა.  
მიჯღობა მისელა, მიეარდნა: გულსა... თუ მიგივდეს 45,1 გულში... თუ ჩა-გვიარდეს (ჩაგვეკრას).  
მიჯღობელი 172,3 შემწყნარებელი. იხ. ღმობა, ღმობიერი.  
მიმარხუელი 140,3; 140,5 შემნახველი (მარხვისა).  
მიწვთებელი 115,2 მოძალენი. იხ. ნივ-თება.  
მოგება 1. შექმნა, მოპოვება: მოიგე 311,5 შეიძინე, მოიპოვე; მოიგო 30,3; 117,1 მოიპოვა; მოიგოს 131,1 მოიპოვოს; მოიგეს 247,4 მოიპოვეს. მოგებულ-ი 246,3; 301,1 შექმნილი, მოპოვებუ-ლი. იხ. მონაგები.  
2. გაქანმრთელება. გაპოკეობა: მოიგო მოღვაწეობით 189,5.  
მოგონება 63,1 მოფიქრება. მოგონებით-ი 103,1 მოფიქრებული.  
მოღნობა: მოაღნობს ჭამადთა 195,3 მო-ინელებს საქმელს.

მოკრძალვა: მოკრძალულა 146,3 გაფრთხილებულა. იხ. განკრძალვა, განუკრძალველი, კრძალვა, უკრძალო.

მოკუდინება 44,1 მოკვლა.

მოკუეთა 199,5 მოკრა; მოკუეთს 87,4; 160,4 აღკუეთს.

მომატყუებელი-ი 150,2 მბობებლი. იხ. მოტყუება.

მომლოდე 153,3 მომლოდინე. იხ. მოსალოდები.

მომსყიდელი-ი 92,3 შემძენელი, მომვაკრებელი. იხ. მოყიდვა.

მომყმარი-ი 57,1 მშიერი. იხ. მოყმობა.

მომძღვლი-ი 151,4 დამამშვენებელი.

მონაგები-ი 13,4; 29,1 შენაძენი. იხ. მონაგება.

მონაზონება 5,1 ბერად შედგობა.

მონაგებელი-ი 7,2; 11,5 მოსაზლველი.

მონალოდები-ი 207,2 მოსალოდნელი. იხ. მომლოდე.

მოსპოლვა: მოსპოლავს 166,1 მოსპობს.

მოსხრული-ი 223,2 მოსული.

მოსწრაფე 261,4 მოჩქარე; მოსწრაფედ 260,4; 289,1 ჩქარა, მალე. მოსწრაფება 256,4 სიჩქარე, სიმაღლე.

მოტევა 97,5 პატიება, შენდობა. იხ. დატევა, მოტევა.

მოტყუება: მოატყუებს 127,1 მოუტანს, მისცემს. იხ. მომატყუებელი.

მოქენე 57,4; 59,4 მავედრებელი, მახეუწარი.

მოქცევა 56,5 მობრუნება.

მოქცევი-ი ბრუნვა: ღრმას მოქცევსა ზუაობისასა 201,4.

მოყიდვა: მოიყიდის 53,3 შეიძენს, მოივაკრებს; მოიყიდეს 154,3 შეიძინეს, მოივაკრეს. იხ. მოსყიდული.

მოყმობა 138,1 შიშოილი. იხ. მოყმარი.

მოშიშ-ი 205,1 მშიშარა. მოშიშება 203,1 204,1; 209,1 შიშა.

მოშლა: ეგრეთ სხეულსა მოშლის მყოფობისაგან 185,4 ეგრე სხეულს მოუსპობს არსებობას.

მოცთუნება: მოაცთუნოს 38,5 შეაცდინოს.

მოწყუედა 138,5 ამოწყუეტა, დახოცვა.

მოქდობა 1. მოსვლა: ჟამსა ლოცვისასა მოუტდის 224,2 ლოცვის დროს მოუთქვა; მოქდის (=მოადნის) ცრემლთა. 2. გულსა მოგიტდეს 99,3 გულში ჩაგვიარდეს, აზრად მოგივიტდეს.

მოტყენება: მოიტყენე 50,3 მოიგონე, გაიხსენე.

მპარავი 28,3 ქურდი. იხ. პარავა.

მრავლის-მეტყუელი-ი 276,1 ყბედი.

მრთელი-ი 3,4; 270,1; 301,2 სალი, ჟანმრთელი.

მრისხავი 174,4 მრისხველი.

მრუშე 56,4 ბნელი, უკუნი.

მრჩობლი-ი ორმაგი: მრჩობლთა ბუნებათა 66,2; განსწმდეს სულისა ძალთა მრჩობლთა 102,2. მრჩობლ-ორი 183,1 ორჯერ-ორი (იგულისხმება ოთხი ელემენტი). ორ-მრჩობლი-ი 42,2 ორჯერ-ორი.

მსასობელი-ი 292,2 მოიმედე.

მსაჯული-ი მოსამართლე: მსაჯელი ზენადსა 279,5 ღმერთი, ზენათ მსაჯული 205,3 ღმერთი.

მსთვა: იმსთვე ოთხისამთ 252,5 ოთხიდან (დახსნას) იჩქარე.

მსჯავრი 234,3; 279,5 განაჩენი, სასჯელი.

მტკიე 184,4; 188,1 ურყევი.

მუცლის ქუეშეთი 133,4 კუჭი.

მქონებელი-ი 4,5 მდიდარი.

მყოფი-ი 67,1 არსებული; მყოფობა 185,4 არსება. იხ. არსი.

მცნობელი 38,5 გაგება, შეტყობა; მომავლთა მცნობელობა 37,5 წინასწარ-მეტყუელება, მომავლის გაგება. იხ. ცნობა.

მძიბე-ი 259,4 მძიბებელი.

მძლე მომრევი, მძლეველი: ვინცა მძლე ექმნა ვნებასა 155,1 ვინც მოერია ვნებას (ვინც სძლია ვნება).

მძოვარი-ი 138,3 „ბალახის მკამელი“ (საბა).

მძრწოლარე 234,4 მართოლარე, ვინც კანკალებს შიშით.

მწერტი-ი 74,2 მჩხვლტელი.

მწმანელი-ი 114,1 შემთხვეული. იხ. წარმწმანელი.

მწკრე 193,5 წუშვე, მყრალი ტლაპო.

მკურნაველ-ი 211,3 მძარცველი, მოხბარი (საფლავისა).

მკლობა სიმკლე: ამკლობ 132,5 ამკლეეებ.

მკმუნწარება 73,1 მწუხარება.

მკურეტელ-ი 301,4 მაყურებელი. იხ. ქურეტა.

მხედ-ი 2,3; 207,5; 216,5; 290,5 მხედველი.

მგმეველ-ი 241,5 მომტანი.

მწნეობა: მწნებობი 129,5 გამხნეელი.

## 6

ნავთ-საყუდელ-ი 62,5 ნავსადგური.

ნაზავ-ი შენაერთი: ოთხთავან ირღუეოდეს ნაზავი 278,4 ოთხი ელემენტის შენაერთი იშლებოდეს.

ნათელ-ი (ზენა) 282,3 ღმერთი.

ნათლება: ნათლების 192,5 ნათლება.

ნაყროვან-ი 140,1; 179,5 გაუმადლარი.

ნაყროვნება 133,1; 136,1; 143,1; 160,3; 214,2 გაუმადლობა, ღორმუცლობა.

ნაცვლის-მგებლობა: ნაცვლის-მგებლობის 298,5 სანაცვლოს აძლევს.

ნაჯსოვნ-ი ნაჯსოვნები 35,4; 4,3 დამახსოვრებული.

ნესტე 302,5 ჩასახვერი ინსტრუმენტი—სტერიი, სალამური.

ნეტარ-ი 165,5 нежарный (ქრისტეს ეპითეტი).

ნივთ-ი 48,3 ელემენტი, კავშირი, ასო (მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი); ნივთთა ქზვა 40,3 ელემენტთა შეერთება-შეკავშირება (იხ. ქსვა); ნივთთა რღუევა 124,2 ელემენტთა დაშლა (იხ. რღუევა); ნივთ-მკლველ-ი 122,1 ელემენტთა დამარღვეველი (დამშლელი).

ნივთება: იგი ანივთებს (=აძლიერებს) გენიისა ცეცხლსა 134,3. ნივთიერ-ი 5,2; 48,4 მტერიალური.

ნიხლ-ი 149,5 ბურუსი.

ნიჰ-ი 52,2; 54,3; 247,1 საბოძვარი, საჩუქარი.

## მ

მოდენ 260,2; 265,2; 294,2 მხოლოდ, მართო, სწორედ.

მოხბ-ი 32,5; 107,4; 166,4; 252,5; 278,4 ოთხი ელემენტი—მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი. ოთხეულ-ი 185,5 ოთხი ელემენტი.

ორღანო 3,4 ორგანო.

ოტება განდევნა, გაქცევა: წუხილისა ოტება 90,3 წუხილის განდევნა; ფუტკარსა ვითარ კუამლი იოტებს 111,1 როგორც ფუტკარს კუამლი განდევნის (გაქცევს). იხ. მიაოტებელი.

ოცნება 33,4; 34,3; 148,1; 195,5; 196,4; 198,3; 201,5; 271,3 ფიქრი, ზმანება.

აოცნის მომავალთა ცნობა 197,3 აფიქრებისონს წინასწარმეტყველება.

ოხა: იოხდ 272,5 იშუამდგომლე. იხ. მეოხი.

## პ

პარვა 171,3 ქურდობა. იხ. მპარაეი.

პატიოხანი 290,2 ძვირფანი (ქვა).

პირ-ი 145,1 პიროვნება.

პირის-პირად 1,5; 291,5 პირდაპირ.

## რ

რიდება: პრიდოს 197,5 მოპრიდოს.

რღუევა 124,2 დაშლა, დახსნა.

რჩ დაჭერება, დამორჩილება: ერჩიან 136,2 უჭერებენ, ემორჩილებიან; არა მიერჩიდეს 127,2 არ დაუჭეროს, არ დაემორჩილოს.

რწყმა დაგება (მახისა): მოყუასსა ურწყმენ (=უგებენ) მახესა 116,3; სულსა ურწყმამს (=უგებს) მახესა 222,1.

## ს

საანჯმნო 227,3 საჯარო, საქვეწვრი.

საგზო 2,5 საგზური.

საგონ-ი 34,5 საგონებელი.

საგარძნობელი 6,4 შეგარძნების ორგანო (თვალი, ყური, ენა, ცხვირი...).

სადგურ-ი 289,5 სადგომი.

სავანე 143,4 ბინა; სავანეობა 257,5 მკვიდრება.

სავაქრო 53,3 სასყიდელი.

საზომ-ი 1. კრიტერიუმი: საზომი უვნებელი 186,4; საზომსა ცხად-ჰყოფს უვნებელსა 148,2; უფროსის საზომისა

მოლებით, რომელ არს ღმრთისა სი-  
ყუარული მაღალი 7,4—5; ძალნი...  
საზომსა ზედა იყრნეს 287,2; ესე შე-  
უდგს მოლუაწებრსა... მდაბალსა მას  
საზომსა 194,3—5.

2. ღირსება; საფეხური: დიდსა სა-  
ზომსა ზედა სასძლომსასა აღიყუანს  
286,2; უცხოება არს... მაღალთა სრულ-  
თა საზომთა მისლვა 22,3; ღირსთა  
საზომი აღმყოფობდეს 137,3.

საზომისაებრ: დასისა საზომისაებრ  
(=ღირსებისაებრ) მათისა იყოს იგი 3,3.  
საზრდელ-ი 119,3; 135,5; 270,3 საზრ-  
დო, საქმელი, საყეები.

სათნობა 101,5; 273,3 სიკეთე, ჰველის  
საქმე.

საყრველ-ი 32,5 შემკვრელი. შემაერთე-  
ბელი.

საყრძალ-ი 210,2 საფრთხილო. იხ. გან-  
კრძალვა.

საყრვებ-ი 296,1 საყვირველი.

სამათ-ი 1,1 ოცდაათი.

სამარადო 131,3 სამარადისო.

სამე 251,3 კეშმარაიტად.

სამება 232,5 მამა, ძე და სული წმიდა.

სამებით-ი 155,4 სამებისეული.

სამეუფო 261,5 საღვთო.

სამ-მზე სამი მზე (მეტაფორულად: მამა,  
ძე და სული წმიდა): სამ-მზისა  
სამებისა 232,5.

სარიდო 210,2 მოსარიდებელი.

სარიხს-ი 112,3 სარისხეული, რისხვის  
ღირსი.

სარკით-ი 291,5 შებრუნებელი, სარკისებ-  
რი.

სასოება 16,5; 41,3; 54,1 იმედი: არ-სა-  
სოება 207,5 უიმედობა.

სასრე 122,5 მოსასპობი (მიღებულთა სი-  
ტყვიდან „სრეა“).

სასუიდელ-ი 215,2 საფასურო, გასამრჯე-  
ლო.

სასძლო 286,2 სასუფეველი.

საუყუდაო 274,3 სამარადისო.

საფასე 157,1; 158,1 სიმდიდრე.

საქმე მოქმედება: სჯობს საქმე უკმო  
სიტყუასა უსაქმოსა 106,5; უარსოსა  
საქმესა ეძიებდა 36,4; ღლისისათა სა-

ქმეთა ქსოვნა 35,5; ხედვად და საქმედ  
271,5; სრული საქმითა, ხედვითა და  
ძალითა 9,4; მსოფლიოთა საქმეთა  
19,3; მსოფლიოთა საქმეთაგან 9,4.  
საქმით-ი 23,3; 103,2; 127,5; 148,3;  
243,2; 273,3 პრაქტიკული (საპირის-  
პირო ცნება „ხედვით“).

საყნობელი-ი 111,2 ცხვირი.

საშუებელი-ი 69,3 „უზრუნველი ადგილი“  
(საბა), სამოთხე.

საშუებო 151,3 საშუებელი.

საცნაურ-ი 40,4; 247,3 საცოდნელი.

საცნობელი-ი 6,5; 183,3; 263,2 „ცნობად  
მოსაღები“ (საბა), შესაცნობი, შესა-  
მეცნებელი.

საცო 270,4 დასაცავი.

საჟურველი-ი 46,1; 236,5 საომარი იარა-  
ლი (ჩასაცემელი და ასასხმელი).

სახიერ-ი 238,4 კეთილი (ღმერთის ეპი-  
თეტია).

საჟმარ-ი 14,1; 154,4; 168,5; 171,4 „ჩა-  
საცემელი, შესასხმელი და რაჟე შესა-  
წვენელი“ (საბა), ყოველდღიურად სახ-  
მარებელი ნიეთი.

სენ-ი 171,1 ავადმყოფობა.

სენა-ი 111,5; 125,5; 269,1; 270,5 ბერის  
საცხოვრებელი ოთახი.

სიბრძნის-მეტყუელება: ნუ სიბრძნის-მეტ-  
ყუელებ 275,1 ნუ ფილოსოფოსობ.

სივლტოლა 4,1; 267,4 გაქცევა. იხ. ვლტო-  
ლა, განვლტოლა.

სიპარტივე 124,4 საყოველთაოობა. იხ.  
მარტივი.

სიმაღლე 211,5 სიღამაღლე.

სიტყუა 199,3; 289,3; 293,4 ლოგოსი,  
ქე-ღმერთი: გონებისაგან სიტყუა იშო-  
ბების 105,1.

სიტყეს-გება 163,1 დიალოგი; კამათი.

სიფიცხე 139,3; 175,4 სიმკაცრე, სისას-  
ტიყე.

სიძვა 198,4; 214,2 მრუშობა, ბოზობა.

სიძულილ-ი 165,3 სიძულვილი.

სიწრფეობა 175,2; 241,1 სიწრფევე, სი-  
მართლე.

სრული-ი 1. უნაკლო: უენებელი სრული  
სრულსა ხედვიდა 288,4; სრული საქ-

მითა 291,3; სრულეზულ-ი 76,4 სრულ-  
ყოფილი.

2. 30—50 წლის ასაკში მყოფი ადა-  
მანი: სოფლით სივლტოლა სრულთა  
არს ქეშმარტიად 4,1.

სულით-ი 17,3; 95,3 სულიერი.

სულის თუალ-ი გონება, გონი: სულისა  
თუალთა აჩრდილი 173,2; თუალი სუ-  
ლისა ზე გაქუნდინ, მონაზონო 178,5.

სუფევა 285,4 უზუნაესი მეფობა.

ხტადიონ-ი 210,4 მანძილი.

ხქეს-ი 28,2 სახე, ფორმა. ხქესებრივი-  
ფილოსოფოსთა ხქესებრივთა (=ურთი-  
ერთობრივი) წესითა 26,4.

ხუილუ-ი 136,2 ნასყიდი, შეძენილი.

ხწავება: გასწავება 226,3 გასწავლიდა.

ხწორ-ი 4,5 ტოლი; სწორმყოფელი.

ხწრობა: უსწრე 172,5 დაასწარ.

ხხეულობით-ი ხორციელი: სულითი ანუ  
სხეულობითი 95,3.

ხხუებრობა 213,4 ხხეავარი ყოფა.

## ტ

ტყენა 211,2 ტყენა.

ტრფიალება 145,5 სიყვარული.

ტრფობა: იტრფე 142 იწადე, შეიყვარე;  
ეტრფე 202,5; 300,5 ეტრფიალე; ეტრ-  
ფების 192,5; 218,3; 282,4 ეტრფია-  
ლება.

## უ

უარხო 36,4; 210,1 უმყოფო, არ არსე-  
ბული.

უბადრუება 224,5 უბედურება.

უბგერებელ-ი 274,4 ჩუნი. უხმო.

უგობელ-ი 65,3 შეურცხეველი.

უგონებო 205,5 უკუყო, უგუნური.

უღებ-ი 128,3; 137,4; 159,2; 167,5; 189,3  
ზარმაცი, მცონარი. უღებება 59,2;  
208,5; 256,2 ზარმაციბა, მცონარობა.

უვნებო 196,4; 200,5; 282,1 უვნებელი.  
უზაკუელ-ი 235,5; 237,4 უცრუო, არა-  
ცბიერი.

უზესთავდების იხ. ზესთობა.

უძღმ-ი 302,2 უსირცხვილი.

უქრძალო 211,1 უფრთხილო, მოური-  
დებელი. იხ. კრძალვა.

ულევიარ-ი 285,4 დაულევიელი.

ულმობ-ი 181,2 ულმობელი. ულმობელ-  
ი 177,1; 179,4 გულქვა. ულმობელობა  
176,1; 176,3 გულქვაობა.

უმანკო 175,2 უზადო; რასაც მანკი (ზა-  
ლი) არა აქვს, უბიწო; უმანკობა 10,2  
უზადობა, უბიწობა.

უმარცხნო 194,5 დაუმარცხებელი. უმარ-  
ცხო.

უმეტრფო 152,1 არ-მოყვარული.

უმყოფო 4,3; 38,3; 40,5; 210,1 უარხო,  
არ არსებული.

უმწნო 189,4; 207,4 ლაჩარი, მხდალი.

უნათლო 174,2 ბნელი.

უნანელ-ი 65,4 უნანებელი.

უნდომ-ი 152,1 უნდომელი.

უნინეთო 212,2 უსაგნო, უსხეულო, არა-  
მატერიალური.

უნჩება: არა იუნჩებს 295,1 არ ინახავს  
განძად.

უპოვარი-ი 13,5; 169,1 უქონელი, ღარი-  
ბი. უპოვარება 162,1; 163,5; 164,2;  
165,4; 166,5 უქონლობა, სიღარიბე.

უჟამო 207,3; 261,2 უღროო, ღროის  
მიღმა არსებული.

უხაეკვო 185,5 უეკველი.

უხხეულო 10,4; 263,5; 301,3 უნივთო  
(იხ.), უსაგნო.

უხსუაგუჟამო 66,5 ბუნებაუცვლელი.

უქმობა 182,1; 183,3 უმოქმედობა.

უქონებელ-ი 4,5 უქონელი, ღარიბი.

ულამო 86,4; 180,5 დ:ულამებელი.

ულონო 167,2 უძლური.

უშიში 211,1 უშიშარი.

უსთომ-ი 71,5 უცდომელი. უსთომელ-  
ი 74,2 არ შეცდენილი.

უხრწნელ-ი 285,3 უცვდადი. უხრწნელო-  
ბა 285,3 უცვდაება.

უქმარ-ი 225,3 გამოუსყენებელი.

უქორცო 5,1; 143,3 უსხეულო, უნიე-  
თო, უსაგნო.

უჭერი 277,2 უმსგავსო, უწესო, ურიგო.

## უ

ფარისხვევლ-ი 104,4 ოთხთავის მიხედვით,  
ციხერი მორწმუნე, რომელიც საველ-  
სიო წესებს მოჩვენებითად იცავს.

ფიცხელ-ი 172,1 მკაცრი, სასტიკი.



ურდა 214,2 ვაქრობა, ყიდვა-გაყიდვა.  
ფრიად-ი 185,2 ღიდი.  
ფსალმუნება 127,4; 129,1; 280,1 ფსალ-  
მუნთა კითხვა ან გალობა.  
ფუნარება 186,2 მთქნარება.

## ქ

ქადება: უქადებნ 157,1 ჰპირდება.  
ქსვა 40,3 ქსოვა, თხზვა (საპირისპირო  
ცნება „არღვევა“, „შლა“). იხ. ნივთი.  
ქუელის-საქმე 245,1 ქველმოქმედება.  
ქუმდებარე 294,5 საგანი; საფუძველი.  
ქუყანა 220,5; 225,5 მიწა.  
ქუეშეთ-ი იხ. მუცლის ქუეშეთი.  
ქცევა: აქცინა 251,1 აქცია (იხინი): ესე  
თვსებით არღ იქცევის 26,3 ეს თვისო-  
ბრივად აღარ იცელება. შდ.: „არღ  
უკუნ ქცევაჲ თვსლადეჲ“ (პეტრიწის  
შრომები, II, გვ. 53).

## ყ

ყე ნაწილაკი „კე“: მიგვეფარვისყე  
230,5; ილოცედეყე 276,5.  
ყრმებრივი-ი 204,1; 210,3 ბავშვური.

## შ

შებრკუმა ფების წამოყვრა, წაბორძიება:  
არ შეგიბრკუმას (წაგაბორძიოს)  
სოფლია სიბნელემან 29,5.  
შებილწება: შებილწებს 198,4 წაბილ-  
წავს.  
შედგნა: პით ესე შეუდგინე 33,2 აპიტომ  
ეს მიეყოლე, მივადენ  
შედგომა 22,5 მიყოლა, მიდევნება; შე-  
უდღს 143,1 მოსდევს, მოჰყვება.  
შეზაება 183,1: 125,1 შეერთება, შეკა-  
ეშირება.  
შევრდომა 245,4 ფეხებში ჩაუარდნა;  
შეუვრდი 99,2 ფეხებში ჩაუვარი.  
შეკრვა: ერთსა შეეკრვის 152,2 ღმერთს  
უკავშირდება.  
შეკრძალვა 84,3 მოფრთხილება; შეიკრძა-  
ლავს 250,1 მოუფრთხილება.  
შემზადება: ვერ შეიმზადოს 290,1 ვერ  
ღამზადღეს.  
შემთხუფულ-ი 15,3; 89,5 შეხვედრილი.  
შემოქმედ-ი: 145,2; 184,4; 281,3 ღმერთი.

შემსჭულავა მიქედება, მიმაგრება; მიშ-  
ტერება; გარინდება: შემსჭულავს  
(=მიამტერებს) თულასა 299,3; შემს-  
ჭულავა გონებისა 190,3 გაშტერება,  
გარინდება; შემსჭულალულა .82,3;  
შემსჭულალულ-ი: მსოფლიოთა საქმეთა  
შემსჭულალულთაგან 19,4 ამქვეყნიურ  
საქმეებს დაკავშირებულთაგან; ტყუ-  
ვილისანი შემსჭულალულნი ბოროტად  
116,2 ბოროტად ტყუილის მოყვარულ-  
ნი.

შემტკობა-ი 62,4 ტყბილად მიმღები. იხ.  
შეტკობა.  
შემუსრვა: შემუსრავს 195,1 მოსპობს;  
შემუსრვილ-ი: შემუსრვილითა (=შე-  
წუხებულნი) სულითა მოგებული 246,3;  
ჰხედავს გულსა, მდაბლად გლახაკსა  
და შემუსრვილსა (=შეწუხებულსა)  
281,5.

შემღურევა: თმა მცირე შეამღურევეს  
(=ხედავს დაუკარგავს) მრთელსა თვა-  
ლსა 270,1.

შემწულელ-ი 25,4.

შერაცხვა: შერაცხე 206,3 ჩათვალე; არ  
შერაცხნენ 284,4 არ ჩათვალათ.

შესაკუთრება: შეესაკუთრე 58,5; 142,2  
გალესაკუთრდი, კუთვნილი ვახდი.

შესქენება: ბნელსა ამას შეესქენსა (=შენ-  
თვისა) ცხოვრებასა 240,5.

შეტკობა: შეიტკბე 181,5 მიიღე; შეიტკ-  
ბენ 10,1 მიიღეთ.

შეტრფობა: შეიტრფე 155,5 შეიყვარე.  
შეუმუსრველ-ი 235,4 დაუნგრეველი  
(ყლდ).

შეფარილება ბაზმის მურით შეთხუნნა,  
შემერვა: შეაფარილება 196,1 შემე-  
რავს.

შექცევა: მას შეექცევის (=მიუბრუნდება)  
სიყვარულით 15,2.

შეშფოთება: შეშფოთნების 238,3 შემ-  
ფოთდება.

შეცვა: შესცავს 298,3 ვარე მოიციავს.  
შეძრწუნება: შეძრწუნდა 66,2 შეშინდა.  
შეჩაქულ-ი 80,2 ბოკილადღებული.  
შვილება 294,1 შევილსნობა (ან ვისიმე  
აყვანა შვილად).

შობა ღრჩობა; უხმო მწუხარება: მოწყინება აშობდის (=ამწუხრებდა) 128,5; აშთის 201,4 დაღრჩოს, მოგუღოს.

შობა 184,5 დაბადება.

შუა: შუანი 273,4 შუამდგომელი.

შუება 78,2 განცხრომა; იშუებს 282,4 განცხრომაშია.

შფოთი-ი 171,3 არეულობა; აშფოთებს 33,4.

## ჩ

ჩენა 243,1 მიჩენა; ჩენილ-ი მიჩენილი, განკუთვნილი: ჟამი ყოვლისათვის ჩენილ არს 261,3. იხ. აღჩენა.

ჩურჩნა 215,4 ჩურჩული.

## ც

ცთომილ-ი 210,1 შეცდენილი, მოტყუებული; ცთომილება 34,3 შეცდენა. ცინ: ეცინოდის 205,1 დასცინოდა; ეციონის 37,3 დასცინის.

ციხკარი 149,1 „მოწენა განთიადისა“ (საბა).

ცნობა 250,1 ცნობიერება; მომავალთა ცნობა 197,3 წინასწარმტყველება. იხ. მცნობელობა.

ცონა: ნუ გცონის 186,5; 206,1 ნუ გეზარება.

ცულ-შუაობა 214,4; 216,3 გლახა ამპარტაენობა. ცულ-შუაობარ-ი 218,1 გლახა ამპარტაენი.

ცხველებრივ-ი 8,4; 105,3 ცოცხალი.

## ძ

ძალ-ი 1. ანგელოზი: ძალთა ყოველთა ზედა-მდგომ არს და უძღვის 105,4; ზეცისა ძალ-ი 71,3 ანგელოზი.

2. ძალა, პოტენცია: სულისა ძალნი 8,3; სულისა ძალთა 161,4; 265,4; მოქმედსა სულისა ძალსა 253,2; საქმითა, ხედვითა და ძალითა 291,3.

ძიება: იძინა 147,2 გამოიძია.

ძღება: უძლო 145,4 შესძლო.

ძღევა: იძლიოს 169,3 დამარცხდეს.

ძღეულ-ი 196,5 დამარცხებული, დაძლეული.

ძნობა: ძნობს 192,4 გალობს.

ძრწოლა 65,4; 207,3 თრთოლა, კანკალი (შიშისგან).

ძულე-ქმნილ-ი 59,2 დაძველებული, დახანებული.

ძკრის-ზრახვა 217,1 ბოროტი ლაპარაკი; ძკრსა უზრახავს 215,3 ბოროტს ელაპარაკება.

## ვ

ვაშ-ყოფა 37,3 წამის-ყოფა, თვალთ ნიშნება (თვალის ჩაყვრა)

წარგება: წარაგებდეს 171,4 დახარჯავდეს.

წარდგინება 268,1 წარდგენა (ვისიმე). წარდგომილ-ი 157,4; 189,4 მიმდგარი.

წარდევნა: ბნელსა ნისლსა მოხუეულსა წარსდევნის (=გაფანტავს) 149,5.

წარვლენა: წარავლეინდეს 202,5 გაგვზავნის.

წარკუთთა ხასოებისა 41,3; 54,1 იმედის დაკარგვა.

წარმავალ-ი 4,4; 286,3 მდენი, მიმავალი; დროებითი.

წარმართებულ-ი 76,3 წარმატებული, ხელშეწყობილი, გამარჯვებული.

წარმღებ-ი 87,5; 96,5; 175,4; 177,2 ურცხვი, თავხედი.

წარმდევნელ-ი 61,4 გამგდები; მიმტოვებელი.

წარმდენ-ი 264,4 წარმავალი.

წარმოთხევა: წარმოსთხეეს 220,3 წამოანთხეეს.

წარმპარველ-ი 265,3 ქურდი, მპარაკი.

წარმღებელ-ი 14,4 წამღებელი, წამრთმელი.

წარმწახნელ-ი 116,5 შემთხვევლი.

წაროტება: წარიოტოს 196,5 გაიქცეს; წარგოტოს 61,3 გავექცეს.

წარპარვა: წარპარვის 250,2 მიეპარება.

წარრუვალ-ი 143,3 მუდმივი.

წარრუპარველ-ი 263,4 მოუპარაკი.

წარრუტყუნელ-ი 257,3 დაუტყვევებელი.

წარწყმედა 237,2 დაკარგვა, დაღუპვა. განიავება.

წეს-ი 5,1; 18,2; 26,4; 218,1 მტკიცე ჩვეულება ან რიგი; წეს-რიგი.

წინა-აღრჩევა 251,2 განზრახვა.

წინა-განწყობ-ი 126,1 მებრძოლი, მოწინააღმდეგე (შდრ. პეტრიწი, II, გვ. 15).

წინა-მეწყეუე საბრძოლველად წინმდგომი:  
ორთა ერთგან მონება წინა-მეწყეუეთა  
19,5 ერთის მიერ ორი მოწინააღმდეგის  
დამონება.

წინა-წარსწრობა 268,5 ვასწრობა.

წრფელი 228,1; 259,5 მართალა.

წუევა 1. იძულება: აწუევედეს 137,2 აიძულებდეს; აწუევენ 224,5 აიძულებს;  
2. მიწუევა: აწუევეს 159,4 იწუევეს.

წულაღად-ი 84,4 მკირადი.

წურთა 64,5; 67,1 სწავლა, მოძღვრება.

წუობა ბრძოლა: მტერთა წუობად 31,5;  
194,4 მტრებთან საბრძოლველად; ეწყუებოდე 206,4 ებრძოდე.

### ჭ

ჭამად-ი 70,2; 134,2; 182,4; 195,3 საქმელი.

ჭურება 130,2; 144,4 ყურება, მზერა; უჭურებს 40,5 უყურებს, უმზერს. იხ. აღქურება.

### ხ

ხატ-ი 144,4; 152,4 203,4; 252,2; 293,5 სახე, სურათი.

ხელვა 1. ჰერება, წარმოსახვა: ხელვა ხანგრძლი 59,4; თეს-თესი ხელვა სულთა 262,5; მარადისი ხელვა უსხეულოთა 263,5; ხელვა უღაბნოს მყოფთა კშუენის 190,4; წარდგომილი ხელვას 189,4; ისი ხელვასა ლოცვით განაახლებს 242,2; გონება ღმრთისა ხელვითა განსწმინდოს 8,2; იგი მარტივთა თესთა ხელვათათეს არს 32,2; ნიეთთა ქსვასა თორმეტთა ზედაათა ჰხელავს (=უქურებს) 40,4. ხელდვისა ორღანო 3,4 თვალი.

2. მეცნიერება, შეხედულება, აზრი, თეორია: საქმიოსთა თანა—ხელვასა უენებელსა 127,5; ხელვასა დაცილონ გონება 186,3; საქმე სცეალოს ხელვისა სიმარტივედ 124,4; ხელვისა სიყუარულით შუებული 74,5; საქმით მოგებულისა ხელვითა სიკეთითა 283,5; სხუათა ხელვითა მასწავები 174,2; სრული საქმითა, ხელვითა და ძალითა 291,3; აიძულებს ხელვად და საქმედ

271,5; (ღმერთი) ჰხელავს გონებითითა საცნაურითა ხელვითა 40,4.

ხელვით-ი თეორიული, ჰერეტიტი, წარმოსახვითი: ხელვითი უცხო ყოეველთაგან, ხოლო საქმითი (=პრაქტიკული) ლოცვით მარტოდ ფრთოვან ყოე 23,2—3; ხელვითი დამტკიცების მუნავე და საქმიოსთა აქუს კიბედ სათნობანი 273,2; ჯმნილა ხელვითთა და საქმითთა მათ ვნებათაგან 148,3—4.  
ხენგმ-ი 215,5 უეარგისი, ცული, გამოუსაღებარი.  
ხრწნად-ი 14,5 რღვევადი, მოკვდავი.

### ჭ

ჭევი-ი ხევი: ჰევენები 208,2 ხევეზი, ღელეუბი.

ჭელიხ-აღმურბობა 259,2 დახმარება.  
ჭელოვანი-ი 59,3; 145,4 ოსტატი, საქმის მცოდნე.

ჭმელ-ი 138,5 ხმელი.  
ჭორცი-ი 9,5; 15,4; 164,3; 278,3; 282,2; 288,5 სხ-ული.

ჭუმევა: ძილსა თუ რეუმევე, მკირად ესე 200,1 თუ დაიძინებ, ცოტა ხანს; ჰგონებ თუ ძილსა განსუენებად, ჰოა კაცო, მკირე იტუმევე 191,2 აღაძიანო, თუ გგონია ძღში დაისუენებ, ცოტა ხანს იძინე.

ჭურგელ-ი 158,3 ხერელი, ყუნწი (ნემსისა).

ჭკობრა-ი 219,3 საფარველი, სარკველი.

### ჯ

ჯმნა მოსწრაფე იქმენ 112,5 სწრაფად გამოთხოვე; იქმნის 162,1 ეთხოვება; ჯმნილა 148,3 გამოსთხოვები; ჯმნილ-ი 142,4 გამოსთხოვებული, გამომშვიდობებული.

### კ

კამარ-ი 232,4 რიცხვი.  
კახაკებრივი-ი 213,4 ასაკობრივი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

|  |     |
|--|-----|
| წინასიტყვა   | 5   |
| იოანე პეტრიწი-ქიმიმელი (გამოკვლევა)  |     |
| შესავალი   | 9   |
| თავი პირველი   |     |
| ტრადიციული ცნობები პეტრიწის ბიოგრაფიისათვის  | 11  |
| თავი მეორე   |     |
| ფილოლოგიური ძიებანი XI—XII საუკუნეების ქართული მწერლობის ისტორიიდან  | 22  |
| 1. იოანე ფილოსოფოსი ქიმიმელი (გვ. 23), 2. იოანე ტარიქისძე (გვ. 31).  |     |
| 3. ეფრემ მცირისა და „იოანე საღმრთო ფილოსოფოსის“ ურთიერთობისათვის (გვ. 36), 4. ქართველთა მონასტერი პეტრიწონში და იოანე პეტრიწი (გვ. 44), 5. არსენ ბერი (გვ. 52), 6. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (გვ. 57). |     |
| 7. იეზუიტი და პეტრე გელათელი (გვ. 63).   |     |
| თავი მესამე  |     |
| იოანე პეტრიწის სალიტერატურო მოღვაწეობა   | 70  |
| 1. იოანე პეტრიწის ფილოსოფიური შრომები (გვ. 72), 2. იოანე პეტრიწის „სათნებათა კიბე“ და „კლემაქსის“ ქართული რედაქციები (გვ. 88).   |     |
| 3. იოანე პეტრიწი და ბიბლიური წიგნების მთარგმნელები (გვ. 99), 4. აგიოგრაფიული თხზულებანი (გვ. 115), 5. საისტორიო თხზულებანი (გვ. 122).  |     |
| 6. იოანე პეტრიწის იამბიკოები (გვ. 123).  |     |
| თავი მეოთხე  |     |
| იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსოფლმხედველობა   | 126 |
| 1. კოტა რამ კვლევის ისტორიიდან (გვ. 131), 2. უზენაესი ერთი, უსაზღვრო გონებითი და მისი ანრდილი (გვ. 139), 3. ოთხთა კავშირთა შეზავება და სივედილ-სიცოცხლის პრობლემა (გვ. 150).                               |     |
| სათნებათა კიბე (ტექსტი)  | 169 |
| შენიშვნები   | 245 |
| ლექსიკონი  | 256 |

რედაქტორი ნ. ფაულენიშვილი  
მხატვარი გ. აესაჩანიშვილი  
მხატვრული რედაქტორი კ. ოსკანოვი  
ტექნიკური რედაქტორი რ. მელაძე  
კორექტორი ნ. აფხაზავა

გადაეცა წარმოებას 15/II-68 წ.. ხელმოწერილია დასაბუქლად 30/IX-68 წ.  
ქალაქის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 17.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 14,68.  
უე 01375. ტირაჟი 2.000. შეკვ. № 246. ფასი 1 მან 23 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის. 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 1, თბილისი,  
ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфпрома Госкомитета Совета  
Министров Груз. ССР по печати. Тбилиси, Орджоникидзе № 50